

# მოძახვა

თბილისი ქურნალი

წელი შეოთხე

№ I

0168160, 1897



ტელეგრაფი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკი, თბილისი, 1897

## შ ი ნ ბ ს ტ ი

	83-
I საგანიშვილის დელინაციალი — მოთხრობა და კლდია- შეიღისა . . . . .	1
II სარდლის აზრი . — გიუდე-მოპასისისა (ფრანგულით) S—ასი . . . . .	43
III თუშური ლექსიზი . — შეკრებილი დ. როსტომაშვი- ლის-მიერ . . . . .	50
IV მოლიკულ გზაზე . — მოთხრობა ჯ. ერის „აგისა (გაგრ- ძელება)	51
V მგოსნის ჩანგი . — ლექსი გრ. აბაშიძისა . . . . .	89
VI გლობი-პაცის ისტორია . — ნაწილი პირველი . — ერგმან- შატრიანისა, თარგმანი ა. მაჭაგარიანისა . . . . .	91
VII სამურზაბარი . — მგზავრის წერილები, თ. სახთავიასა .	1
VIII რა არის ომი? — პ. ეულისა . . . . .	23
IX ჭედაგოგიური გაცემისილება სრულიად რუსეთის გამოცემისა ნიუნი-ნოვგოროდში . — ლ. ბოცგამი- სა (გავრძელება) . . . . .	41
X პომზია, როგორც ხელოვნება . — (ნაწყვეტი ერთის თხზუ- ლებიდან) ა. მ—ასი . . . . .	67

# ბ ლ ა მ გ ი

თვიური ქურნალი

წელიწადი ზეოთხი

№ 1

0163560, 1897



0403060

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბიბლიოთეკი  
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Декабря 1896 г.



୩୧୯୫ ମୁହୂର୍ତ୍ତରେ  
୩୧୯୫ ମୁହୂର୍ତ୍ତରେ  
୩୧୯୫ ମୁହୂର୍ତ୍ତରେ  
୩୧୯୫ ମୁହୂର୍ତ୍ତରେ

## შ ი ნ ე ს ტ ე ბ

გვ.

I სამანიშვილის დედინაცვალი.—მოთხრობა დაგ. ქლდია- შვილისა . . . . .	1
II სარდლის აზრები.—გიუ - დე - მოჟავანისა (ფრანგული) S-ასი . . . . .	43
III თუშური ლეჩები.—შეკრებილი დ. როსტომაშვი- ლის-მიერ . . . . .	50
IV მოლივულ გზაზე.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრ- ძელება) . . . . .	51
V მოსახლის ჩანი. —ლექსი გრ. აბაშიძისა . . . . .	89
VI გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი პირეელი.—ერგმან- შატრანისა, თარგმანი ა. მაჭავარიანისა . . . . .	91
VII სამურავალი.—მგზავრის წერილები, თ. სახოვავისა	1
VIII რა არის ომი?—შ. ეკულისა . . . . .	23
IX პელაგონიური განეოფილება სიულიად რუსეთის გა- მოცემისა ნიზე - ნოველის დადგინდები.— ლ. ბოცვალისა (გაგრძელება) . . . . .	41
X პოეზია, როგორც ხელოვნება.—(ნაწყვეტი ერთის თხზუ- ლებიდან) ა. მასი . . . . .	67



XI	თედი ნიკოლოზ ტახიელის-ძე	დადიანი.	—(ნეკროლების განცემის შესაბამისი)	77
გი)	დუტუ მეგრელისა	.	.	.
XII	უცხაური საფამლავი.	— ი.	მ—ანისა.	85
XIII	ახალი ფილიფადი (ქალანდა)	სამეგრელოზი.	—(ეტნო- გრაფიული სურათი)	91
XIV	ქუთაისის სათავად-აზენაურო განცი და მისი მოძახ- ვება.	—გ.	მააჩშვილისა	111
XV	განცხადებანი			

## სამანიშვილის ღიზის გვალი

მოთხოვბა

ბეკინა სამანიშვილი, რასაკეირველია, ღარიბი აზნაური იყო,  
 გვარიანი ღარიბიც. ამა რა სიმდიდრეს მოასწავებდა ოც და ათი  
 ურემი სიმინდი, ორმოცი ჩაფი ღვინო და ათიოდე ბათმანი  
 ლობიო, რაც მის მამულს შემოჰქონდა და რათაც თავს ირჩენ-  
 და წლიდან-წლამდინ ბეკინას ოჯახი, მაგრამ ბეკინას კი თავი-  
 სი თავი მდიდრებული მოჰქონდა და ვინ იქნებოდა, რომ თავის  
 სილაპიბეჭედ ერთი სიტყვა წამოეცდევინებინა ბეკინასათვის.  
 ერთობ „გადაპრანჭული“ აზნაური იყო, როგორც იმერეთში  
 ამბობენ.

როცა შინაურობაშიაც ლაპარაკს გააბამდა თავის გამოუ-  
 ლეველ სარჩოზედ, ღონიერ ლუკმაზედ, მის ერთად-ერთს, ცოლ-  
 შეილიან ვაეკ-შვილს პლატონს თუმცა ტრაბახობად მიაწინდა  
 მოხუცებული მდინარე სიტყვა, მაგრამ ამაზედ არას ეუბნებოდა  
 და მხოლოდ პირჯვრის გამოსახვით იტყოდა ხოლმე:

— ამაზედაც გმადლობ, უფალო! ამაზედაც გმადლობ,  
 უფალო!

ამ წამოძახილში პლატონი თან თავის გულითად მადლო-  
 ბას უცხადებდა ზეციერ მამას, რომ შემცილებელი არავინ გაუ-  
 ჩინა მის ღარიბ ლუკმაშიც და ამ ცოტაზედაც კმაყოფილი, ამ  
 მცირედითაც ბედნიერი, იგი გულმოდგინებით ურტყავდა თოხს  
 შიწას. ოჯახში სრული კმაყოფილება სუფევდა. თუ რამ საწ-  
 ყენად ჰქონდათ აქ—ეს პლატონის ცოლის მელანოს ხშირი შეი-



ლოსნობა. ყოველ საოჯახო საქმეში მარჯვე მელანომ, შვილის უძრავი ნობაშიაც არ დააგდო თავისი სიმარჯვე და სულ მოკლე ხანში ოთხი შვილი შეჰძინა ოჯახს. ხშირად უხუმრია ამაზედ რძლი-სათვის ბეკინას და უთქვამს ლიმილით:

— შე ქალო, ზოგ საქმეში სიმარჯვე მარგებელი კი არა მავნებელიცა... ე შენი ქმარი შეიბრალე, შე კარგო ქალო! — და ამასთან ბეკინა გულიანად გადიხარხარებდა...

— არაფერია... შიშს გულში ნუ შოუშობ... ღმერთი მოწყულეა, თავის გაჩენილს უმოწყალოდ არ დააგდებს, ვენაცვალე მის ძლიერებას... ყორიფელი მისი ნებაა!.. ალბათ ჰსურს, რომ სამანიშვილები მოამრავლონ!.. მასაც ქვეყნად მხოლოდ რჩეულები უნდა, რომ ყავდეს! ხა, ხა, ხა!..

არც პლატონს ჰქონდა სასიმოვნოდ, რასაკვირვებელია, ბევრი შვილები, მაგრამ რას იზამდა, მხოლოდ თავს გააქნევდა, როცა მათ თვალს გადავლებდა ხოლმე.

ამ გარემოების გარდა სხვებრ სწორებ ბეღნიერად სოვლიდნენ სამანიშვილები თავიანთ თავს. დროებამ ისე მოიტანა, რომ ეს მცირე ქონებაც კი სიმდიდრედ ითვლებოდა, და მის მქონებელს არა თუ აკმაყოფილებდა, არამედ ბეღნიერად აგრძნობინებდა თავის თავს და მაღლობის წარმოათქმევინებდა უფლისადმი.

რა შესაშურებელი უნდა ყოფილიყო ასე ცოტაზედ დამყარებული კმიყოფილება და ბეღნიერება?! რა სასარგებლო უმდა ყოფილიყო კაცის მოუთხოვნელობით მოპოვებული გულის სიმშვიდე?! მაგრამ ბეღნიერება რაგვარიც უნდა იყვეს, ვის შერჩენია ბოლომდის, რომ სამანიშვილისას ფეხი მოედგას მჭიდროდ? ან კი რა საფიქრებელი იყო, რომ ასე ცოტათი შემოტყუებული, ისევე ცოტა მიზეზითვე ხელიდან არ გეეცლებოდა! ბოროტს ამნაირი კმაყოფილების დარღვევა გაუჭირდებოდა?! უსათუოდ ამის დასაწყისად მან მოუსპო დღე საწყალ მარიკას, ბეკინას ცოლს.

დედის სიკვდილი თავისთავადაც შვილისათვის მწარე იყო, რომ სხვაფრივაც სამწუხარო არ ყოფილიყო პლატონისათვის.

ბეკინა მეტად ჭარბაგი მოხუცებული იყო და ამის გამო საში-შარი იყო, უცნაური სურვილი გულში არ ჩასვლოდა; დედი-ნაცვლის დანახვის შიშმა, და დედინაცვალთან „თან-მომყო-ლის“ თავზარს სცემდა აქამდისინ გულდამშვიდებით ყოფილ აზნაურს; აი მაშინ იქნებოდა სწორედ „ძმა-ძმისათვისო შავ-დღისთვისო“.

ორივე ცოლ-ქმარმა გააორკეცეს მოხუცებული მამის პა-ტივისცემა და მოვლა; ორივე გაფაციცებით თავს დასტრიალებ-დნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდ-ნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველი მისი სურვილი და საწადელი მისგან გამოთქმამდინ დაესწროთ, მიმხვდარიყვნენ და იმ წამსვე აესრულებინათ. ერთი სიტყვით, პლატონიც და მე-ლანიაც დღე-და-ლამ იმის მეცადინობაში იყვნენ, რომ მოხუცე-ბულის გული მოეგოთ და თავიანთი თავი შეეყვარებინათ, რაც შეიძლებოდა, მეტად. ამაში კიდევაც მიაღწიეს თავის წადილს. ბეკანა მეტად აფასებდა რძალ-შვილისაგან მასზედ ყურადღებას, მეტად მაღლიერი იყო მათი და გრძნობაში მოსრული კიდევაც იტყოდა ხოლმე. მათთანაც და სხვებთანაც:

— ეჰ, ერთი ჩემს მარიკასაც დასკლოდა ამისთანა ყოფნა, ამათთანა ღვთისნიერი შვილების მზერა! ჰეი, ჰეი! — თან ამოიხს-რებდა ამ სიტყვებთან ბეკინა.

ამის გამგონთ იმედი ეძლეოდათ, რომ ბეკინა მეტად და-შორებული უნდა ყოფილიყო რაიმე მათ საწყენ საქციელთან და დაბოლოს კიდეც სრულიად გული დაიმშვიდეს. მაგრამ ბეკინას ამ კმაყოფილებაში და განცხრომაში, შვილების სიყვა-რულთან, სხვა-და-სხვა-ნაირი ნატვრებიც გულში ეპარებოდნენ და დროთა განმავლობაში ეჯინებოდნენ. იმ სასიამოვნო მდგო-მარეობაში, მას რომ ელირსა, უფრო სიამოვნებით, უფრო ტკბი-ლად იგრძნობდა თავის თავს, თავისი შესაფერისი ამხანაგიც რომ ჰყოლოდა ვინმე. ასე ფიქრობდა გუნებაში ბეკინა და ეს აზრი, შემდეგ სურვილად გადაქცეული, ბოლოს აუცილებელ წადილად გაუხდა — მის გუნებაში, ასე რომ მოაგვაროს, ბელნი-

ერთა უბედნიერები კაცი იქნებოდა. მისი აზრით, ეგ მისი წილი-ლი მის მოსიყვარულე შვილებს არც კი უნდა სწყენოდათ.

— განა ჩემს კარგად ყოფნაზედ არ მეტადინეობენ?!... რა-საკვირველია, არ ეწყინებათ! — აჯერებდა თავის თავს ბეკი-ნა. — ან კი რაზედ უნდა ეწყინოთ... ცუდი მამა ვიყავი მათვის თუ?... საცხოვრებელი არა აქვთ ჩემგან ჩაბარებული თუ? სულ ხომ მათ ვერ შევჭირავ ჩემს თავს, თუმცა, ღმერთია მოწამე, რა რიგად მაგნი მე მიყვარან!.. არც ეწყინებათ, არა... არ შეიძლება, რომ ეწყინოთ!... მე რომ იმათ უყვარვარ!!!...

ასე ფიქრობდა ბეკინა და იმით გაათვა, რომ ერთ დღეს კაცი მიუგზავნა შვილს და გამოუცხადა თავისი სურვილი ცო-ლის თხოვაზედ.

ადვილი წარმოსადგენია, რა რიგად მოხვდებოდა პლატო-ნის გულს ამის გაგონება.

— მღუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან — მღუპავ?!... დანას მიყრი ყელში?... რატომ მიმეტებ, შენი ჭირიმე?!... ძლიერ წარ-მოსთქვა პლატონმა, და ხმა ჩაწყვეტილმა უნუგეშოდ ხელები გაშალა.

— გლუპავ?!.. რათა, შვილო, რათა?... შენისთანა შვილი უნდა დალუპოს მამამ?!..

— აბა რაა?... — და ისევ სიტყვა გაუშრა პლატონს.

— კარგი, თუ გიყვარდე, კარგი! — მხიარულად შესძახა ბეკინამ. — შე კარგო კაცო, მე ერთი ბებრუხანა მოვათრიო, შენ რატომ უნდა დაილუპო, შვილო?!... რა დაგლუპავს, თუ გი-ყვარდე?

— შვილი გეყოლება...

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გააწყვე-ტინა პლატონს. — შვილი გეყოლებაო?... ხა, ხა, ხა!... რაღა დროს ჩემი შვილია, შე კაცო!?!... ხა, ხა, ხა!

— მამა... შენ ნუ მომიკვდები, სიკვდილის მსგავს საქმეს მიპირებ... შენ ნუ მომიკვდები!...

— ერთი შენ დაჯინებულათ ლაპარაკობ დღეს, პლატონ!.. დედაბერმა რავა უნდა შეგაშინოს, შე გლახაკო!?!... ასე აუნდა

შეწუხდე?!... ეგ შენი შიში, მამაშვილობას, სრულიად უსაფუძულოა... რამე გევნებათ კი არა, სასარგებლო იქნება, თუ დამიჯერება: საწყალ მელანოს ცოტა შელავათი მაინც მიეცემა, თვარა აღარა ქალი!... უჭირს ერთ ადამიანს—თელი ოჯახი კისერზედ აწევს!...

— ბატონო, მელანოს ჯაფას რას დევეძებ, შენ ნუ...

— რატომ რას დევეძებ?!?...—გააწყვეტინა სიტყვა ბეკინამ. —რატომ არ დევეძება... ისიც შვილი არაა ჩემი?...

— ბატონო, შენ სხვებრ შევეიმრალე და ჩვენს ჯაფას ნუ კითხულობ, ნუ დარღობ... ღმერას ჯაფისათვის ვყავართ გამარილი!..—ეუბნებოდა პლატონი.—მამა, შენი ჭირიმე, გადათქვი ცოლის თხოვა და რა გინდა ჩემგან!...

— ნუ ხარ ჯინიანი, შეიღლო!..—შეუტია ბეკინამ.—მარტო შენს თავზედ კი არ უნდა იფიქრო ადამიანშა, შვილო!

პლატონს ეწყინა ეგ უკანასკნელი სიტყვა მამისაგან და კუშტად უთხრა:

— ბატონო, ღროც კი აღარა შენი ცოლი თხოვის!

ბეკინამ ქორულად გადახედა შვილს და წელში გაიმართა.

— ერიპა!!—შესძახა მან,—ერიპა! რა მოსხლეტილი დამინახე?!. თქვენისთანა ახალგაზღდებს კიდევ ერთ ათს ერთად ვაჯობებ ჯანიშაც, სიმრთელითაც, შეხედულობით და ვაუკაცობითაც!.. არა, შვილო, მაგი სულ ტყვილია!.. სულ ტყვილია!.. რაში შემატყვე დაძაბუნება!.. ჰმ!..—და ბეკინამ მარჯვენა ხელით შეიბერტყა თავისი გრძელი გაჭაღარებული წევრი და მერე თავმოწონებით გადიგრიხა თავისი ლამაზი ულვაშები.

— არა, შვილო!—მიუახლოვდა ბეკინა შვილს და მხარზედ ხელი დაადო.—არა, შვილო, მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე... ღმერთმა იცის, და მან ისე ჩემი სული შეგიყვაროს, რავარც მე თქვენ მიყვარდეთ და მან იცოდეს, თუ მე თქვენთვის ცუდი რამე გულში მედევას!... არც იფიქროთ, რომ ჩემგნით თქვენ რამე დასაკლისი საქმე კი არა უბრალო წყენაც შეგხვდეთ!... მაგრამ ნურც თქვენ გაჯიუტდებით, ნურც თქვენ აჯინდებით, შვილებო!.. ღმერთმა იცის და ყველაც ხედავს, რომ არა გი-



ჭირო-რა: მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხეაზედ მეტი არა, ამას უკუნილეთი არა... ტყეც და ველიც!.. — (ეს კი მეტი წა-მოსცდა ბეკინას—ტყე სრულიად არა ჰქონებია მას)... სამწუ-ხარო რა გაქვთ?!. ღმერთი უფრო მეტს მოწყალებას მოგცემს, უფრო გიშინამძღვრებთ, თუ მეც მომხედვთ, შემინახავთ და ჩემი უკანასკნელი დღეების გამწარებას არ ინდომებთ... რა ვწნა, შვილო... მეც კაცი ვარ... მეც ადამიანი ვარ!.. მყოლებოდა დედა-შენი ცოცხალი, ჰეი, შვილო, ჩემისთანა ბედნიერი ქვეყა-ნაზედ კაცი არ იქნებოდა!... მაგრამ რას იზამ... უფალმა ასე ინება და დღეს ნუ ამიტყდებით, ნუ ამეშლებით, ოქვენ რომ კარგები ხართ—სხვას, გარეშეს ნუ ათქმევინებთ, მოხუცებული მამა შეაწუხესო... ისე მომექეცით, როგორც ქეხართ, კაი, მშობ-ლის მოსიყვარულე შეილები!.. ღმერთი დაგიფასებთ და ამისა-თვის კიდეც დაგაჯილდოვებთ, ყოველ განსაკოთელ აგარიდებს!.. კარგის ღმერთიც კარგი მწყალობელია, შვილო!.. ნუ მეწი-ნააღმდეგები! გარშმუნებ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, თქვენ არა-ფერი დაგიშავდეთ, წაგიხოვთ, ერთი ხნიერი დედა-კაცი ხახლში შემოეყვანო... ცოტა ხანს ეიცხოვრებთ ტკბილად, სიამოვნე-ბით ერთად და მერე ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ ეს ოჯა-ხიც, ეს სახლიც, ეს კარიც... ყორიფელი, რაც რამ გაგვაჩნია, შვილო!

— ბატონო, შვილი გეყოლოს, შვილი... მაშინ?—დაატა-ნა პლატონმა.

— შენ დღეს კაცი ვერ გელაპარაკება, შვილო, ისოე გაქვს მხარი მოქცეული!—წყენით უთხრა ბეკინამ... — თუ კაცის სიტ-ყვას არ გეიგონებ, აბა რაღა მოგიხერხო, შვილო?!. მეტი და-ჯერება მე არ შემიძლია და ღმერთმა შვილობა მოგცებ!.. ჯი-ნიანი კაცი გარეშეც სასიმოვნო არა, თვარა შვილი რა!?

ვერ გადაათქმევინა პლატონმა ბეკინას მისი სურვილი და ამან მეტად გულამღვრეულად გახადა. სხვაც მიუგზავნა მამას ამის თაობაზედ, მაგრამ ბეკინა გაჯიუტებაში ართმევდა შეილს მის საქციელს და არ იშლიდა თავის განზრახულებას. იგი დარ-წმუნებული იყო და ყველას არწმუნებდა, რომ შვილი არ მიე-

ცემოდა მისგან მოყვანილ დედა-კაცს, რომ ღმერთი მის მოსახურების შვილებს არა თუ დააკლებდა რამეს,— შეჰმატებდა უსათუოდ კიდევ. პლატონი ამ შეჰმატებაზედ ძალიან უარს ამ-ბობდა, ოღონდ კი თავისი, რაც ხელში ეჭირა, მჭიდროდ ჰკა-ვებოდა; მაგრამ ბეკინა თვისას იშეორებდა და მტკიცედ იღვა თავის სიტყვაზედ.

ერთი სიტყვით, ამ მხრით საქმე წაგებული იყო, გამოუბრუნებლად. საჭირო იყო რამე ისეთი ხერხის ხმარება, რომ ბე-კინას გულის წალილის ასრულებასთან, პლატონი იმედიანად ყოფილიყო, რომ თავის მიწის ორიოდე ნაფლეთი, მთლად შერჩებოდა, დღესაც გასაძლმობად მის სუსტ ლუკმას ორად არ გაა-ყოფინებდნენ.

— დევილუპე... წმინდათ დევილუპე! — იძახდა პლატონი — წმინდათ დევილუპე, თუ რამ არ ვისაშვა თე, რამე არ ვიღონე! ..

გამწარებული ყმაწვილი-კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა. მისი ტვინი წისქვილის ბორბალსავით მოუსვენრად ბრუნავდა, რომ რამე ხერხი გამოეგონა, „ძმურად“ არ გაეყოთ მი-სი „სიმდიდრე“, რომ ახლანდელ მწირ ლუკმაზედ შეჩვეულ კუჭს უფრო დამკირებულ ლუკმაზედ შეჩვევა არ დასჭირვებოდა.

— იფიქრე, ქალო! იფიქრე, შენც გამოიგონე რამე... ეოხე-რი თავი იღარ მუშაობს! .. ბრუ მესხმის მხოლოდ! .. — გამწარე-ბით ეტყოდა ხოლმე პლატონი ცოლს.

— მე რა უნდა მოვიგონო! .. რა უნდა გირჩიო? — მოწყე-ნით მიუგებდა ქმარს მელანო.

— რა მოვიგონო?!. ვე! .. სხვას რას გეიგონებს თქვენგან კაცი! — გულმოსულად წაილაპარაკებდა პლატონი და ისევ თავის ფიქრებში გაეხვევოდა გაყუჩებული.

ქართული ანდაზაა: გაჭირება მიჩვენეო და გაქცევას განა-ხვებო. პლატონი სამანიშვილი ქართველი კაცი იყო და ამასთან იმერელი აზნაური.

— მამა! — მივიღა რამოდენიმე ღლის შემდევ იგი ბეკინასთან, — მამა, რაკი ინებე ცოლის შერთვა და აღარ იშლი, ნება შენია ..



მე რაღა გითხრა... მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს და ამზეც არ გამაწმილებ იმედია... უარს არ მეტყვი!...—პლატონს ზედ ეტყობოდა, რომ იგი წინანდელ ცუდ გუნდებაზედ აღარ იყო.

— რა იყო, შვილო?... ერთის მაგიერად ორი მითხარი!

— მომანდვე ეგ საქმე მე... მე მოგინახავ ქალს!

ბეკინა გაკვირვებით მიაჩერდა შვილს.

— ღმერთმანი... მაშვალს თავი დაანებე და საშენო ქალს მე მოგინახავ!.. შენ ნუ მომიკვდები!...

— შე კაცო, უწინ თავს იკლავდი... ნებას არ მაძლევდი და ახლა მაშვლათაც კი მიღები!—ღიმილით მიმართა ბეკინამ შვილს და უნდობლად დაუწყო ცქერა. — რას მივაწეროთ ახლა ეგ, პლატონ?!...—გაიცინა ბეკინამ.

— რას უნდა მიაწეროთ?

— მაინც, მაინც!... მამაშვილობას, გამაგებიე! თუ გიყვარდე!—ჩაცივებით უთხრა დაინტერესებულმა ბეკინამ.

— ბატონო, თქვენი გულის წადილი ხომ აგისრულდებათ-და!

— კა მარა მაინც!.... მამაშვილობას, მითხარი! ჰა! შენს ცოლ-შვილს გაფიცებ!... რა გამოიგონე ახლა შენ?!...

— არაფერი, შენ არ მომიკვდე, იმისთანა, რომ შენი საწყენი იქნებს...

— ჰო!

— ქალს მოგინახავ იმისთანას რომ არც შენი დასაწუნებელი იქნება და არც ჩემთვის საზნიანო....

— ჰო, ჰო!—აჩქარებდა გახალისებული ბეკინა,—ჰო!

— ახალგაზდა, ყმაშვილი ქალი, რასაკვირველია, შენი საქმე არაა...

— რასაკვირველია... მარა არც უკბილო დედაბერი ივარგებს, შე კაცო!—გაიცინა ბეკინამ.

— უკბილო დედაბერი ვის რად უნდა! ასე ხნიერი დედა-კაცი რომ იქნეს, არავინ გაგვცინოს...

— ჰო, ჰო!—ეთანახმებოდა ბეკინა.

— ქვრივი...

— მაგასაც არა უჭირს-რა!..

— ქვრივი... ორ ნაქმარები!

ამ უკანასკნელ სიტყვაზედ პლატონიც შეჩერდა, მამის შეხედა და ბეკინაც მიაშტერდა გაკვირვებით შვილს.

— ჰო, ორ ნაქმარები!.. — განიმეორა სიტყვა გაგრძელებით პლატონმა — რა უნდა უჭირდეს?.. შენ არ მომიკვდე, არაფერი!

— რას ცუდლუტაბ, შე კაი კაცო!... — თვალი თვალში გაუყარა ბეკინაშ შვილს. — რას ცუდლუტობ შენ, ვაჟ-ბატონო?

— შენ არ მომიკვდე, შენთან მე არ ვცუდლუტობდე და არც გატყუებდე!.. შენ სრულიად წაგებული არ იქნები, დედის სული არ წამიწყდეს!... ის კი არა, მოგებული დარჩები.... მე მხედება მეტო შრომა, თვარა შენ ქეც დამიმადლი მერე!... გია-მება, ბატონო, ახლა რომ შენმა ცოლმა ბავშვის ქუვირილით გამოგიჭექოს ყურები?...

— ემ... შენ კიდევ შენსას მოჰყვები!...

— ვინ იცის, ბატონო, ვინ იცის! ის არ ჯობია, რომ უფრო დაიმედებულად რომ იქმნება ადამიანი?!...

— ორ ნაქმარები დედა-კაცი რაღა იმედია?

— რა იმედია და აი მოგახსენებთ!... შენ ცოლი გინდა; მე მინდა, რომ მამულის გამყოფელი არ დეინახოს ჩემმა თვალებმა... თვითონ ამბობ, ყმაწვილი ქალი არ მინდაო... მოგინახავ სწორედ რიგიან ქალს, რომ ვერავინ დაგვცინოს, შენ ნუ მომიკვდები. ორ ნაქმარებს იმიტომ გეუბნები, რომ ქვრივებში ამოვარჩევ, გამოვნახავ იმისთანას, რომ ორ ქმარს ყოლოდეს და არც ერთთან შვილი არ მიცემოდეს... ორივ ქმრის ხელში რომ უშვილო დარჩენილიყოს... ამისთანა დედა-კაცი სწორედ საიმედო იქნება შვილის უყოლობაზედ!... თუ ორ ქმართან შვილი არ მიცემია, შენთან რაღა ღმერთი გოუწყრება... ამრიგად შენც მოსვენებული იქნები, მეც იმედიანად ვიქნები და ვიცხოვრებთ ისე, რავარც გვიცხოვრია... ამ ჩვენ წუთისოფელს ჩვენს წესაზედ ამგვარადვე გავატარებთ და ჩვენს მემრე რაც იქნება, ის ღმერთმა იცის და ჩვენმა მამავალმა!.. ესაა ჩემი თხოვნა... შენ არაფერი გაკლდება და ჩემთვის კი ისეთი საქმე

იქნება, თუ გინდ ჩემი მამულის ნახევარი ხელ-ახლად შექმნი-ნოს!.. მაინც ამით თუ შევინარჩუნებ, თვარა სხვა რა ძალა მაქვს, რა ღონე შემწევს? ამიტომ გთხოვ, მომანდო ეე საქმე, მაშვალს თავი დაანებო!.. შრომა მე შემხვდება, მართალია, მარა რავა დევერიდო?!.. ქალს კი უხეიროს არ შემოვიყვან, ამაში პატიო-სან სიტყვას გაძლევ!

ბეკინამ აცალა თავის შვილს, რომ ეთქვა თავისი სათქმე-ლი, ყურადღებით მოისმინა მისი სიტყვა, მას ახლა კიდევაც ეცინებოდა პლატონის ნალაპარაკებზედ და უკვირდა საიდან სად, რა გამოიგონა მმ კაცმაო. შვილის თხოვნაზედ, წინადაღებაზედ, იგი კიდევაც თანახმა გახდა დაბოლოს, თუმცა ესეც კი და-ტანა:

— ნება შენი იყოს, პლატონ ჩემო, მაგრამ ახლა შენ მიჩ-ქარი სიკვდილს, შეილო! — სიცილით უთხრა მან შვილს.

— რავა, ბატონო?

— ი წყეულმა მეც რომე გამაყოლოს წინანდელებს, რას მიპირობ მაშინ? ა?... ხა, ხა, ხა! ავი სანდობია მაგისთანა მთვა-რეზედ დაბადებულე დედა-კაცი!..

— შენისთანა ღონიერ ადამიანს ის ვერაფერს გიზამს, ამას რა ლაპარაკი უნდა! შენ არ მომიკვდე!..

— კარგი, კარგი, შვილო! — იამა ბეკინას შვილის სიტყვა, — კარგია, შვილო... ასე ქენი, მარა შორს საქმეს ნუ გადადებ, თვარა!..

— არა, ბატონო, ამ დღეებშივე შევუდგები... რაღაზედ გავაჭიანურო... საქნარი მოლეული არ ჯობია!..

— ჰო, ჰო! რასაკვირველია, რასაკვირველია!... მარა გახ-სოვდეს, შვილო, უხეირო ვინმეს არ შემყარო... თორემ სირც-ხვილს გაჭმევ — მიგიტოვებ ქალს და სხვას მერე მე თვითონ ამოვირჩევ!.. მამაშვილობას გეფიცები! — ლიმილით უთხრა ბე-კინამ.

— ბატონო, მაგ რა საკადრისია!.. რატომ ეიზამ მაგ საქ-მეს!.. — მიუგო პლატონმა. — ამაზედ მეტად არ გჯერათ ჩემი?!

— ჰო და აბა ჰე!.. აბა ჰე!.. აწი შენ იცი—მე თანამდევ  
ვარ... ოლონდ არ დაგვიანო, ესეც გახსოვდეს!.. მეტი რაღა  
მომეობოვება—ყორიცხული შენს ნებაზედაა და ეგ არი!.. აწი  
მაინც ვერაფერში მისაყვედურებ, შვილო!

სასაყვედურო კი ჰქონდა პლატონს, მაგრამ რა გამოვიდო-  
და მასზე სირცეების განახლებით. ისიც კარგი იყო მისთვის. რომ  
მამა ამ უკანასკნელ თხოვნაზედ დაიყოლია და ამით იმედი ეძ-  
ლეოდა განსაცდელი თავისუან აეცილებინა. ახლა საჭირო იყო  
მხოლოდ ნაფიქრი საქმის ასრულება; საჭირო იყო, მოენახა მი-  
სი მხსნელი ორ ნაქმარევი უშვილო ქალი, რომ ქმრებთან სამ-  
სამ წელიწადი მაინც ნამყოფი ყოფილიყო, რომ არც ბებერი  
ყოფილიყო მაინც და მაინც და არც მახინჯი; განსაკუთრებით  
უშვილობაზედ საიმედო ყოფილიყო.

საქმე არც ისე აღვილი იყო, რომ უცბად თავი მოჰქმოდა  
და ამიტომაც პლატონი იმ დღესვე შეუდგა მას, რა დღესაც  
მამა-მისმა ამაზედ მზრუნველობის ნება დართო. წყალ-წალებუ-  
ლი ხავსს ეკიდებოდა, — ისე იყო პლატონის საქმეც.

დატრიალდნენ თრივე ცოლქმარი. დღე-და-დამ მხოლოდ  
იმაში იყვნენ გართული, რომ ეგებ თავიანთ ნაცნობებში მოე-  
გონათ ყოველი უშვილო ქვრივი დედა-კაცი, ეგებ მათში გა-  
მოჩენილიყო მათი სასურველი, მართვის სანატრელი რომე-  
ლიმე.

— არქიპო ქვაშავაძის ნაცოლები... უშვილო არ იყო!..  
ქე არ გათხოვდა იგი... ქმართანაც ბარე ხუთი წელიწადი  
იყო!.. ნეტავი თუ ცოცხალი ყავს მეორე ქმარი?.. ა, არ იცი,  
მელანო?

— რავა არა... მარა იმას, შე კაცო, პირველი ქმრის ხელ-  
შიაც ქე ყავდა ერთი შვილი!.. — მიუგო მელანომ.

— შვილი სად ყავდა იმას... შენ არ მომიკვდე! ნატალიას  
შვილი სად ყავდა!?

— ყავდა, შვილებს გეფიცები... შენ ნუ მომიკვდები! გა-  
ვიწყდება, თვარა შვილი რავა არ ყავდა... დიდ ხანს კი იყო  
უშვილო!



— აჲ! აბა ეგ მახსოვდა მე!.. და პლატონი გაჩუმებული ახლა სხვებს იგონებდა და იხსენებდა.

— გოჯასპირ ხასიშვილის ნაცოლები?.. საწირეთელი ხა-სიშვილის?.. კი იცნობ შენ იმას, ჰო, ჰო! ის, მგონია, ისე მა-გონდება ვითომც ხასიშვილმა იგი ქვრივი ითხოვა... უშვილო იყო მაშინაც!..

— აჲ!.. გოჯასპირ ხასიშვილმა ქვრივი კი არ შეირთო, შე კაცო... დედ-მამის სახლიდან წეიყვანა და ქვრივად მას დარ-ჩა... უშვილოა კი... მარა რაი! ჩვენთვის ის არაფერი გამოსა-დეგია: ერთ ქმრის ნაყოლია! — წუწუნით გაათავა სიტყვა მე-ლიანომ.

ბევრს ეწვალნენ ამრიგად ცოლიც და ქმარიც, მაგრამ ვერას გახდნენ.

— ჩემ დასთან წავალ.. ეგებ დარიკომ მიმასწავლოს სადმე და ქეც ამომარჩევიოს!.. ა, რას იტყვი, მელანო? — დაეკითხა პლატონი ცოლს, როცა მისმა მეცადინებამ ტყუილად ჩაუარა.

— ძალიან კარგს იზამ, ღმერთმანი! — მიუგო მელანომ — ძალიან კარგს იზამ!.. უნდა მიკითხ-მოკითხო, აბა რავა იქნბა?!..

— წავალ... ხვალვე წავალ!.. — ამოიოხრა პლატონშა, — ეგებ ცხენი გამოვართვა ვისმეს და წავალ... თუ დევიგვიანე, მაგ დალოცვილი მე აღარც კი მიყურებს და თავისას იზამს!... ჰეი, ჰეი! — ნაღვლიანად წამოიძახა მან და მეზობლებში წავიდა ცხენის სათხოვარად.

დილა იყო ადრიანი, მეორე დღეს რომ პლატონშა ძალზედ გამხდარი, ზურგ-დაშავებული ცხენი გაღმოიყვანა ეზოში, მიაბა სამზარეულო სახლის გვერდით მდგარ კვინცხასთან და კმაზა დაუწყო.

— ამაზედ შეჯდომა რავა შეგიძლია? — უთხრა მელანომ.

პლატონშა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ამ უკანასკნელს ტანი აუძიგდიგდა.

— აბა ფეხით ეისთან მივიდე, შე ქალო!?

— კი მარა, სულ არ მოგჯება საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!... სირ-ცხვილისათვის მიმყავს თვარა-რა!... შენ ეგ მოსართავი მომეცი და ამის ჯავრი ნუ გაქვს!..

მელანომ მოსართავი მიაწოდა.

— აი ამოგივარდა პატრონი! — მიაძახა პლატონმა, მოსართავს რომ ხელი მოჰკიდა. — მეიტა მელანო, ჩხრინკი იქნება რამე... ენა კი არ ქონებია ანზინდს!... მეიტა, მეიტა მალე, ოუ ქალი ხარ!

დაამაგრა მოსართავი ჩხინკით პლატონმა, დაიხურა ქუდი, გადიგდო ბეჭებზედ ყაბალახი, მოხსნა თავისი თემოებ-ამობუს-კული და თითქმის წაათრია უგულოდ მიმყოლი ცხენი ჭიშკრისკენ.

სწორედ ამავე დროს ბალკონზედ გამოვიდა ახალუხის ამარა ბეჭინაც და, რა დაინახა მიმავალი შვილი, გადასძახა:

— მიხვალ, პლატონ?

— მივდივარ, ბატონო, მივდივარ... რავარცა მხედავთ! — მიუგო პლატონმა.

— აბა ჰე, შენ იცი!.. ღმერთმა კეთილად გამგზავროს! — მიატანა სიტყვა ბეჭინამ.

პლატონმა გადიარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და მალე ორ-ლობებში მიმავალი, გზას იქით-აქეთ მიმყოლ ხეებში მიიმაღა.

— ე ბელოური ვის გამოართვა, მელანო ჩემო? — მიმართა ბეჭინამ ჭიშკრიდან უკან გამობრუნებულ რძალს.

— პავლია ღომიაშვილს გამოართვა, ბატონო! — მიუგო მან.

— არ დოუვარდეს გზაში, შე ქალო! — გაიცინა მოხუცებულმა.

— სხვის შესახედავათ წეიყვანა, ბატონო... — სასირცხვილ-სანამუსოთ, თვარა სხვებრ რას არგია!

— არაფერია... არაფერი... პლატონი მარჯვე კაცია... მოხერხებულია, იმას არაფერი გოუჭირდება, — ჩაიცინა ბეჭინამ და იქით დაიწყო ცქერა, საითაც ის იყო პლატონი გზას დაადგა.

გულჯაერიანი მიუძლოდა თავის გახრევილ ცხენს ერთხანზედ, მაგრამ ბოლოს ამასაც დეკარგა მოთმინება მუდამ აღვირით ჭიშვისაგან და შეძახებისაგან.

— შენც ჯინაზედ მიღები, შე ოხერო!?. — გააჩერა მან ცხენი და გულმოსული რომ მოაჯდა ზურგზედ, წკნელი გადაპრა და ფერდებ გამობზეკილი ცხენი ააძუნძულა. — შენ მაინც მოგერევი, სხვასთან თუ ვერაფერი გავაწყე!.. კიდევ გამიღები ჯინაზედ?!.. — და მან შეუბრიალებლად გადუქირა კიდევ ორიოდეჯერ. მაგრამ პლატონის გასაჯავრებლად და თითქო მისი დაქაღნების გასამტყუნებლად ამ პირუტყვის მალე იძულებული გახდა მხედარი ჩამოექვეითებინა. გულდამწვარი ამ ყველასაგან დაჯაბნებით, პლატონმა გაიგდო ეს გახრეკილი პირუტყვი და, უკან ფეხ-და-ფეხ მიმყოლი, გრძელი წკნელის ცემით მისდენიდა წინ.

ნახევარზედ მეტი გზა გაიარა პლატონმა თავისუფლად, ისე რომ არც ჭიმავალი და მომავალი კაცი მას არ შეხვედრია; ასე თავისუფლად მიმავალი თავის ფიქრებში იყო გართული; თავის მგზავრობის მიზნის აღსრულების მოსაზრებით იყო გაბრუებული. უეცრივ ცხენის ფეხის ბაკი-ბუკი მოესმა პლატონს. მიიხედა უკან და უკმაყოფილებით პირი ისევ გამოიბრუნა. ვიღაც ხანში შესული კაცი მოათოხარიკებდა მაღალ ცხენს.

— ჰეი, თქვენი, თქვენი!.. — თავისუფლად წაიდუღუნა პლატონმა. მას ახლა ყოველი მოხუცებული კაცის დანახვა ეჯავ-რებოდა. ეგებ ესეც მასსავით აწვალებდეს თავის შვილს!..

— გამარჯობა, ყმაწვილო! — გადმოსძახა წამოწეულმა ცხენისანმა.

— ღმერომა გაგიმარჯოთ, ბატონო! — მიუგო პლატონმა და დარცხვენით შეაჩერა თავისი ცხენი.

მან ახლა კი იცნო, ვინც იყო ეს ჩასუქებული, წვერებმოპარსული, კაზიროკ-ქუდიანი, ქოლგით იღლის ქვეშ, წითური სახის კაცი და იმიტომაც დაატანა თავის პასუხს: „ბატონო“. ეს იყო თავის კუთხეში ცნობილი, სახელის შექონე აზნაური ივანე გვერდევანიძე, სოფლის ადვოკატი.

— ხად მიხვალთ, ყმაწვილო? — შეეკითხა გვერდევანიძე პლატონს.

— აგერ გიახლებით, ბატონო, მაღლაშენში! — და პლატონი შეჯდა ცხენზედ.

— კი დაგემართოთ... აბა მგზავრები ვყოფილვართ ამ ერთ ხანაზედ!

ეწყინა ეს პლატონს, მას ათასშილად ერჩია მარტოდ, თავისუფლად მგზავრობა, მაგრამ ახლა მეტი გზა არ ჰქონდა, ხათრს ვერ გაუტეხავდა ამ მოსახათრებელ კაცს, უნდა ერბენინა თავისი ძვალ-ტყავ-გადაკრული ცხენი გვერდევანიძის თოხარიკთან.

— რა ხანია მოვდივარ და ერთი კაცი არ შემთომია... მოვდივარ ასე მუნჯათ! — ამბობდა გვერდევანიძე.

— სად ბრძანებულხართ აქეთ, ბატონო? — რომ ხმა ამოელო, შეეკითხა პლატონი.

— ქვედურეთში ვიყავი... ბრეგაძეები არიან, აზნოუშვილები... შენი მტერი იქნა დამსილი და დაგლახავებული... ისინი დამსილი არიან... და რაგარც იცით ახლანდელი ჩვენი აზნოუშვილების ამბავი, გაყოფა უნდათ, მაგრამ გასაყოფი რომ აღარაფერია, ერთი მეორეს წაგლეჯაზეა გამაცადინებული, რამე ხერხით მეტი უნდა რომ ირგოს, ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ და ჭიჭიკინობენ, დავიდარაბობენ, ჩხუბობენ დილიდან საღამომდინ, ჰკლავენ ერთმანეთს...

— ცუდი დრო მოეიდა ბატონო, ეროობ ცუდი დრო!.. ხალხიც მომრავლდა!.. ჩხუბი თუ გაწმენდს ცოტაზედ მაინც თვარა... მაგრა ეგ თქვენ უკვეთ მოგეხსენებათ, რასაკვირველია! — შენიშნა თავის შხრით პლატონმა.

— შეიძლება, შეიძლება! — დაატანა გვერდევანიძემ. — ჰოდა იმას ვამბობდი, ამ ბრეგაძეებმა მთხოვეს შუაში ჩამოვარდნილიყავი და მომერიგებინა!.. ხელის მოსაკიდებელი საქმე არაა, არც გევერევოდი, მართალი გითხრა, ნამეტანი შეუსმენელი და დოუჯერებელი ხალხია, მაგრამ უფრო უარი ველარ ვუთხარი, იმიტომ ჩემი ნათესავი ქალია იმ ოჯახში... დედინაცვალია ამ ბრეგაძეების და მათ ჩხუბში და უწესურობაში საწყალი ქრივი დედა-კაციც ნამეტანი შევიწროებაში ყავთ!.. სიცოცხლე გოუმწარეს უბედურს!..

— თუ შვილი ყავდა მაინც ამ დედინაცვლობაში?!.. — და-  
ტანა პლატონმა.

— აჲ! შვილი არც უწინდელ, პირველ ქმრის ხელში ყო-  
ლია და არც ამ მეორე ქმრის ხელში! უბედური, უშვილო სა-  
წყალი ერთი დედა-კაცია! იმიტომაც უფრო მებრალება... გე-  
რები ოუტყდნენ, აი ისე, რავარც იცი ლარიბი ოჯახის ამბავი...  
დედინაცვლის შენახვა კი არა, თვისი თავი ძლივს გამოაქვთ  
წლიდან-წლამდინ!.. მამის ხელში ქე იყო ისე ერთგვარი ოჯა-  
ხი და ახლა სამაც გასაყოფი რომ შეიქმნა, ამ დედინაცვალ-  
საც თავისი წილი საქვრივო გამოსაყოფი შეექმნათ, — არც ერთს  
აღარაფერი უჩინებათ და, რასაკირველია, ჭიჭირობენ, ერთმა-  
ნეთს ედავებიან, ერთი მეორეს ხელიდან გლეჯენ და აღარ ინ-  
დობენ...

ასე ბაასობდა გვერდევანიძე, შაგრამ მისი სიტყვები პლა-  
ტონის ერთ ყურში რომ შედიოდა, მეორე ყურში გადიოდა.  
მისი ყურადღება მხოლოდ იმან დაიპყრო, რაც მან ამ კაცი-  
საგან იმ ქვრივ, გაწვალებულ დედინაცვალზედ გაიგონა. ეს  
სწორედ ძვირფასი რამ გასაგონი გაიგონა მან.

— ქვედურეთში... ბრეგაძეებისა!.. უშვილო დედაკაციაო...  
არც პირველ ქმრის ხელში ჰყოლიო შვილიო, არც მეორეს ხელ-  
ში!.. რომელი ბრეგვაძეა ნეტავი?!

და ამ მოულოდნელად გასახარებელ ამბის გაგებით აფ-  
რენილ პლატონს ერთმა ისეთმა სურვილმა წამოუარა — უფრო  
დაწვრილებით გამოეკითხა ყოველივე გარემოება ნახსენები უშ-  
ვილო ქვრივის შესახებ, რომ კინალამ ის იყო კიდევაც წა-  
მოსცდა სიტყვა, მაგრამ დროზედ გონს მოვიდა, დროზედ მი-  
ხვდა ამის უადგილობას და ენა ჩაიკვნიტა. ამ კაცოან ისე ვაგ-  
ლახად ლაპარაკი საფთხილოდ მიაჩნდა — გვერდევანიძე ერთს  
უხერხულად დაცუნილ სიტყვაზედ გოუგებდა, მისი აზრით,  
რაც გუნებაში ედვა და ამიტომ პლატონი ამხანად დაკმაყო-  
ფილდა გაგონილით, ჩაიმარხა გულში მისი სიტყვა და ახლა  
მოძულებით მიაჩნდრიკებდა ენა გადმოგდებულ ცხენს, სმენად

გადაქცეული — ეგებ ამ დალოცვილ კაცს კიდევ დასცუდენოდა მისდა გამოსაღევი რამე სიტყვა.

— ასე კარგია ჭიჭიანი კაცის ორიოდე სიტყვა! — ხალი-სიანად ამბობდა გუნებაში ძუნულით მიმყოლი პლატონი. — ყოველთვის სასარგებლო რამეს გეიგონებ, მიხვთები!

გვერდევანიძე კი თავის სიტყვას განაგრძობდა!

— ასეთია, ჩემო ბიძია, ეს ჩეენი მდგომარეობა და რას იზამ? გაჭირვების ღრი შემოგვეუწიო და მეცადინეობა გვჭირია, ძალიან გაფთხილება გვინდა. ამ გაჭირვებასთან ი დალოცვილი ღმერთიც თავის მოწყალებას ჩვენზედ ძველებური წესით გვიცხადებს: ხალხს ამრავლებს, ყოველ ოჯახს შვილებით ავსებს... მადლიანს თითო-ოროლა შვილი დეკულო, ამათ მაგიერათ საჩჩი მიემატებია, ის არ აჯობებდა, შენი ჭირიმე? ა? — გაიცინა მან.

— მაინც, მაინც, ბატონო... ნამდეილი სიტყვა გახლავსთ, რასაც ბრძანებთ! — ამიობხრა პლატონმა. — მართალი ბრძანებაა!... თქვენისთანა კაცს რა უჭირს და ჩვენს ამბავს კაცი ნულარ კითხულობს, ბატონო, თვარა თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ!... ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და მიკვირს, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ, არაფრად ვაგდებთ ყორიფელს, არხეინად ვართ და იმას კი არ ვფიქრობთ, თუ რა მოგველის წინ?... რას გვიპირობს მამა ზეციერი!... თავს უნდა მივეძალოთ, გული უნდა შევიმაგროთ, თეარა სულ წავხდებით, ბატონო, სულ ერთიანად! — მჭევრმეტყველობამ გაიტაცა პლატონიც თავის ენა-წყლიან მოსაუბრეს ნაყურები.

ტკბილად მუსაიფობდნენ ჩვენი მგზავრები და ამ ლაპარაკში პლატონმა ღრიც დაივიწყა და გავლილი გზაც; კიდევ დიდის სიამოვნებით ივლიდა ამ კაცთან იგი, რომ სრულიად შეუმჩნეველი თავისი გადასახვევი გზა არ დაენახა მას. პლატონმა შეაჩერა ცხენი და თავდაბლად მიმართა გვერდევანიძეს:

— მშვიდობით ბძანდებოდეთ, ბატონო!

— ამ! აქეთ მიდის თქვენი გზა?

ს ა მ ა ს ი ს თ ვ ე ლ ი რ ს
პ ა რ ლ ა გ ე ნ ტ ი ს
ე რ მ ვ ე ს ლ ი ტ ი
გ ი გ ლ ი ტ ი მ ა კ ა

— კი ბატონი!... ნურას უკაცრავად... გიახლებოდით ერთ-ხანაზედ, რომ საჭირო საქმე არ მქონდეს, სწორედ!...

— რატომ, რატომ, შე კაცო!... ღმერთმა გაცოცხლოს, ამ ერთ-ხანაზედ ხმის გამცემი შენს მეტი მე დღეს არ შემხომია. აწი მეც მალე მივალ სახლში... შვიდობით!

— შვიდობით ბანანებოდეთ და მგზავრი თქვენ რავა არ შეგხვდებათ! ისე ფეხს რავა შოუკრაეს ადამიანს ღმერთი, რომ არავინ ნახოთ?—საამებლად გააყოლა გვერდევანიძეს სიტყვა პლატონმა და მერე თავის გზაზედ გადუხვია.

— ისე კაი კაცის შეხთომა!—გუნდებაში იმბობდა პლატონი.—ჰო, ქვედურეთში, ბრევაძეებისას... სამი ქმა არიან... გამოვიყითხავ და, თუ რიგიანი ვინმეა... გვერდევანიძის ნათე-სავია, მარა ეგებ ვინმე იხტრი გვარიშვილის იყვეს... ყორიფელს გვევიგებთ!... ეს ხომ სახეში მეყოლება, თუ დარიკოშ სხვასთან ვისმესთან არ მიმასწავლა!... გვევიგებ ამბავს და თუ ლეთის რისხვა არაა, კიდევაც გავათავებ საქმეს!... კი, კი, ასე ვიზამ, ასე ვიზამ!—ხმა-მაღლა წამოიძახა პლატონმა და ამ წამოძახებასთან—ალბად სხვა რამ იფიქრა პირუტყვა—ცხენც გაჩერდა. პლატონმა ერთი ორი აჩუც მიაძახა, ქუსლიც შემოარტყა ფერდის ძვლებზედ, წკეპელაც ვადუჭირა, მაგრამ ცხენი ისევ იმავ ადგილს იდგა, ფეხსაც არ იცვლიდა.

პლატონი იძულებული შეიქმნა ჩამომხტარიყო. დაინახა მქელივი, არაქათ-გამოლეული, ერთიანად გაოფლიანებული ცხენი, რომლის აბურძევნილი ბალანიც საცოდავ შეხედულობას აძლევდა მას და მხედარმა თავში ხელი შემოიკრა:

— ეს მუდრეგი რაღა მოსახმარი ექნება! სულ ერთიანად გადატყაული ექნება ამ უპატრონოს ზურგი... აჩუ!—მიაძახა მან გულმოსულად და თან ჯოხიც გადაპკრა.

შელავათ-მიცემული ცხენი მისუსტებული, აძიგძიგებული ნაბიჯით აპოლიტ ქვებიან ბრევზედ და რაც შეეძლო, რაც ღონე ჰქონდა შერჩენილი მიხანჩალებდა და ცდილობდა, უკან ჩამოეტოვებინა თავისი ზე მჯდომელი, რომ მტკიცანი ზურგი არ დაეშეუ მას. რამოდენიმე მანძილზე ქე აუსრულდა წადი-

ლი გასაჭირებელი ჩავარდნილ პირუტყვს, მაგრამ ბოლოს პლატონი მაინც დაწერა, გააჩერა და მარდად მოახტა ზურგზედ. ამ კაცმა თავისი თავმოყვარეობის დაცვა ამჯობინა მის შებრა-ლებას, და სიძის ჭიშკარამდინ ცხენოსანი მივიღა.

პლატონი ჩამოახტა ცხენიდან; გააღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა.

ეზოს ყურეში ყმაწვილი ქალი გულზე ახუტებული ბავ-შვით გლეხს თავზე ადგა, რომელიც ალბად ბოსტანს რაგვავდა. ქალი მობრუნდა, რაკი გლეხმა ანიშნა სტუმრის ეზოში ჩამო-სვლა, მოაჩერდა ამას და, რა იცნო თავისი ძმა პლატონი, უცბად ჩამოსვა მიწაზედ ბავშვი, გაისწორა თავსაფარი და ერთი ძახილით, სიხარულით აფრენილი გამოექანა ძმისკენ. ბავშვმა შექმნა ლრიალი, აბლავლდა მეორე უფროსი გოგოც იქვე მყოფი, მაგრამ დარიკოს მათი აღარაფერი ეყურებოდა.

— შენი ჭირიმე!... შენ დაგენაცილოს შენი და დარიკო!.. რა დღე გამითენდა ეს?... უიმე, უიმე!... — მოქაქანობდა დარი-კო და და-ძმა მხერვალედ გადაეხვინენ ერთმანეთს.

— მობძანდი, შენი ჭირიმე!... მობძანდი! — მიუძლოდა აფუსფუსებული დარიკო ძმას სახლისკენ. — მალაქია!.. მალაქია!.. ჩემო მალაქია, გადადეჭი მად და კირილეს მიაძახე... შენი ჭირი-მე... თავი დაანებე მაგას!..

გლეხმა მიატოვა სამუშაო, გაიქცა წინ და რაც ხმა ჰქონდა დაიწყო ყვირილი:

— კირილე... ბატონო კირილე!... კირილე, უ—უ!...

— რაზედ აბრუნებ, დარიკო ჩემო! წევიდეს!.. — უთხრა პლატონმა დას.

— ეს-ესაა ცხენზედ შეჯდა და რაღაცა საქმე მაქვსო და წევიდა... ვერ დავამაგრე სახლში... დაყანყალობს ასე ტყუილა-უბრალოდ!... რა მოვუხერხო, აღარ ვიცი!.. გამიჭირდა საქმე!..

ბავშვები კი ისევ ლრიალებდნენ ბოსტანთან; ერთი მიწაზე ფართხალობდა და გოჭივით ჟყვიროდა.

— გოგო, ნინოია!.. წადი, გოგო, ბოვშებს მიხედე... გააჩუმე; გასაწყვეტლები! — სახლში შეიძინა დარიკომ და რიკულებთან

გაყოლებულ საჯდომ ფიცარზედ მჯდარ პლატონთან თვითონ—  
ნაც ჩამოჯდა. მალაქია კი ისევ თავმოძულებით უყვიროდა  
კირილეს.

— რას შვებით, ძმაო, ხომ კარგათ ხართ? — წუწუნით  
იკითხა დარიკომ.

— მადლობელი ვარ!.. ვართ ისე, რავარც იცი! — მიუგო  
პლატონმა.

— ჩემი რძალი ხომ კარგათაა, შენი ჭირიმე?... ბავშვები?..

— არიან ღვთის მადლით!...

— მამა?... ვაი მისი გაძალლებული სიცოცხლე! — ამო-  
იხვნეშა დარიკომ.— რა ვქნა, ძმაო, ვეღარ მივხედე მე უბე-  
დურმა ამ გაჭირების, გამწარების ხანს!.. რა ვქნა? მარტოდ  
ვწრიალობ ამ ოჯახში, ერთი საათი ვერ მიმიტოვებია... ვისზედ  
დავტოვო, შენი ჭირიმე?... და ამასობაში ვეღარც მე გნახეთ  
და თქვენგანაც დავიწყებული შევიქნი, ძმაო!... წუხს კიდევ  
უბედური?... ან კი რა გაახარებს მის გულს, დედი-ჩემის დამ-  
კარგველს!.. ხომ არ ავადმყოფობს მაინც, შენ დაგენაცელე?

— ავადმყოფობას რა უნდა მასთან?.. ავადაა კი არა?...  
ვე!... — გაიფრუტუნა პლატონმა.

— ჩემი მომღურავი კი იქნება და ქცე არა! სიმართალე!  
— ისევ ამოიხვნეშა დარიკომ.

— ტყვილა წუხხარ მაგას, ჩემო დარიკო!... ჩვენ აღარავის  
ვახსოვართ, ჩემო დაო!

დარიკომ გაკვირვებული სახის გამომეტყველებით გადახდა  
ძმას. ამის სიტყვა მეტად ეცნაურა და ვერ მიუხვდა, რას ნიშ-  
ნავდა იგი.

— მამა-შენი რომ მწუხარეა — ისე ყოველი ჩემი კეთილი  
შეაწუხოს ღმერთმა!... რას ამბობ!... მწუხარეა კი არა — საქორ-  
წილოდ ემზადება ის კაცი! — გაიცინა პლატონმა.

— რა ხუმრობა იცი, პლატონ!? — იწყინა დარიკომ.

— შენ არ მომიკვდე, არ გეხუმრებოდე!...

დარიკო გაშტერდა.

— იმას აღარც დედა შენი ახსოვს, აღარც მკვდარი და  
აღარც ცოცხალი ვინმე!...

— პლატონ, პლატონ! ძმაო!...

— ავერ ნახავ!... საქმე გადაწყვეტილია!

— რა არი ახლა, პლატონ?!... გადავირევი ეს არი!....

ტყვილა...

ძლივს სიტყვას ამბობდა შეწუხებული ქალი, რომელსაც ხუმრობა ეგონა ისევ ძმის ნათქეამი.

— ცოლ-შვილს გეფიცები!... ქალს თხოულობს!.. რა მე-ხუმრება, კაცი გულზედ ვსკდები!

— უიმე, უიმე!—იყვირა დარიკომ და გამწარებული ლოყა-ზედ ხელს ირტყამდა.—უიმე... უი-მე!.. ეს რა გეგონა ჩემმა ყურებმა!...

— რა გაეწყობა?—ამოიხენეშა პლატონმაც.

— ასე მალე დასავიწყებელი ქალი იყო საწყალი დედა-ჩემი?... ღმერთო მომკალი... ღმერთო მორკალი! რატომ მიაწია მაგ უბედურმა ამ დღემდინ, მაგისთანა საქებს რომ შეება?!... ვინ უნდა შემოათრიოს დედი-ჩემის მაგიერი მაგ ჭკუა დაკარგულმა? ეინ?—მოთქმით ამბობდა დარიკო.

უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია და პასუხი არ მიუცია მასზედ, იმიტომ რომ ეზოში შემოჯირითდა თავისი ლამაზი წაბლის ფერ ცხენით კირილე, და ერთი ყიუ-ნით მიმართა ცოლი-ძმას.

— პლატონს, პლატონს ვახლავარო!.. პლატონს ვახლავარო! დარიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს!.. ასე უნდა, შე პატიოსანო კაცო, მოყვრის მივიწყება!... ეი, შენ კი რა გითხრა!.. შემოსაშეები ხარ სახლში!?!.. ძალიანაც შემცორა ეგ შენი დაია, თვარა მე რომ ვყოფილიყავი არასურის გული-სათეის არ შემოგიშვებდი, ფეხსაც არ შემოგადგმევიებდი! ხა, ხა, ხა!... და მაღალ ტანის, კოხტად ჩაცმული, შნოიანი ახალ-გაზრდა კაცი გრძნობით მიეგება თავის ცოლი-ძმას.

— რავა შვიდობით, პლატონ ჩემო?

— მადლობელი ვახლავარო... ვართ ისე!

— ჩემი სიმაური როგორ არი... ჩემი ძვირფასი ბეკინა? ხომ ყოჩალათაა კიდევ?...



— სხვაგან რომ დაყიდობ, იქაც მივიღოდი, ვნახავდი და საკითხავად აღარ გექნებოდა! — უთხრა მოწყენილად მჯდარმა დარიკომ ქმარს.

— მივსულიყავი!.... სადაც მგლოვიარობაა, იქ რა მიმიყვანს! მაინც რომ აღარაფერი გეშველათ, თქვე დალოცვილებო?! — მიუბრუნდა კირილე ცოლი-ძმას. — გავიგონია ამდენს ხანს?

— შენ არ იცი თუ არა კაი ხანია გათავებული გვაქვს, — მიუგო ღიმილით პლატონმა.

— ქვიფის შეტი რომ არაუერი გაგონდება, ნეტავი შენ, შე უბედურო! — წაულაპარაკა დარიკომ.

— ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! — წამოიძახა კირილემ და წამოიჭიმა ფეხზედ ამდგარი. — მიმინოს შვილები... მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენს თავს არავის არ დავა-ტყვევებიებთ... გვარობით ვართ ასე!... სადაც სიამეა, იქ ჩვენც ვართ და სადაც მოლხენა! ასე მოგვსდევს გვაროვნობით!.. აბა შენი ჭირიშე, ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევიესო, მოლხენა დავაკულო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა?! შენც არ მომიკვდე... მაგაზედ მეტი სისულელე იქნება?! კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და და სხვასაც იამება შენი შეხედვა! აბა ასე უნდა შენ რომ ხარ? ძმა მოგივიდა და ასე მოწყენილი ხარ! არა გრუხვენია! — და კირილემ გულიანად გადიხარხარა. — მართლა, რა ნეირათ ხარ, დარიკო ჩემო... შე ქალო, ძმის მოსვლა გეწყინა თუ?

— რა ცუდი ამბავი მოვუტანე მერე? — ღიმილით თქვა პლატონმა და დარიკოს გადახედა.

— ჰო!

— ქორწილში პატიჟობენ.

— არიქა მიშველე, პლატონ! ვინ, ვინ თუ ღმერთი გწამს?

— მამა მაგისი!

— ა?... მამა მაგისი?

— ჰო, ქალს თხოულობს შენი სიმაური!... და შენ იცი კირილე, რავა მოულხენ!

— ხუმრობ თუ მართალს ამბობ, პლატონ? — გაკვირვებით შეეკითხა კირილე.

— შენ ნუ მომიკვდები, მართალს ვამბობ.

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა კირილემ. — ხა, ხა, ხა!... აი და ბეკინა... აი და შენი ჭირიმე!... შენ გერაცვალე შენს ლამაზ წვერებში!.... ხა, ხა, ხა! შერცხვენილი ვაქნე, თუ სანა-ქებოთ არ მოვულებინო... შერცხვენილი ვიყვე!... იმისთვის მაყრუ-ლით მიყვები, რომ იქოურობას გაფაყრუებ, ტყე და ველს შე-ვძრავ!... როდისათვის აპირობა, ა, როდისათვის?

— ჯერ შე კაცო ქალია მოსანახი!

— ქალის მეტი რაა დედა-მიწაზედ!... რაღას აგვიანებთ?... მაშეალი ვინა გყავთ?

— მე ვარ! — მიუგო პლატონმა.

კირილე ერთი შეჩერდა და მერე გადიხარხარა თავისი რი-ხიანი სიცილით.

— შენ ხარ მაშეალი?... თუ ძმა ხარ? ხა, ხა, ხა!

— მე ვარ, მე ჩემო ძმაო! რას იზამ?! კაცი სიკვდილამდინ ყორიფელს უნდა მოელოდეს, თუ სიქაჩილესო... ინდაზებიც კი დამავიწყდა ამ უცნაურობაში!..

— შენ რავა მაშველობ მერე? შენს საწინააღმდეგო საქმე-ში უწყობ ხელს?

— აბა რა უნდა ქნა, მეტი გზა რომ არ გექნება, ჩემო საყვარელო ძმაო!? ბევრი ვეხვეწერ, ბევრი ვეწინააღმდეგე, მარა არაფერი გამეწყო, ვერაფერი შევასმინე! კარგი შვილი ხარო და ღმერთი არ ჩაგვადებს გასაჭირშიო, ყოველ უბედურებას აგაშორებსო, დოუჯინია და ვინ იცის მის სიტყვაზედ იქნება თუ არა, ასე მოწყალებით გაღმომხედოს ღმერთმა — ეგებ და-ჯილდოების მაგიერა დ ქეც მიწყრებოდეს, რაზედ ინახავ მაგის-თანა გამსუნავებულ კაცსაო — და მის გაგებამდინ ვითომ მე დავაპირე ჩემის მეცადინეობით აფიცალო თავიდან მოახლოვე-ბული უბედურება!... ისე თვალები უბრმავდებათ მაგ უხეიროებს, რომ არ უნდათ შეხედონ, რომ ერთი ქალის მონაშენს არ ყოფ-ნის ოჯახის ქონება — ორი ქალისას რა უნდა უყოს?...



პლატონი მასხრული კილოთი დაწვრილებით მოუყვა ცალკე  
ქმარს თავის მდგომარეობის ამბავს და რამ გაანძრახვია თავის  
დედინაცვლის მოყვანაში მამას მაშვლად დასდგომოდა.

დარიჯო ხმა-გაქმენდილი იჯდა, კბილებ-შეკრული მწუ-  
ხარებისაგან; კირილე კი ერთობ გამხიარულდა, მისი სიცილით  
იქაურობა იყო აკლებული.

— ეგ ყორიფელი ძალიან მოგისაზრებია... მარა რომ ეყო-  
ლოს, კაცო, შვილი... ხა, ხა, ხა!... შვილი რომ ეყოლოს?  
სეირი არ იქნება!? რას იზამ მაშინ, პლატონო?! ხა, ხა, ხა!...  
ხრიალობდა კირილე.

— რავა ეყოლება... ორ კაცთან ქალი უშვილო იყოს, ე  
მამა-ჩემი რაღა განსხვავებულ კაცად უნდა იღმოჩნდეს! ? ...

— კი მარა... ეს მითხარი, ვთქვათ, ეყოლა ახლა! რას იზამ  
მაშინ, ა? — არ ეშვებოდა კირილე.

— რა ვიცი, რას ეიზამ... ახლა რავა გითხრა... რა ვიცი  
მაშინ, რომ გავმწარდები, რას მეტყვის გუნება...

— მაინც, მაინც.

— რა. არი ახლა, ასეთი სულელური ჩაცივება?! — შეუტია  
კირილეს დარიკომ.

— რაც მერე იქნება, ის ღმერთმა იცის! — დაუბრუნდა  
გაწყვეტილ სიტყვას პლატონი. — რაც შემდეგ იქნება, ის ღმერ-  
თმა იცის და ახლა უნდა გამოგიტყდეთ, იმისათვის მოვედი  
თქვენთან, რომ შემწეობა მომცეთ ამ ჩემს გაჭირების დღეს! ...

— ღმერთი კი რამეს შემაძლებიებდეს და შენ, ძმაო! ... —  
წუწუნით სთქვა დარიკომ.

— კი ბატონო, თუ კი რამეში გამოგადგები!? — დაატანა  
კირილემაც.

— ჩემს კუთხეში არაეინაა იმისთან დაწყევლილი სულიერი,  
მე რომ მჭირდება და ეგებ აქ თქვენსკენ იყვეს ვინმე? ...

— ვინ უნდა იყვეს? ... — ჩაუფიქრდა დარიკო.

— შენ ათას ადგილას მიდი-მოდიხარ, კირილე... ეგებ  
იცოდე საღმე? ...

— ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა კირილემ. — დედაბრების ამზე-  
ბის გასაგებათ დავდიდარ მერე?!... ქალებს რას დევეძებ, მე  
ქეოფისათვის დავდივარ, შე კაცო, თვარა უშვილო დედაბრები  
ღმერთსაც მოძულებული ყავს მე, რას დევეძებ მათ!...

— ვერავინ გეიხსენე, დარიკო? — მიუვრუნდა დას პლატონი.

— ვერა ძმაო!... ვერა!.. აქ არც კი უნდა იყვეს მაგისთანა  
ვინმე!...

— აბა სხვაგან საძებრად გამხდომია საქმე! — სთქვა პლა-  
ტონშა.

— როგორც კაცი — მეც შენთან ვარ მძებნელი! — წამოი-  
ძახა კირილემ. — ძმობას გეფიცები!... არასფრის გულისათვის  
არ დაგშორდები... ეძებნოთ, პლატონო, ვძებნოთ! ხა, ხა, ხა!  
ჩემს დღეში ამნაირი უცხო საქმეზედ არ მივლია და აქედან  
ვიცი, რომ ბევრი გასართობი ამბები მოგველის!.. რამდენ დედა-  
ბერს სანატრელად გაუხდით უშვილოდ ყოფნა!... ხა, ხა, ხა!  
ერთი ჩხები და ცილობა უნდა ოვუტეხოთ უსათუოდ!... არ  
შეიძლება უამისობა!...

— რა სისულელეა ახლა მაგ?!... ეგებ შენი წაყოლა სუ-  
ლაც არავის უნდოდეს!... ძალაზედ ხარ თუ? — მიმართა დარიკომ.

— ძალაზედ ვარ!.. თუ მაგისი მამა ბეკინა — მეც მამათ  
მერგება... სიმაურია ის კაცი!.. რატომ არ გევისარჯო მისთეის?

— არავინ არ გთხოვს!

— აბა რაზედაა ეს კაცი მოსული!.. თვითონ არ თქვა,  
შემეწიეთო! ეგ გადაწყვეტილი საქმეა, რომ მე პლატონთან  
წამსულელი ვარ საღედინაცვალოს საძებარში!.. ხა, ხა, ხა! ეს  
გათავებული საქმეა, ჩემო დარეჯან, ამაზედ ნულარ შეწუხოდები...  
ნუ გეწყინება და უმჯობესია ვახშამზე დაგვიტრიალდე, შენ  
ნუ მომიკვდები!.. კი ჩემო დარეჯან... შენებურად, ისე გულ-  
უხვად!

— მაგ არაფერი შენი სასწავლებელი საქმეა... შენ შენს  
საქციელს აზრი დაატანო, ის გირჩევნია!.. — წყენით მიუგო  
დარიკომ და ზეზე წამოდგა.

— ე, ქარგ გამიგულისდა!? — მიაძახა კირილემ, — ქარგ გამიგულისდა?!... კაი, მამა შენი ნუ მოგიკვდება, კაი, თუ გიყვარდე!.. წაყოლის ვერ გადავთქვემ და სხვა რამე თუ უხეირო სიტყვა მითქვამს, ბოლიში მომითხოვია, შე ქალო... მეტი რა ვქნა. ბოლიში მომითხოვია! წაყოლით კი, რომ მომქლა, მაინც უნდა წავყვე, რომ... არ ვიცი, არ ვიცი, რა არ მიქნა!.. შენ რას იტყვი, პლატონ?

— შენი ნება! — მიუგო მან, თუმცა გუნებაში ძალიან სწყინდა კირილეს დაჯინება.

მან კარგად იცოდა კირილეს ხასიათი და მასთან მგზავრობა, მერე ამნაირ საქმეზედ მეტად საფრთხილო იყო. რასაკვირველია, იგი სასეირნოდ მიღიოდა, როგორც თვითონ სთქვა, და ამასთან ცველვან ტყევილა-უბრალოდ მუდამ ჩხუბის ამტეხი კირილე სწორედ ხელშემშლელად თუ წაჰყვებოდა, თორემ საქმეში შეიწვევად არა. პლატონს არ ეგონა, თუ ასე აიგინებდა მასთან მგზავრობას მისი სიძე, თორემ ასე არ დაიწყებდა მასთან ლაპარაკს.

— შენი ნება! — უთხრა პლატონმა. — მარა ეგებ ბერი სიარულიც არ დაგვჭირდეს... აგრე გზაში, ივანე ვავერდევანიძე რომაა, იმას შევხთი და ისე ლაპარაკში მოჰყვა თვითონ — ქვედურეთშიო ბრეგაძეებისას ყოფილა ერთი დელა-კაცი, იმისთანა, მე რომ ვეძებ, სამი ძმა ყოფილან ის ბრეგაძეები... ხომ არაფერი გაგიგონია, დარიკო, იმის შესახებ... ეგებ იცნობდეთ კიდევ, ა?..

— ბრეგაძეები... ქვედურეთში?.. არა, ძმაო, არა!

— ძალიან აქო... ისე სიტყვას მოჰყვა!..

— მივიდეთ, მერე; ვნახოთ და!.. — წამოიძახა კირილემ.

— ასე ხამათ რაგა მივიდე... ჯერ ამბავი უნდა გეეგო... ეგებ უშვილო იყოს, მარა კაცს გავდეს, რა ოხრად მინდა მაშინ! — სთქვა პლატონმა

— ეკკლესიაზედ მივიდეთ, კვირა დღეს! ვიკითხოთ, შევხედოთ...

— არა, არა მაგრე არ შეიძლება!..

— რადგანაც მასეა, ჩემო ძმაო, შენ მიმიდა — მაგისას ჭიჭა... უთხარი სალომეს და ის გეტყვის მაგაზედ სწორ ამბავს!... ქვეღურეთი მათხედ შორს არ არის და უსათუოდ ეცოლინება მისი ამბავი, შენ რომ ქალს ამბობ! — უთხრა პლატონს დარიკომ. — თუ არა და თვითონ ეგებ მას ეგულებოდეს სხვა ვინმე მაგისთანა!

— ბრავო, ბრავო! — შეჰყვირა კირილემ. — ბრავო, დარიკო!

აი და ყოჩაღ ქალო! ეგ ნამდვილი რჩევაა, შენ ნუ მომიკვდები!

— მართლადიც ასე ვიზამ! — დათანხმდა პლატონი.

— აბა მივდივართ ხვალვე მამიდა-ჩემთან! — წამოიძახა კირილემ, — ხვალ არა, პლატონ?

— ხვალვე უნდა წავიდეთ!

— შენ არსად წამსვლელი არა ხარ! — შეუტია ცოლმა კირილეს.

— თუ გიყვარდე, მაგაზედ ნულარაფერს მეუბნები! ჩემი საქმე მე უკვევ ვიცი!.. შენ შენს საქმეს მოუარე!

დარიკომ რაღაცა წაილაპარაკა გულმოსულად და ვახშმის განკარგულების მისაცემად წავიდა.

— და თუ გინდა, პლატონ — დაიწყო კირილემ სიცილით — აგერ ახლოს ერთი კაი აზნოუშვილი მოკვდა და ზეგ ასვენებენ... ხომ იცი სატირალში რამდენი ქვრივი დედა-კაცია მიმსელელი... მივიდეთ; დავდები ისეთ აღილას, რომ ერთი შენიერებული დედა-კაცი ვერ გამომეპარება შეუმჩნეველი... უველას ამბავს ვიკითხავ... ეგებ იქაც ვნახოთ შენი ორნაქმარები უშვილო... ეგ უფრო ადვილიც იქნება და საჩქარიოც!.. ა, რას იტყვი შენ?

— შე კაცო, ასე გამოსაქვეყნებლად კი არ მინდა ეგ საქმე სისრულეში მოვიყვანო! — დიმილით მიუკო პლატონმა.

— აბა, მამიდა-ჩემ სალომესთან გაესწიოთ, რაეარც დარიკომ გვირჩია!.. ძალიან კარგი! ეს საქმე ასე გვაქვს დაწყობილი ხომ და ახლა მე წავალ და ბიჭს მოვავლებიებ შენი ცხენისათვის!.. შენ კი ცოტა მოისვენე, ნამგზავრიც ხარ და მერე ვახშაზედ ცოტა შემაგრება დაგვჭირდება, რომ მაგრათ

საქმეს შევუდგეთ ხვალ! ხა, ხა, ხა! — გადიხარხარა კირილემ, შეიყვანა ოთახში პლატონი და თვითონ კი დაბლა ეზოში ჩაეიდა.

— ჰეი, ჰეი, ნეტავი შენისთანა ხასიათის მექონე კაც! — უნებურად წამოიძახა ოთახში მარტოდ დარჩენილმა პლატონმა, — ყორიფელი ჩალად უღირს!.. თავის ქეიფს მისდევს!.. ან კი რა უჭირს, ჯერ კიდევ ქე ეყოფა მამის დანატოვარი... ჩვენისთანამ იკითხოს თუ არა!.. ჰეეე!.. — ამოიოხრა პლატონმა. — შეიხსნა ქამარი, გაიხსნა ჩოხა და მიწვა იქვე კედელთან მდგარ ტახტზედ.

შებინდებული იყო, პლატონი რომ კირილემ გამოაღვიძა.

— ადე, ადე, პლატონ! შენ ნუ მომიკვდები, იმისთანა ვახ-შამს გვიშადებს დარიკო, რომ შენი მოწონებული!.. მართლა, კაცო, რამ შეგაჯინა იმისთანა ბედაურზედ, შენ რომ მოგიყვანია?

— ჰო! — მიაჩერდა პლატონი სიძეს.

— იმან, შენ არ მომიკვდე, ჭიშკრამდინაც ვეღარ მიგიყვანოს შენ, ისეა!.. — გადიხარხარა კირილემ.

— ზურგი ექმნება გაფუჭებული! — უნებურად წაილაპარაკა პლატონმა.

— აქ და არა! სულ ერთიანად აქვს გადაშვლებილი!

— იმ ამოსაგდებმა იმ გვერდევანიძემ დამმართა მაგი ამ-ბავი! ამოაგდო მისი ოჯახი ჩემმა გამჩენმა — მაინც ამოსაგდებია, რაც ის ბოროტებას სთესავს!.. რა მეშველება ახლა? — შეწუხებით წარმოსთქვა პლატონმა, — ქე არ ევიტეხე ჭირი?..

— არაფერია, არაფერი! — ხალისიანად შესძახა კირილემ — მაგრათ იყავი!.. ცხენს ვერ გიშოვი?

— ამას რაღა ვუყო?

— მაგ დავტოვოთ... ეგერ მეზობელი ყაზახი მყავს, წამალი იცის იმისთანა, რომ სამ დღეში მოურჩენს ზურგს... ჩვენ წევიდეთ და რომ დავბრუნდებით, ცხენს გამოკეთებულს დაგვახვედრებს დარიკო! არაფერი!.. აბა წევიდეთ და ერთი ორიოდე სადღეგრძელო დავლითოთ შებრაწულ გოჭზედ... ღმერთსაც შემწეობა ვთხოვოთ და ასე გავატაროთ ეს დრო!.. სამწუხა-

რო ჯოჯოხეთშიაც არ მოგვაკლდება, აქ მაინც მოლხენით ვი-  
ყვეთ, შე კაცო!..

კოტა ხნის შემდეგ სამივე ვახშის სუფრას მიუსხდნენ და  
გამხიარულებული კირილე ათასნაირ სადლეგრძელოებს იგო-  
ნებდა და ჩაცივებით აძალებდა ცოლის-ძმას ღვინოს.

— ნუ აწუხებ, კირილე!—ეუბნებოდა დარიკო მას, მაგ-  
რამ კირილე თავისას მაინც არ იშლიდა.

— აბა რათ მინდა ოჯახი, თუ ჩემთან მოსრული კაცი, მე-  
რე კიდევ რა კაცი, ცოლი-ძმა, ქორწილში რომ მჰატველბს,  
თუ არ დავათვრე, დავალევიყ რჯულზედ... რომ ასე არ ვუქ-  
ნა, რომ მიეალ მასთან, აღარც მე დამალევინებს და წყალნას-  
ვამს გამომისტუმრებს... რაზედ ვჭნა ეგა!?. ხა, ხა, ხა! სულე-  
ლი ვარ?!.. თუ გიყეარდე, ერთბაშად გამოცალე ეგ ყანწი... სა-  
დედინაცვლოს სადლეგრძელოა!.. ემაგრე... მაგრე!.. შენი კი-  
რიმე, ბეჭ კაპლი, ბეჭ, ბეჭ!—ხრიალობდა კირილე კიდევ დიდ  
ხანს.

მეორე დღეს საძე ცოლი-ძმა თავის გზას გაუდგნენ მხია-  
რულ გუნებაზედ მყოფნი. კირილე მაინც მეტად ხალისიანად  
იყო, რადგანაც ბევრ რამე გისართობს გამოელოდა ამ მოგ-  
ზაურობიდან: მისი წარმოდგენით, ერთი დავიდარაბა უნდა ატე-  
ხილიყო უშვილო დედინაცვალ მყოლთ ოჯახებ შორის; გაფ-  
თხილების საჭიროებაზედ ამბობდა, რომ ვინმეს არ შემოეტ-  
ყუებინა მათთვის შვილებ-ამოწყვეტილი დედაბერი შვილის-  
უყოლის მაგივრად. ყოველმა ამან, კირილეს ცოცხალი ენით ნათ-  
ქვამთა, ბევრი აცინა პლატონიც და ბოლოს ესეც აიყოლია  
მასხრობაში.

ასე სიცილით და ხალისიანად მიემგზავრებოდნენ ორივე.

— აუიჭ!—შეჭსძახა უეცრად კირილემ ხელის შებლზედ  
შემორტყმით და შეიჩერა ცხენი.

— რა იყო?—მიაკითხა პლატონმა შეშინებით,—რა იყო,  
კირილე?

— არაფერი, არაფერი! გავშიოთ ჩვენთვის!..

— რაღაც გაგახსენდა შენ... ვაი თუ რამე საჭირო საქმე გქონდეს!?

— არაფერია, კაცო, არაფერია! წამო... დაპუარი მაგ ცხენს!

— თუ საიდუმლო რამაა, მითხარი, თუ ძმა ხარ!.. შენ არ მომიკვდე, მე შენ არ დაგაბრალო!

პლატონს იმედი მიეცა, ეგებ რამე გზით განთავისუფლებულიყო თავის თანამგზავრისაგან და ამით ჩუმად და დაუბრკოლებლად ეკეთებია თავისი საქმე.

— შენ არ მომიკვდე, ჩემი გულისათვის მე შენ არ შეგიშალო ხელი! — არ ეშვებოდა იგი კირილეს.

— კაცო, რა უნდა იყოს, მივალ არ მივალ, შაფათაძის ქორწილს ამით არც შეემატება რამე არცარა დაკლდება!.. წამო, კაცო, წამო!

— ქორწილში ხარ დაპატიჟებული?

— წამო, კაცო!.. შაფათაძის ქორწილი რა სახსენებელია... ისე წამომცთა, ქე რომ გამახსენდა!..

— როდის აქეს?

— ამაღამ.

— თუ ძმა ხარ, ჩემი გულისათვის შენ იმ კაცს ნუ მოიმდურებ... დაპატიჟებული ყავხარ და არ მიხვიდე?!. რატომ უნდა იწყენიო!.. გზას მამიდა-შენამდი მეც კარგად გევიგნებ... პირველად ხომ არ მიედიგარ მათკენ?.. თუ ძმა ხარ, კირილე, ნუ კარგავ...

— გითხარი, რომ არაფრის გულისათვის არ დაგშორდები-თქვა და გათავებულია, შენთან უნდა ვიარო... ქორწილებს რაღას დევეძებ?!

— აბა მე უკან ებრუნდები და ხვალ წავალ სალომესთან!

— სთქვა პლატონმა და ცხენი მოაბრუნა.

— შენც არ მომიკვდე... დარიკო არ მომიკვდეს!.. სახლში რავა გაგაბრუნებ? — გამოეკიდა კირილე და ჩოხის კალთაში წავლო ხელი.

— რაზედ შეები ამ საქმეს, კირილე? წავალ და შენ სახლში დავიცთი... ჩემი საქმე ისეთია, გინდ დღეს მივსულვართ სა-

ღომესთან, გინდ ხვალ!.. სულ ერთია!—მე შენ გეტყვი, არავინ მიგვასწროს და წერიანოს, ჩვენ რომ ქალს ვეძებთ?!

— რა იცი... ეგებ შენსავით სხვებიც ქე დაწრიალობდნენ მაგვარი საქმის გულისათვის?—სიცილით სთქვა კირილემ.— ხა, ხა, ხა!.. წამოდი, კაცო!

— სწორედ აღარ მოედივარ!—გადაწყვეტით სთქვა პლატონმა.

— ბიჭოს!... გინდა, რომ დარიკომ სახლში აღარ შემიშვის... შენ რომ მიბრუნებული დაგინახოს, რა დღეს დამითენებს ის ქალი, ამას არ კითხულობდები?

— არაფერს არ ვათქმევინებ!

— შენ რავა დაგისწრებს ჩემს აწიოკებაზედ!?

— აბა ვიყოთ ასე გაჩერებული ამ შარაში და ის იქნება!

— ცოტა არ იყო უკანასკნელობით წარმოსთქვა პლატონმა და ცხენს აღვირი მიუშვა.

კირილე გაჩერება. მან არ იცოდა, რალა ექნა და ჩაფიქრებულივით იყო მცირე ხანს. ამ კაცის უკან გაბრუნებისათვის მართლა-და შიში ჰქონდა დარიკოსაგან, გულით ქორწილშიაც უნდოდა წასვლა. რა ექნა, აღარ იცოდა; ამისგამო იგი გარდამეტებულ გასაჭირში ჰგრძნობდა თავის თავს; მაგრამ ამნაირი მდგომარეობა გაგრძელდა მხოლოდ რამოდენიმე წუთს; კირილეს გამჭრიახმა გონებამ უცბად იპოვა საშველი გზა.

— პლატონ, რადგანაც ასეა ჩვენი საქმე, რომ შენ მამიდა-ჩემთან აღარ მიდიხარ და ვერც მე გაგიშვებ უკან სახლში, ერთს რამეს გეტყვი და, თუ ძმა წარ, უარს ნუ მეტყვი!...

— ჰო!

— არც ერთს გული აღარ დაგვწყდება...

— თქვი, კაცო!

— მოდი ორივე ამაღამ შაფათაძისას მივიღეთ!

— შაფათაძისას!—გაიკირა პლატონმა.

— ჰო! და ამაღამ იქ ვიქნებით—ხვალ ქე წავალთ სალო-მესთან!

— რას ამბობ, კირილე!... გადირია ჩემი მტერი!... კაცი  
არ ვიცნობ, არ მიცნობს... ქორწილში მივიდე უცნობი კაცი!?...

— რა გიჭირს?...

— ტყვილი არა ახლა მაგ! — და პლატონმა ისევ მიაბრუნა  
ცხენი და წკეპელა დაჰკრა, მაგრამ კირილემ უცბად უტაცა  
ხელი აღვირის თავებში და გააჩერა ცხენი. — ბატონო, წადი შენ!

— პლატონ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს!... თუ ჩემი ძმობის  
რამე გწამს, ახლა გვიგებ ამას!.. გაფიცებ შენს ცოლ-შვილს,  
შაფათაძისას წამოხვიდე!

— გასაკვირვებელი საქმეა, შენ ნუ მომიკვდები?... რას  
იტყვის ის კაცი, რომ დამინახავს? — გაჯავრებით წარმოსოქვა  
პლატონმა. — რას იფიქრებს, ჰმ?!

— იტყვის, რომ კაი კაცი ყოფილაო! — სიცილით დაატანა  
კირილემ. — რას იტყვის! ? შაფათაძის წვევას მივიღებ, მივალ:  
თან კარგ, პატიოსან აზნაურებილს, მასზედ გამოჩენილს, მრვუ-  
ყვან და იმას მიწყენს?!... რავა გეკადრება!.. ეწყინება კი არა,  
თავს შემოგევლება! შე კაცო, შენთან რომ მოვიდე და უცხო  
კაცი მომყვეს, საწყენად დაგირჩება?.. ა, მითხარი, თუ ძმა ხარ?..  
კარში გამომაგდებ? ა?

— იმე!

— ჰო და ეგ არის!... მერე მე მასპინძელს ვეტყვი, მიზეზს  
გავაგებინებ — საქმე გვაქვს უსათუოდ ხვალ ადრიანიდ წამივალი  
ვართ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზედა-თქვა და ასე ისე...  
ერთი სიტყვით, ჩემებურად... შენი პატიოსისუმაც მინდოდა-თქვა  
და დაშორება არ შემეძლო და ამისანები!.. ნახავ აგრე, რავა  
მაღლობელი დაგირჩეს!... რა განაღვლებს, კაცო, მასპინძლის  
შეტს ხომ არავის ეცოდინება დაპატიუებული ხარ თუ არა და  
მასპინძელთან მე ვიცი!...

საშველი არ მისცა ამნაირი შეჯერებით კირილემ, სანამ  
პლატონი იძულებული არ გახდა თანახმა გახდომოდა შაფა-  
თაძისას წასვლაზედ. სურვილ-ასრულებული კირილე ძალიან  
ქეიფს და დროს-გატარებას ჰპირდებოდა ქორწილში, სადაც,

გისი სიტყვით, დიდხალ საზოგადოებას თავი ექნებოდა მოყრილი თავმომწონე მასპინძლისაგან.

— ტანისმოსიც რომ არ მაცეია... ასე რავა იკარგებს? — თავის გაქნევით სთქვა პლატონმა, რომელსაც ძალიან უძნელდებოდა უცნობ კაცისას ამნაირ დროს მისვლა. — აღარ ვიცი, ღმერთმანი... ვინ რას არ იტყვის!...

— ერთი შენც კიდევ! — მიაძახა კირილემ. — მე რა, შენზედ უკვეთ მაცეია თუ.. ნეტავი ნახევარი იქ მყოფი ჩვენსავით იქნებოდნენ გამოწყობილი და მეტი აღარ უნდათ!.. რას ამბობ!

აწი ყოველივე ამნაირი ლაპარაკი სრულიად ამაო იყო, რადგანაც გზა შაფათაძისკენ ეჭირათ. მგზავრებს ნელა-ნელა მიჰყავდათ ცხენები, რომ მაინც და მაინც აღრე არ მისულიყვნენ, სხვა სტუმრისათვის არ მიესწროთ.

საღამოვდებოდა, როცა შაფათაძის ეზოში ჩავიდნენ. აქ უკვე ბლომად მოეყარათ თავი დაპატიუებულთ. ბალკონზედ ქალები დამსხდარიყვნენ. მოსამსახურები იქით-აქეთ დარბოდნენ წეს-რიგის გამგებელთა ძახილზედ.

ეზოში სტუმრები მიღი-მოღიოდნენ, ისმოდა მხიარული სიცილი, ხითხითი. ლობეს დაყოლება ცხენები იყენენ მიბმულნი სარებზედ. კირილებაც და პლატონმაც აქვე მიაბეს მათი ცხენები. კირილე იმ წამსვე ნაცნობებში გაერია, იქით-აქეთ გავარდა-გამოვარდა, ყველას დაენახვა, ყველა ნახა; მერე წავიდა, მოძებნა ხანში შესული მასპინძელი, მიულოცა ქალი-შვილის გაბეღნიერება და იქვე მოუყვა პლატონის შესახებაც. მოხუცებული ძალიან კმაყოფილი დარჩა, მადლობაც უხხრა პლატონს კადრებისათვის და სხვოვა, რომ მოღენით დაემშვენებია მისთვის ბეღნიერი დღე. ამნაირმა მიღებამ უხერხულობიდან გამოიყვანა პლატონი. ცოტა ხნის შემდეგ იგიც შეუერთდა საზოგადო აფუცუცებულობას, იგიც თავისუფლად ჰერძნობდა თავის თავს და მზად იყო მოსალხენად.

შორიდან მოისმა ზურნის ხმა. ხალხი შეინძრა. ზურნის ხმა თან და თან ახლოვდებოდა, გახშირდა ნასროლი დამბაჩებისა და რეეოლვერების ხმა. ბალკონი სულ ერთიანად მოითი=

ნა ქალებით; მთელ მიდამოს რაღაც სიცოცხლე, მოძრაობა შეეტყო. ზურნის ხმა თან და თან უფრო მყაფიოდ მოდიოდა; ისმოდა მომყოლთა ძახილი „ჰაი, ჰაი!“ და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩიტივით შემოფრინდა იარაღში ჩამჯდარი, თავზედ უკან მოქცეული კოხტური ქუდით, ყმაწვილი, რომელმაც და-ძახებასთან უშეფერ მოდის... მახარობელი ვარ“, ერთი ორჯელ ჩამოუარა თავისი აქაფებული ცხენით ბალკონის წინ, რის შემ-დეგ ქორივით ეგძერა კიბეზედ თასით მდგარ ყმაწვილს, სწვდა თასში და წართმეული, გაქულეტილი თასით გავარდა ისევ ეზო-დან, მთაბლოვებულ მაყრიონთან შესაერთებლად. ეს იყო მა-ხარობელი.

— ბრავო, ბრაო! — ყვიროდა ამის სიმარტით აღტაცებაში მოსული ხალხი და ამ ხმაურობას შეუერთდა მოსულთა ხრია-ლი, თოფების ბაგა-ბუგი, ცხენების თქრშიალი და მათრახების ლაწა-ლუწი მათდა შესახურებლად.

სიძე მოვიდა თავის მაყრიონით.

პლატონს სრულიად გადაფიწყდა თავისი უშვილო ორ-ნაქმარები დედინაცვალიც, მამა მისი ბეკინაც, ყოველივე თა-ვის გულის სამწუხარო და გაშლილი ვულით ამ საზოგადო ხალისიანობას მისუა თავი. მას ახლა მოწყურვებულ კაცივით მხოლოდ უნდოდა გული ეჯერა ამ გასართობის შემთხვევის დაწაფებით. იგი ცხენით წაჭყავა სხვებთან ერთად დედოფალს ყაკლესიამდინ და იქიდან ყურა-წამდები მაყრულით გამოჰყვა ახლად ჯვარდაწერილებს. გრძელ ფანჩატურში მთელი ღამე მისი სიმღერა არ შეწყვეტილა. მოხუცებული შაფათაძე განსაკუთ-რებით მადლობას სძლენიდა ამნაირ მოლხენისათვის.

საზოგადოება მეტად მოლხენაში იყო. ცეკვა-თამაში ბო-ლო არ უჩანდა, თუმცა ქალები თითქმის სულ ერთიანად წავიდ-წამოვიდნენ მოსასვენებლად. მალე კიდევაც გათენდებოდა. ღვი-ნის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილ-კაცობა ჯერ ადგომას არც კი აპირობდა. ზურნის მისუსტებული ხმა ისევ ეფინებოდა იქაუ-რობას ამ ღამეში, სხვა-და-სხვა სიმღერებთან შენაცვლებით.

## სამანიშვილის დედინაცვალი

თუმცა ძალზედ მთერალი იყო პლატონი, მაგრამ თვალი მაინც კირილესაკენ ეჭირა, რომელიც დაჩემებით სცლიდა ყანწს ყანწზედ. ამას წინად იმ კუთხეში, საღაც კირილე იჯდა, რაღაც ლაპარაკიც ატყდა, მაგრამ ისევ მალე მოსპეს. კირილე ისეთ ნაირად გამოიყურებოდა და ცმაცურობდა, რომ რაღაც მიზეზზედ უნდა ყოფილიყო ატეხილი. პლატონმა შეატყო ეს და, რაც შეიძლებოდა, ახლოს მიიწია მისკენ.

— ძალიან შემცდარხართ! — წიმოვარდა კირილე და ნამალევად გადამდგარი ვეებერთელა ღვინიანი სტაქანი წინ დაუდგა იმ ყმაწვილს, რომელმაც მოპარვა მოინდომა ღვინისა. — ძალიან შემცდარხართ.

— მე დავლიე და გადავედი... შემცდარი თქვენ ბრძანდებით! — მიუგო ყმაწვილმა.

— ეგ გაქლიათ და ახლავე უნდა გამოცალოთ! — გულმოსულად მიაძახა კირილემ.

— ხელ-მეორედ რაზედ დავლევ!...

— დალიეთ!... მე მითქვამს თქვენთვის!...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ყმაწვილებო! — მიაძახეს აქეთიქიდან.

ატყდა ყაყანი. ვინ კირილეს მხარს იჭერდა, ვინ მეორე ყმაწვილისას.

— დალიე ახლავე! — ისევ მიაყვირა კირილემ. — მაცალეთ ერთი, თუ შეიძლება... ამას რავა ვაპატივებ მაგ სტაქანს, მერე რომ ტრაბახობით ყურები მაგან უნდა გამომიჭედოს?...

— შენთან რა ტრაბახობა მჭირია... რა კაცი ხარ იმის-თანა! — მიაძახა თავის მხრით ყმაწვილმაც.

— რაც კაცი ვარ, ახლავე გაჩვენებ, მაგ გამოცალე თუ არა! — დაუბლვირა კირილემ.

— კირილე, კირილე! — ამშვიდებდნენ აქედან.

— კოსტა, კოსტა! — აწყნარებდნენ მეორე მხრიდან ყმაწვილს.

— რა კაცია... რა კაცია, ერთი შეგვახედოს მაინც! — იყვირა კოსტამ.



— უი, შე ცინდალო, ცინდალო! — მიაძახა კირილე მთამბე აფლო სტაქანს ხელი და რაც შიგ ღვინო იყო სულ ერთიანი ცხვირპირში შეასხა კოსტას.

ერთი თვალის დახამზამებაში სუფრაზედ ვეფხვივით ახტა კოსტას ძმა და მის ხელში იბრიალა სატევარმა კირილეს დასარტყმელად და უსათუოდ იქვე დააწვენდა მას, რომ ამნაირ ჩხუბ-კინ კლაობაში გამოქნილ ყმაშვილებს უცბად ხელიდან არ გამოეგლიჯათ ამოღებული იარაღი.

შეიქნა ერთი ყვირილი, არევ-დარევა. ახლა ხელდახელ ეცნენ ერთმანერთს; გახურდა მუშტების მოქნევა; გამზავდებლები დიდ მეცადინეობაში იყვნენ, ყვიროდნენ, აცილებდნენ მაჩუბართ ერთმანერთს, მაგრამ ვერას ხდებოდნენ.

მხე კარგად წამოსული იყო, პლატონს რომ გამოეღვიძა მეორე დღეს. მიიხედ-მოიხედა, ამ ოთახში მასთან მხოლოდ კირილე იწვა ტახტის მეორე ბოლოში,—სხვა არავინ იყო.

გამოღვიძებისათანვე მას გაახსენდა წუხანდელი ამბავი და გული უსიმურად მოეკუმშა. უცბად წამოდგა იგი საწოლიდან, გადიცვა ახალუხი და ფანჯარისთან მისულმა ეზოში გადიხედა. იქაურობას არავითარი მიმსგავსება არ ჰქონდა წუხანდელ მასპინძლის ეზო-სახლ-კარობისა. ჯერეთ აზრში ვერ მოვიდა, რას ნიშნავდა ეგ, მერე კი მიხვდა, რომ უსათუოდ მეზობლისას ვადუყვანიათ გაზავების შემდეგ. მან მხოლოდ დაბოლოს გაიხსენა, რომ ისიც და კირილეც ცხენებზედ შეაჯინეს და სადღაც გამოაქინეს ახალ გათენებულზედ. მას ახსოვდა, რომ ჩხუბი მოუხდათ, მაგრამ დაწვრილებით არაფერი აგონდებოდა—იმდენად მთერალი იყო იმ დროს. ახლა კი გული მოსდიოდა, ბრაზი ერეოდა, რომ ამ გადარეულ კაცს დაუჯერა, მის სიტყვას აპყვა და ამნაირი სასირცხო ამბავი შეემოხვა. რა იყო ამ უცნობ ოჯახში დაუპატიუებლად ქორწილში მისვლა, ჩხუბი, იყალშაყალი... ასე გამოგდება ეზოს გადაღმა! აბა ამ სრულიად უცნობ სახლში, ნაჩხუბარს, ნაცემ-ნატყეპს რა უნდოდა?!...

— მე ოხრიშვილს რა მრჯვიდა ქორწილში სასიარულოდ?.. რა მექორწილებოდა!... საქმე არ მქონდა მე უპატრონოს?...»

შმ!... თავი რაზედ შევირცხვინე?... სალაპარაკოთ რავა მივეკიდები ჩემი თავი ამ სულელთან იძლენ ხალხს!.. რავა არ უნდა მომკლას ჩემმა პატრონმა, რავა არ უნდა მომკლას?... რავა ეარ შესაბრალებელი... რაზედ ვიმდურები ჩემისთანა ოხერი მამის შეუბრალებლობისათვის!...—და გულშეწუხებული პლატონი ხან დაჯდებოდა, ხან მოუსვენარად დაღიოდა ოთახში; მერე, თითქო რაღაც გაახსენდა, ჩაიცვა წულები, შეიკრა ახალუხი და ჩოხას დაავლო ხელი; გაშილა — უყურა, უყურა და გულმოსულად დააპერტყა ტახტზედ. ჩოხა სამ-ოთხ ადგილას იყო გახეული.

— შენ კი გაუქრი შენს პატრონს!—წამოიძახა მან და კირილეს გადახედა.

ამ წამოძახებამ კირილეც გამოიაფხიზლა.

— ადექი, პლატონ?—უცბად წამოჯდა იგი საწოლში.

პლატონმა ხმა არ გასცა.

— ძალიან არ ვსდევით იმ ცინდალას, კოსტა თუ პროსტა! ხა, ხა, ხა, ხა! შენ ნუ მომიკვდები, ეყოფა ერთ ხანაზედ!... კაი ხანია მისი ჯინი მჭირდა და კიდევაც ევისრულე სურვილი, ვიჯერე გული მისი ტყეპით!... ძალიან მარჯვეთ არ ვიყავით!... შენ, შენ?.. ი და პლატონ!... მტერი მოხვდა შენს მუშტა ქვეშ!... ერთი მეც მომხვდა შეცდომით!... აქნობამჟი არ ვიცოდი, თუ იმისთანა მწარე ხელის პატრონი ხარ!... იცოცხლე, იმათ დღეს გვერდები აყვებოდათ!.. ხა, ხა, ხა!—ისე ხალლისიანად ამბობდა ამას და თან იცინოდა კირილე, რომ უამისოდაც გა-ჯავრებულს პლატონს, ამით მხოლოდ ჯავრი ემატებოდა უფრო.

მან ველარ მოითმინა სიძის ასეთი უდარდელობა და სიტყვა გააწყვეტინა.

— ახირებულია, ღმერთს ვფიცავარ!... შენ რა სიკეთე დაგაკლეს... წარბი გაქვს გაჩეხილი!...

— ძალიანაა?—ისე იკითხა კირილემ, ვითომეც და არაფერი უნდა ყოფილიყო.

— გეყოფა!

— არავერია... ამასაც ვაზღვევიებ სადაც იქნება!.. თუ დღესვე არა!...



— შენ, ჩემო ბატონო, რავარც გნებავდეს, ისე ქერძოდა ერთი ეს ჩოხა გამიკერვინებით ვისმეს და ჩემს გზას დავადგები!..

— რაგა, ჩოხა შემოგახილეს?... უყურე იმ ლაწირაკებს!... სხვა რა შეუძლიათ, დედაკაცებივით იმ წამსვე ჩოხაში უნდა გეცენ და ტანისამოსი უნდა შემოგაფხრიწონ... აი მაგათ კი დავასხი თავსლაფი!...

— ბატონო, ერთი შენ ეს სიკეთე მიქენი და რამე რიგათ გვივილო...

— ახლავე, ახლავე! გვარიანათაც გვძინებია! ეჰე, რამდენ-ზედ წამოსულა მზე!

კირილე წამოდგა და აჩქარებულად ჩაცმა დაიწყო.

— ამ ოხრიშვილებს ჩოხების ხევა ცოდნიათ მარტო! — წამოიძახა მან, ჩოხას რომ ხელი მოჰკიდა. — სულ არ მოუ-თხლეშიათ კალთა!... აი თქვენ კი რა გითხარით, თქვენ კი რა გითხარით!..

მან დაავლო ხელი ორიე ჩოხებს, გააღო ბალკონზე კარი, გაჰყო თავი და დაიძახა:

— ცაციერი, ცაციერი! — და როცა ამ დაძხილზედ ბალკონ-ზედ გამოირბინა ფეხშიშველა პატარა გოგომ, კირილემ გაუ-წვდინა ჩოხები და უთხრა: — ბიძიკო, თუ შეიძლება, ეს ჩოხები რავარც იქნება ისე გამილაშე... რავარც იქნება!.. ღამეში ღობეს გამოვედევით და ასეთი უბედურება მოგვივიდა! აბა ჰე, შენს გაზრდას!...

გოგომ გამოართვა ჩოხები და ფეხების ბრაგუნით გადირ-ბინა ბალკონი. კირილემ მიხურა კარი. პლატონი წარბებ-შეკ-რული იქით-აქეთ დადიოდა. კირილე ატყობდა, რომ იყი ამრე-ზილი იყო და ხმას აღარ იღებდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ასე მუნჯად ყოფნა ველარ შეიძლო მეტი კირილემ და წამოიძახა:

— ახალ ჩოხებს გეიკერავენ თუ რა დექმართათ ამ ოჯახ-დაქცეულებს... აწი საღილათაც ქე დაჯდებიან და დაგვაგვიან-დება!...

ეს ნამეტანი იყო პლატონისათვის; იგი მიბრუნდა და გა-კვირვებით გადახედა კირილეს.

— ღმერთმანი, კაი დღეა წამოსული!.. დროით ჯობიშვილი მაინც მისვლა!

— სად, ყმაწვილო?

— რავა სად?.. სადაც წუხელ ვიყავით!

— მართლა ამბობ მაგას თუ ხუმრობ?

— მართლა ვამბობ... რა ხუმრობა უნდა?!.. აბა არ მივიდეთ?... რა მიზეზია?

— შენ, ჩემო ძმაო, რავარც გნებავდეს, ისე იარე და მე კი შენი მგზავრი არ გახლავარ!..

— რა იქნა, შე კაცო?.. რა მოხთა იმისთანა? გინახავს, რომ ქორწილი იქნება ან დღეობა იქნება, რომ რაღაც ლაპარაკი არ მოხთეს?... რა ვუყოთ მერე?... ჩვენს თავზე იყო მარტო, ახლა წუხანდელი საქმე რომ მოვივიდა?...

— შენ, ბატონი, რავარც გნებავდეს და მე დრო არ მაქვს!...

— დრო არ გაქვს, თვარა გეიქცევიან შენი დედაბრები საღმე?!

— გეიქცევიან თუ გაჩერდებიან, ეგ სულ ერთია, მე დროზედ უნდა მივბრუნდე სახლში... ისე უბრალო ყანყალი მე არ შემიძლია!...

— შე კაცო, ერთი დღე რა უნდა იყოს! მე თვეზედ შემხვეობისა გარეთ დავრჩნილვარ, მაგრამ, რომ მივბრუნებულვარ სახლში, ყორიფელი ისევ დამხვთობია, როგორც დამიტოვებია!

— კაცია და გუნდება!..

ამ ლაპარაკში გოგომ გაკერილი ჩოხებიც შემოუტანათ, მერე მოართვა პირსაბანი წყალი ორივეს, სიძე-ცოლი-ძმას და ორივე ჩაცმულ-დახურულნი წასასვლელად მზად იყვნენ. კირილე ბევრი ეხვეწა შაფათაძისას მიბრუნებულიყვნენ ისევ, მაგრამ პლატონი ვერასფერის გზით ვერ დაიყოლია, ის კი არა, პირდაპირ უთხრა სიძეს, რომ მათი მგზავრობა, როგორც ეტყობოდა, აღარც შემდეგში იქნებოდა საქმისათვის სეხეირო. კირილე ამის გაგონებამ ძალიან დააფთხო; შიში მიეცა, პლატონი არ გაჯიუტებულიყო და უკან არ გაბრუნებულიყო მის-და თავიდან მოსაცილებლად. სწორედ ამის შიშით კირილემ



გადათქვა შაფათაძისას მიბრუნება, ვითომც ყურ-მოჭრალი გზაზე  
გონე გაუხდა ყველასფერში პლატონს და კიდევაც მოუხშირა  
მათი მგზავრობის მიზნის თაობაზედ ლაპარაკი.

— პლატონ, სატირიალში არ მივიდეთ?.. ქე რომ გითხარი—  
დღესაა ტირილი! — მიმართა მან პლატონს.

— ჩემი სატირიალც მეყოფა—სხვისაში არ ვირბინო!..

პლატონი გავიდა ბალკონზე, კირილეც თან გაჰყვა; ეზო-  
ში ბიჭი დაინახა, მაიხმო, ცხენები მოითხოვა, მადლობა და-  
ბარა მასპინძელთან, რომელიც უკვე შაფათაძისას წასულიყო  
დილიდან და ორივე შესხდნენ ცხენებზედ და გზას გაუდგნენ.

პლატონი ხმა-ამოუღებლად იჯდა ცხენზედ; ხმა-გაჯმენ-  
დილი გვერდთ მისდევდა კირილეც. ამ უკანასკნელს გაუკებრო-  
ბა ჰკლავდა—თუ რას ფიქრობდა მისი გაბუსუნებული ცოლი-  
ძმა, საით აპირობდა ახლა იგი წასვლას—სალომესთან, თუ სახლ-  
ში ბრუნდებოდა? ჯერ-ჯერობით გზა საერთო იყო, ცოტა ხნის  
შემდეგ შეხვდებოდათ მარჯვნით გადახრა, თუ სალომესთან იყვ-  
ნენ მიმავალნი. საჭირო იყო ამ გულმოსულის კაცის გახალი-  
სება, თორემ ამნაირ გუნდაზედ მყოფი უსათუოდ სახლისკენ  
გადახრილა. დიდ ხანს ემზადა ამისათვის კირილე და ბოლოს  
გასწუვიტა სიჩუმე და მიმართა ცოლი-ძმას ღიმილით:

— პლატონი!... კაია, შე კაცო!... დეივიწყე, თუ გიყვარ-  
დე, რაც შეგვემთხვა... მიჯავრდები კიდევა?

— სულაც არა!—ცივად მიუგო პლატონმა.

— რავა არა?.. ვერ გატყობ თუ?.. შე კაცო, პეტრე მო-  
ციქულმა სამჯერ იუარა ქრისტეს მოწაფეობა, მაგრამ ამისათ-  
ვის არ დასჯილა, ისევ საყვარელ მოწაფეთ დარჩა და შენ ჩე-  
მით ერთი უსიამოვნობა შეგემთხვა, ამასაც ველარ დამივიწყებ?!.  
კაია, თუ გიყვარდე!

პლატონს უნებლივედ გეელიმა ამ სიტყვაზედ. კირილემ ამით  
ისარგებლა და ისეთნაირად შეუჩნდა, ისეთნაირად დაუტრიალდა,  
რომ ცოტა ხნის შემდეგ მართლა ყველაფერი გადაავიწყა პლა-  
ტონს და გულ-ამილერეული კაცი ხალისიანად გარდაქმნა; ამით  
ისარგებლა ჩან და სიტყვა შეაპარა მამიდა-მისის შესახებ:

— კიდევ კარგ დროს მივაძლ! — სთქვა მან.

— სად? — იყითხა პლატონმა.

— მამიდა-ჩემთან!

— ისე შემოფხერეწილი მივიდე სალომესთან?..

— შემოფხერეწილი კი არა!.. სულაც არაფერი არ ეტყობა მაგ შენ ჩოხას... ახალიერთაა, თავი ნუ მომიჯვდება!..

გადასახვევი ახლოს იყო და ახლა კირილე უფრო თავ-გამოდებით დაფაცურდა, რომ ცოლი-მა სახლიდან არ გეეშვა. რას არ მოჰყევა, რას არ მასხრობდა, რა რიგად არ ცდილობდა მის უფრო გამხიარულებას, რას არ იგონებდა, რომ იგი ეცინებინა, ეგებ ამასობაში თავის სიტყვაზედ მიეყვანა.

მივიდნენ ის იყო გადასახვევთანაც. კირილემ მასხრობას უფრო მოუმატა. პლატონი კარგად ხედავდა, რა ცეცხლშიაც იწვოდა მისი სიძე და განგებ ახელებდა, რომ უსათუოდ სახლში უნდა გავტრუნდეო, ამ ტანისამისით ვეღარ ვივლიო.

— პლატონ... ბიჭო, გეიხსენე პეტრე მოციქული... რა ეპატივა და ვისგან?!.. მომიტევე, ბიჭო, მომიტევე!.. ნუ გადამ-კიდებ დარიკოს, თუ რამე სიბრალული გაქვს, შენს დას ჩემ-ზედ ნუ გაახელებ და რა გინდა ჩემგნით! თუ დარიკო გამი-გულისდა, უნდა დავჯდე სახლში და ბომ შემეხუთა სული და გული!.. მიხედე, კაცო, ღმერთს!.. ბიჭო, ერთხელ შეცოდე, შეტი ხომ არა!.. ბიჭო, პეტრე მოციქულის ამბავი გეიხსენე, შე უღვთო, შე უღვთო!.. წამოდი აქეთ... მარჯვნით მიდის ჩვენი გზა, მარჯვნით — ღმერთი გამარჯვებას მოგცემს!.. — და კირი-ლემ გადასხვია მამიდა-მისისკენ მიმავალ გზაზედ.

პლატონმა სიცილი ვეღარ შეიკავა, გაცხარებით მოლაპარაკე კირილეს რომ უყურებდა, — ერთ ხანაზედ ცხენი შეაჩერა და მერე, როცა კირილემ იღვირში მოჰკიდა ხელი და მარჯვნით გადასხვევინა, მან გულიანად გადიხარხარა.

— ძალიან არ დოუშინებიხარ დარიკოს, კირილე? ხა, ხა, ხა!

— ნუ შეევეშინდება შენ!.. ის რომ არ მყავდეს, ჩემო ძმაო, ჩემს ეზოში ძალლს ვერ ნახავდი გამვლელს!.. ეეფთხილები, არ გავაჯავრო მაინც ჩემზედ — სხვა სიკეთეს ჩემგან იგი ვე-



რაფერს დეინახავსა-და!.. რამდენადაც შემიძლია, ამას ვცდილობ, თუმცა ხშირად ესცე მაეწყდება ჩემდა საუბედუროდ!.. ერთობ სულგრძელი ადამიანია, ძმობას გეფიცები!.. ღვთისნიერი ადა-მიანია, ღვთისნიერი ადამიანი, რომ მისი ნათესავი უნდა იყვე!.. შეგატყობს!— სიცილით დაატანა კირილემ,— თუმცა მშვენიერი სადილი კი დამაკარგვიე და შენც დაპკარგე!.. იმ ოხერ შაფათაძეს ძალიან მასპინძლობა ექნება დღეს... ძალიან მომზადული იყო!.. გლა-ხა გუნებაზედ იყავი, თვარა არაფერა არ გვიჭირდა, რომ მივ-ბრუნებულიყავით!.. ერთი იმათაც თვალებს დოვუბრიალებდი... ცნობას მივცემდი!.. ახლა კი ასე მშიერ მუცელზედ კარგა ხანს მოვციხოება თრევა, სანამ მამიღა-ჩემთან მივაწევდეთ!

— ახლა ისევ შაფათაძე გაგახსენდა?— გაიცინა პლატონმა — მე რომ შენ ვიყო, ხმასაც ჰარა ამოვილებდი... შენც კარ-გათ გერგო მათი მუშტები, შენ ნუ მომიკვდები!..

— არც ჩემგან დაპკლებიათ!.. და კიდევ უფრო მივართ-მევდი, რომ ხელიდან არ გამოეგლიჯათ!..

კირილემ კიდევ დიდ ხანს ილაპარაკა თავის ყოჩაღობა-ზედ, ბევრი იტრაბახა თავის სიმარჯვეზედ და მთელი გზა ამ-ნაირ ამბებში იყო, თუ სად რა ჩხუბი შეხვდომია, ვისთან, რი-თი გათავებულა და რა ვაუ-კაცობა გამოუჩენია. მაგრამ ამ ლა-პარაკშიაც ხშირად აგონდებოდა დაკარგული, მიტოვებული ლხინი და ეს გახსნება უფრო უცხოველებდა შიმშილის გრძნო-ბას და ამით აწრიალებული, წინ-ლამით ნასვამი თავს იმით ინუ-გეშებდა კიდევ, რომ გზაში დუქანი ეგულებოდა, სადაც შეეძ-ლო ამომწვარი ყელიც გეელბო და ცარიელი მუცელი ირიოდე ლუკმა პურით დეეკმაყოფილებინა.

### დაგ. ქლდიაშვილი

(დასასრული იქნება)

## ს პ რ დ ლ ი ს პ ა ზ რ ი მ ი

გ ი უ - დ ე - მ ა შ ი ს ა ნ ი ს ა

(ფრანგულით)

მართალია, — ს თ ქ ვ ა ს ა რ დ ა ლ მ ა ლ ა პ ი რ ტ მ ა , — დ ა გ ბ ე რ დ ი , დ ა გ ჩ ა -  
 ჩ ა ნ ა კ დ ი ; ფ ე ს ბ ი ღ ლ ა ი ს ს ა რ ს ა ვ ი თ გ ა შ ე შ ე ს უ ლ ა მ ა ქ ე ს , უ მ რ ა ვ ა , ს ი მ ?  
 დ ა ა მ ღ რ ტ ი ს , ქ ა ლ მ ა , ლ ა მ ტ ე მ ა ქ ა ლ მ ა რ ა მ მ ა ბ ა მ ა ნ ი ს , ნ ე მ ს ი ს უ კ ნ წ -  
 შ ი გ ა ს დ ე კ ე რ ი მ , ი ს ე გ ა კ ს ტ ე ბ ი , რ ო გ რ ა რ ც ჭ ა მ ბ ა ზ ი ს ს ა ლ ტ შ ი . ა მ ნ ა ი -  
 რ ი გ ე მ ღ ვ კ ვ დ ე ბ ი , — ს ი ს ხ ლ ი მ ა ქ ე ს ა ს ე თ , მ ე ლ ე ბ უ რ ი ა რ შ ი ყ ი გ ა რ ,  
 მ ე ლ ე ბ უ რ ი ბ ე ბ ე რ ი : ქ ა ლ ი ს ნ ა ხ ვ ა , დ ა მ ა ზ ი ქ ა ლ ი ს ნ ა ხ ვ ა თ ა ვ ი თ - ფ ე ს ა მ -  
 დ ე ა მ ა თ ა ს თ ა ხ ე ბ ი ს ხ ლ მ ე .

მ ა გ რ ა მ რ ა ს კ ა მ ბ ი ბ ? გ ა ნ ა მ ე მ ა რ ტ ი ა კ ა ს ე თ ი ! — ს ა ფ რ ა ნ გ ე თ -  
 შ ი უ კ ლ ა ნ ი ე რ თ მ ა ნ ე რ თ ს ა კ კ ა რ თ ! ი ს ე ვ რ ა ი ნ დ ე ბ ი გ ა რ თ , უ კ რ ა დ ღ ე -  
 ბ ა ს ა რ ა ი ე ს კ ა მ ც ე კ თ ; რ ა ი ნ დ ე ბ ი გ ა რ თ ს ი უ კ ა რ უ ლ ი ს ა ს შ ე მ ი თ ხ ვ ე ბ ი ს ა ,  
 რ ა დ გ ა ნ ა ხ ლ ა ს უ ლ ი ა მ თ ქ ს ა დ ე ს ლ მ ე რ თ ს , ი მ ღ მ ე ლ დ მ ე რ -  
 თ ი ს ა ც ნ ა მ დ ვ ი ლ ი ტ ა ნ ი ს მ ც ე ლ ი ნ ი გ ი უ კ ა ი თ .

ქ ა ლ ი ს თ ა ვ ი ს დ ღ ე შ ი გ ე რ გ ა ნ დ ე კ ი თ ჩ ე ნ ი ს გ უ ლ ი დ ა ნ . ქ ა ლ ი ა  
 მ ა ნ დ ა ს ც ხ ს ა ვ რ ი ს დ ა მ ა ნ დ ე ბ ი რ ჩ ე ბ ა , გ ვ ი უ კ ა ნ ს დ ა გ ვ ე უ კ ა რ ტ ე ბ ა ქ ა ლ ი ,  
 დ ა , ს ა ნ ა მ ე რ ი ს ა ს ე ბ ი ს რ ე კ ა ზ ე ს ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ც ი მ ნ ე ბ ა , ქ ა ლ ი ს გ უ ლ ი -  
 ს ა თ ვ ი ს უ რ ე ლ ი ს ა გ ე ს ს ი ს უ ლ ე ლ ე ს ჩ ა ვ ი დ ე ნ თ . ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი რ ა მ მ ა ს -  
 ნ ა ნ კ ა დ ე ც ა , ფ რ ა ნ გ ე ბ ი მ ა ი ნ ც დ ა რ ჩ ე ბ ა ნ !

რ ო ც ა ლ ა მ ა ზ ი ქ ა ლ ი ს გ უ ც ე რ ი , გ ვ რ მ ნ ი ბ , უ კ ე ლ ა ტ ე რ ი შ ე მ ი ძ ლ ი ა -  
 მ ე თ ქ ა . გ ა ი ა რ ა ქ ე ს ჩ ე მ ს თ ა ვ ს ! რ ო ც ა თ ვ ა ლ ი ს თ ვ ა ლ შ ი გ ა მ ი ყ რ ი ს ,  
 მ ა რ დ გ ა ნ ს ა ვ ა დ ე ს თ ვ ა ლ ი ს , მ ა რ დ გ ა ნ ს ც ე ც ხ ლ ი ს რ ა მ გ კ ი დ ე ბ ი ს ხ ლ მ ე , მ ე

თვითონ არ გიცი, რა მინდა, მწარდია კიბრძოლო, კიჩხებო, უკედა-  
იური დაკამისეკრიო, კუნძული—უკედაზე ღონიერი, უკედაზე გუდა-  
დი, უკედაზე მსნე და ერთგული გარ-მეთქი!

მე მარტო არა კარ ასეთის ჭიდავისა, არა, ღმერთმანი! მოუ-  
ლის საფრანგეთის ჯარი ასეთია, მაღალ ღმერთის გეფაცებით! სელ-  
უბრალო, ჩანჩალა საფლავთდან დაწეულებული, თვით ღენერლამდე, წინ  
მივდივართ, მიზნისაკენ, როცა საქმე ქალს შექება, დამაზ ქალს!

მოიგონეთ, ერთ დროს უას დარცემა რა ჩაგვადენინა!

რაზედაც გინდათ, დაგენამდავებით, დამაზი ქარს რომ  
გასძღვლოდა, სედანის აღების წინა დღეს, როცა მარშალი მაკ-  
მაჭინია დასჭრეს, პრუსიელთა ჯარს გავაპობდით,—ქმის მექმ, ტრა-  
ნახობით არ გაძინდე, —და მთელ არტილერიას დაკეპატრონებოდით!

შეიძის ტროშიუ კი არა, წმიდა უენევიევა სტიროდა.

ერთო შატარა ამბავი მაგონდება, თმიანობის დროისა. ეს ამ-  
ბავი ნათლებ ამტეიცებს, რომ ქალის წინ, ვინ იცის, რას არ ჩა-  
ვიდენთ! მაშინ ქაპიტანი ვიუა, უბრალო ქაპიტანი და მზევრავოა  
რაზმის უფროსისა მებარა. როცა ჩენია მსარე პრესილებმა ჩაიგ-  
დეს, შეაგელ ალაგას ვიყავათ და თავის საშეღად უქნა ვისევდით.

უკედა მხრიდან მტერი გერტუა, გადენადნენ; დატნულო  
შიმშილით სული გეხდებოდა.

მეორე დღემდე ბარ-სურ-ტენამდე უნდა მიგეღწია, თორემ მტე-  
რი სულ ღუმბა-ღუმბა აგევუწაკა, დაგვსურტლა, საკვარველიც ის  
იყო, ან მანამდე როგორდ გადაეუწიოთ გააღმასქაულს მტერისა! არ  
ვიცი. ასე და ამგერად, დამე უნდა გაგვეგლო თორემეტ დაომდე.  
დედა-მიწა თოვლი დაეფარა, ზეკიდან კიდევ უმატებდა; შიმშილით  
გური გერტოდა. ვიზიტორიდი: «ეგ არის, მორჩა, ჩემი გაუ-კაცი სალ-  
დათები სამშევიდობის კერ მაღწეებენ-მეთქი».

გუშინდედს აქეთია, პირში ნაწილი არ ჩაგვიშვია. დღე ბო-  
სელში ვიყავათ დამაღულნა, ერთმანეთს მაჟურებულნი, რომ სიცი-  
ვეს ისე ძალზე არ მოგეტორა. ლაპარაკისა ან განძრების თავი არავი-  
სა ჭერნდა. ზოგი, მიღულავდა თვალს თუ არა, იღვიძებდა; მოუ-  
სკენრად იუკნენ, ძალზე მოწუმატილ გაცსავით.

ხუთ საათზედ დაღამდა; ბნელოდა, სთოვდა. სალდათები გა-  
ვალიაძე. ზოგი არა დგბროდა, კედარც იძეროდნენ და კედარც ზე-  
ზე დგბროდნენ, სირივისა და ათისნარ კა-კაგლასისაგან მოდე-  
შილ-მოდეუნებული. წინ იშლებოდა მიხდორი, დიდი, გასრიონებუ-  
ლი მინდორი, თოვლით დაფარული. თოვლი მოდიოდა, მოდიოდა  
გადაუდებდავ, სქელად; მძამე სუდარა, გაუინულ მატელით გატენილ  
დეიდსავით, ზედ ეფარებოდა უკელატების. თითქმ სანთლები სცეივაო.

— აბა, ბიჭებო, გზას გაუვდეთ!

უკელატი ზევიდან ფრენით მომაჟალ მტკერი შესცემოდნენ, და,  
მტკებოდათ, თავიანთს გუდში ამბობდნენ:

— ახა, გპმეოვა! სკობს, აქ დავისოცნეთ!

მაშინათვე დამბახა კიძრე:

— კინც ურჩობის გამიწევს, გესვრი!

დაადგნენ გზასა, ზლაზნით, თითქო ფეხები არც კი ასხიათო.

ოთხი წინ გავაზავნე დასაზევრავად, სამას ნაბავზე დაშრუ-  
ბით. დნარჩენინა არეულად, შეკუპეული წამოვიდნენ. უკელაზე ღო-  
ნიერნი უკან მოვაჭიცე და უგრძოდნენ, კინც ჩამოვგვრჩება, გამსხევათ...  
თოვის კონდახებით-მეთქმ.

თოვლი თითქო ცოცხლებ გკმარხაესო... ჭუდები, მაზარები  
სულ ერთიანსად დაჭვარა; არც კი დნებოდა და მოჩენებას, მკვდარ  
სალდათებს დაამსგავსა უკელატი.

ცისწაული იქმნება ჩემი ასლა გადარჩენა-მეთქია! — კიბოდდი  
გულში. სანდისხის რამდენისამე წუთით უკედგებოდით უქან ჩამორ-  
ჩენალთა გამო. ამ დროს მოგეუსმოდა სოლმე ძირს დასაცემად განმ-  
ზადებულ თოვლის შრიალი, ეს თითქმის გაუგონარი შრიალი ერთ-  
მანეთში არეულ თოვლის ნაფერთლებისა. ზოგი ტანისამისის იბერ-  
ტევდა, სხეგბა უძრავად იდნენ.

კუბრძანე, იარეთ-მეთქა. მზევაკები უციად შეიკუპებნენ. რა-  
დამაც დაათვროთხო. კიდასიც ხმა გაიღონეს. ექვსი სალდათა და სერ-  
ენტი მიკაშველე. კელოდით. უციად მკეთრი ხმა გაისმა ქალისა ამ  
თოვლის სამეფოს მდუმარებაში, და, რამდენისამე წუთის შეძეგი,  
ორი ტევე მომიერანეს: ერთი კაცი იღო და მეორე — ახალგზაზა ქა-  
ლი. ჩუმად გამოგეთხე უკელატები. პრუსიელებს გამოვემცით,



ჩვენს სახლს დაეპატირონ, მთვრალება იყენებო. მე ჩემის ქადაგი შემეშინდა, მითხოვა მამამ, და, მოსამსახურებისათვისაც არ შემატ-გობინება, ისე დამე გამოვიმარეთ ღრმივეთ. მაშინათვე ვიცანი— ზურულა იყო, ბურჟუაზედაც მეტი.

— ჩვენთან იარეთ,— კუთხარი ღრმავე.

განკაგრეთ გზა, ბებერმა გზა იცოდა და გაგებდება.

თოვლმა გადიღო; ცაზე გარსეკვლავები გამოჩნდა და საშინელი სიციგენ დაიწიოთ.

ქალს მიმის სელი პურია და ფეხ-არევით მადიღა, დაჭანცუ-ლი. ოამდენჯერმე წაიხურჩეულა: «მამი, ფეხებში მოგსწევდით». იმათზე უარესად მე გატანჯებოდი, ამ შატარა საცოდაკ ქალის თოვლში ფართხსალს რომ გუეურებდი.

ერთბაშად ქალი შედგა.

— მამი, საირული მეტი არ შემიძლია.

მოსუცს უნდოდა ზურგზე მოკეთდნა, მაგრამ ადგილიდან ძორაც ეკრ უკა. ქალიც ძირს დაეშეა და ამოიხსრა.

გარს შემოეხვივნენ უკელანი. მე ერთ ადგილას კომუკავდი, არ ვიცოდი, რა მექმნა: ამ მოსუცისა და ბავშვის დაგდება კურ გადა-მეწევიტნა. ამ დროს ერთმა სალდათმა, პარუელმა, რომელსაც «პრაქ-ტიკულს» ქასხდნენ ამხანაგბი, დაიძას:

— მმეო, ეს ქალი უნდა წამოვიყენოთ, სირცხვილია, ფრან-გების ჭუდი გბეურაეს!

მგონი, შეკაგინე კიდევრა, ისე გამახარა მისმა სიტყვებმა.

— მალიან კარგი, ბიჭებო, მეც გაშედით!

მასლობლად, შატარა ჭალაში სები მოსხანდა. ოამდენიმე კაცი მოგზაურდა და მაღვე საკაცესავით შეკრული სის ტოტები მოიტანეს.

— თავისს მაზარას ვინ გაიმეტებს? — დაიძას «პრაქტიკულმა», — ხომ იცით, დამაზ ქალისათვის გვინდა, ბიჭებო!

ათმა მაზარამ სალდათმას გეპრდით ბარტყა-ზურტყი მოიღო. თვალის დახმამებაზე ასალგაზდა ქალი ამ თბილ ტანისამოსზე დაწეინეს და ეჭვით გაცი საგაცეს მხრებით შეუდგნენ.

მე წინიდან შეკუდექა, მარჯვნივ. მისაროდა ზიდეს ჩემის ტკირ-თისა.

გავსწიეთ მხარეულად, მნედ, თითქო უცბად ნუნუა გადაგარითო. სურობა-ასენჯობაც კი მოქმედა. სომ სედავი: ერთი ქალი საჭმალა, ფრანგებს სისხლი აუტენტუს!

სალდათები მწყობრად მიღიოდნენ, მხარეულნი, შესურებულნი. მოსური მესროლი, საკაცეს ომ მოსდევდა, თავისს რაგის ელოდა, რომ ამსახავის აღაგს ჩამდგარიო. თავისს მეზობელს ისე მკაფიოდ წასწურებულა, რომ მეც გავიგონე:

«რა დროს ჩემი ასალგაზდობა! ქალი მაინც, დასწევებულ ღმერთმა ეშმაკი, ჟრუანტელს მივლია!»

დილის სამ საათმდის თითქმის არ ჩაგიარებულია ფეხი. უცხად მზეურავები სედახლა შედგენ. მთელი რაზმიც თოვლზე გაწეა და ბუნდ წერტილად დაახნდა მიწასა. მე ნელის სმით პრძნებას კამადები, ჩემს უქნ თოვების წერიალა სმა მესმოდა,—სტენავდნენ.

იქ კი, მინვრის შუა გულს, რაღაც უცნოური-რამ იძროდა, რაღაც კება ცხოველსა ჰგავდა, მიზორდა, სას გველსაგით წაგრძელდებოდა, სასაც გუნდესაგით შეაკუმშებოდა, მარვენივ და მარცხივ ირსებოდა, შეგძმოდა, მერე ისეგ გასწევდა.

ერთხაშად ეს საოცრება მოგებასდოვდა. დავინასევი: თორმეტი გზა-დაჭარგულა უდანი აჭი-გაჭით მოაკენებდნენ ცხენებსა და გზას ექვედნენ.

ჩვენს ისე ახლოს იყვნენ, რომ მკაფიოდ მესმოდა დადალულ ცხენების სრინწანი ქლოშინი, თოვ-იარაღის უღარუნი და უნაგირუნის ქრაქა-ქრუქი.

დავიერე: «ესროლეთ!»

დამის სიჩუმეში დაცლილ თოვების არმოც და ათი სმა შთა-ინთქა. ათხასის თოვის სმას ბანი ნისცა მიდამოძა. შემდეგ, შორს, უკანსაკედიც დაედევნა. კვამდი რომ გაიხა, დავინასეთ: თორმეტი გაცი ცხენებითურთ დაეცნენ. სამი ცხენი გადარეულებსაგით მიჰქორენენ, ერთს უდანს უზანგოში ფეხი ჩარჩნოდა და ცხენი მიათრევდა.

ჩემს უქნ ერთი სალდათით საშინდად აცინოდა.

მეორემა სოჭვა:—მათმა ჭვრივებმა იცენ თავში!

შეიძლება ცოდიანი იუო ამას მთქმელი.

— ამას დადი სანი არ უნდა!—დასმინა მესამემ.

საკაცედან ქადმა თავი გამოაწეო:

— არა, ქადმა ტონო, — კუპასუნები, — ქა-ქა არას, თორმეტი

შრუსიელი წეოთ-სოფელს გამოგასაღმეთ.

— საწყლები!... — ჩურჩლით წარმოასიტეს გოგონამ.

მაგრამ, რადგან სციკოდა, ისევ მაზარტბში წაჭერა თავი.

ისევ გავასწიოთ. დადს ხსნს გაარეთ. ბოლოს, წას უკითელი ფერი გადაეკრა. თოვლი განსათდა, გაბრწეინდა, ბრწევიალი დაიწყო, აღმოსავლეთი სისხლის ივრად შეიძება.

შორიდან ხმა მოგვესმა:

— კინ არის?

ჩენი რაზმი შედგა. მე მიგუასლოუდი, რომ გაეგოთ, კინც გმუჯვათ.

ფრანგების ჭართან მივდიოდით.

ჩემს სალდათებს დარაჯების წინ უნდა გაეარნათ. ქომისნდირი ცხენზე იყდა, უკლავერი გუამბე. საკაცის დანასკაზე რისიანის სმით აკითხა.

— ე რადა მიგაქო?

მაშინათვე ქერა ბატონა თავი გამოაჩინა გოგონამ, თმა-აჩეჩილმა და მოდიმარმა და უხასუსა:

— მე გასდოებართ, ბატონო!

უკლას სიცილი აუტედა და გული სისარულით აღევსოა.

«პრაქტიკულმა», საკაცეს გეგრდით მიმავალმა, თავისი კეთი დაიწია და დაიუკიდა: «საფრანგეთს გაუმარჯოს!»

არ ვაცი რასთვის, ავღელდი, — იძღენად მეამს და გულში ჩამწედა «პრაქტიკულის» ნათქვამა. ასე მეგონა, სამშობლო კისესენით მეთქმ, ისეთი-რამ ჩაიდინევით, რასაც სხვა ქეუწის შეიღები არ იჩამდნენ, რაღაც უბრალო, მაგრამ პატრიოტული საქმე მოვიქმედეთ მეთქმ.

თავის დღეში არ დამავიწედება ის სამო სახე გოგონასი! რომ მკითხავდნენ, დოლებისა და საციკლების გადაგდების შესახებ რა ძალისა სართო, კიტუოდი: უკლავნ ჭარებში იმათს მაგივრად და-მაზი გოგონა იყოლიერ-მეთქმ.

«ძალსედიოზის» და გვრას ეს ემცობინება. აბა, მაშინ უნდა უკურთხო, როგორ გაცოცხლდებან საღდათები, სარდლის გვერდით მაღონა რომ უკოდებათ, ცოცხალი მაღონა! ვა არა მაქა!...

ერთხსნის დაწემდა სარდალი. მერე რახით განაგრძო, თავის ქნევით:

— კიდევ გიმეორებ: ჩვენ, ფრანგებს, თქმა არ უნდა, ქალები გბაჟვარს!

S.

## თუშური ლექსიგი

დ. როსტომაშვილის-მიერ შეკრებილი

იურება ჭირ-ბელაქანი, დიდი ურუჯლოთ ჭარია,  
 გულ-ხადარა ჰევით ბელადი, დღაზანს შემომდგარია.  
 ჩეთმას გაგზავნეს ელჩები, ჩეთმას მოგვივლეთ თვალია.  
 მოვიდნენ დალალებულნი — ადგილი საშოგარია.  
 ჩეთმაში თუშის შვილებსა საწყინარის ეტეგის გრარია,  
 სუთშაბათს თენებისასა გარს შემოერტყათ ჭარია.  
 გიგამ უძახა გიორგის, მმარ, წაგვისხეს ცხვარია,  
 თბია ჩეთმას მანდორზე, უწკიმრად ქეხდა ცანაა,  
 წინწინ დაგვიგრეს გიორგის, გიგას მოსტესეს მხარია,  
 ჩენა გიღვევით ჩენ ცხარზედ, გაჭ მწევმსნო თქმუნი ბრალია!  
 შვიდი შესწირა გიგამა, სულეთს უზიდეთ წეალია,  
 თრია შესწირა მწევმსებსა, აბრუნებინეთ ცხვარია,  
 თრია თავის თავს შესწირა, მაშვალი მასმიკეთ წეალია,  
 ემაგ ქართულის მათქვამა აღვგნს თუშის ქად გარია,  
 მიჭირავ ტარი დ ფარტანა, თვალზედ გადმომდის წეალია,  
 ლალიც არავის გეგონოსთ, მენც მანდ მამიკლეს ქმარია.

## მოლიკულ გზაჩე

მოთხოვა \*)

IV

— „აფრასიონთა მანიუა მზე იყო ამომავალი,  
 მზე იყო, მზე დაბნელა, შუქურა ამომავალი“!

დაიწურიალა ხმიმ. მალე გამოჩნდა მომლერალი პატარა ბიჭი, რომელიც მოაკენებდა უბელო ცხენს; როდესაც მოახლოედა იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად იჯდა ხოლმე ქეთინო, დაინახა ამ უამადაც იქ მყოფი, თითქო შერცხვაო, ხმა ჩაკმინდა, უნდოდა მის შეუმჩნევლად გაევლო, მაგრამ ქალმა მოჰკრა თუ არა თვალი, ზეზე წამოდგა.

— ილიკო, შეჩერდი პატარა ხანს!... შენთან საქმე მაქვს! — დაუძახა. ილიკოც დაემორჩილა.

— შეგიძლიან ეს ბარათი მარიკას მიუტანო?

— რატომ. რა ღიღი საქმეა შერე? — ილიკოც ცხენიდან ჩამომხდარი წინ უდგა ქალს მორჩილებით, სახეზე ეხატებოდა თავშემაგრებული უზრუნველი ღიმილი.

— შეგიძლიან და პასუხი წამომიღე, ჩემო ილიკო, — დაუმატა ქალმა და ბარათიც მიაწოდა.

— ბატონი ხარ. — ილიკომ ჩამოართვა ბარათი, ისევ მოევლო ცხენს და გაჰქუსლა.

ქალი სკამზე ჩამოჯდა დაღონებული. ტყუილად შესცი-  
 ცინებდა ჯერო მეგობარს თვალებში, ტყუილად უსათუთდე-  
 ბოდა, ულალდებოდა; ბოლოს დარწმუნდა, რომ ქეთინოს მის-

\*) «მომბე» № XII, 1896 წ.



თვის არა სცალოდა, თვი ანება, მოშორდა, დაუწყოლ უგეგმულად, უხეიროდ წიწკნა ბალახსა. ქეთინო ამ ეამად ჰერძნობდა უჩვევარ ნაღველს. ყაველივე არსი, რომელსაც კი ხედავდნენ ამისი მშვენიერი თვალები, თითქო ვახუნებულიყო, მოსწერენდა. ეს დღეს კვლავინდებურზე მეტად ცხოვლად ითვალისწინებდა თვის უფერულ, შევიწროებულ, სულშეხუთულ ცხოვრებას. არა ერთხელ დაუკვნესია მწარედ ნორჩ გულსა, არა ერთხელ უთხოვია, შეხვეწნია გასულიყო საპყრობილედან. ეს სოფელი მონასტრის მსგავსად სჩანდა, პატარა, ვიწრო, სულის შემხუთველი, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე სურვილი, აზრი, თუ ოცნება ისევ უნდა ჩაეკეტ-ჩაემარხა გულში, ან ანგარიში მიეცა თავმოვარე უფროსებისთვის, რომელთაც დიდი ხანია გაევლოთ ნამდვილი სიცოცხლე, დღეს კი თითქმის ნახევარ არსებობას მოკლებულნი შეუგნებლად ეწეოდნან ცხოვრების ყოველივე დაკრინებულ წეს-კანონსა. მაღალი გრძნობა, აღფრთოვანებული, სხივ-შემოსილი აზრები მათთვის მუდამ ფარდა-ჩამოფარებით იდგნენ, ცხოვრებაში ახლად შემავალ ნორჩ არსებობას შემთხვევაში აყუდებულიყო უზარმაზარი კედელი, რომლის დანგრევას ცდილობდნენ დაუინებით უფროსნი, რათა ქეთინო თავეთკენ მოექციათ. ქეთინოც გარეგნობით ემორჩილებოდა, მისი გული და სული კი მუდამა კვნესოდა, მაღლა-მაღლა იწევდა. ქეთინო იზრდებოდა მონასტერში დეიდასთან, რომელსაც სასწავლებელი გაელო. იქ ზრდიდნენ ღარიბ დედ-მამის შეილებს, ქეთინოც მათში გარიეს, სწორედ მაშინ, როცა სულ უფროსს დას მათიკოს დაემთავრებინა სასწავლებელი, გაჰყავდათ ხალხშია, მაშინც უფროს კლასებში გადადიოდა. ამათი მამა დარისპან ზურაბიშვილი თუმცა უგუნური კაცი არ იყო, მაგრამ ოჯახის მუყაითობა მოჰკლებოდა. რაკი ვაჟიშვილი არა ჰყავდა, სახლობას უცულოდ ეკიდებოდა, არ დასდევდა, როგორც უნდა ყოფილიყვნენ, ამის გამო, რაც შეძლება ჰქონდა, არა ზოგავდა, ხარჯავდა. დღითი დღე ჰერძნობდნენ დანაკლისს. ქეთინოს აღზრდის დროს დარისპანი ცოცხალი აღარ იყო, შეძლება ნებას არ აძლევდა ქეთინო მიებარებინათ იქ, საცა სწავლობ-

დნენ უფროსი დები. ქეთინომ შეისწევლა წერა-კითხვა, გაიცნა მწიგნობრობის გემო, ხარბად დაეწაფა, თან-და-თან იძნდა ცოდნას ყოველ საგნებიდან. მეტი უნარი, სურვილი გამოიჩინა ხატვაში. რანაირი გულის ძერით ჩაუჯდებოდა ხოლმე ამ გაკვეთილს, მხად იყო არამც თუ საათები, მთელი დღეები დაელაშებინა ამ საქმეზე. მასწავლებელ ქალებს უკვირდათ, როდესაც უყურებდნენ ამისგან ნახატს. ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ქეთინოს დიდი ნიჭი ეტყობოდა ამ ხელოვნებისა, თუ, რასაკვირველია, შესაფერი საზრდო მიეცემოდა. აგერა გაირჩინა, მეოთხე წელიწადმა, რაც ეს მონასტერში იყო და კიდევაც შეასრულა იქ სწავლა. მონაზნების ერთფერი ჩაშვებული ტანი-სამოსი, ერთვარად სევდით გამომყურე სახეები, გადასულნი ამ ქვეყნიდან, მონასტრის სქელი კედლები, გამუდმებული ზარების რეკა, მონაზნების ლოცვა, ყველა ამან თითქო ამის ბუნებით მხიარულ ხასიათს ჩრდილი მიაყენა, წლოვანების შეუ-საბამოდ დაადარბაისლა და, როდესაც დაბრუნდა სახლში ჩიდ-მეტის წლისა, ეს სჩანდა თითქმის ოცის წლის ქალად. ქეთინოს ძალიან უყვარდა თავისი სოფელი, მაგრამ რაკი საერთოს ვერ ხდავდა, როგორც თავისებს შორის, ისე მეზობლებთან, ამის გამო არ უხაროდა მონასტრიდან შინ დაბრუნება.

— ოხ, სიცოცხლეს შუაზე გაუყოფს მას, ვინც აღმოუჩენდა ლონისძიებას, წაიყვანდა, მოაშორებდა თავმოყვარე ხალხს, სამაგიეროდ დაუპირდაპირებდა ლტოლვა-მისწრაფებას, მხატვრობასა!... ამას, რასაკვირველია, უყვარდა დედა, დები, მათთან მეგობრული განწყობილება კი მცირედი ჰქონდა. მათიკო გაეთხოვებინათ ორის წლის წინად, მაშო ჰერძნობდა დისადმი უჟი-რატესობას, რომელსაც ხელს უწყობდა აგრედვე მშობელიც. ქეთინოს არ შეეძლო მოეთხოვა ის, რაც ხელში ჩაეგდო მაშოს. ქეთინო ითმენდა, ემორჩილებოდა თავის ხვედრს, სულ-გრძელობა ჩაგონებდა რაღაც იმედს, მოლოდინს. ეს არ ეშვებოდა საქმეს: ხატავდა, კითხულობდა წიგნებს, გლეხ-კაცებს შველოდა გაჭირება-დალხინებაში, რავდენადაც შეიძლებოდა იმ შევიწროებულ გარემოებაში მყოფისთვის, ბუნებასთან ახლო

იყო. მეზობელ მებატონეთა შორისაც იშვიათად დაიარებოდა, რაღაც არც იქით მისწევდა გული, თვითონ თეკლესა და მა-შოსთვისაც დიდად სანატრელი არ იყო მისი ხალხში სიარუ-ლი. მეზობლები პირველში არ აძლევდნენ მოსვენებას, თეკ-ლეც ზოგჯერ ჩასჩინებდა, სტუქსავდა კიდევაც, რომ თავი დაენებებინა ჯლაბისთვის, მაგრამ რაკი ვერას გახდნენ, თავი მიანებეს, ჩათვალეს გადარეულად, უწიდეს ნადირი, მიაწერეს მონასტრის ზეგავლენას, რომელსაც ვადაეჯილაგებინა, ცხოვ-რებაში გამოუსადევარი გაეხადნა. ყმაწვილი კაცები მარტო შორიდან ადევნებდნენ თვალ-ყურს, მახლობლად კი ეს არავის იკარებდა, არავისთვის სცალოდა. მის მაგივრად უზრუნველად დაფრიალობდა მაშო: ყოველთვის ჩინებულად მორთულ-მოკაზ-მული, და ყოველიერ მომხდარ-გაგონილს, თუ ნაგრძნობს უზია-რებდა ქეთინოს, იმისთვის კი არა, რომ მეგობარი იყო, არა მარტო მისთვის, რაღაც ჯერ ეს ერთი არ შეეძლო დაეფარა რამ, რომ არ წარმოეთქვა, მეორეც ესა, აგრძნობინებდა დას, თუ ამ რა მნიშვნელობა მქონია ხალხში, კარგა დაიხსომე და შენც ლირსეულად პატივი შეცი, დამმორჩილდი, ჩემს აზრებს გუნდრუკი უქმიერ, რაღაც უფროსი, თითქმის მბრძანებელი ვარო. ქეთინო ხან გულ-დაშვიდებით უსმენდა, ხან სევდა მო-რეული თავს არიდებდა. ქეთინოს სხვაფრივ მიუწევდა გული, მაშიასადამე, მაშოს ლაპარაკი ვერ დააკმაყოფილებდა, არ ახა-ლისებდა.

— ჩვენ გვინდა თავისუფლება, თავისუფლება, რომელიც დაგვიდგამს ოქროს ტახტსა და მაზედ მეცედ დაუკსვამს, ჩვენ გვინდა კამარა შევკრათ ცაშია, გაესრიალდეთ, შევეხოთ, რა-საც კი სული უდგია, სცოცხლობს, ფეთქავს, არსებობს. ჩვენ გვინდა ყველას ჩივწვდეთ გულშია, ღონე შევიძინოთ, გავიზარ-დოთ და გავძლიერდეთ. შენთვის, ისევ შენთვის, ქეთინო, რომ უკვდავების წყაროს ცვარი მოგიტანოთ.—განიადგებით, სიზმარ-ში თუ ცხადად, ყურაში ჩასჩირჩულებდნენ გრძნობა-გონება. სა-შინელი ბრძოლა იყო აღძრული ქეთინოს არსებაში, საოცა-რის მოთმინებით კი ურიგდებოდა, ამშვიდებდა.

— დაიცა, იქნება ხვალ, ზეგ ღმერთმა ოდესმე ალდგომშა გამითენოსო!.. — იტყოდა ესა და შრომას უმატებდა. ქეთინო ყველაზე მეტად დაახლოვებოდა მარიკას, თუმცა ეს უკანასკნელიც ძალიან სუბუქად უყურებდა ცხოვრებას, მაგრამ რაკი უყვარდა ქეთინო, მეტად კეთილის გულისა, საიდუმლოების მტკიცედ დამტკიცელი მოსჩანდა, ამის გამო ამათი მევობრობა უფრო შესაძლებელი იყო. ეს სხვებზე უფრო მეტად გულდასმით ითვალისწინებდა მევობრის აზრებს, თუ სურვილთა, შესაფერ ნუგეშს აძლევდა, ამნევებდა, ურჩევდა მოთმინებას, ეხეწებოდა თავი დაენებებინა ამ შეკეტილ ცხოვრებისთვის, გამოსულიყო ხალხში, რათა იქნება შეხვედროდა ღვთისნიერ განათლებულ კისმეს, რომ ამისი ნატერა-სურვილი განეხორციელებინა, მაგრამ ქეთინოს თავმოყვარება არ ეთანხმებოდა.

— რას მეუბნები, მარიკა? როგორ გამოვიდე ამ მცირე ცოდნით?.. რა გავაკეთო? — წარმოსთქეამდა აღელვებით, როდესაც ერთად ისხდნენ მარიკას ოთახში და გულ-გახსნით ლაპარაკობდნენ.

— ჩაიცვი, დაიხურვე, იმხიარულე. მაში ყველასგან ხელით სატაცებელია. შენ იმაზე ნაკლები რაში ხარ შერე?

— ჩაკრია-დახურვა, მხიარულება, ცეკვა-თამაში? ოხ, რა მცირე, უმნიშვნელო მიზანია, მარიკა! არა. თუ ვიქნები, ვიყო რიგიანად, თვალსაჩინოდ, თუ არა-და — შორს, დაე ისევ ნადირი მიწოდონ, მაინც შელავათია, რადგან კარგა არ მიცნობენ.

— ღმერთმა ინგბოს, აგისრულდეს, აგისრულდეს ყოველი ნატერა, მაგრამ მაგ სურვილების მექონე ძნელად თუ იგრძნობ თავს ბედნიერადა, ქეთინო?

— ბედნიერად? ბედნიერი ეიქნები მაშინ, როცა ჩემი მხარერობა გამოილებს ნაყოფს, შევიძლებ მისს საკადრისს სამსახურსაც. ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩემს ქვეყანაში შევხდები ნამდვილ ქეშმარიტ ადამიანებს, განათლებულთ, პატიოსანთ, თავშეწირულთ! რა უნდა ვყოფილიყავ, მარიკა, რომ ღმერთს არ მოენიჭა ჩემთვის სურვილი ხატვისა, წყურვილი წიგნების კითხვისა! მერწმუნე, დღევანდელზე მეტად უუბედუ-



რესი.—დაუმატებდა ქეთინო, თვალები კი მუდამ ყურადღებით აკვირდებოდნენ მეგობრის სახის მეტყველებას, რათა გაეგო, როგორ იძოქედებლნენ მასზე ეს სიტყვები. ხშირად შემოვიდოდა პალიკოც კრძალვით, მოწიჭებით ბოდიშ მოიხდიდა, ითხოვდა ნებას, ესევ ამათთან მისცემოდა სასიამოვნო ბაასსა. ქეთინო ღიმილით ნებას დართავდა. ამას უკვირდა, როდესაც ხედავდა, რომ დღემდის დაუდევარი პალიკო მუდამ მოხდენით გამოწყობილი ჩერქესკაში, ლაზათიანად, თავდაჭერით იყურებოდა, მის სიტყვა-პასუხსაც ემჩნეოდა სიფრთხილე. მისი გონიერი თვალები ხშირად უზომო გრძნობით შემოაჩერდებოდნენ, ეს კი ვითომუ არ ამჩნევდა ამ ფარულ აღტაცებასა. ესენი ხშირად შეეხებოდნენ ცხოვრების ყოველდღიურ საჭიროობროტო საგნებს; ქეთინოზე მეტად მწვავად მოქმედობდა და სულით და გულით გაიტაცებდა ხოლმე ლაპარაკი.

— მეტად სასტიკად გვეპყრობით, კნიაჟნა, ჩვენგან ითხოვთ შეუძლებელს... თუმცა ნაკლებად, მაინც თითო-ოროლა აქაც მოიპოვება კეთილ-გონიერი, სინიდისიერი ადამიანი... წიგნებში აღნიშნულნი გმირნი უფრო მეტად ოცნებისაგან შექმნილან და ნუთუ განსხვავება არ უნდა იყვეს ამათსა და ნამდვილ ცხოვრების შვილთა შორის? — უთხრა ერთხელ პალიკომ, როდესაც ქეთინო აუწერდა მათ ერთ-ერთ რომანის გმირის ლისკებათა.

— მართალსა ბრძანებთ, კნიაზო, მაგრამ ნუთუ ყოველმა გონიერმა შეგნებულმა კაცმა არ უნდა დაავალოს თავისი მოძმე სულისა და გონების განვითარებაში, შრომაში?... რას შესდგომია ჩვენი ხალხი!... რას ალევენ თავიანთ ღონეს, ჭკუას, ენერგიას? მეტად მავნებელ ცუდაობასა, რომელიც დასაბამია ყოველ ბოროტებისა და სისაძაგლისა! — ამ სიტყვებზე პალიკო გაიწურა, შერცვა, მარტო ეხლა იგრძნო თავისი თავის სიმცირე, არარაობა. ქალი კი ყურადღებას არ აქცივდა მის სახის ცვლილებას, ვერც კი ამჩნევდა, შეწითლებულის ლოყებით, გატაცებული შეტად მომხიბელელი მოსჩანდა.

— მაპატიეთ, კნიაზო, რომ ამ საკითხავით მოგმართავთ, მაინც, როგორც პატიოსანი კაცი, მეტყვით გულახდით თუ რა უჟადევნს თქვენი ცხოვრების მიზანს?... — პალიკო ჩაფიქრდა, კარგა სიჩუმის შემდეგ დარცხვენით უპასუხა:

— მართალი ბრძანდებით... დღემდის ჩემი მისწრაფება-მიზანი იყო მარტო სიწყვდიალე, მაგრამ დღეიდან კი...

— დღეიდან რაღაა?

— დღეიდან ჩემი სურვილი იქმნება დავიმსახურო თქვენი კეთილი აზრი, მეგობრობა!... — ქალმა კვალად გაიღიმა.

— ჩემი მეგობარი იქმნება ის, რომელიც სიტყვებს თან საქმესაც მოადევნებს. დიდი ოვალუკარეობა ხომ არა სჩანს, კნიაზო? შეშინდით? მაშ უკანვე დაიბრუნეა ეგ სურვილი.

— არა, დღეის იქით ყოველ ლონეს ვიხმარ, ვიყვე ის, რაც თქვენს სულსა და გულს სწყურიან... თუ ვერ შესძლებს ჩემი არსება, ეს სულ სხვაა, ჩემი ბრალი აღარ იქმნება, მაშინ კიდევაც მოვკვდები, თუ არა-და — გავიმარჯვებ.

— მართალია ბრძანებთ? მაშ თავს ანებებთ ჭინანდელ მისწრაფებათა?

— როგორც პატიოსანი კაცი, კნიაზნა!

— მაშინ მიწოდეთ თქვენი მეგობარი! — ქალმა ხელი გაუწოდა, პალიკომ მოწიწებით მაგრა ჩამოართვა... პალიკოსაგან აღთქმა მეტად გულწრფელად იყო წარმოაქმული, მაგრამ ქეთინოს ეჭვი არა შორდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ ის ვერ შესძლებდა აღთქმის შესრულებას, ამ სიტყვებსაც ჩვეულებრივად ქარი წაიღებდა. მაგრამ იმ შეხვედრის შემდეგ დიდი ცვლილება შეამჩნია ქეთინომ პალიკოს, რომელიც ჩამოეცალა წინანდელ მოქეიფეთა, ჩაუჯდა წიგნების კითხვას, მამულს მუყაითად მოეჭიდა და დღიოთ-დღე მართლადაც დიდის გულმოდგინებით ეწეოდა დღემდის სრულიად უცნობ ცხოვრებას. ქეთინო დიდ მადლობასა ჰგრძნობდა, მარიკაც ხშირად უცხადებდა ძმის აღტაცება - თაყვანებასა, ქეთინოს გული კი მაინც განაგრძობდა გრილად ყოფნასა. პალიკოში ვერ ხდავდა ეს იმისთანა ძალას, რომელსაც შეეძლო დაემონა ქეთინო, ამის

სულის და გულის მშრანებელი გამხდარიყო. ქეთინო კი არა ერთხელ ნატრობდა ამგვარ არსებას, მაგრამ ჯერ კი არსადა სჩანდა.

## vii

ქეთინო განაგრძობდა ჩაკეტვით ყოფნას ჯეროსა და წიგნებთან ერთადა. მარტო დილით, ან საღამოთი, როდესაც ბუნება ეპირებოდა მოსვერნებას ან გამოფხიზლებას, ეს ჯეროთი წინ ეგებებოდა, აძლევდა გამარჯვების საღამსა, საღამოზე კი უგზავნიდა ლოცვა-კურახევას მოსასვერნებლად. ამასობაში დღეები გარბოდნენ, დროს ჯერ ახალი არა მოეტანა-რა. ქეთინოს ხშირად ეყურებოდა გაიანეს ძმის ქება-დიდება, ის ორჯელაც ყოფილიყო ძმის აქ არ ყოფნაში. მეტადრე ქალები ფუტკრებსაეით განუწყვეტლად შეზუზუნებდნენ ყურში ოქროს სახელსა.

— ოხ, დედავ, რა მშენიერი, გონიერი და კკვიანია! — აღტაცებით იტყოდა მაშო, როდესაც ჩამოვარდებოდა ლაპარაკი ქეთინოსთვის უცნობ პირზე.

— რა დღე მომასწრობს იმ ბედნიერებას, შეიღო, რომ ის შენი გახდებოდეს!.. — დაუმატებდა თეკლეც.

— ჯერ კი დიდი იმედი მაქვს, დედა, და!.. ოქრო რომ იყო აქა, ჩემ გარდა არავისაც არ აქცევდა ყურადღებასა. შენი ჭირიმე, სანამ მოვიდოდეს, პირისფერი კაბა გადამიკეთებინე. ბევრი აიღონ, სამი თუმანი ხელფასი, მეტს ხომ აღარ?.. შემდეგში ერთი-ორად გადაგიხდი, ჩემო დედავ, როდესაც ოქროს შეძლება ხელში მექმნება.

— სამ თუმანზე როგორ ვიტყვი უარისა, შეიღო, ოღონდ კი აგისრულდებოდეს ნატვრა!.. ქეთინოსაც მინდა შევუკერო.

— ქეთინოსთვის ჩემი კაბა გადააკეთებინე. ხომ სულ ახალია? ის მაინც ანგრე რიგად ყურადღებას არ აქცევს ჩაცმასა. მეც, იმასაც — შენთვის ძრიელ საგრძნობი იქნება, გენაცვალე. საღარის იმდენი? დედა არ მომიკვდეს, ეგ შემთხვევა რომ არ იყვენ,

არც მე მოვინდომებდი, მაგრამ რა ვქნა, მაგითი ვა თუ ბედი გამიბრუნდეს და რაც უფრო აღრე გავოხოვდები, ქეთინოსთვის სამჯობინოა...—დასძნდა გულშემატკიცარი მაში და თან თითქმის ყოველ საათში სამჯერ თუ თოხვერ სარკის წინა ტრიალებდა, ითვალიერებდა ყოველ სახის მოძრაობას, სიჩრდის, ან ლაპარაკის დროს.

— არა, ის ჩემია! ნამდვილად ჩემი იქნება! — შესძახებდა დარწმუნებით, შემოტრიალდებოდა ცალ ფეხზე და სიამოვნების ნიშნად ხელის თითებს ჰაერში გაატყაცუნებდა.

— ნეტაი მაჩვენა!.. რა არის იმისთანა, რომ ასეთი სანატრელი გამხდარა!.. — ფუქრობდა ამ დროს ქეთინოც, როდესაც ეყურებოდა ეს ლაპარაკი. აგრეთვა ზაფხულში მოვიდნენ ოქრო, მაყინე და იასონი, წვეულება წვეულებას მოჰყვა. ქეთინო ეს-წრაფებოდა ოქროს ნახვასა, ადგილიდან კი არ დაძრულა. მაშის მოჰყონდა საიმედო აბებითავის შესახებ... როგორ ეტრუოდა მას ოქრო, რა სხვა-და-სხვა სამკობ სიტყვებს აგონებდა. არც მარიკა იყო იღტაცებას მოკლებული და უამბობდა ყოველივე ნახულ-გაგონილს ისე, რომ ქეთინო ოქროს იცნობდა უნახვად.

— მეტად წუწია მაკინე. რავდენადაც ოქრო თავდაბალი, კეთილია, იმდენად ის ხატაეს უკადრისობა-ამაყობასა. თითქო კიდევაცა სწყინს, როცა მისი ძმა დაელაპარაკებდა ვისმეს. მაგრამ ვინ შეეპოება! — ამბობდა მაში ერთხელ, როდესაც მარიკა და ეს ისხდნენ ბალის კარებთან, ლაპარაკობდნენ წინადლის ნადიმზე. ქეთინოც იქვე ახლო დადიოდა, გაჩუმებული გულმოღვინედ უსმენდა.

— დღეს საღამოზე ხომ ვაპირობო ცხენებით სეირნობას, არ ემზადები, მარიკა?

— როგორ არა, ქალო, ჩემი საცხენოსნო კაბა უკვე მომზადებულია.—მიუგო მარიკამ.

— საწყალი შაქრო! რარიგადა სწყევლის იმ საათს, როცა ოქრო აქ გაჩნდა.—დაიწყო ისევ მაშომ.

— რადა?

— რაც ის აქ არის, შენი ყურადღება აღარა ღირსებია და თუნდ სიცოცხლე გაგინახევრებია, მისთვის ნაკლები ნაღველი არ არის.

მარიკამ გაიღიმა.

— მაშ აქეთ ჩამოიცლიან ცხენებით!.. დავინახავ მთელი სოფლის სალოცავს?.. — გულში ფიქრობდა ქეთინო. მზემ გადიწვერა, ეს გამოვიდა რვეულით დასაკუთრებულ ადგილზე. ერთი კვირა იყო, რაც დაეწყო ჯეროს ხატვა, ეხლაც განაგრძო. რავდენისამე ხნის შემდეგ ქეთინომ დაინახა შაქრო, მას მოსდევდა ვიღაც უცხო ყმაწვილი.

— ის არის!.. — გაუელვა აზრმა თავში, თითქო არც იმა ამ დროს მისი შეხვედრა... უნდოდა გაქცეულიყო, მოშორებოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, მუხლები არ დანებდნენ, გაჩერდნენ ერთ ადგილს უძრავად; გულმა იწყო ტრედსავით ფრთხიალი, თვალები ცდილობდნენ თქროს კარგა გასინჯეს. — ქეთინოს მოეწონა.

— ღმერთო, ნუ თუ მართლა მაშოს ბედია! — ამ სიტყვებით ქეთინომ თავი შეიმაგრა.

— არა, განებიერებულია, გალალებული! შორს!... გადასწყვიტა, მიაკილა სახლის კარამდის და თვითონ მოშორდა. მაგრამ ქეთინომ წუთს ცვლილება იგრძნო. სულსა და გულში შუქი ჩაეფინა, არსება გაუფხიზლდა, მოშორდა წინანდელი უფერული, ერთგვარი გარინდებული მდგომარეობა, კეკლუცობამ ხელი შეახო, ხშირად იხედებოდა სარკეში, აკვირდებოდა სახის ნაკვთხა და კმაყოფილი ილიმებოდა.

— თავი დაანებე მონაზნურ ჩაკეტილ ცხოვრებას, გამოდი ხალხში, ქეთინო! — ეჩურჩულებოდა სარკეც.

— გაშალე ფრთხები, ღაბუავ, იფრინე, ნაზის ფრიალით თვალი მოსტაცე, ღაატყვევე! — განაგრძობდა ის.

— ვინ?... რა?... — და ამ საკითხავებზე ქეთინო კვლავ ჩაიქნევდა ხელსა და დალონებით წარმოსთქეამდა:

— ვინ?... როცა ქვეყანა ცარიელია! რა?.. როცა ყველა შეუმცნეველია და უღირსი?.. დღეს კი ქეთინო მაცდურად

მარტო იღიმებოდა, არა სჩერეკავდა ამ საკითხავებს. თითქმ ეცნო ამოღებული ნიშანი, ქვეყანა გაძლიერებულიყო, აღელ-ვებული გული ინაბებოდა, ფონება სჯიდა, მისდგომიდა დაშ-ტყვევებელს, სასოწარკვეთილი აღარა კვნესოდა. უებარი ბალზა-მი მოსცხებოდა, მაგრამ ჯერ კი მკურნალი ვერ ეცნო.

— არა, ქეთინო აღარ ჩაიკეტება. ხალხი უნდა გაიცნოს, თავისუფალი გზა მისცეს ნიჭის წროვნას, სხვის დაუხმარებლად, რაც უნდა მშრომელი, მეცადინე იყვეს, მაინც მალე ვერ და-კმაყოფილდება. გადაწყვეტილია, როცა ოქრო მოვა ამათსა, ქეთინო აღარ მოერიდება, გამოვა. რარიგად გაუკვირდებათ!... რაც უნდა სოქვან, რა ენალვლება! ვისთან რა საქმე აქვს?... — ასე ფიქრობდა ქეთინო, თან უყურებდა, მშვენიერ ღამეში ცხენებით მოსეირნენი როგორ მიღიოდნენ წყობილად. აგერა ორნი დაწინაურდნენ, ქეთინო დააჩერდა. დაინახა მაშო და ოქრო. ოქროს ცხენი ხვითქში სცურავდა, ხან მიუახლოვდე-ბოდა მაშოს ცხენსა ისე, თითქო სრულებით შეუერთდაო, ხან მოშორდებოდა.

— ღმერთო, ოქრო ჩვენი გახდეს! — სოქვა ქეთინომ, მაგ-რამ გული დაუმტმდა.

— რა მიზეზია?.. — უეცრად თვალებიდან ღაპა-ღუპით წა-მოსცივდა ცრემლები და ანგარიშ-მიუცემლიც დაილაპარაკა:

— განა ჩემამდის ვინ მოაღწევინებდა?... ვინ დამანებებდა ქვეყნის სათაყვანოსა? — ქეთინო მალე შევიდა უჩვეულო ოც-ნებაში, თუ დღეის იქით როგორ შესცვლის ცხოვრებას, წავა ქუთაისს დასთანა, დაუახლოვდება იქაურ საზოგადოებას და გაიცნობს მას. მათიკო შეძლებული ქალია, მასშავლებელს მოიწვევს, გაკვეთილები წინ წაიწვევნ, გახდება სანაქებო მხატ-ვარი. ოღონდაც! ამ სოფელში ვეღარ დარჩება ქეთინო, ვერა, ვერა! ქალს სწყუროდა ახალი რაღაც, რომელიც ვერ გამო-ერკვია, წინანდელზე მეტად იწყო ხეტიალი სხვა-და-სხვა ადგი-ლებში თავის ჯეროსთან ერთადა.

— შორს აქედანა! მოსწყინდა ეს ცა და დედამიწა, თუმცა ერთი წელიწადია, რაც აქ არის, მაინც შორს!... — იმეორებდა



ქეთინო და შორს რა იყო ან სად — ესეც ვერ გაეგვია ვერ გაეგვია ნაღვლიან ფიქრებით გარემოცული ქალი იჯდა და ხატავდა, როდესაც ილიკომ ჩამოიარა ცხენით, მას გაატანა წერილი მარიკასთან, რადგან უნდოდა ჩვეულებრივად დაელვარა მის წინაშე თავისი სევდა-ვარამი. ილიკომ მალე მოუტანა მარიკასგან ბარათი, ატყობინებდა, საქმეების გამო არ შემიძლიან მოსვლაო. ქეთინო კარგახანს იყო დაღონებული, ამ დროს ჯეროც დაინახა განზე, თითქო მოწყენით, შეეცოდა პირუტყვი, წამოდგა და ხელი გაუშვირა.

— ჯერო, წავიდეთ აიქ მაღლა. — უთხრა მან. — იქ ჰაერი სუბუქია, სუნთქვა გაადვილდება. ჩვენ აკი მარტონი ვართ, ჯერო, მეტნი! არცარა ვის უნდივართ, ჩემთ ძვირფასო, — დაუმატა ქალმა, აკოცა თვალებში მეგობარს. გაიგონა თუ არა ჯერომ ალერსიანი ხმა, სიამოვნების ნიშნად წაიზმუილა, გაუძლვა მორჩილებით წინა. ესენი მიდიოდნენ მაღლა-მაღლა. იგრძნო თუ არა ჯერომ მაღლობზე ყოფნა, ქალს აღარ მოუცადა, გაიქცა წინა. ქეთინოც მიჰყვებოდა ჩაფიქრებული ნელა-ნელა. აგრია შედგა, თავი აიღო, შეისუნთქა ცელქი ნიავი, მაგრამ ჯერო ვეღარსა ნახა. არ შეშინებია, რადგან ჯეროს ხასიათადა ჰქონდა წინსვლა, შემალვა ბუჩქებსა და ჩეროებში, ხან ისევ ამის წინ გამორბენა.

— სადა ხარ, ცელქო?.. — ხმა მისცა ქეთინომ, მაგრამ მაინც ვერ დაინახა. გულმა შიში იგრძნო.

— იქნება ჯერო საღმე ხევში გადავარდეს, ან გარეული ეგონოს ვისმესა და მოჰკლანო?... ჯერო მოჰკლან, ქეთინოს ძვირფასი, შეილივით ალზრდილი ჯერო, რომელიც პაწია ნუკრი მოუყვანეს მონასტერშივე ყოფნის დროსა და მას აქეთ თავს ეცლება ქალი?

საკმაო იყო ქეთინოსთვის ეს ფიქრი, რომ ყოველი ნაღველი გაყრუებულიყო მასში, მუხლებს ლონე მისცემოდათ; ნიავსავით ჩეარა გასწია, მარტო ხანდისხან გაისმოდა ძაბილი და ამ ძაბილს ხმას აძლევდა ხოლმე შორიდან მოჩინარი ხევი... ქეთინო ვაკეზე გავიდა, გაჩერდა, ვეღარ მოახერხა ფეხის წინ წადგმა.

დაინახა ხის ქვეშ წიმოწოლილი ყმაწვილი კაცი, მასთან მისულიყო ჯერო, უალერსებდა. ისიც ხელს უსამდა ზურგზე, ხშირად თვალებსაც ამოუკოცნიდი. გვერდზე დაწყობილი წიგნები და ჯოხი ამტკიცებდნენ, რომ ეს ახალგაზდა არ იყო შორეული, არამედ ბუნებასთან საბაასოდ, საოცნებოდ გამოსულიყო. ქალი დააშტერდა, იცნო ის, სწორედ ის, ქვეყნის სათაყვანო. ქეთინოს გულმა კვლავ შეიფანცქალა, იგრძნო მოკრთალება და სიამოვნება ერთადა. როდესაც ნახა, რომ შორს წამოსულიყო, შერცხა.

— მერე რა იკოდა, თუ ოქრო აქ დახედებოდა? დაბრუნებულიყო? გაფრენილიყო? არ ივარგებდა, რადგან ოქრო უკვე მოდიოდა ამისკენ.

— მეტად თავაზიანი, პატიოსანი ყმაწვილია! ბევრჯელ გაუგონია ოქროზე, თვალებიც უმტკიცებდნენ. ქალი გაჩერებულიყო და არ ინძრეოდა, ყურს მიუგდებდა გულის გაშურებულ ძერასა.

— დილამშვიდობისათ! — წარმოსთქვა ახლო-მოსულმა ოქრომ და კრძალვით თავი დაუკრა. ქალმაც ხელი გაუწოდა.

— მოულოდნელმა შემთხვევამ შეგვახვედრა, კნიაჟნა, ერთმანეთს ამ შშვენიერ აღგილზე. ხომ არა ჯავრობთ? — ოქროს წყნარმა სიტყვა-პასუხმა ქალი გაამნევა, წუთს შიში მოაშორა.

— გასაჯავრებელი რა არის? მგონი არც ერთმა ჩვენგანმა არ იკოდა, თუ აქ დავუშლიდით ერთი მეორეს! — უთხრა ქეთინომ.

— ბარემ სთქვით — დამიშლიდით — თქო... რახან აგრეა, არ შეგაწუხებთ, მოგშორდებით. — უთხრა ოქრომ, სახეზე ჩრდილმა გადურბინა.

— არა, მე თქვენ სრულიადაც არ მიშლით, მაგრამ...

— მაგრამ?

— აკი წიგნსა კითხულობდით? ჩემმა ჯერომ დაგიშალათ, სიამოვნება მოგაკლოთ.

— ერთმა სიამოვნებამ მეორეს აღგილი დაუთმო.

— სხვა რაღა გეთქმით? ერთრიგად არ მინდოდა წაშმენვ-ლა, განა არა ვიცოდი მაგ ცელქის ამბავი, ჩემს ახლო არ დად-გებოდა.

— ჯერო იმდენად გონიერია, რომ მოუფიქრებლად არ-სად წავა. განა, ჯერო, შენს შბრძანებელს ემორჩილები? — დიალ, ეს წინ წამოსულა, რათა გზა დაეთვალიერებინა, გაეგო თქვენი გასავლელი რავდენად უშიშარი იქმნებოდა. დამინახა თუ არა, გაჩერდა, პირველში რქები დამიპირდაპირა, შემდეგ მიც-ნო, რომ მეც თქვენი კეთილის მოსურნე ვიყავი და მომილა-ქუცა. მეტად გულკეთილია.

— მაგრამ უზრდელი! — დაუმატა ქალმა.

— თქვენთან ბოდიში იხდის, შინ დაბრუნდება და დაის-ჯება. როდესაც ოქრომ ნახა, რომ ქალი ეპირებოდა წასვლას, გულში დაენანა.

— რა იყო, კნიაუნა, იმ დღეს წამობრძანებულიყავით ცხე-ნებით? — ჰკითხა ოქრომ.

— მერე რა არი? .. უჩემოდაც, მგონი, არა გიშავდათ-რა? .. — სთქვა ქეთინომ, თვალებში თითქო საყვედური გამოუკრთა, მიაჩერდა ოქროს.

— მერწმუნეთ, გვაკლდით. თუ სხვებს არა, მე მაინც, რად-გან გულით მინდოდა თქვენთან ლაპარაკი იმ საგანზე, რა სა-განიც, მგონი, რავდენადაც თქვენ გეყურადღებებათ, იმდენად ჩემი გული ნაკლების სურველით არა სძგერს მისოვის.

— რაზე? .. არ ვიცი! — ქეთინომ თვალები მიმართა ზეცას.

— მხატვრობაზე. — ამ სიტყვების გაგონებაზე ქეთინოს სა-ხე სიამოენებით გაბრწყინდა, მოუტა თვალები და მერე გაოცე-ბით შეაჩერდა მოლაპარაკეს. ოქრო მიხვდა, რომ სწორედ სა-გულისხმო კითხვას შეეხო, იამა, რადგან ქალმა უშვა ხელი ჯეროს საყელოს, რომელიც დაეჭირა წასაყვანადა.

— განა მხატვრობა თქვენი უსაჭიროები, გულის ნათესავი საგანია?

— დიალ, მე ვხატავდი ამას წინად, დღესაც თავს არ ვა-ნებებ. როდესაც მოვედი აქა, თქვენზე მიოხრეს, ძალიან უყ-

ვარს ხელოვნებაო. ვცდილობდი მენახეთ, გამეცანით, რაღაც ხომ მოგეხსენებათ, რომ ერთის საგნისკენ მსრბოლი ორი გული, ერთის იდეალით გამსჭვალული ადამიანები, რაც უნდა შორეული, უცნობნიც იყვნენ ერთმანეთისათვის, უფრო მახლობლები არიან, ვიდრე ერთი დედ-მამის შვილნი.

— მაშ თქვენ გიყვართ მხატრობა?.. ფიქრიანად გაიმეორა ქეთინომ.— მართალი უთქვამთ, კნიაზო,— განაგრძო მან.— ხატვა ჩემი მისწრაფებაა, მწყურიან მისი შემუშავება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერა სრულდება.

— რატომ?

— იმიტომ რომ... არა... შემდეგს ვეღარ გეტყვით...

— თქვენი ნებაა... არ ჩაგაცივდებით... ამისრულეთ კი ერთი სათხოვარი.

— თუ შესაძლებელი იქნება რატომ!..

— პატარა ხანს დარჩით კიდევ აქა. გავიაროთ, მსურს სწორედ მაგ საგანზედ მოგელაპარაკოთ. მშვენიერი ბუნება, თქვენისთანა კეთილი, გონიერი ქალი, ყველა ეს ჩამხახის ყურში:— მეგობრობას, კარგ ნაცნობობას რა სჯობიაო? მეგობრობის თხოვნა, რასაკვირველია, მეტი იქნება ჩემგან, კარგ ნაცნობობას კი ხელს ნუ ჰქონეთ, კნიაფნა! შეგიძლიანთ?

— განა თქვენ მეგობარი არა გყავთ?

— მყავს, მაინც თქვენი ნაცნობობა და ბოლოს სანატრელი მეგობრობა შეუძარებელი იქმნება მასთან. აღარ მომერიდებით? ყველგან, სადაც შეეხვდებით, ხომ დამელაპარაკებით ასე, როგორც ეხლო ვლაპარაკობთ?..

— შეიძლება. მაგრამ რომ არავისთან დავდივარ ხშირადა?

— ვთქვათ სულაც არავისთან წაბრძანდეთ, შეიძლება, როცა მოცლილი იყვეთ, ჩემი ნახატები გიჩვენოთ?.. ქალს კვალად სახე გაუბრწყინდა.

— რატომ! მაშინ შეიძლება მეც გაებედო ჩემი ნაშრომის ჩვენება.

— წარმოიდგინეთ, რა აზრი მომივიდა თავში. მე მსურს დავხატო ჯერო. ნებას მომცემო?

— ჯერო თქვენთან ვერ წამოვა. თუნდ წამოვიდეს, არ მიამება, ვერ წარმომიდგენია ერთს წამსაც კი უჯეროოდ ყოფნა. მაპატიეთ.

— მაშ ნება მიბოძეთ მოვიდე ხოლმე თქვენსა, ვიდრე ხატვას გავათავებდე, მგონი ამითი თქვენ არაფერში დაგიშალოთ? ქალმა თანხმობის ნიშნად მოხდენით თავი დაუქნია, ყმაწვილმა კაცმა ფეხი წინ-წადგა.

— ავრე, კრისტიან, ეხლა კი ჩვენ კარგი ნაცნობები ვართ? ქეთინომ გაიღიმა. ეს აღარ ჩქარობდა შინისკენ. ოქრო გვერდით მისდევდა. კაბის ცისფერ, განიერ სახელოების ნაკეცები ფრიალებდნენ, მშვენიერი მოყვანილი ტანი მისცურავდა მწვანეზე.

— გეტყობათ, წიგნების კითხვა გყვარებიათ? — იკითხა ქეთინომ, ანიშნა ხის ქვეშ დაწყობილ ქაღალდებზე.

— ძალიან. მაგაზე უკეთესი რა არის კაცის ჭკუა-გონებისთვის? თქვენა?

— მეცა. მაგრამ კარგ წიგნებს ძვირადა ვშოვობ. უფრო მეტ დროს უბრალო მწერლებს ვანდომებ.

— მე მოგართმევთ.

— გმადლობთ.

— ხომ იცნობთ რუსეთის მწერლებს: ტურგენევს, ტოლსტიოს, გოგოლს, პუშკინს თუ ლერმონტოვს?

— ჩემდა სამწუხაროდ, ყველას არა. მაგალითად, დოსტოევსკის ძალიან მცირედ, მარტო ორი სამის ნაწერით.

— ამ დღეებში გამოგიგზავნით... იმედია, შემდეგ კიდევაც ვიბაასებთ მათზე?...

— ოხ, გმადლობთ... — განიმეორა ქალმა, სიხარულისაგან სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა.

— ახლა კი ბოდიშს ვიხდი თქვენთანა, კრისტიანი, — დაუშატა კარგა სიჩუმის შემდეგ.

— რაზე?

— სახლში უნდა წავიდე. ჩვენები ლოდინს დამიწყებენ, უკვე მეორეა, — ქალმა საათი უჩვენა.

- თქვენი ნებაა. შეიძლება მიგაცილოთ სახლამდის?..
- არა, გმადლობთ. ნუ შესწუხდებით, მე თვითონ წავალ.
- ეს პასუხი იყო მტკიცე, ოქრომ ვეღარ გაბედა თხოვნის განმეორება და თავი დაუკრა.
- მაში იმედი ვიქონიო თქვენს კარგ ნაცნობობაზე?
- იქნიეთ, ჩემ ჯეროსაც მოლოდინი ექმნება!
- უსათუოდ... დიდის სიმოვნებით დავუკმაყოფილებ გულკეთილ ჯეროს ყოველ სურვილსა.— ქეთინომ დაუჭირა ჯეროს საყელო, სახლისკენ წაიყვანა. ოქრო კი ისევ დაუბრუნდა თავის წიგნებსა.

## vii

ერთხელ მაკინე პირისფერ ხალათში მეტად მომხიბელელად იყურებოდა, მისჯდომოდა სასტუმრო ოთახის ღია სარკმელს, საიდანაც შემოდიოდა ბალის ვარდ-ყვავილის დამათრობელი სუნნელება, და წარბ-შეკრული რაღაცას ჩქარ-ჩქარა ჰქონდა. იქვე გაიანცე გულმოდვინედ ჰკერავდა საკერავს, ამათ გარდა ოთახში არავინ მოსხანდა. უცნობს ესენი ძნელად დააჯერებდნენ, რომ ერთი დედ-მამის შვილნი იყენენ. მაკინეს დიდებული სანახაობა, გაიანეს მორჩილი, გარინდებული ყურება, უსიცო-ცხლო, უაზრო თვალები ერთმანეთს არ შეესაბამებოდნენ. გაი-ანე იყო ფერმკრთალი, მაგრამ ლაზათიანი სახე ჰქონდა, მნახ-ველს ესიამოვნებოდა.

— მართალს ანბობ, განო? მაში ვერ ვიკარებთ იმ გომ-ბიოსა?...—ჰკითხა მაკინემ.

— შენმა სიცოცხლემ. ზედ გადავაკვდი, მაინც არ იქნა. საქმეები მაქვსო.—უპასუხა განომ. მაკინე ჩაფიქრდა, მიიხედ-მოიხედა და დაბალის ხმით განაგრძო.

— ერთ რიგად კარგია, რომ ოქროს მოსწონს, სხვაგან აღარ გაიწევს, მაინც მეშინიან...

— რისა?...

— ეგ მოწონება ვაი თუ ნამდვილ უხუმარ გრძნობად გარდექცეს.

— არა მეონია.

— ასე რომ მოხდეს?...

— რაღას ვიზამთ!..

— ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს. მაშ ძმის ბედნიერება არ გინდა?

— რას ლაპარაკობ?! ძმის ბედნიერება არ უნდა განოს?!

— გაოცებით შესძიხა გაიანებ.

— ჰო-და, თუ ოქროსთვის ბედნიერება გსურს, გაუფრთხილდი. ცოტა ოსტატობითაც თუ მოიქცევი, ძალიან კარგი იქნება.—გაიანეს შიში და გაოცება აღუჩნდა სახეზე.

— ჩვენ ვეცადოთ, ყოველისფერი გაეიგოთ ხოლმე, რაც კი მოხდება, ან იგრძნობება ოქროსა და ქეთინოს ზორის. თვალყურის დევნება ძალიან საჭიროა. ამაზე რას იტყვი?..—მაკინეს თვალებმა ნაპერშეკლები გააბნიერ, გაიანე ჩაფიქრებული დაიყურებოდა საკერავზე.

— შენ უნდა დაუახლოვდე ქეთინოს,—განავრძობდა მაკინე,—ის, როგორც მეყურება, თუმცა კკვიანია, მაინც ყმაშვილია, გამოუცდელი. შეგიძლიან მიიბირო და გულის პასუხი ამოიცნო, თავი უჩვენე ისე, ვითომც მისთვისა ზრუნავ, ძალიან გინდა ოქროსათვის. მარტო მაშინ გაიგებ ყველაფერსა, გაიხსენე შენი ის წლოვანება, რა წლოვანებაშიაც ეხლა ქეთინოა. წარმოიდგინე რა რიგად მოქმედობდა ხოლმე შენზე, როცა გეტყოდნენ ის, ვისთვისაც არც შენ იყავი გულცივად, გაგიშებულიაო, შემოგტრფისო, გაიხსნე ყველა ესა და ისე იმოქმედე.

— მერე მაგითი ოქროს რა შეემატება?..—მაკინე შეკრთა ამ დაკითხებაზე, მაგრამ მალე თავი შეიმაგრა.

— დაიცა, განო, სიტყვას ნუ შემაწყვეტინებ, ქეთინოს შეატყობინე, რომ ოქროს მოსწონს, კიდევაც უყვარს, მაშინ ნახავ, როგორც მოიქცევა, და, თუ გონიერობა გამოიჩინა, არც მე დავდგები უარზე,—დაუმატა კარგა სიჩუმის შემდეგ მაკინემ.

— მინდა ჩვენს გაუგებრად არა მოხდეს-რა მაგათ შორის. გთხოვთ?

— ძალიან კარგი... — უპასუხა დაკმაყოფილებულმა განომ. — მაკინეს გულში უხაროდა, რომ პირველი ნაბიჯი უკვე შესრულებულიყო: ქეთინოს განოს მიუჩენდა, თვითონ ოქროს შეუდგებოდა, დაახლოვებდნენ ერთმანეთს, რავდენადაც სჭირდებოდა ოქროს გასართობადა, და, თუ ეს გართობა შეტოპავდა ძლიერ შორის, მეონი მაკინე მაშინაც შეიძლებდა საქმის სხევტრივ წაყვანას. ეს კი ვერაფერია, რომ არ მოდის. რაც უფრო ხშირად, თავისუფლად ნახავს ოქრო მას, მით მალე მოსწყინდება, მაგალითად, თამრო და სხვები. იშვიათად შეხვედრა კი არ იყო კარგი, რადგან, რაც მიუწოდებულია, მეტად სანატრელი და სასურველია. ეს კარგა იცოდა მაკინემ, ჯერჯერობით ქეთინო საშიშრად ეჩვენებოდა.

— ანგრე დაბეჯითებით რად ანბობ, მაკო? ოქროსა და ქეთინოს შორის არა არის-რა. ოქროს მეორედ უნახავს ქალი, მოსწონს, სხვა ხომ არაფერი?

— მოსწონს, ცდილობს მის ნახვას, გეხვეწება როგორმე მოაჩვიო, დღე თუ ღამ იმაზე მელაპარაკება, ნუ თუ, განო, ეს ცოტაა?

— რა ვუყოთ, ყმაწვილია. პირველში მაგან მაინც ანგრე იცის ხოლმე, მერე ჩვეულებრივად დაიყვავილებს.

— უჩქველია, ანგრე იქნება, მაგრამ აასრულე დავალებული.

— ბატონი ხარ.

— ქალბატონი, ვიღაც კაცია, კნიაზია კითხულობს, — წარმოსთქვა ამ დროს შემოსულმა მოსამსახურემ.

— რომელ კნიაზის? — ჰეკითხა გაიანემ.

— ოქროს, ბატონო.

— ტიტიკოსაგან იქნება გამოგზავნილი. წერილი აქვს?

— დიალ, გახლავთ.

— აბა მაშ მე წაგალ და გამოვართმევ. — სთქვა გაიანემ და ადგა ზეზე. გავიდა დერეფანში, სადაც გაიგონა ხმა-მალლა ლა-



პარაკი, რომელიც გამოდიოდა როსტომის კაბინეტიდან მოუმარტინებული ჩერდა, მიუგდო ყური, როდესაც გაარკვია ქმრისა და მოურავის ხმა, გასწია ისევ. როსტომი ჩამჯდარიყო სავარძელში. ფეხი-ფეხზე შემოედო, კრიალოსანს ათამა შებდა, კმაყოფილება ეხატებოდა სახეზე. წინ მორჩილებით უდგა მოურავი გრიგოლა, ამას სარტყელში ხელი ჩაეყო, ისმენდა ბატონის ლაპარაკს, დროზედ ფრთხილად პასუხს მიუგებდა. როსტომი ორმოც წელს გადასულიყო, შეხედულობა ყმაწვილისა ჰქონდა, მხარბეჭიანი, მაღალი ტანი, გამოწყობილი ქართულ ყურთ-მაჯებ გადაყრილ ტანისამოსში, მეტყველი თვალები სასიამოენო შთაბეჭდილებას ახდენდა ნაცნობზე. გრიგოლა უფრო ხნიერი მოსჩანდა, გონიერი, გამოცდილი. როსტომს კარგა ეცნო და ამაყობდა, თავს იწონებდა ამ ჭყვიან მოურავით.

— მაშ ჩეენი საქმე კარგად არის, ჰა, გრიგოლა? — წარმოსთქვა როსტომმა.

— დიალ, შენი ჭირიმე, იმედი მაქვს ჯერ ღვთისა და მერე თქვენის გონიერებისა, რომ საქმე ჩინებულად იქნება ან სხვა ფრივ როგორ უნდა იყვეს, როცა მაგ საქმეში ათას თუმანზე მეტი დაგვიხარჯავს?

— ისიც ნალდად ხომ არა, სულ ნასესხებ ფულზე! — დასძინა როსტომმა.

— არა უშავს-რა, ბატონო, ერთბაშად გადავიხდით...

— მაინც, მამა გიცხონდება, რავდენის იმედი გაქვს?

— რავდენსა და რომ პირი არ შევირცხვინო, ძან გადაჭარბებული არ მომივიდეს, სულ ნაკლებს მოგახსენებთ... იმედი მაქვს ორი ათასი თუმნისა მაინც.

— რას ამბო? არა მგონია! მეტის-მეტად აუკიდე. — წამოიძახა გახარებულმა როსტომმა, რომელსაც კრიალოსანი გაუვარდა ხელიდან.

— დალოცვილო, თქვენს ბრწყინვალებასთან როგორ გაზბედავ სიცრუეს! — როსტომი ჩაჩუმდა, წამოდგა, რავდენჯერმე გაიარ-გამოიარა, შემდეგ ისევ გაჩერდა და სთქვა: — ეს ყველა-

ფერი კარგია მომავალისათვის, ახლა, ჩემო გრიგოლ, დღეისთვის მას უნდა ვიფიქროთ, ჰა?

— ოღონდაც, შენი ჭირიმე...

— წარმოიდგინე რა როს შემომელია ფული და... ლა-  
მის შევრცხე ჩემს მოყვრებთან... მოურავს ტუჩებზე ლიმილმა  
შეუთამაშა.

— ეგ როგორ შეიძლება, ბატონო, რა ხუმრობაა! — უთხრა  
თავ-შემაგრებით მან.

— ასე კია და....

— ამ ერთი თვის წინად რომ ასი თუმანი მოგართვით,  
სულ დახარჯეთ?

— დავხარჯე მაშა!.. გავტყავდები და ძუნწად კი არ ვე-  
ჩენები არაის! რად მინდა თავი ცოცხალი, თუ იტყვიან, როს-  
ტომი უპურმარილოა?.. აღამიანი იმისთვის არის გაჩენილი,  
რომ ხალხის პირის წყალი უნდა იყვეს, თუ არა და მოკვდეს...

— ჰაი, ჰაი რომ აგრეა... ოჯახიც ხელს გიმართავთ თავისის  
დოვლათითა, ბატონო!

— ვეუო, ამ ჩენს საქმეს რომ ვეღარ ავართვით თავი,  
მთელი შემოსავალი იმას უნდება და რა! ჯერ კი ვერა დავი-  
ნახეთ-რა!..

— მოვითმინოთ ორი სამი თვე კიდევა, ბატონო! შემდევ  
გაიხარებთ...

— ოღონდაც, მაგრამ ეხლა კი ფული უნდა ვიშოვნოთ.

— თქვენი ნება არ არის?...

— მართალია, ჩემი ნებაა, მაგრამ შენც კი გმართებს და-  
ფაცურება.—გრიგოლი მიხედა, რაშიაც მდგომარეობდა ეს და-  
ფაცურება, მაინც არ შეიმჩნია.

— მიბრძანე, ბატონო, მგონი არც კვლავ დამიზოგნია  
თქვენთვის თავი და ეხლაც მზად გახლავარ...

— რომ გაჭირდეს, ორმოც თუმანს ვერ იშოვნი?... — ახლა  
კი ხმა დაიდაბლა როსტომშა.

— ორმოც თუმანს?!—განიმეორა ფიქრიანად გრიგოლმა  
და კვალად დააშტერდა იატაკს.



— რა იყო, გიძნელდება?... კარგ სარგებელს მიუჭირ, თუ მანზე თვეში ათ შაურს, ჰა, რას იტყვი? — როსტომი შეჩერდა, შეხედა გრიგოლს, რომელმაც ჩვეულებრივად თვალები ძირს დახარა.

— ვნახო, შენი ჭირიმე, მივდგები, მოვდგები, თუ ვიშოვნე...

— ეცადე, გეთაყვა, დავიჯერო სახლში არ გეგულება?

— შენი რისხვა მქონდეს, ბატონო, თუ ჩემს ბედზე ერთი აბაზი ეგდოს.

— მაშ რა ექნა?... — როსტომმა მოიწყინა, გრიგოლი კი განაგრძობდა გულში ბჭობას.

— აკი მოგახსენე, ჩემს ბედზე არა გახლავთ-რა-მეთქი, მაგრამ...

— რა? — იმედის სხივმა წუთს გაუღიმა სახე როსტომს.

— ჩემ დედაკაცს ვეგულები და თუ არ გაასესხა! — დააბოლოვა მან ყოყმანით.

— კაცო, ჩემზე ნაღდს მსესხებელს ვიღას იშოვნის?... — აბა ჩქარა წადი, თუნდ ეხლავ დავუწერ ვექსილს ერთი-ორად, ოღონდ კი ხელი გამიმართოს.

— რას ბრძანებ, დალოცვილო, ვექსილი რომ არ იყვეს, ისე კი არ გენდობით თუ?...

— წადი, გეთაყვა, სწორე შეიტყე, მაშ იმედი მექნება, ჰა?

— გქონდეთ, ღვთისა და თქვენის წყალობით. — როსტომმა კვალად ჩაიღიმა, წუთს მოშორდა სახეზე დაღვრემილობა.

— აბა, გრიგოლ, ვინძლო მასხელო!

— ბატონო, პირველი ხომ არ არის შენს ოჯახში ეს ანბები-და! კაცი აქ დავიბადე, აჲა, აქა ვბერდები. მე აქედან წასული მონდურავი სტუმარი ჯერ არ მინახავს, ეხლა რაღა დამემართება, რა ვიცი! თქვენი მამულის შემოსავალს განა გაუჭირდება ვისიმეს გამასპინძლება?

— მაშ დღესვე შეეცადე და შემატყობინე.

— უსათუოდ ვეცდები. — გრიგოლა ოთახიდან გამოვიდა. როსტომმა მოუკიდა პაპიროზის, ოცნებას მიეცა.

— სამი თვის შემდეგ ორი ათასი თუმანი მოგება!... რა კარგი ყოფილა საუენები! ბან კია სწორედ, ბან კი.... მეფურად

ვცხოვრობ, მომავალშიაც წითელ-წითელი ასიგნაციები! თუმცუ ვალები დამედო ცოტა რამ, მაგრამ რა სათქმელია!.. ჩემი განო გულნაკლული არა მყავს, არას დროს თავში არ მოუვა აზრი, რომ მისი ქმარი თუმცა გენერალი არ არის, მაინც უკან არ ჩიმო-რჩება უანგარიშოდ მფლინგავ იასონსა... ჭკუაც ეს არი-და! არც არა გაკლდეს-რა, ათი-ათასი თუმნების იმედიცა გქონდეს! ეს სულ ჩემი გრიგოლის ბრალი კია, ჩემი მარჯვენაა და სანამ ცოცხალი ვარ, არ მოვიშორებ, თუმცა რაღაცები მეყურება იმაზე, მაგრამ რა ვუყოთ, ანგელოზი კაცი ხომ არ იქნება, მეტად ერთგულია-და! რა ბედნიერია როსტომი. ოლონდაც!... კეთილი, მშვიდი ცოლი, დიდის დამოკიდებულობისა... კარგი შვილები... რა ნიკიერები არიან! უფროსი შვილი, რვა წლის კოტე ისე თამაშობს ქალალდს, რომ დიდსაც გაუჭირდება... ახლა წარმოიდგინეთ ოთხი წლის თამო!... რა ცეკვა-თამაში გინდა, რომ იმან ვერ მოახერხოს! ამას წინად კი როსტომ და გაიანე არ იყენენ მადლიერნი ბედისა, რომელიც ხელს არ უმართავდა არაფერში... ესენი ყოველ ღონისძიებასა ხმარობ-დნენ უნარი გამოიხინათ მუყაითობაში, მაინც ვერას აწყობ-დნენ. ბოლოს გადასწყვიტეს, მამული დაეგირავებინათ პრიკაზ-ში, რათა იქიდან გამოტანილ ფულით აღებ-მიცემობისთვის ხე-ლი მოეკიდნათ და შემოსავალი ერთი-ორად ექციათ. ამ აზრის, როგორც წარმოთქმა, ისე შესრულება მალე იქმნა, როსტომის ხელს მოხვდა კარგა მოზღიული ბლუჟა ფულისა; მაგრამ ჯიბრზე იმ წელიწადს ჭირნახული მეტად გაძვირდა, კოდი პური ოთხ მანეთად, ქერი სამად და სიმინდიც ორად. აბა რა სარფა ექ-ნებოდა მყიდველ-გამყიდველს? ისე დაეყარა-და, ჩალპებოდა. ბევრი მიზეზები გაუჩნდნენ ამ განზრახვას, გარდა ამისა სტუმ-რიანობამაც ილავი გასწყვიტა. თითქმის ყოველ დღე სავსე იყო ხალხით. კნეინასაც არ ეცალა, დიასახლისობას უნდებოდა. შველა ამას შედეგად მოჰყვა ქისის დაცარიელება. ბედზე მო-ურავი მეტად გულშემატკიცვარი შეხედა, შენი ჭირიმე უბრალოდ შეაწუხებდა მამულებში გასვლა - გამოსვლაზე. ის იყო ცე-ლაფერი შინაც, გარეთაც. შემოსავალი მზად მოჰქონდა, ხელში

უფრო და თავის ბატონს. თეითონ როსტომშაც უკვირდჲ, თუ ამისი ოჯახი როგორ ასდიოდა ამდენს ხარჯსა! მართალია, როგორც გრიგოლმა უთხრა, ამის ოჯახს არ გაუჭირდებოდა წელიწადში თუნდ ყოველ დღეც გამასპინძლება, მაგრამ ხარჯი ძრიელ დიდი იყო. გამუდმებით ითხოვდნენ მამულიდან, შესაწევარზე კი ძურწიდ იქცეოდნენ. ასე ხომ ზღვაც დაშრებოდა, როსტომის მამული კი არ შერყეულა, მარტო, ღვთის წინაშე როცა ფული არ შეესწრებოდა, ვექსილებს აძლევდა მოვალეებსა ან კი იმათაც რა ექნათ?... როსტომის დიდის ხათრითა და პატივისცემითა, თორემ სხვაგან ნაღდ ფულში ნაღდ ფულსვე ითელიდნენ. ამას კი მარტო ცარიელ ქალალზე დაწერილს სჯერდებოდნენ. როსტომი ჰერქნობდა ამ პატივისცემას და როგორც გულწრფელი ქართველი, მადლობას უხდიდა.

— რავდენიმე თვე კიდევ, მერე კი პრაშჩაით, მოვალეებო! თქვენ როსტომის სახლს ვეღარა ნახავთ, პირიქით, ახლა მე დაგიქერთ ქეჩისა და, მამა-ჩემი არ წაწყდეს, სულ ღლინს გაგაგდებინებთ, თქვე ყურუმშალებო, თქვენა!... თუმანზე მანათს წაგართმევთ... მეტადრე იოსება ვრაციანს!... ოხ, ვრაციან!... შენი ჯავრით სავსესა!... თუ ეს ათასი თუმანი თაეში გაწყვიტე, მერე მე ვიცი, რასაც ვიზიამ, პაპა-ჩემ გიორგი მეფის საფლავესა ვფიცავ, სულ ფეხებს გალოკინებ!... ალელვებული როსტომი წამოდგა ზეზე... მას წარბი შეეკრა, მუშტს ულერებდა უხილავ მოჩხებარს... კარგა ფიქრის შემდეგ ისევ დამშეიდდა, და როდესაც თავისი თავი წარმოიდგინა, რა უნდა ყოფილიყო, რომ ამასაც შეხვედროდა იასონისთანა ცოლი, შეკრთა.

— მაშინ?! ას მაშინ უუბედურესი იქნებოდა როსტომი... ვინ მისცემდა ასეთს თავისუფლებას!... სიცოცხლე მოეშხამებოდა. გაიინე კი თვალ-წარბში შესცეკრის, როსტომის ყოველი აზრი თუ ქცევა წმინდა, დაურღვეველ კანონად მიაჩნია... არც ერევა ამის საქმეებში, რადგან კარგა იცის, რომ როსტომი არას წაახდენს, გაუზომავ-აუწონავად არას მოჰკიდებს ხელსა. საწყალი იასონი კი გოშიასაეით შეჰყურებს მაკინეს და წნორის ფურცელსავითა თრთის!... ფუ, შენ კაცობასა!... ბარემ ლეჩაქი

მოიხვივ რაღა!.. მაგრამ რას დავდევ!.. თავში ქვა უციათ...  
მაინც როსტომი მოვალეა მათ პატივი სცეს... რაღან დიდად  
გაელენიანი პირნი არიან ამისი მოყვრები!... აკი ქსეც ცდილობს,  
რაც კი შეუძლიან, დიდებულ ცხოვრებას არ აკლებს, თუნდ  
შემოელის ფული, შემოსავალს აღარ უცდის, ვალს იღებს,  
მაგრამ თავის საქმეში კი გარდა გრიგოლისა არავის ჩახედებს...  
ვის რა დავა აქვს?.. როცა გააკეთებს, მოიგებს, მაშინ თვითონ  
როსტომის მნახველნი დააყვირებენ ბუქსა. ქვეყანას შეატყო-  
ბინებენ, მაგალითი აიღეთ, ქართველებო, ამ მშრომელ პატიო-  
სან თანამოძმესაგან და ოქენი ცხოვრებაც ასე განაკარგეთო!  
ოქრომ ბარე ორჯელაცა ჰკითხა, რას აკეთებო. მაგრამ ამან  
მიუკიბ-მოუკიბა, სიტყვა ბანზე აუგდო, იმითი თავიდან მოი-  
შორა.

— ხომ არა ნებამო მეც ჩამრთრიონ!.. უკაცრავალ!.. სურთ  
მობრძანდნენ, იქეითონ, სულსა და გულს არ დავიშურებ, მაგ-  
რამ ჩემს საქმეებში ჩახედება კი აბა, ბა, ბა! ყოვლად არ შე-  
საძლებელია!.. — ხელების გასავსაცებით შესძიხა როსტომმა.

— ეს კი ვერ არის კარგი, რომ ამდენი ხანი არ უნახას  
საექნები, რა აღგიღს, ან რა სიერცეზეა დაღმული, მაინც არა  
უშეს-რა, მეტად შორს არის... არა ღირს ტყუილ-უბრალოდ  
ორმოც და ათი ვერსის გავლა იქ, საცა ამისი მარჯვენა გრი-  
გოლა!.. გაყიდვის დრო რომ მოვა, მაშინ აისეირნებს თავის  
არაბულათი. როსტომი მიეცა ისევ ოცნებას, რომელიც მალე  
შესწყვიტა ოთახში შემოსულმა ბიჭმა.

— ბატონო, საუზმე თქვენ გიცდით.— მოახსენა მან.

— გრიგოლა ხომ არ მოსულა?

— ჯერ არა, ბატონო!

— ვმ! კარგი ნიშანია! — ჩაილაპარაკა როსტომმა, წამოდ-  
გა და გასწია პურისაჭმელ ოთახისკენ.

## viii

— ნეტაი რასა სწერს, ტიტიკო? ღმერთო, რომელი ერთი ავიტანო? ვგრძნობ, რომ ოქროს წამართმევენ, ვგრძნობ მე უბედური და კიდევაც დავიღუბები! — გაითიქრა მაკინემ, როდესაც განო გავიდა ოთახიდან. თვალ-წინ წარმოუდგა მეორე მტერი ქეთინო, ჯერ კიდევ უნახავ-უცნობი. რა ნაირის თავ-შემაგრებით, ძალადარანებულ გულ-გრილობით უსმენდა ოქროს ქეთინოზე იღტაცებულ ლაპარაკსა, ესეც თითქო ხანდისხან ხელს უმართავდა. ვინ რა იცოდა, რომ მაკინე ყოველ ქალის გახსენებაზე იტანჯებოდა.

— მაკინე, ქეთინო ზეციური ანგელოზია! ის მშვენებაა, უმანკოებაა, ბუნების შეუმწიკვლელი შვილი! — ეუბნებოდა ოქრო მას დღეს აქეთ, რაც გაეცნო ქალი.

— ვინ? ან რა არიან მასთან შედარებით სხვები? — წამებული მაკინე მაინც იღიმებოდა.

— მეც იგრე მეყურება, გენაცვა, მაგრამ მკონი ის უსწავლელია? — ფრთხილად შეაბარებდა ამ სიტყვასა.

— არა, მაკო, ეგ ბოროტ ენას უთქვამს შენთვისა, ქეთინო თავისებური იშვიათი არსებაა... მოკრთალებული ლაპარაკი, სადა ქცევა, ჰაეროვანი მიმოსვლა, ცველა ეს აღმოაჩენს მის უმანკო სულსა. კიდევაც აღვუთქვი ვიარო მათთანა, დაგხატო ჯერო. ამბობენ, დიდი ნიჭი აქვს ხატვისა, თუ მართალია, ძალიან საყურადღებოა.

— აკი აპირობდი, ოქრო, შენს სოფლისკენ სამოლვაშეოდ?

— მერე, მაკო. ჯერ აღრეა. უნდა გავიცნო ცხოვრება და მისი წარმომადგენლები... მაკინეს ერთის მხრით უხაროდა ოქროს ასეთი გადაწყვეტილება, ქეთინოსი კი ეშინოდა.

— რატომ ჩვენთან არ მოდის?

— იმიტომ რომ ნადირია, ფრთხილი ლამაზი ნადირი.

— ბედნიერო ქეთინო! — გულში შენატროდა მაკინე წუთს კი ეს სიტყვები შეიცვლებოდნენ გამედგრებულ ეჭვებად. ფიქ-

რობდა, იგონებდა, თუ როგორ მოხერხებით დაეცეა ოქრო, არავისთვის დაენებებინა. ასეთი თავისუფლება, ნებივრობა, როგორიც ჰქონდა მაკინეს სიყრმიდანვე, ბევრს ქალს მოენატრებოდა. ოჯახში ყველა ამას ემორჩილებოდა, დედ-მამის სათუთი იყო. ცალკე თავის მშვენებისა, ცალკე სიყრმის შვილობის წყალობით უპირატესს გამარჯვებას იჩენდა და - ძმათა შორის. მარტო დიდება მაგდანი კი უფრო ოქროს მფარველობდა, თავს ევლებოდა. მაკინე მეტად გალაზდა, მომეტებული ყურადღება კიდევაც მოსწყინდა, თითქო აღარ აფასებდა თავის დედოფლობას.

— მაკინე იზრდება გასაშტერებელი მშვენიერი! — ამ ხმას კი ვერ შესჩვეოდა და ყოველთვის ერთნაირის თავმოწონებით ისმენდა. მაკინე მიაბარეს სასწავლებელში, სადაც გაუძნელდა ყოფნა, რაღაც იქ სთხოვდნენ სრულიად წინააღმდეგს მის ჩეცულებისას, მაგრამ, როგორც იყო, გასძლო ვადამდის და გამოვიდა თვალის მომტაც მშვენებად, ყოველ მხრივ ეყურებოდა თავისი ხსენება, ბევრი შშობელი შურის თვალით უყურებდა ეფემის ასეთ მარგალიტ შეილების გამო, მეტადრე მაკინეს გულისათვის. მაკინეს ვეღარ აეტანა ვისიმეს ბატონობა, ან სურვილის აუსრულებლობა. ჯერ-ჯერობით ღვთით ბედს ამისი მხარი ეჭირა, ყოველივეს უმორჩილებ-უმონებდა. ესეთ მშვიდად შეცყურებდა პირ-და-პირ თვალებში შეუშფოთველად მომავალს, მაგრამ აგრერა გული აუძგერდა ძლიერის სიყვარულით, თანამგრძნობელი მეტად ძუნწი გულქვავი გამოდგა, ყურადღებას არ აქციებდა მაკინეს და სხვის საბედოდ გადაედო თავი. მაკინეს უყვარდა ზურაბი, იმ მაკინეს, რომლის ერთი სიტყვის წარმოთქმა, ერთი გაღიმება ბევრ ყმაწვილ კაცს თავზე ხელს აღებინებდა. მაკინე კი უნდა მორიცებოდა გრძნობას, უთანაზიაროდ გულში ჩაეკლა. ანთებული საკირე მედვარი, მწვავი გამოდგა. დიდ მეცადინებას ითხოვდა ჩასაქრობად. ვის-თვის ეთქვა ეს დარდი? ვინ იყო მეგობარი? განო? მძგი? სხვები? ოხ, არავინ. ნუ თუ მაკინეს შეეძლო უშიშრად გადაეშალა მათთვის გული? ხომ უნდა დასტოლებოდა მესაიდუმლეთ?



თვალ-წარბში ეცქირა მუდამ წითელი კვერცხი ეგორა, არ გუნდებინა. მაკინე ძირს დაეშვებოდა მიუწდომელ სიმაღლიდან, ბოლოს სასაცილოდაც გახდებოდა.

— არა, მაკინე უფრო ამჯობინებდა სიკვდილს, ვიდრე ასეთს თვის დამდაბლებასა. არჩია გამკლავება გრძნობასთან, მისი ხმის ჩაკმენდა და მოახერხა იმდენად შესუსტება, რომ შეიძლო, წარმოიდგინა სათაყვანოსთან მოშორებით ყოფნა. დღითიდლე ჰერძნობდა მომეტებულ გამარჯვებას თვის განზრახვაში, არსება გადაუხალისდა და სიყვარული თთქმ კიდევაც მისუსტდა. მაკინე წინანდელზე მეტად მიეცა დროს-გატირებათა, ახალგაზიდა ხალხთან ტრფიალებასა. დაუახლოვდა უფროს ძმას ტიტიკოს, დაუმეგობრდა ჭისიც არ აკლებდა არაფერს, ფულის ქისა მუდამ გახსნილი ჰქონდა დისთვის. როდესაც მაკინე ხედავდა ძმის თანაგრძნობას, ხელის შეწყობას, არ უკირდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ყველანი მოვალენი გამხდარიყვნენ ამის გადედოფლებაზე. ყმაწვილ-კაცების ტრფიალებას თუ გადაჭარბებულად დაინახვდა მაკინე, იგრძნობდა, რომ წინ წადგმა ნაბიჯისა სახიფათო იყო, მაშინ მოხერხებით ისევ კეკლუცად დაუსხლტებოდა ხელიდან მოტრფიალეთა, გულში დასცინოდა იმათ ტანჯვას. მაგრამ მაკინემ გაიცნო იასონი, რომელც დაწინაურებული იყო სამსახურში შეძლებით, თუ დიდ კაცობის-შვილობით. სიამოვნებით დათანხმდა, როდესაც იასონში გამოუცხადა სურვილი მასთან შეუღლებისა. ამნაირივე კმაყოფილებით წაჰყებოდა მაკინე იასონის გარემოებაში მყოფ ივანეს, პეტრეს თუ სხვასა. ამას სწყუროდა სიმდიდრე, რჩეული საზოგადოება, დედოფლობა. იასონს შეეძლო ყველა ამ მისწრაფებათა შესრულება, მაშასადამე, შესაფერი მეუღლე იყო. იასონის წყალობით მაკინეს დაუკმაყოფილდა სურვილი, წინანდელზე მეტად გაშალა ფრთები, იწყო დიდებულად ცხოვრება, საზოგადოება აღმერთებდა, კიდევაც გადავიწყდა ზურაბი, მაგრამ ავერა ამათ მამულს შეეტყო გამწირება, დაგლეჯ-გაყიდვა, დაგირავება. რავდენისამე წლის შემდეგ ბევრი აღარა ჰქონდათ-რა. მაკინე ფიქრობდა, ჰერძნობდა ამ დანაკლისს. სწუხდა იმი-

სოფის კი არა, რომ ქმარი მის მიზეზით ულარიბდებოდა, არა, მაკინე სწუხდა იმ მოსახრებით, თუ გაღარიბებული როგორ სამასხაროდ გახდებოდა ხალხის თვალშია. ეს უკანასკნელი ყველა შეურაცხებათა უარესი იყო. ვინ ააცილებდა მომავალს? იასონის არ შეეძლო, რადგან სამსახურის გარდა სხვა ონისძიება არა ჰქონდა. დარჩენოდნენ ძმები. ტიტიკო თუმცა წინად, ჯერ ისევ მაკინეს გასათხოვრობის დროსვე, მეგობრობდა დას, მაგრამ მერე, რაკი მოინდობა ცოლის შერთვა, ხელი უშვა მაკინეს, ყურადღება დაუჭირა. ბევრნაირად ეცადა ეს უკანასკნელი, როგორმე შეეყენებინა უსიამოვნო ქორწინება, დიდადაც გაისარჯა დედ-მამასთან, თუ ცალკე, მაინც უერას გახდა, ტიტიკო აღტაცებული იყო ანიკოსათვის, რომ გასტირებოდა მისი დასაკუთრება, მიზეზიად მთელი ქვეყანა აღმოჩენილიყო, ამ ქვეყანასაც კი გაანადგურებდა და აბა მაშ მაკინე რას გახდებოდა! მაკინე თავს უბედურადა ჰერძნობდა, რადგან არავინ უწნდა ხელის გამმართავი. ერთი ძმა წაართვეს, მეორეც ჯერ ბავშვი იყო გამოუცდელი. თუმცა ოქროს ძალიან უყვარდა მაკინე, მაგრამ თუ ტიტიკო ვერ დაიმორჩილა, რას დაიმორჩილებდა სამზღვარგარედ გამგზავრებულს, დაშორებულსა?... ქალებშიაც განსაკუთრებით არავინ მეგობრობდა მაკინეს, პირში კი ეფერებოდნენ, ეფლიდებოდნენ, რათა ამის სახლში შეხვედროდნენ რჩეულ ყმაწვილ კაცებს, მათთან დრო ეტარებინათ, მაგრამ პირადად კიდევაც ეჯავრებოდათ, რადგან ეს მათზე ლამაზი, პატივცემული იყო. არც მაკინეს უსხდნენ თვალშია, ან კი რა საჭირონი იყვნენ, როდესაც სიმღიდრე ხელში ეპყრა, ყველა ამისი მონა გამხდარიყო!.. მაგრამ მომავალმა უბედურებამ ხელში ააღებინა კალამი მაკინეს, ბოდიში მოახდევინა ტიტიკოსთან, ათხოვნინა ისევ წინანდელი მეგობრობა. გულკეთილმა ძმამ დაივიწყა წარსული, აპატია... ანიკოც თავს ევლებოდა. მეტადრე მას შემდეგ, რაც შეიტყო თუ რა მოელოდა ცხოვრებისაგან განებივრებულ შევენიერ ბანოვანს. იასონმა არ იკოდა მაკინეს გულში აღძრული შიში და ნაღველი, არც ის უკვირდებოდა თავის აწმოს, არამედ მეტად კმაყოფილი, ბედნიერი მაკინესთან ერთად



მიეცემოდა დიდრაჯობასა... ამას არ უოცდებოდა მაკინესაგან თავისადმი ბატონობა, ალექსის დაძვირება. მაკინეს ქცევა ქმართან დაგვიხატავდა უფრო მბრძანებელს, მფარველს, ვიდრე თანასწორ მეუღლეს. მაკინე მიუალერსებდა მარტო მაშინ, როცა იასონი მოუტანდა ძვირფას ნივთს, ან გაუმართავდა საუცხოვო ბალს, ნაღიშს, უმისოდ კი შორს ეჭირა თავი, ამპარტავნად უყურებდა. იასონი მაინც დარწმუნებული იყო, რომ ცოლს უყვარდა ესა, რასაკვირველია, რავდენადაც შეეძლო მაკინეს მედიდურ ბუნებასა. ამასობაში დრო მიღიოდა. ძველი წელიწადი ახალს იწვევდა. ოქრო უნდა დაბრუნებულიყო სამზღვარ გარეთიდან. მაკინეს გული სიხარულით უძგერდა, როდესაც გაითვალისწინებდა თავის მახლობლად ოქროს. კარგა ახსოვდა თუ როგორის ეშმაკურის ალექსით ცდილობდა გამოეკითხა მაკინესათვის გულში დამიღული საიდუმლოება... ბედნიერი იყო თუ არა? მარტო ოქროს უკითხავს, მარტო იმას მოსურვებია დის ნამდვილი ბედნიერების გაგება. დანარჩენებისათვის კი სულ ერთი იყო, მაგრამ აკი ტიტიკოც ზრუნავდა! ბარეხუთასი თუმანი ასესხა. როდის გადაუხდის? ღმერთო, რამდენი ვალები მართებო მაკინესა და იასონსა! რა მოუვათ ხვალ-ზეგ? კენესით აძლევდა ამ საკითხაეს მაკინე თავის თავსა, როცა მარტოდ დარჩებოდა.

— საიო გავხდე ლონეს? ვინ მომცემს, რომ ვალი გადავიხადო?

— იოლად იცხოვრე, მაკო, ცოტა გაუფრთხილდი, შვიდას თუმანს წელიწადში ასი თუმანი გადაანარჩუნე და წვრილწვრილად იხადე. — ურჩევდა განო, როდესაც ზაფხულობით ეწვეოდა ხოლმე მაკინე.

— რად უნდა ოქროს იმდენი მამული? ნუ თუ არ ეყოფა ცოდნა და სამსახურში ყოფნა? — ხშირად მოსდიოდა შემდეგი აზრი მაკინეს.

— ის ჯერ ცოლს არ შეირთავს, ტიტიკოს კი უფრო ესაჭიროება, ნახევარი რომ იმან დაისაკუთროს, დავიჯერო ტიტიკომ წილი არ დამიღოს ახალ შეძენილში?

— რას დაღონებულხარ? — ჰყითხა მაკინემ ერთხელ ქმარსა, როდესაც ნახა, რომ იასონ ჩამჯდარიყო სავარძელში და ლრმა ფიქრებს მისცემოდა. იასონმა თავი იიღო მაღლა. მის-წინ იდგა აგრედვე დანაღვლიანებული მაკინე.

— მაკინე, შენა? წარმოიდგინე, ქალო, ამ კეირებში პრის-ტავი გვიპირებს სახლის აწერას.

— რას ლიპარიკობ? — შესძახა შეშინებულმა მაკინემ, შუბლ-ზედ ალებეჭდა რისხვა, თვალებმა ნაპერწკლები გააბნიეს, და-უწყეს მუქარით ყურება იასონს, თითქმ ის იყო დამნაშავეო.

— ვინ? ვის გამოუგზავნია? ჩქარა სთქეი?...

იასონმა ჩაჰერიდა ძირს თავი. ვეღარ გაუძლო ცოლის რისხეასა.

— განა სულ ერთი აჩ არის?... ხომ იცი, რომ ამაზე უმ-რავლესი მოეალე გვყავს? — წარმოსთქვა ბოლოს მან მოკრთა-ლებით და თმაში ხელი იტაცა.

— ვის შეუძლია აქ მოსვლა, ვინ? ვინ გაბედავს? — შესძახა კვალიდ ქალმა, თან შიშის ერუანტელი უვლიდა სხეულში. ეს დაეშვა დივანზე, იყო რავლენსამე ხანს გარინდებული. მაკინეს გულს ნაღველი მოეტია, ვერ წარმოედგინა თავის სახლში პრისტავის მოსვლა და შერტვენა. თავი სიზმარში ეგონა.

— მაინც რომელი მოვალე გვიპირებს ანგრე სასტიკად დასჯასა?

— ისაკ კარაპეტიჩი.

— ორას თუმანში?

— გახსოვს, უვანათლებულესს თავადს რომ ვახშამი გავუ-მართეთ? მაშინ აკი დაეხარჯეთ!

— ჰო, როგორ არა! ოხ, ის კი მეტად გულქვა კაცია! არ დაგვაცდის, არ შევა ჩვენს მდკომარეობაში, — დაუმატა უი-მედობით ქალმა. მაკინე კარგა ფიქრის შემდეგ მიუჯდა სამ-წერლო მაგიდის, დაიწყო წერილის წერა. ანგარიშ-მიუცემლად მისდევდა გულის თქმასა, ათრათოლებული თითები ძლიერ იმა-გრებლენ კალამსა. ქალმა ჩაიკითხა სულ ბოლომდის ნაწერი, შეკრთა, კიდევაც შეეშინდა. ეს ტიტიკოს ატყობინებდა თავის



გაჭირებასა, აუწერდა ოქროს მომავალს, დიდებულ უზრუნველ ცხოვრებასა, უჩიევდა ნახევარი იმისი კუთვნილი მამული ტიტიკოს დაქაუთრებინა, მაკინე მოწმად მიპყვებოდა მაზე, თუ როგორ უანდერძა მამამ, როგორც უფროსს ვაეს, და ოქრო ხომ იმდენად პატიოსანი იყო, რომ ვერ გასტეხავდა მშობლების აღთქმას! იმედი ჰქონდა იმ ახლად შემოერთებულ მამულში ერთ ორას თუმნით გაუმართავდა ხელსა. დიალ, ეს სიტყვები მკაფიოდ წარმოითქმოდა მაკინეს ტუჩებისაგან, ხშირ-ხშირად კითხულობდა, სურდა დარწმუნებულიყო სინამდვილეზე.

— ჯანდაბას ყველა! ჯანდაბას! მოვალენი არიან, ოლონდაც რომ მოვალენი! იმითი თქროს არა უშაგს-რა, მე კი თავიდან ავიცილებ საშინელს სირცხვილსა,—ფიქრობდა ეს.—ტიტიკო კეთილია, როცა გაითვალისწინებს, თუ რა მდგომარეობაში ვარ, თუნდ არ დათანხმდეს ამ წინადადებაზე, მაინც შემიბრალებს, ფულს გამომიგზავნის. მაკინემ ამ მოსაზრების შემდეგ აღარ დახია ნაწერი, არამედ გაგზავნა, ქმარს კი უთხრა, ტიტიკოს ფულს დავესესხეო. მაკინეს იმედი მიეცა, რომ ტიტიკო უსათუოდ აღმოუჩენდა რაიმე დახმარებას, თან და თან მოშორდა შიში, ლომბიერად, წყალობის თვალით შეხედა ქმარსა, რომელელმაც აგრედვე გატედვით ამოისუნთქა. რასა ჰგრძნობდა, მართლადაც, გულის სიღრმეში მაკინე იასონისადმი? მუდამ დაცინებასა, მარტო ათასში ერთხელ სიბრალულსაც, მაინც დიდის მეცადინეობით არ იმჩნევდა, ხალხს თავს ბედნიერად უჩვენებდა. იასონ მისდარაჯებოდა და, როცა შეატყობდა ცუდ ქეიფზე ყოფნას, ფრთხილობდა, ერიდებოდა, შეიკეტებოდა კაბინეტში, ელოდა თუ როდის დაისაჭიროებდა ვისთანმე გასაგზავნად, ან რომელიმე დღისთვის დაწესებულ ნადიმზე სალაპარაკოდა.

— მაკო, შეიძლება შემოვიდე? — ერთხელ მოვიდა ჩვეულებრივის მოკრძალებით მაკინეს ოთახის კარებთან და დაუძახა.

— შეიძლება... — მაკინე ქეიფზე იყო, ხელი გაუწოდაქ მარს, რომელმაც აკოცა.

— იასონ, რად გინდოდა გენიცვა, ეს რომ გიყიღნია? — ჰქითხა და სიამოვნებით ათვალიერებდა ორმოც თუმნიანს ბრილიანტის საყურეებს.

— ჩემს სახსოვრად გქონდეს, ქალო! როცა ხალხში დამ-შვენებული გახვიდე, იცოდე, იასონი შენთვის ზრუნავს და უნ-

და თავის სასახლოდ უფრო მომეტებულად გავამშვენიეროს... — უთხრა ამაყად იასონმა; ამის ეგონა ამ წუთებში მთელი ქვეყ-ნის სფერო ხელში დამაკერიაო... მაკინემ კმაყოფილებით ჩაი-ცინა... მაღლობით შეხედა იასონს.

— იასონ, რა ჰქენი იმ საქმისა, ჯერ ვერ მოახერხე? — კვალად ჰქითხა.

— რა ვქენი და დავტუუ... ის ვექსილი აქა მაქეს ყუთში, უბედური კი დარწმუნებულია, რომ დღე-დღეობით ჩავუთვლით... ხა, ხა, ხა! რა მოუკია, რა უნდა წაიღოს? მეონი, ასრე უნდა ვთქვათ, არა?..

— რასაკვირველია, გაჭირებული ადამიანი ბევრს პირო-ბებს დაუდებს მოვალესა, მერე მოეწყინება უველა აასრულოს!.. პატიოსანმა კაცმა მხედველობაში უნდა იქონიოს და აღარ მოს-თხოვოს შეუძლებელი... მართალია, ორასი თუმანი გამოვირთ-მევია, მაგრამ ახლა ხომ ვერ დაგვახრჩობს, როცა იქნება მიე-კუთ... მიკვირს კია, როგორ განდო ის ვექსილი?

— როგორა-და მეტად სულელი კაცი ყოფილა, მართლა, რომ ქართველობას ამტკიცებს... როგორც კი გავუხსენე, მომე ეს ვექსილი, ჯერ არ შემიძლიან გადახდა, და თუ გინდა ამ ორი თვის შემდეგ გამოვცვალოთ, ერთი-ორად დაგიწერ-მეთქი... იმის კიდევაც ეწყინა და საყვედური მითხრა:

— რას მეუბნები, იასონ, გენდობი როგორც ჩემს ძმას და რომ დაგიმტკიცო საქმით, ამ შენგანვე მოცემულ ვექსილს ისევ დაგიბრუნებო, არც შენი ერთი-ორად დაწერილი მინდა, მარტო კი ნუ შეიჭირვებ და, როცა იყვეს, მომეციო...

— რა გასაკვირალია! იცის, რომ არას შევირჩენთ და იმის-თვის მოქცეულა ანგრე, უნდა მივცეთ, მარა! ჯერ კი სად არის ლონე?.. — ფიქრიანად ჩაილაპარაკა მაკინემ.

— ეჭ, ორასი თუმანი რომ მქონდეს, ეხლავე ისაკ კარა-  
პეტიჩს დავაკმაყოფილებდით...

— დარწმუნებული ვარ ტიტიკო გამოგვიგზავნის...

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემი სიცოცხლევ! სხვა რომ არა  
იყვეს-რა, ამ ეპოლეტების იმედი მაინც უნდა გვქონდეს... ცუ-  
დაობაში კი არ მიშევნია! შენ არ მომიკვდე! ყარსის ციხეს  
რომ ვიღებდით, ყველაზე წინ ხმალ-და-ხმალ მე მივდიოდი, გზას  
ვუკვლევდი იმოდენა ჯარსა... ოხ, დიდი ძალა დამადგა მაშინა  
და კიდევაც იმისთვის მივიღე პოლკოვნიკობა, ყველაზე თავში  
იასონ რამანიშვილი ჩაეწერათ ხელმწიფესთან წარსაღვენ ქა-  
ლალდში, როგორც გამარჯვებული, მამულისათვის თავდადე-  
ბული.— ბევრი ამისთანა დაქადება იხარჯებოდა იასონისაგან,  
ზოგში მართალი იყო, ზოგს კი ოცნებით უმატებდა... იასონ  
ეკუთხნოდა ამ ეამად იმ გენერალთა გუნდს, რომელიც მარტო  
შემთხვევას წაეწია წინ. ეს ბევრს ჭკვიანსა და ნასწავლზე მე-  
ტრად დაწინაურებულიყო, მათს სვებედსაც ხშირად გადასწყვე-  
ტდა. ბევრი გადაჰყოდებოდა, ბევრიც მოემაღლიერებინა, ეს  
უკანასკნელები სულ თავისთანა დიდეკაცებისაგან შესდგებოდ-  
ნენ, ამისგამო იასონს ზურგი მაგრა ჰქონდა.

— ამ ცოტა ხანში კარგს თანამდებობას მაძლევენ, ქა-  
ლო! — უთხრა კარგა სიჩუმის შემდეგ ცოლსა.

— მართ ა?.. — მაკინეს სიამოვნებისაგან სახე შეუწიოთლდა.

— როგორს?

— ინტენდანსტუოში უფროს გენერლის ადგილზე მნიშ-  
ნავენ, იმ ადგილიდან კარგა გამორჩება კაცი. ესეც რომ არ  
იყვეს, შენ ჯერ მარტო ნდობა სთქვი... ნდობის დამსახურება  
დიდი რამ არის! იქიდან შეიძლება ხანდისხან ვისესხოთ ხოლმე  
და მერე ჩემი ჯამაგირიდანვე შევავსებ.

— კარგია, შენია სიცოცხლემა! — დასძინა უფრო გახარე-  
ბულმა მაკინემ და მაღლობის ნიშნად კვალად ხელი გაუწოდა  
მეუღლეს.

მაკინეს მალე მოუვიდა ტიტიკოსაგან პასუხი, მაგრამ, რომ  
არ მოსვლოდა, ისა სჯობდა. ეტყობოდა, საშინლად განრისხე-

ბულიყო, უკანვე უგზავნიდა წერილს, ატყობინებდა აღარ გაეხდნა ამისთანა უსინდისობა, ბოროტება, ჩადგან ტიტიკა არას დროს არ ფიქრობდა ძმის ლალატსა და არამც თუ ფულს გამოუგზავნიდა, არამედ ძველსაცა სიხოვდა. ამ მრისხანე წერილმა ბოლო მოუღო მაკინეს იმედებსა, იმდენად იმოქმედა, რომ ერთ კვირას ვეღარ ადგა ლოგინილან. ისონს ეგონა, პრისტავის მოსვლის შიშით გახდა ავადაო, ცალკე ნაცნობების დახმარებით, ცალკე თავისის თხოვნით მოვალემ დაუნიშნა კიდევ სამი თვე ვადა. მორჩა თუ არა, მაკინემ ხელი მიჰყო ტიტიკოსადმი შურის-ძიებას. ამან მისწერა ოქროს, თავისი ნამოქმედარი გადააბრალა ძმას, შეატყობინა თავისი გარემოება და თავი შეატრალა. ოქრომ, გულკეთილმა საყვარელმა ოქრომ ისმინა ამისი ვეღრება, გამოუგზავნა ორასი თუმანი. მაკინე ამ მოულოდნელ ბეჭნიერების გამო ფეხზე იღა იღვა სიხარულისაგან. ოქროზე ძვირფასი ამ დროს არა არსებობდა-რა, ტიტიკოსი კი ეშინოდა, რათა ოქროსათვის არ ეთქვა, თუმცა წერილი ისევ დაებრუნებინა, მაინც თუ სრულებით არ დაუჯერებდა ოქრო ძმას, ეჭვი ხომ გაეღვიძებოდა! რას ინაღვლის მაკინე ტიტიკოს შემოწყრომაზ, თუ კი ოქრო ცოცხალი და ჯანსაღი ეყოლება!... მაკინე ათეალიერებდა ოქროსთვის საცოლოს, ჯერ-ჯერობით შესაფერი ვერ ეპოვნა. ამასობაში ოქროც დაბრუნდა, თუმცა პირველში დაუგვიანდა ნახვა, გართული იყო თავის სოფელში, მაგრამ მაინც მიიჩიდა ძმა ალერსით და მოხერხებით. ოქროს უყვარდა მაკინე, რასაკირველია, უჯერებდა, ენდობოდა როგორც მშობელს. ამან ოქრო დაარწმუნა, რომ ტიტიკო მისი მოღალატე იყო, და დღეს უსიამოვნობაც სწორედ იმ მიზეზით მოხდენოდათ. გულწრფელი ოქრო მაღე დააჯერა, თუმცა მან აპატია ძმას, როგორც სიკვდილის შვილსა; მაინც ძმის გაუტანლობამ იმოქმედა, გულში ნაღველი დაუსადგურა. ოქრო უფრო მოიწევდა მაკინესკენ. როგორ დაივიწყებს მაკინე იმ დროს, როცა ჩიყეტილ ოთახში სწერდა, ვითომ ტიტიკოს მაგიერად, რათა დაერწმუნებინა ეჭვში შესული! რავდენი იტანჯა მაშინა!



— რას სჩადიხარ, მაკინე? რად გინდა მოაშორო ეგ კონ  
მოსიყვარულე ერთგული ძმა ერთმანეთსა? — ჩასძახოდა იმ დროს  
განუწყვეტილი რაღაც ხმა, მაკინე კი ყურს იყრუებდა.

— ხომ ხედავ, როგორ აწუხებს ოქროს?.. რა რიგად გე-  
ვედრება, სიტყვით თუ თვალებით, რომ დაარწმუნო, დააჯერო,  
ტატიკოს სიმართლეში! რა წამებული უნდა იყვეს ის ადამია-  
ნი, რომლის არსება განსპეტაკებულია, მისი გული მზესავით  
შუქ-მოფენილი, ქვეყნისთვის გამჭვირვალო თუ რა რწმენით,  
სიყვარულით, ეპურობა, ენდობა მოძმეთა, ისინი კი არ ინდო-  
ბენ, სამარეს უთხრიან... გაიხსენე, მაკო! — განაგრძობდა კე-  
თილი ხმა. თითქო მაკინეც აპირობდა დამორჩი უებას, გადა-  
ტეტკილი სახე, ჩალურჯებული, მორდვეული თვალები ამტკი-  
ცებდნენ ამ აზრებთან გამედვრებულ ბრძოლასა. მაკინემ გადას-  
წყვიტა, თავი დაენებებინა სიცრუისთვის, მოხვეოდა ოქროს,  
დაერწმუნებინა, რომ ეს იყო უბედურთა შორის უუბედურესი,  
თუმცა კი ერთ დროს დაკითხებაზე: ბედნიერი ხარ თუ არაო? ეს სრულიად წინააღმდეგს მიუვებდა. სწყუროდა მიეთხრო, და-  
ჯერებია, რომ ყველა ეს მარტო მოხერხებული თამაშობაა და  
ნამდვილად კი გული გაუძლისად უკვენესის; ეთხოვა შეეწყნა-  
რებინა ამ მოტყუებისთვის. ის იყო კიდევაც მივიდა მაკინე  
კარებთან ამ განზრახების ასასრულებლად, მაგრამ ამ დროს რა-  
ღაც ძალა იგრძნო, მიახედა სარკისკენ, რომელშიაც გამოჩნდა  
მაკინე, ღმერთო ჩემო, რა სახით! გაყვითლებულს თმები ასწე-  
წოდნენ, წელში მოხრილიყო. სადა სჩანდა ეს მაყი, მშვენიე-  
რი, სარისავით წელ-გამართული მოხდენილი არსება?! ამ წუ-  
თებში მოეჩვენა ვიღაც უბადრუკი, დევნული გათელილ-გალა-  
ხული. შემდრკალს, შეშინებულს წინ უდგა ოქრო დამცი-  
ნავის ღიმილით. თითქო, ეხლა გაეცნო ეს მთელის თავი-  
სის არსებობით. ოქროს აღარ ეხატებოდა აღტაცება მის-  
დამი... ამ დროს გვერდზე გაგრიალდა ეტლი; მასში გადაწო-  
ლილიყო ზურაბ ცოლშვილით და მიჰქიოდა სადღაც. მოპერა  
თუ არა მან თვალი ამ უბედურს, თამამად კისერი მოიღერა.  
ის ილიმებოდა, ილიმებოდა საშინელის შეუბრალებელის ღიმი-



ლით! საკმაო იყო მოსხვენებოდა მაკინეს, რომ გუნება წუთის შესცვლოდა. ხელი უშვა კარებს, მიიფარა სახეზე და, მძიმე კვნესით დაშვა სავარძელში.

— ღმერთო, სადა ვარ? ვის ვხედავ უბედური? — ამოიკვნესა მან. შემდეგ მიიხედ-მოიხედა, ოთახი იყურებოდა ჩვეულებრივ მედიდურად; წამოდგა, მივიდა სარკესთან, მოკრძალებით ჩაიხედა, დაინახა გაფიტრებული სახე, მაგრამ ის მეტყველობა, რომელიც რავდენისამე წამის წინად ეჩვენა, არა ჰქონდა. ნაკინებ პირჯვარი გადიწერა.

— არა, არა, მოვალენი არიან!... — შესძახა კვალად ეინიანდ...

— ან რაა საერთო ტიტიკასა და ოქროს შორის?... ოქრო ჩემია, მას არავის დავანებებ!.. — იმეორებდა გაჯავრებული მაკინე, გაბრწყინებულ თვალებს ხარბად ადევნებდა ყოველივე დაშერილ სტრიქონს. მაგრამ მძიმე წუთებმა, სათბობმა განვლეს, მაკინებ სინიდისს ხმა ჩააკმენდინა, ნალველით შემსუბუქდა... რაც ოქრო გადმოვიდა, ფული აღარ ელეოდა, ვიდრე განისა და მაკინესთან იყო სტუმრადა, ხარჯს თბილისშიაც უგზავნიდა. მაკინე ხელავდა, რომ ტოტიკო ვერას გამხდარიყო ძმასთან, დაშვიდლა, მაგრამ იგერა ჩავიდა ოქრო ქალაქში, საზოგადოებამ, მეტადრე გასათხოვარებმა, თვალები დააკყიტეს, ოქრო მონაშილეობას იღებდა ყველაფერში. მაკინეს ეშინოდა ხელიდან არ გამოსცლოდა ეს უკანასკნელი ნუგეში. მაკინე დაახლოვებოდა შეძლებულ ხალხსა, მეტადრე, რაც ოქრო მოვიდა, ბუზსავით ეხვეოდნენ. ეს ჰპატიუობდა უფრო უსახურ ქალებს, ცალის ყბით ურჩევდა ამათ შერთვასა, გულში კი დაუკინებით გაიძახოდა:

— ადრეა ოქროსთვის ცოლის შერთვა, ჯერ ადრეაო!.. — ოქრომ ყურადღება მიაქცია თამრთ ზანარაშვილს, მაკინებ ამოიჩემა ის, თუმცა კი არ გაუმხელია ძმასთან თავისი განზძრახვა. ეს უპატიუებდა თითქმის ყოველ დღე ყმაშვილ კაცებს, მათთან ქალალდს ათამაშებდა, რომ ნაკლები დრო ჰქონოდა სახლიდნ გასვლისთვის... ყველა საქველ-მოქმედო საქმეში ოქრო თითქ-

მის მეთაურთა შორის ირიცხებოდა. მთელი ინტელიგენცია იღ-  
 ტაცებული იყო ამ მამულის ახალ შეილზე! ბევრს კარგს მოე-  
 ლოდნენ მისუანა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც გახშირდნენ  
 ხმები ოქროსა და თამროს ერთმანეთთან ტრფიალებაზე, სასო-  
 წარკვეთილებაში შესულმა მაკინემ არ იცოდა რა ექნა, მოი-  
 გონა უკანასკნელი ღონე, სთხოვა ნაცობ ექიმს, რომ ერჩია  
 იასონისა და ოქროსთვის ამისი სოფლისკენ წაყვანა, რადგანაც  
 მაკინეს სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაში იქნებოდა, თუ კი-  
 დევ ქალაქში დარჩებოდა. ქალის გაფიტრებული სახე ხელს  
 უწყობდა ოინებში, დააჯერა ქმარი და ძმა, რომელთაც საჩქა-  
 როდ წამოიყენეს გაიანესკენ. მაკინე დამშვიდდა, მოფერიანდა,  
 რევ თავისებურად გამხიარულდა, მაგრამ შემდეგში კი, რაც  
 ოქრომ დაიწყო ხშირად ქეთინოს ხსენება, ისევ შიშს მიეცა.

### ანასტასია ერისთავი

(შემდეგი იქნება)

## მ გ რ ს ნ ი ს ჩ ა ნ გ ი

მგოსნის ჩანგის მკენესანს უღერას  
უერესინებს სშირად გროვა:  
რა არისო სულ ტირილი,  
სულ გრნება და მარად გლოვა?

რად აცრემდებს მგოსნი ჩანგი,  
რად გვიწელებს სულს და გულსო,  
გულში რად არ გვიღრებებს  
სასმო სმით სიხარულსო?

რად არა მღერს საგმირო სმების,  
სულის აღმზრდებს ძიღის პირსო,  
შარბათში შესმის რისთვის ურების,  
რისათვის წმენის ლხინზე ჭირსო?!

ესმის, ესმის უსაფუძვლო  
საუკედური სალის გროვის,—  
და მისს გულში ძლიერდება  
სმა ტანკვის და მწარე გლოვის!—

სული, გონებას მას უბორებას  
ზარ-დამცემი მწუხარება;  
დაღლილს თვალებს ზღვად ასედება  
სისხლ-ნარევი მდუღარება;

სიტყვა პირში უქავდება,  
თითქო სჭადეს რისხეთ ზენა;  
ცხრა კლიტულში ჩაუგდია  
მტრის ბრძანებას მისი ენა...

მხოლოდ ჩანგი, უსატუკის წილ,  
ჰასექის აძლევს, გაჭერითინებს,  
თეადებს უხელი შემცდარს გროვას,  
მტრის ნებაზე არ აძინებს;

—  
უხესნის, ურკვებს, ნათელსა ჰევენს  
მაცდურია: გან შექმნილს წამებს,  
წინ უსახებს მას სიმართლეს,  
დღეს დასკილს და განაწამებს;

—  
ჩაგრუდთა და მართლდო ცეკვდებს  
ზღვად აგროვებს ერთად გველს  
და ბანს აძლევს იქიდანა  
ამონაკენესს ქრულვა-წეველას!..

—  
ჲს, ამისთვის გაჭერითინებს  
მკასნის ჩანგი მთად და ბარად,  
ამისთვის ჰგმობს დღეის დღესა  
თვისავე გასამწარად!

—  
მაგრამ, ოუ რომ ნატერა ახდა,  
შეუსრულდა მგრასნის მცნება,—  
ძირს დაეცა, გაცამტკერდა  
მტრის ძალი და მისი ნება—

—  
მაშინ ნახეო, აბა, ჩანგი,  
რას დაჭმდერს და ან რა გვარად,—  
სულ სიცილად გადადნება  
სალხის გულის გასახარად;

—  
მუნ დასძასებს საგმირო სმებს,  
სულის ადმზრდელს ძილის პირებს  
და იმ დღიდან არასოდეს,  
სიტუას გაძლევთ, არ იტირებს!..

გრ. აბაშაძე

## გლეხი-კაზი ისტორია

ეაფილი პირველი

1789

ქადაგი-შატრიანისა

**IVIII\*)**

ელვასავით მოედო პარიზის პარლამენტის განაჩენი მთელს ქვეყანას. სოფელში თუ ქალაქში, ბაზრობას თუ ეკკლესიაში სალაპარაკოდ საერო კრება-და გვექონდა; გზაში რომ შეხვედროდნენ, ერთი კი მიესალმებოდნენ გამარჯობა შენიო! და მაშინვე, სულაც რომ უცნობი ყოფილიყვნენ, საერო კრება-ზედ ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს.

— ახალი ხომ არა ისმის-რა? ნეტავი გველირსება როდისმე საერო კრება?

და მოჰყენებოდნენ! ყველა თავისას ჩიოდა და თავისას იმედოვნებდა. ერთი გაიძახოდა, საბაჟოები აღარსად იქნება და სრულიად თავისუფლად შევვეძლება ყველგან სიარულიო, მეორე ამბობდა, ბეგარაზედ აღარ გაგვიყვანენ, საბეგრო საქმე თვით მართებლობამ უნდა იკისროსო; მესამე ამბობდა, სამღვდელოების და თავად-აზნაურთაც ხარჯს ადებენო. დაიწყებდნენ სჯასა, შეჰყებოდნენ, შეხურდებოდნენ და იქვე სამიკიტნოში შევიდოდნენ სადმე, უფრო ადვილად შევთანხმდებითო.

— ისიცა კმარა, რაც ხანი გვყვლიფეს და გვკრიჭეს,—გაძახოდნენ ყველანი,—ჩვენ გვინდა ჩვენი ფულის ანგარიში ვიცო-

\*) იხ. „მოამბე“ 1896 წ., № XII

დღ, იქნება ერთი-ათად მეტს გვახდევინებენ, ვიღრე საჭიროა! ქალები უარესნი იყვნენ!

ჩვენდა საუბედუროდ იმ წელს საშინელი გვაღვა დაიჭირა და იმისთანა ავი დრო დადგა, რომ მოხუცებულნი ფიცავდნენ: ჩვენს დღეში არ შეესწრებივართ ასეთს გაჭირებასათ. ისე გავიდა ნახევარი თიბათვე, მთელი მკათათვე და მარიამობისთვე, რომ წვეთი არსად ჩამოვარდნილა. გახმა და დაიწვა ქვეყანა. ყანები ისე აიბუგა, რომ თივადაც კი ვეღარ გამოვიყენეთ. მეტი გვალვისაგან დედა-მიწა დასკდა. კარტოფილიც კი არ მოვიდა... და დაიმშა ქვეყანა. ამოდენა უბედურებას საშინელი ზამთარი მოჰყვა; ისეთი თოვლი დასდო და ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ 1788 წლის ზამთარი ხალხს დღესაც არ დავიწყებია.

ამბობდნენ, პურის სიძვირე იმიტომ ჩამოვარდა, რომ რამდენმამე კაცმა შეისყიდა, რაც კი მთელს საფრანგეთში პური მოეიდაო... კალოზედ ყიდულობდნენ პურს, გაჭირებულ კაცს ნახევარ ფასად ართმევდნენ და გემებით ინგლისში ისტუმრებდნენ; და ახლა, როდესაც შიმშილი ჩამოვარდა. ნელ-ნელი შემოაქვე ჩვენივე პური და მამასისხლადა ჰყიდიანო. შოველი ამტკიცებდა, ეს ამხანაგობა დიდი ხანია არსებობს და თვით მეფე ლუი XV-ც ურევია. ჩვენ არა გვჯეროდა; ან როგორ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი ღარიბ-ღატაკის და ქვრივობოლის პატრიონი მეფე ამხანაგად მიუდევბოდა იმ იუდებს, რომელიც ხალხის დამშევას განიძრახავდნენ! მაგრამ შემდეგში დავრწმუნდით, რომ შოველი მართალს ამბობდა.

ჩვენ ხალხს თავის დღეში არსად გამოუელია ის ტანჯვა, რომელიც 1788—1789 წლის ზამთარში ნახა. თვით 1817-შიაც კი არ ყოფილა ისეთი სიძვირე, როგორიც იმ ზამთარს იყო. ისე დაიმშა ქვეყანა, რომ იასაულებით ხახლში გვიცვიდებოდნენ და ეძებდნენ, ეგება საღმე დამალული პური ვიპოვოთ, რომ ბაზარში გავატანინოთო! საბძელში, ძარში, მარანში, ქვეერებშიაც კი პურს დაეძებდნენ.

## ՑԱՌԵՔՆԵՐԸ ԱՅՍՏԱՌՈՒԹՅԱՆ

Մյ հռմ չամացործ առա մյշոնութա դա յլոռութ տացուսո ցուլու  
 սալ Շին առ յցիշացնա, սրուլուա սպանութա դարիեծութենք հիմո  
 մոնշությունու դյուգ-մամա դա նորհի դա-միա. ხալեն առասութու սեռ-  
 սպանութա մոմնունուսացն. բարմունութենք, հա յրուստիւ բարունու  
 ոյն յութա քարութիւ! լույսի ձյուրի տայրմե տացուս վոճա ոյշութ  
 ուղութենութա! մոյենութա միմս, տումբա մզայսանս մուրութենա զա-  
 վացլանի դասկութա, սայրու յրեն արացուս ազովությունութենութա. ան հռ-  
 ցուր դացաւությունութենութա? համդենու խան ցալութա դա հիշեն  
 սպանութենա մարտունութա, մուրենու մերու միյեւնու դա մոստմեն-  
 լաւ մուցութութու սայրու յրեն մութութենա. հիշեն ցուլու  
 հռմ ույց ույց-սպանությունութա առ մոյելունցատ, դլյու առպ ամ  
 սպանությունութա մջամարտութենա զայն յութենութու, ցանձակութա խալեն.  
 այյետ-ոյյութ մոյեարա մոմութա: ցոյսու, ցոյսու, հապ վամյութ! աելա  
 կո գրիտենութա, տորեմ ցլութեն-յաւուս մոտմինցանաւ սամելցարու  
 այյելու! հիշեն տյայեն յալունցեն դա ծրույնցեն առ ցունցա! հիշեն  
 մուստանա մոնստրութեն ցունցա, հռմ խալենստացուս նրանացնեն,  
 հռուռու նյույյուրու դա բույրու!

Դա մի սամունցու ֆամտարնու, մի սամունցու պինցանու, հռույ-  
 սաւ մզայրենցու լցունու դա արացու ույնենութա, մուցութա դա մար-  
 ցալութա ույց ույց դասաւությունու դասարութենութեն ալիս-լու-  
 րենցու լու սացայրութա դա վոյնենց արակութենութեն. տացութ ոյեամ-  
 պ բույաթու ույնեն գաեայութեն, մաշրամ մուստանա սուրույ ույու,  
 հռմ մալլու արացու ցայշուցենութա ցարյութ դա ուսոնու կո մուլութ-  
 են տացուն յալութենութ, տոտքու սուրույ առպ կո Ֆըրմնութենու.  
 Ընկածալ քարտա-քարտա վոյնենց անութենութեն, հռմլութենու քարութու-  
 նան մուսդուռութա. եմուրաւ, հռու Շին ույնեն, հիշեն պայմանացու-  
 թանութեն աեալ վոյնենց; մուցութենութ ցահալցենութ ծոյեան  
 դա ապությունութ յուտեցան. դլյուսաւ պայմանաց մայյեն մամունց-  
 լու վոյնայեն. հռմ նաեւու, ցայցարութեն: նոյ տոյ սեցու մար-  
 տալու դա սացությունուն աթրեն բուրությունութ խալենցու հյուսու-  
 լուցունուս վոյնացան! յայրան ցամութենութա, լրմա մուլաւան  
 ցամուրկա! պայման մուսթյունութ ամութենա սուրույ դա սոյալնեց,  
 ցարդա տացաւ-անությունութա դա մասցան պայմանութ չարուս.

რაც უნდა წიგნაკი აგელო, ყველგან ერთი და იგივე აზრი იყო გატარებული: ქვეყანა მუშა-კაცისაა და არა მუქთა-ხორა მებატონებისათვის! რაც უნდა წიგნაკი წაგეკითხა, ყველგან ერთსა და იმავე დასკვნას მიადგებოდი. ათი წილი საფრანგეთისა სწორედ იმავე თვალით უყურებდა სასახლეს, მინისტრებს და სამღვდელოებას, რა თვალითაც ჩვენ ვუყურებდით.

მაგრამ ამ დროს ჩვენს ოჯახში ერთი ჩემთვის ძალიან საწყენი ამბავი მოხდა. მით უფრო საწყენი, რომ ჩემდა უნებურად დამარტინუნა, რომ ერთი ხიდან ბარიც გამოეა და ნიჩაბიცაო.

ქრისტიშობისთვის შუა რიცხვები იყო; ქალაქიდან მომავალმა მეზობელმა შეგვატყობინია, დღეს ბაზრობას ფოსტის მოხელე გამოვიდა და ხალხს დაუძახა:—ფოსტაში წერილებია დარჩენილი და შეგვატყობინეთ, თუ პატრონს იცნობთ, მოიყისეთ. სხვათა შორის თქვენი გვარიცა სოქვა, პეტრეს სახელობაზედ ქალაქში წერილი მოსულა და ამოიტანეთ.

დღევანდელი წესები კი არ იყო მაშინ, ეხლა რომ სახლში მოგვარომევენ ხოლმე წერილებს! ბატონი ბენე—ფოსტის უმფროსი, გამოვიდოდა ბაზრობა დღეს მოედანზედ და შესძახებდა:—ხალხო, იქ ლუტყელბურგელი ხომ არავინ არის? წერილია, იქნება აუტანოთ! ჰალტენჰაუზელი ხომ არავინ არის?

— მე გახლავარ!

— თუ შეიძლება, ეს წერილი წაუღე, აგერ ექვსი კვირაა ფოსტაში გდია და არავის მოუკითხია.

მისცემდა წერილს და მერე კი აღარა ენაღვლებოდა-რა, მიუვიდოდა თავის პატრონს თუ არა.

ჩვენ რომ შეგვატყობინა მეზობელმა, განა არა, მინდოდა წამომელო, მაგრამ ერთი აბაზი მთხოვა და ფული არა მქონდაო; და რომ მქონდა კიდეც, რა ვიცი, იქნება თქვენ არც კი მიგელოთო...

მოდი შენა და იმისთანა გაჭირებაში აბაზი გადიხადე ერთ უბრალო წერილში! ვიფიქრე, ეკლოს, არ ამოვიტან-მეთქი, მაგრამ დედამ და მეტადრე მამა-ჩემმა აღარ მომისვენეს: ჩვენი

ნიკოსაგან იქნება, ამოიტანე შვილო, იქნება რას იშერებათ. ისე უნდოდათ ნიკოს ამბავი გაეგოთ, რომ იძახდნენ, ოღონდ წერილი ამოიტანე და ორი კვირა პურს არა ვჭიმთო.

რაღა მეთქმოდა, ავდექი და წავედო. წერილი მართლა ნიკოსაგან იყო. მოუთმენლად თურმე მელოდნენ ჩვენები, ამოვიდეს, წაგვიკითხოსო. ისე გაუხარდათ წერილის მიღება, თითქო ნიკოსა ხედავდნენო. ვკითხულობდი და დედა-ჩემს შევცემ-როდი, ყურს მიგდებდა და თან ღაპა-ღუპით სდიოდა ცრემლი. წერილი ქრისტიშობის პირველს იყო დაწერილი. მინისტრი ბრიენი დაითხოვეს და ოცი-ათასი თუმანი პენსია მისცეს, გამოცხადებული იყო საერო კრება 1789 წ. პირველ მაისს უნდა მოხდესო. სახელმწიფო ხაზინის მინისტრად ისევ ნეკაერი დანიშნეს, მაგრამ ნიკო ამ ამბებს ყურადღებასაც არ აქცევდა, თითქო იმის სამშობლოს კი არა, სულ სხვა უცხო ქვეყანას შეეხებაო. ის სულ სხვას იწერებოდა... მაგრამ სჯობს თვით წერილი წაიკითხოთ და თქვენი თვალითა ნახოთ, რასა ფიქრობდა ჯარის-კაცი იმ დროს, როდესაც მიწასთან გასწორებული ქვეყანა აღდგომას შენატროდა. განა გასამტკუნარია საწყალი ნიკო! სხვა თავის ამხანაგებზედ ის არც უკეთესი იყო, არც უარესი, სრულიად უსწავლელი კაცი იყო და საქმებს ისე უყურებდა, თითქო ადამიანი კი არა, ტყის ნადირიაო. გარდა ამისა თითონ წერა არ იცოდა, და იქნება სულ იმან ჩაუმატა ის საზიზლარი სიტყვები, ვისაც წერილი დაწერინა.

აი თვით წერილიც:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

პეტრე ბასტიონს და ეკატერინეს იმის მეულლეს

სამეფო ჯარის მესამე რაზმის ათის თავი ნიკოლოზ ბასტიონი. პარიზიდან.

საყვარელო დედავ და მამავ! საყვარელო და-ძმანო!

იმედი მაქვს ჯერ ცოცხალნი ხართ, რადგან ამ ოთხ წელიწად ნახევარში დიდით პატარამდე ხომ ვერ ამოწყვდებოდით.

მე ძალიან კარგად გაზლავართ. მართალია, ჯერ ისე არ დაშვეულებია კისერი, როგორც ფალსბურგელ ყასაბს, მაგრამ, კვეხნაში კი არ ჩამომართვათ, ვაჟა-ცობით იმასაც არ დაფუვარდები; მაღა მგლისა მაქვს და სხვა კიდევ უკეთესი. უმთავრესი ის არის, კაცს მაღა ჰქონდეს.

საყვარელო დედავ და მამავ, ეხლა რომ მნახოთ სადმე ჩემი ცხენით, ჩემი ბუზმენტიანი ქულით და სამხედრო სალამის მისაცემად ამოღებული ხმილით... ან არა-და სალამო ხანს ბულვარზედ სადმე მოსეირნე რომელიმე ნაცნობ ზალით მკლავი-მკლავში გაყრილი, გაკეირვებული დარჩებით, რადგან თქვენს დღეში არ დაიჯერებთ, რომ მე თქვენი შვილი ვარ. რომ მოვინდომო, როგორც სხვები შერებიან და კეთილ წობილი ვარ-მეთქი—ვთქვა, ყველგან! დამიჯერებენ, მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ მე იმას არ ვიკადრებ, რადგან მე არ მინდა თქვენი ჭალარა თმის შერცხვენა, რომლისაც ლიდი პატივის-მცემელი ვარ უკუნითი უკუნისამდე. ისიც გეცალინებათ, რომ პირველ წელს უფროსი ათის თავი იერებია ძალიან მდევნილა, საქმე გამიჭირა, ჯამით თავი რად დამისახირეო! მდევნიდა, სიცოცხლეს მიმწარებდა, დაღი რად დამისეიო, მაგრამ დღეს მეც ათის თავი ვარ და მალე იმისი სწორიც ვიქნები. სამხედრო სალამის შეტი მე იმისი არა შმართებს-რა. ერთი დღეც იქნება, ერთმანეთს შევეცდებით სადმე და მაშინ კი მიფთხილდეს! არ დაგიმალიავთ და მოგახსენებთ, რომ ჩვენს ჯარში იარალის ხმირებაში მე ბევრი არავინა მჯობიან და ჯერ ერთი წლის შესული არც კი ვიყავ, რომ ნოაილში ორი კაცი დავჭრი. ეხლა კი ლაჭუერის, ლოზუნის და ბუკეს გარდა ჩვენს ჯარში ბრუდედ ვერავინ შემომხედავს. საქმე ის არის, კაცს ვალმა და მკლავმა არ უმტყუნოს! და თვალი და მკლავი ხომ ლეთისაგან არის მონიჭებული: ზოგს მისცემს და ზოგს არა! სხვა ჯარებიდანაც კი მოდიან ჩემთან საბრძოლველად. მკათათვის პირველს, ჯერ ისევ ვალანსიერში ვიდექით, ჩვენი რაზმის აფიცრები დანაბლევებოდნენ კონტის რაზმის აფიცრებს: თითო ბიჭი გამოვიყვანოთ, ვნახოთ, ვინ აჯობებსო! ერთი ბიჭი ჰყავდათ, ძალიან ყოჩაღი

და იარაღში ძალიან გათქმული. ჯავრი მჭირდა იმისი, რადგან სულ იმას დამცინდა—ალზასელოვო! მწყინდა. სანაძლევო რომ გაერგე, ავდექი და ორი კაცი გავუგზავნე—თუ ბიჭი ხარ, გამო. ბრძანდი-მეტქი. საქმე გარეგდა და მეორე დღეს ბალში შევხვდით ერთმანეთს. გიუივით მომვარდ! ისე ხტოდა, როგორც ვეფხი! მაგრამ მესამე ნახტომშედ ისე მარჯვედ ვატაკე ხმალი შიგ მარჯვენა ძუძუს თავში, რომ ალარც კი ამოუსუნთქია. ორი დღე ტლამე დამწყვდეული ვიყავი, რადა გაქვს აგრე უბედური ხელიო! მაგრამ ჩვენმა მაიორმა თავის სუფრიდან გამომიგზავნა ერთი კალათი სულ საუცხოვო საქმელ-სასმელი. მაშ! სანაძლევო მოვაგებინე და არ მაქეიფებდნენ?! მას შემდეგ ძალიან პატივსა მცემენ ჩემი უმფროსები. ჰო-და რომ იცოდეთ, რა ამბები ხდება აქა, რომ იცოდეთ, რა ცუდად იქცევიან აქაური მოქალაქენი და როგორა ცდილობენ აჯანყებას, მეტადრე ხელოსნები და მუშები, რასაკვირველია, მიხვდებით, რა ადვილად შემიძლიან თავი ვისახელო და საგმირო საქმეები ჩავიდინო. მარიამობის-თვის 27 იუ. ისეთი აჯანყება მოხდა ქალაქში, მეტი არ შეიძლება. ახალ ხიდზედ შეგროვილიყვნენ აჯანყებულები. შედედებული მაწონიერი იძვროდა ხალხი. დაკათ მაგ წუპაკებსაო! გვიძრძანეს და ლვთის წყალობა გაქვთ მე იმ დღეს ჩემს ცხენს ხალხი ვასრესინე! მას აქეთ ისე დღე არ გაივლის, რომ ხან აქ არ იყვნენ აჯანყებულები და ხან იქა; მოსვენება ალარა გვაქეს! ისე ვცემთ, ისე ველეტავთ, ისე ვმუსრავთ, რომ ან სულ ამოველეტავთ, ან არა-და კუუას ვასწავლით! მეორე დღეს ახალ ხიდზედ სულ კერძებით ეყარნენ დაჭრილ-დახოცილები. წეტავი გენახათ! ვერ წარმოიდგენთ, რა კარგი სანახავი იყო იმოდენა მუცელ გამოლადრული ლეშა! მე მხარ-მარჯვნივ ვიყავი მეორე რიგში და ცოცხალი არავინ გადამრჩენია! სამართებელივითა ჰპალსავდა ჩემი ხმალი! ჩვენი უფროსი რეინახი ფიცავდა, დღეს ისეთ ისეთი მიდარტყით, რომ აჯანყებას თავის დღეში ველარ გაბედავენო. მე კი არ ვიცი! არა, ძალიან თავს გავიდნენ-და! ვილაცა მყრალი მუშები, ხელოსნები, გლეხები და ხედავთ ჩაებს სჩადიან? ჰო-და მოხვდათ! დისციპლინამ იცის-და! ბრძანება

გამოვიდა?! უნდა იაღო იარაღიდა წახვიდე! გიბრძანეს, უშორი  
ლეო! უნდა ესროლო, თუნდა კიდეც იცოდე, რომ შენი ხელით  
გულის საყვარელ დედ-მამას ან და-ძმას დახოცავ! ისე უნდა  
გადაიარო ზედა, ისე უნდა გადაქელო, ვითომ პატივზედ გა-  
დაგირბენია! ჩემდა საუბედუროდ წერა-კითხვა არ ვიცი, თორემ  
ძალიან წინ წავიდოდი. მაგრამ ნურც ამისთვის შესწუხდებით:  
წერა-კითხვას კი არა, რა ვიცი რას არ ვისწავლო, ოღონდ  
იერებისა არაფერში ჩამოვრჩე და იმის ჯავრი ამოვიყარო! ერთი  
ყმაწვილი კაცი გვირცვია ჯარში, დიდი გვარის შეილია და წიგ-  
ნი კარგად იცის; ის ანბანს მასწავლის, მე იარაღის ხმარებას;  
ჰო-და შიგ ძირში მომშერით ნახევარი ულვაში, თუ წიგნიც არ  
ვისწავლო! ამ ცოტა ხანში რომ ჩემს წერილს მიიღებთ, ჩემი  
ხელით დავწერ, და მანამ კი ბევრს გაკოცებთ და ღმერთსა კოხოვ  
სრულიად მოგანიჭოთ, რაც კი გინატრიათ რამე ამ წუთი სო-  
ფელშიაც და საიქიოსაც.

+

თქმუნი ნიგოდორუს ბასიტიენი  
ათის თავი სამეფო ჯარის მესამე რაზმისა

1 ქრისტიანობისთვეს 1788 წ.

საწყალი ნიკო! ბრძოლაზედ და კაცის-კვლაზედ უკეთესი  
იმისთვის ქვეყანაზედ სხვა არა არსებობდა-რა. მისი უმუროსე-  
ბი ისე უყურებდნენ, თითქო ყოჩია და მარტო საჭიდავოდა  
ჰყავთო. აქებდნენ, აქეზებდნენ და იმასაც ეგონა, ადამიანის  
უმთარესი დანიშნულება ადამიანისაე კელა არისო. როგორ გა-  
მეტყუნებინა? რომ არ იცადა, საწყალმა, რას სჩადიოდა? მაგ-  
რამ მრცვენოდა, ეს წერილი შოველს და ნათლია-ჩემს რო-  
გორ წავაკითხო-მეთქი. დედა-ჩემი კი აღტაცებაში მოიყვანა  
ნიკოს წერილმა და მეტი ნეტარებისაგან ღმერთს მადლობას  
სწირავდა.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ჩემი ნიკო წინ წავიდოდა.  
ენაცვალოს დედა, დღეს-ხვალ აფიცრობასაც მიიღებს. თუ კი  
ათის თავობა მიულია! ნეტავი იმასა, ეინც გარედ გავა და ხალხ-

ში გაერევა. იმიტომა ვართ ასე ღარიბ-ღატაქნი, რომ ვყრივართ ჩემის სოროში, თითქო მხეცები ვიყვეთ. ნეტავი იმას! ნახავთ, თუ აფიცრობა არ მიიღოს და კეთილშობილობა არ დაიმტკიცოს, ან ნახავთ!

ნიკოს ამბავმა მამა-ჩემიც ძალიან ასიამოენა, მაგრამ შეაწება კიდეც: რა არის, იარაღისა და ბრძოლის მეტს არას იწერება! დღეს იმან აჯობა, ხეაღ რომ სხვამ აჯობოსო? ღმერთმა კი დაითაროს, და იმასაც რომ ატაკონ მარჯვენა ძუძუს თავში? ჩვენ კი ჩვენი დაგვემართება-და! ღმერთი არ არის? განაიმ უბედურს, ნიკოს რომ მოუკლავს, ან დედა არ ეყოლებოდა, ან მამა, ან ცოლშვილი?!.

— ნეტავი კი შენ არ მოჰყვებოდე ხოლმე-და! — შეუტია დედა-ჩემმა, წამოავლო წერილს ხელი და დაუარა მეზობლებს:

— ჩემი ნიკოს წერილი, გენაცვალეთ! ათის-თავობა მიუკიათ! ისე თურმე ხმარობს იარაღს, რომ თავად-აზნაურნი ებარებიან შეგირდად. იცით რამდენი კაცი მოუკლავს! დედ-მამას და ქმას არ დავინდობ, თუ მრუდედ შემომხედაო!

მთელი სამი დღე ატარა ასე ნიკოს წერილი და მერქ, როცა ყველას ახარა თავის ბედნიერება, ისევ მე მომცა. ნათლია-ჩემსაც გაეგო, ნიკოსაგან წიგნი მიუღიათო და მკითხა, რას იწერებაო? რა გაეწყობოდა, უნდა ამომელო და წაეჭკითხა. საღამო ხანი იყო. შოველი და მარგალიტაც იქ იყვნენ. როგორც იყო, გვათვავე, წავიკითხე. ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ, მე კი ოფლში ვიწურებოდი: მრცვენოდა, მრცვენოდა, რომ იმ ღროს იქ ყოფნას, ჯოჯოხეთში ყოფნა მერჩივნა. ბოლოს ნათლია-ჩემმა სთქეა:

— უბედურება არ არის, პატიოსან ოჯახში ამისთანა მხეცი გამოერიოს? უბედურს კაცის კვლის მეტი კი აღარა აგონ-დება-რა-და! დედ-მამას-არ დავინდობ, და-ქმას დავხოცავ, თუ მიბრძანესო! დისკიპლინა ეს არისო! მოდი შენა და ნუ იტყვი, რომ დისკიპლინა აღამიანის გამამხეცებელი ყოფილი!

— მაგისი რა მოგახსენო, — მიუგო შოველმა, და ეს კი ვიცი, რომ ძალიან საინტერესო ამბებს იწერება; პარიზში ხალხი

აჯანყებულა, იქამდის მისულა საქმე, რომ ხალხის წინააღმდეგ ჯარები გაუყვაინიათ, ხალხი უხოცნიათ და ჩვენ კი არ ვიცოდით-რა! გაზეთებშიაც რომ არასა სწერებ! განა არა, იმას წინად, ამბობდნენ დიდძალი ჯარები გაისტუმრეს გრენობლსა, ბორდოს და ტულუზისაკენაო, მაგრამ მიზეზი კი არავინ იცოდა. ეხლა კი ცხადია: ალბად იქაც ეშინიანთ ხალხის აჯანყებისა. რა კარგი ნიშნებია, რომ იცოდეთ! რა კარგი ნიშნებია! განა ვერა ხედავთ, რომ საშინელი ძალით მოედო ქვეყანას განთავისუფლების სურვილი და მის შეყვენებას და შეფერხებას ჯარებით და ზარბაზნებით ვეღიარ მოახერხებენ?! პარიზში რომ ხალხი არ აჯანყებულიყო და ჯარს არ გამკლავებოდა, არც დებრიენს დაითხოვდნენ, არც საერო კრებას დანიშნავდნენ. საშიში ბრძოლა და ჯარი კი არ არის, ან რა და რა შეუძლიან ჯარს, როდესაც მთელი ერთი ერთი წადილით არის გატაცებული? ოლონდ ხალხმა გულით მოინდომოს რამე, ოლონდ ხალხში თანხმობა იყოს და იმაზედ მძლავრი აღარა არის-რა! ქარი არ აათამაშებს ისე აღვილად ჰაერში ბუმბულს, როგორც ხალხი აიცლის თავის გზიდან ყველას, ვინც კი მის წინააღმდეგობას გაპქედავს... მერწმუნეთ კარგი ამბავი მოვგიტანა მაგ წერილმა... დროა საქმეს შევუდგეთ! დროა ამორჩევისათვის შევემზაღვნეთ. უნდა ვეცადნეთ, რომ სიმართლისა და თავისუფლებისათვის ამართოს ხალხმა თავისი დროშა.

დიდად ნასიამოვნები იყო შოველი და იმ საღამოს ბევრი ილაპარაკა; ისეთი იმედიანად შეჰყურებდა ხვალინდელ დღეს, თითქო დარწმუნებულია, რომ ხალხის ხსნა საერო კრებაზედ არის დამოკიდებულიო. ხალხიც შოველსავით იმედიანად შეჰყურებდა მომავალს. დამშეულიც ვიყავით, ზამთარისაგანაც შეწუხებული, მაგრამ არც კი ვიმჩევდით. ჰაერში ახალი რაღაც ტრიალებდა და ისე გვაერთებდა, ისე კვაკავ-შირებდა გლეხ-კაცს, ხელოსანს და მოქალაქეს, რომ ჩვენი ერთობა ჩვენვე გვიყვირდა. ტყუილად კი არ ამბობდა შოველი, დიდი ამბები მოხდებაო. ყველანი ვგრძნობდით, რომ დიდი ამბები უნდა მომხდარიყო, ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენი

ბედ-ილბალი ჩვენ ხელთ იყო და ეს გრძნობა ერთი-ასად გვი-  
 მატებდა ძალას და მხნეობას. ახალი ცხოვრება იწყებოდა და  
 სულ უკანასკნელი, მშიერი-მწყურვალი და თითქმის ტიტველი  
 ღარიბ-ღარიც კი ისე ამაყად შეჰყურებდა ცას, თითქო გუ-  
 შინდელი ქედ-მოხრილი ყმა კი არა, იმავ თავობითვე თავისუ-  
 ფალი კაცი ყოფილიყოსო.

## IX

გაზაფხულდა. პური კი ირა, ქატოც აღარსად მოიპოვე-  
 ბოდა, მაგრამ ქვითკირივით გავუმაგრდით ამ უბედურებას და  
 მომავალით-ღა ვცოცხლობდით. ისე დაიმშა ჩვენი მთა, ისე  
 დაიმშა, რომ ადამიანის წილ, ჩონჩხები-ღა დაიარებოდნენ.  
 თოვლ ქვევიდან, მიწაში ფეხსვებსა სთხრილნენ და იმასა სკამ-  
 დნენ. ღობის ძირას შარშანდელ გამხმარ ჭინჭარს ეგბდნენ და  
 იმასა ხარშავდნენ. საშინელება იყო ჩვენი მდგომარეობა, მაგ-  
 რამ გაზაფხულიც მოიპარებოდა ნელნელა.

ბერები ვეღარა ბედავდნენ მოწყალების თხოვნას, რადგან  
 ეშინოდათ დამშეულმა ხალხმა არა იგვიტებოს-რაო. და მართ-  
 ლაც, სულ ცოტა რამ კმარიდა, რომ გაჭირებული ხალხი მოთ-  
 მინებიდან გამოსულიყო და ჯავრი ამათზედ ამოეყარა. რომ  
 მოგვესწრო სადმე, პირდაპირ ჩავაქვავებდით, მით უფრო რომ  
 ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს მაზრაში რომ ჯარი გადმოიყვანეს,  
 ბერებს სრულიადაც აღარ ექომაგებოდა.

ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორც მოგეხსენებათ, ჰაერ-  
 ში ახალი რაღაც ტრიალებდა. იქნება არც კი ნებავდათ, მაგ-  
 რამ თავისდა უნებურად იძულებულნი იყვნენ გამოექვეყნები-  
 ნათ მეფის ბრძანება საერო კრების შესახებ. ხმა დადიოდა,  
 როცა საერო კრების დღეს დანიშნავენ, ბრძანებით აცნობებენ  
 მაზრის უფროსს და ის კიდევ კველა მამასახლისს შეატყობინებს  
 და უკველ სამიმასახლისოს და ეკლესიის კარებზედ განცხადების  
 გააკვრევინებსო. გარდა ამისა მღვდლები წირვის შემდეგ წაუ-  
 კითხავენ თავიანთ სამწყსოს და რაკი ამგვარად მთელს ერს

გამოუცხადებენ მეფის ბრძანებას, ამის შემდეგ დანიშნულ დღეს ერთი კვირის განმავლობაში, ქალაქში შევკრბებით ყელანი, ერი და ბერი, გლეხი და თავადი, მუშა, და ხელოსანი, შევკრბებით, ჩვენს გაჭირებას ავწერთ, საერო კრებისთვის ჩვენს წარმომადგენელთ ამოვირჩევთ და იმათ მივანდობთ, კრებას ჩვენი გაჭირებული ცხოვრება აცნობონ. როდის იქნება საერო კრება, ამას შემდეგში გაგვაგებინებენო.

ეს იყო, ამაზედ მეტი ჩვენ არა ვიცოდით-რა. ის კი ვიცოდით, რომ თუ მართლა საქმე ჩვენი გაჭირებული ცხოვრების აწერაზედ მივარდებოდა, ღმერთო! ღმერთო! მგონი იმდენი რამ გვეთქვა, იმდენი უსამართლობა, დამცირება და შეურაცხუფვა აგვეწერა, რომ ქვესაც კი შევბრალებოდით.

ვერსალში დიდებულთ და სამღვდელოებას ერთი კრება კიდევა ჰქონდათ: უნდოდათ საერო კრებისთვის შეთანხმებულიყნენ და მომზადებულიყვნენ. თუ ცოტაც არის მაინც კიდევ ჰქონდა ვისმე თავად-აზნაურობის და დიდებულების იმედი, ამ კრებამ ეს იმედიც გაჰქიანტა და ახლა კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ დიდებული ხალხისთვის იყის მეტს არასაზრუნვენ. ახლა კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ თუ ხალხმა თავისთვის თითონ არ იზრუნა, მეფე და მებატონეები არას მისცემენ. საერო კრებაო, რომ იტყოდნენ, თან ხალხით დაბრანდნენ და ყველამ იცოდა, რომ მოქალაქე, ვაჭარი, მუშა, ხელოსანი და გლეხი-კაცი ერთად იყვნენ, ერთი მიზნისკენ მიისწრაფოდნენ და ერთს ძალის წარმოადგენდნენ—ხალხის ძალას. ამობდნენ უწინდელ დროში კიდევაც ყოფილი საერო კრება, კიდევაც ყოფილან ჩვენი წინაპარნი საერო კრემაზედ მიწვეული, მაგრამ მეფის, დიდებულთა და სამღვდელოების წინაშე დაწოქილი წამდგარან და კისერზედ თოკი ჰქონიათ მიბმული ნიშნად მონაბის და ყონისათ. წარმოიდგინეთ ჩვენი აღშეოთება, როდესაც ვერსალის კრების განაჩენი გავიგეთ, რომლითაც დიდებულთ დაედგინათ, ძველებურად მუხლ-მოყრილნი და ყელზედ თოკ-შებმულნი მივიღოთ კრებაზედ ხალ-

ხის წარმომადგენელნიო! როგორც წესი და რიგია, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთო! თუ კი 1614 წ. ასე ყოფილაო?!

მაშინ კი მგონი თვით გალენტინმაც შეუკურთხა დიდებულო! მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ პარიზელმა პარლამენტმა საერო კრების მოწოდება ხალხის სიყვარულით და მის საშველად კი არა, მარტო იმიტომ მოიწადინა, რომ დიდებულო არ უნდოდათ თავიანთ მამულების და კვალად გაელოთ ის ხარჯი, რომელსაც საწყალი ხალხი იხდიდა.

გაზეთებში ეწერა, დიდიძალი პური შემოდის რუსეთიდან და ამერიკიდანაო, მაგრამ ჩვენს სოფელში და მარტო ჩვენს სოფელში კი არა, ყველგან მთაში, არამც თუ პური არავის მოჰქონდა გასახყიდად, სახლში გვივარდებოდნენ და ერთი ჩანახიც რომ ეპოვნათ საღმე, იმასაც გვარომევდნენ, თქვენ აქ პურს ინახავთ და დიდ ქალაქებში კი ყველგან აჯანყდა დამშეული ხალხი და პური იმათ უნდა მივაწოდოთ! თქვენ პური რად გინდათ, თქვენ მოთმინებაც გეყოფათ; პური იმას უნდა ვისაც მოთმინება არა აქვთ.

თებერვლის გასულს, სწორედ იმ დროს, როდესაც ძალიან შეგვაწუხა შიმშილმა, შემოესივნენ ჩვენს სოფელს იასაულები და სახლი არა გადაარჩათ გაუჩჩრეკავი. ვამშად, რასაკვირველია, ნათლიაჩემს ეწვივნენ დუქანში: მაზრის უმფროსი, პოლიციის უფროსი და რამდენიმე კიდევ სხვა მოხელე და მამასახლისები.

საუბედუროდ შოველიც იმ საღამოს დაპრუნებულიყო აღზასიდან და ჩვეულებისამებრ ნათლია-ჩემთან შემოსულიყო. სასტუმრო ოთახში დაედვა თავისი საწვრილმანო და თითონ კი ბუხარს მისჯდომდა. კარი რომ შეაღეს და უცბად თავზედ წაადგნენ სახელმწიფო მოხელენი თავიანთ ოქრომკედით ნაკერი ტანისამოსით და ქუდებით, ჩვენი შოველი ცოტა არ იყოს შეკრთა. მით უფრო, რომ პოლიციის უმფროსი ბატონი დევარდნი ისე უყურებდა, თითქო კატამ თაგვი დაინახა და ემზადება, ისტუპოს და ზედ დაახტესო. ცუდი შეხედულება ჰქონდა ლვთის წინაშე იმ დროს ბატონს დევარდენს! სხვებმა გაჩერებით მოიხადეს წამოსახამები და სამზარეულოსაკენ გაეშურნენ; იმან

კი მარტო ხმალი მოიხსნა, იქვე კუნძულში მიაყუდა და შეორე შოველის საწვრილმანოს მივარდა. გახსნა და წიგნების სინჯვა დაიწყო.

შოველიც იქვე ცოტა უკან იდგა. ახლა კი დამშვიდებულიყო. ორივ ხელები შალვრის ჯიბეებში ჩაეწყო და ისე დაცემოდა პოლიცის უმფროს, თითქო ეს წიგნები იმისი არც კი იყო.

მაზრის უმფროსი და მოხელეები მიდი-მოდიოდნენ, ხელებს იფშვნეტდნენ და იძახდნენ:

— ეგეც ხომ გადავაგორეთ! ღმერთო, რა ჭირად აგვი-ტყდა ეს სოფლების ჩხრეკა!... დაჩქარე, მზარეულო, პური გვშიან!

და გულიანად იცინოდნენ.

სამზარეულოს კარი ღია იყო და მართლა მშვენიერი, სუნ-ნელებით სახე სუნი შემოდიოდა შემწვარის და მოხრაკულისა. ერთ მამასახლისს, ხელობით ხაბაზს, ვეღარ მოეთმინა, ტაფა აეხადნა და შიგ ჩას ცქეროდა, თან ნათლი-ჯალაბსა ჰყითხავდა, რა და რა მასალა უყავიო. ნიკოლი სუფრასა შლიდა; ბ. დეუარდენი იდგა და წიგნებს სინჯვადა. ცალ-ცალკე ამოილებდა, ყოველ წიგნს გასინჯვადა და იქვე სტოლზედ დასდებდა.

— შენა ჰყიდი ამ წიგნებს? — ჰყითხა ბოლოს შოველს ისე რომ იმისკენ არც კი მიუხედნია.

— დიალ, ბატონო, — მოახსენა დამშვიდებული ხმით შოველმა.

— იცი, რომ ამგვარ წიგნების გავრცელებისთვის საღრ-ჩობელაზედ ამართავენ ხოლმე შენისთანა მაწანწალებს?

— მაგას რად ბრძანებთ, ჩემო ბატონო? საღრჩობელაზედ ემ პატარ-პატარა წიგნაკებისთვის? აბა, რომელი გახლავთ აქ თქვენი დასაწუნი? აი მაგალითებრ ესა: რა უნდა იზრუნოს საქ-რო კრებაშ, უბრწყინვალესი თავადი ღრღეანელისა; ან ფაქტი და მოსაზრება მამულის შვილისა საქრო კრების შესახებ; სგაწნა-მუდარა და სათხოვარი კადატოზებისა; აქ საშიში არაფე-რი გახლავთ.

— რატომ მეფის ნება-რთვა არა აქვს ამ წიგნებს?

— თქვენ კარგად მოგვეხსენებათ, ბატონი, რომ მინისტრი ბრიენის შემდეგ წიგნების ბეჭდვა და ვაჭრობა თავისუფალი გახლავთ.

ის კი ისევ ისე ეძებდა, იქნება აკრძალული ვიპოვო რა-მეო. ახლა კი სხვებიც გარს შემოხვევოდნენ. მე და ნათლია-ჩემი უფრო უკან ვიდექით თაროსკენ და სულ ჭირის ოფლს გვასხამდა. შოველი კი იმედიანად გადმოგვხედამდა ხოლმე, თით-ქო განსაცდელში ჩვენა ვართ და ის გულს გვიმაგრებსო. ეჭვი არ იყო, საწვრილმანში აკრძალული წიგნები ჰქონდა დამა-ლული და თითქო რაღაც სუნი მისდისო, ისე ჯაშუშურად ჩხრიკავდა ბ. დევარდენი წიგნებს.

ცოტა კიდევ და კიდეც გათავდებოდა წიგნების სინჯვა, მაგრამ ამ დროს ოთახში ნათლი-ჯალაბი ეკატერინე შემოვი-და და წვნიანი შემოიტანა. იმის დანახვაზედ ყველანი სუფრას ეცნენ, ვინ წინა და ვინ უკანა, და ყველაზედ წინ მაზრის უფ-როსი. სუფრის თავში გამოიჭიმა და დაიშუო ყვირილი:

— მობრძანდით, ყმაწვილებო, დაბრძანდით!.. რა დედ-ლური გაუკეთებია ჩვენს დიასახლის! ერთი შემოხედეთ-და! მობრძანდით-მოთქი, ყმაწვილებო! რა დროს ეგ ოხერი წიგნე-ბია, რა ვქნა! მამა-ჩემი არ წამიწყდება, მარტო მე ეახსენებ ღმერთ-სა, თუ ეხლავე ყველანი არ დაბრძანდულხართ!

და წამიავლო კიდეც ჩამჩას ხელი. იმ დროს ნიკოლმაც მადის მოსაყვანად საგანგებო არაყი მიართვა, ბიჭის კიდევ ხე-ლადებით ღვინო მოჰქონდა. ბ. დევარდენმა რაკი ნახა, მე არ მელიან და უჩემოდაც კარგად შეექცევიანო, გაბრაზებით გად-მოხდა შოველს და შეუტია:

— შენ ეი! კიდევ ჩამივარდები ხელში!

და რაღაცა წიგნი ეჭირა, წიგნებზედ დახალა და სუფ-რისკენ წავიდა, შოველმა წყნარად ჩაალაგა კალათში თა-ვის წიგნები, წამიაყიდა ზურგზედ და მძიმედ თავი დაუკრა სუფრაზედ მსხდომთ. ჩვენ კი ისეთი მხიარული თვალით გად-მოგვხედა, რომ უცხოც იტყოდა, ამ კაცის სიცოცხლე ბეწვ-

ზედ ეკიდა და აგერ განსაცდელს გადარჩენილათ. ძლიერ გულიდან ლოდი მოგვეშვა და თავისუფლად ამოვისუნოქეთ.

შოველი წავიდა. ჩვენი სტუმრები მშევრიერ ვაზშამს შეექცნენ, სადლეგრძელოები გააჩინეს, ზედ მრავალუამიერი დასძახეს; გაიმართა ლხინი და დროს-გატარება. რა უჭირდათ! ქალაქიდან კარგი ლვინოები წამოელოთ და სამწვადელ სუკები.

კარებში კი გლახები მოგროვილიყვნენ და ქუდ-მოხდილნი ხელ-გამოწვდილნი ევედრებოდნენ, მოწყალება მოილეთო! დედა-კაცებს თან თავიანთი შეილები წამოეყვანათ და ისეთი კვნესით შესთხოვდნენ განკითხვას, ისეთი მწარი ცრემლით ევედრებოდნენ, რომ ქვასაც კი მოალბობდნენ. იდგნენ საწყალი ბავშვები დამშეული შოშიასავით პირდაღებულნი და ბატონების სუფრას შესცემოდნენ. მაგრამ გლახები ვის ახსოვდა? ისე გაერთვნენ ქეითში, ისეთი სიმღერა დასძახეს, რომ ვიღაც მათხოვარი კი არა, თვით ქრისტე ღმერთიც რომ მოსულიყო, იმასაც არ მიხედავდნენ. ლვინო ულეველი ჰქონდათ, ცხელ-ცხელი მცვრიანი მწვადი თავზედ სიყრელი; ისხდნენ და შეექცევოდნენ! სიმღერას გაათავებდნენ და ახლა ახალ-ახალ იმბებს უამბობდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ გათხნებისას, ასე სამ საათზედ აიშალნენ და ზოგი ქალაქისკენ წავიდა და ზოგი კი მთაში, რომ იქაც დაეწიოკებინათ საწყალი ხალხი და პური ეძებნათ.

მეორე დღეს სალამოზედ შოველი და მარგალიტა მოვიდნენ ჩვენს სანახავად. ჯერ შინ არ შემოსულიყვნენ, რომ ნათლია-ჩემა შესძახა:

— როგორ შეგვაშინე, შოველ, რომ იცოდე, როგორ შეგვაშინე! ღმერთო, როგორ უძლებ მაგ ცხოვრებას?!? განა შენი სიცოცხლე სიცოცხლეა? ყოველ დღე, ყოველ წამს სულ იმის ფიქრში ვიყვე, რომ აგერ დამიჭერენ და ჩამომახრიობენ-მეთქი! არა, მშობ, მე მაგ ყოფას ორ კვირასაც ეერ გაეუძლებდო! გავგიუდებოდი! ჩემი ხელით თავს ჩამოვიხრიობდი! ორ კვირასაც ვერ გავუძლებდი მაგ ცხოვრებას, შიშით გული გამისკდებოდა!

— ორ კვირას კი არა, მე ორ საათსაც ვერ გავუძლებდი! — დაუშატა ნათლი-ჯალაბმა. მართლაცა-და, ყველას გვიკვირდა, ამოდენა შიშის როგორ გაუძლო, რატომ გული არ გაუტყდა? ის კი ისეთი ღიმილით შემოგვცეკროდა, თითქო ბავშვებს უსაფუძვლო შიშის უქარვებსო:

— ეჭ, კარგით ერთი, ნურც აგრე გააზეიადებთ. რის შიში, რის გულის ხეთქვა, რას ბრძანებთ! შიში მაშინა მქონდა, როცა მართლა ჩამოსახრისძადა მდევდნენ, ამ ათი თხუთმეტის წლის წინად. სიფრთხილე აბა მაშინა მჭირდა! კურდლელი არ იქნება ისე გაფრთხილებული, როგორც მე ვიყავი. ამსტერდამში დაბეჭდილი, და მაშინადამე აკრძალული, წიგნები დამჭირდა დაძლიანაც ვასალებდი. რომ დავეჭირეთ, ისე ცამციმად ამწევდნენ და... ჩამომახრისძნენ. არც არას მკითხავდნენ, არც გამასამართლებდნენ, თოკი და მაგის ჯანით, იტყოდნენ. დღეს კი რა მიშავს, კიდეც რომ დამიჭირონ? გაუსამართლებლად ხელს ვერ მახლებდნ, ერთი ბეჭვი რა არის, ბეჭვს ვერ მომგლეჯენ თავიდან! უწინდელი დრო კი არ არის! ამ ათის წლის წინად რომ დავეჭირეთ, მაშინვე წამებას მიმაყენებდნენ: ან მკლავის ძვლებს დამისხვრევდნენ, ან ძარღვების გლეჯის დამიწყებდნენ, ამას ამანაგებიც ეყოლება და იქნება გასცესო.

— შენ რაც გინდა სთქვი, შოველ, და ერთ ხანად კი ფერი გეცვალა! თუნდა დავიფიცავ, აკრძალული წიგნი გექნებოდა რამე.

— მქონდა, მაშ არა მქონდა! აგერა, სულ ძირში მქონდა ჩამალული. — სთქვა შოველმა და კალათიდან შეხვეული გაზეთები ამოიღო. აბა ვნახოთ, როგორ არის ჩვენი საქმე.

კარი ჩავკეტეთ, ფანჯრების დარაბები მივხურეთ და შუალამე კარგად ვადავიდა, რომ ჩვენ ისევ გაზეთებს ვკითხულობდით. მე მგონი სიამოენებით წაიკითხავთ მაშინდელი გაზეთებიდან ამოწერილ ამბებს. ძეველის ძველი ამბებია, მაგრამ ჩვენი აწმუო კი იმ ძველმა შობა-და!

ერთი და იგივე გაისმოდა მთელ საფრანგეთში: დიდებულნი შეერთებას ცდილობდნენ, ერთმანეთს მხარს აძლევდნენ და

ყოველ ღონისძიებასა ხმარობდნენ, რომ საერო კრება არ შომ-ხდარიყო. ბეზანსონში დიდებულთა კრებას დაედგინა, საერო კრების მოწვევის შესახებ თვით მეფის ბრძანებასაც უნდა ვე-წინააღმდეგოთ, რადგან თვით ლეთისაგან არის დაწესებული, რომ კეთილშობილნი და იმათი მამულები არავითარ ხარჯს არ იხდიდნენ! იმავ თავიდან ასე ყოფილა ეს ათასი წელიწადი მე-ტია და კიდევაც ასე უნდა იყოს უკუნითი უკინისამდეო!... ეს რომ ხალხს გაეგო თავს დასხმოდა დიდებულთა, და კრება დაეშ-ლეინებინა.

პროვონსში დიდებულთა კრებაზედ უმრავლესობას მეფის ბრძანების წინააღმდეგობა გამოეცხადებინა: მეფემ კი არა, თვით ლმერთმაც რომ გვიბრძანოს, ჩვენ საერო კრების მოწვევას არ ვიყაბულებთო. და იქ პირველად გაისმა მირაბოს სახელი, რო-მელსაც პირდაპირ გამოეცხადებინა: სიმართლე ჩვენ კენ კი არა, ჩვენგან დაჩაგრული ხალხისკენ არის და მეც ამის შემდეგ ხალხ-თან და ხალხისკენ ვიქნებით. დიდებულთაგან მეფის ბრძანების და საერო კრების მოწვევის წინააღმდეგობა „არც სასარგებ-ლოა, არც ლირსეული და არც კანონიერია“. იმისთანა მჭერ-მეტყველებით და რიხით ამბობდა თურმე თავისას მირაბო, იმისთანა საფუძვლიანად და სამართლიანად, რომ მაშინვე ვთქვით, თუ ამისთანა დიდებულმა კაცმა მხარი მოგვცა, შიში არაფრისა უნდა გვქონდესო. ის რომ თავისას ამბობდა, სხვა თავად-აზნაურები თურმე განცვიფრებით შესცემროდნენ — არა, ეს კეთილშობილი არ არის, თორმე ასეთ მტკნარ სისულელეს არ იტყოდათ. შემდეგ კრებაზედ კი მირაბო სულაც აღარ მიი-ღეს და მით დაამტკიცეს თავისი სოლომონებრივი გონიერება.

ყველგან ბრძრლა იყო. ბრეტანში ქ. რანში თავად-აზნა-ურნი ხოცავდნენ მოქალაქეებს, რად იძახით, საერო კრება სა-ჭირო არისო; ხაცა კი ყმაწვილი კაცისას გაიგებდნენ ღო-ნიერი, ყოჩალი ბიჭი არისო, ოლონდ ხალხის შვილი კი ყოფილიყო და დაეცემოდნენ შეიარაღებულნი და ანდერძს აუ-გებდნენ. მოქალაქეთ კი ჯერ ვერ მოეხერხებინათ შეერთებუ-ლიყვნენ და იარაღითვე გაეცათ პასუხი. იმის მაგივრად, რომ

წელში გამართულიყვნენ და ვაჟაპურად დახვედროდნენ, ისტორიული ნი ბრეტანის სხვა-და-სხვა ქალაქებს სოხოვდნენ შეელას. აი რა პასუხი მისწერა, იმათ ნანტას ახალგაზღობამ: თქვენი კვნესით შეერთებული ნანტას ყმაწვილ-კაცობა განციფრებული ეკითხება თავის თავს: ნუ თუ ეს შესაძლებელია?! ნუ თუ შესაძლებელია, ასე ადვილად, უსამართლოდ, უდანაშაულოდ ხალხის ულეტა, როგორც ქ. რანში დიდებულნი სჩადიან!?

სისხლს სიხლი უნდა და კაცის მკვლელს სამაგალითოდ დასჯა. ამით აღვიარებთ, რომ ჩვენი კეთილი მეფის სურვილს საერთო კრების მოსაწვევად და მით ხალხის ტვირთის შესამსუბუქებლად და მონობილან გასანთავისუფლებლად მოწინააღმდეგეთ მარტო დიდებულნი, სამშობლოს მტერნი, აღუდებიან, რომელთათვის დაჩაგრული ხალხის კვნესა-გოდება ციური სიტკბოებით საესე ყურთ დამტკბობი მუსიკა. ამით ვაღიარებთ, რომ ჩვენ ერთხმივ დავადგინეთ და შევიფიცენით, ჩვენი ხელით დავწყვიტოთ ჩვენი მონად-მქნელი ჯაჭვები და ამიტომ იარაღს ვიღებთ და მოვესწრაფებით მტარვალთა დასასჯელად. ვიცით, ხალხის მტერნი აჯანყებულად ჩაგვრიცხენ და ცოტიანი ძალლივით დევნას დაგვიწყებენ; მაგრამ წინადევე ვაცხადებთ საყოველთაოდ: წმინდა არს ჩვენი წალილი! ჩვენს პატიოსნებას და სამშობლოს ვფიცავთ, თუ ბედმა გვიმუხთლა და ჩვენთა მტერთა სასამართლოს ჩავუვარდით, ვაჟა-ცურად მივიღოთ ყოველი შეურაცხყოფა და წამება, რომელსაც იგინი მოგვაყენებენ. დადგენილია ქ. ნანტში, სავაჭრო დარბაზში, 28 იანვარს 1789 წ.

ამას ნანტელი ყმაწვილ-კაცობა იწერებოდა, უფრო ნოქტები და წერილი ვაჭრები.

ქ. ანჟერში მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა შეყრილიყო და შეიარაღებული რანელების მოსაშეველებლად მოდიოდა. იქვე ანჟერში ქალებს გაემართათ კრება და რანელებს ატყობინებდნენ თავიანთ კრების დადგენილებას: „განაჩენი ქ. ანჟერელ ყმაწვილ-კაცების დედათა, დათა და მეუღლეთა კრებისა. ამით აღვიარებთ, რომ გულს ლახვარივით გვეცა ქ. რანში თავადაზნაურთაგან მოქალაქეთა დევნა და ხოცვა. ამით აღვიარებთ,



რომ იმათი სისხლი ჩვენი სისხლია და იმათი ხოცაუ-ჩვენის  
სიკედილი, ჩვენ, ქალები დღეიდან ყოველთვის ხალხთან ვიქ-  
ნებით და რაც შეგვიძლიან ბუნებისდა კვალად ერთგულად  
ვემსახურებით, რომ ჭირ-ბოროტი შევუმსუბუქოთ. ამით ვა-  
ცხადებთ, რომ ხალხის წალილი ჩვენი წალილია და მისი მი-  
ზანი—ჩვენი მიზანი. ჩვენ ყოველთვის იქ ვიქნებით, სადაც  
სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავ-განწირულნი ჩვენი ვაჟ-  
კაცნი იქნებიან და ვეცდებით ბარგის ზიდვაში, სურსათის  
მომზადებაში და დაჭრილთ მოვლაში მაინც გამოვადგეთ  
თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ამით ვაცხადებთ, რომ არც  
სახელმწიფოს და არც მეფის და სარწმუნოების წინააღმდეგ ჩვენ  
კრებად მოწოდებულ ქალებს არა ვვწადიან-რა, მაგრამ ვფიცათ,  
სიკვდილს ვირჩევთ და ჩვენს შეილებს, ქრებს და ძმებს კი ვერ  
ვუდალატებთ, რადგან ჩვენს შემარცხვენელ უმოქმედობას იმათ-  
თან სიკვდილი ვკირჩევნია.

ნათლია-ჩემს ცრემლი მოერია. ჩვენც ტირილი დავიწყეთ.  
თან ერთმანეთს იმედს ვაძლევდით:

— ყოჩალ ქალებო! ნეტავი ხვალ ჩვენ მოგვიხდეს იარა-  
ლის აღგბა!

და ისეთი გულმაგრად, მამაცურად შევყურებდით ერთმა-  
ნეთს, რომ ჩვენვე ვიკვირდა: ნუ თუ ჩვენა ვართ, გუშინდელი  
ქედმოხრილი და პირუტყვი მონებიო?

შოველმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თითი აიშვირა და  
სთქვა:

— პო-და დაუფიქრდნენ ამ ამბავს დიდებული თავად-  
აზნაურნი და ეპისკოპოსნი! დაუფიქრდნენ და შეიგნონ, თუ-  
შეუძლიანთ! ნუ თუ ამ ნიშანს ვერა ხედავენ, ახალი დროის  
ნიშანს: იმის მაგივრად, რომ თვალ-ცრემლიანი ეხვეწებოდეს —  
შინ იყავ, რა გრჯის, საქმე უშენოდაც გარიგდება თუ გასა-  
რიგებელიაო! დღეს ქალი თავის ქმარ-შეილს თავისი ხელით  
ულესავს ხანჯალს და თითონაც თან მისდევს, წალი იბრძოლე,  
იარას მე შეგიხვევ, ჩემი ხელითაო! ამას ქალი იშვიათად იზამს  
ხოლმე, მაგრამ როდესაც ამას იზამს, იქ მტერი უბრძოლველა-  
დაც დამარცხებულია!

## x

რამდენიმე დღის შემდეგ, 20 მარტს 1789, ის იყო გაზა-  
ფხულის მზემ გამოისედა და თოვლმა დნობა დაიწყო, ხმა გა-  
ვარდა, სოფელში სამამასახლისოს კარებზედ უშველებელი გან-  
ცხადება გაუკრავთო. განცხადებას დიდი, დიდი ბეჭედი აზის  
ის სამი ფერით შეხამებული და ამისთანავე განცხადებანი ყველ-  
გან არის გაკრული ეკალესიების და მონასტრების კარებზედ,  
რომ ყველამ იცოდეს, როდის არის ხალხი ქალაქს დაბარებული  
საერო კრებისათვის თავის წარმომადგენელთა ასარჩევადაო.

მართალიც იყო. განცხადებაში ეწერა, რომ თავად-აზნა-  
ურობა, სამღვდელოება, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხ-კაცობა  
უნდა შეკრებილიყვნენ ქალაქში თავიანთ წარმომადგენელთა  
ასარჩევად.

„ბრძანება მეფისა საერო კრებისათვის წარმომადგენელთა  
ასარჩევისათვის 24 იანვარს 1789 წ.“

ბრძანებაში ეწერა, რომ მეფე აცნობებს თავის ერთგულ  
ქვეშევრდომთ თავის სურვილს, რომ მომავალ საერო კრების-  
თვის, ამ დიდებულ და მართლა საქვეყნო კრებულისთვის  
წარმომადგენელთა ამორჩევაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.  
მეფესა სურს, რომ მის საბრძანებელში ყველგან, ყველა კუთ-  
ხეში, ყველა მთაში მიმალულ სოფელში და ქოხში, ცნობილ  
იქმნას მისი სურვილი, საერო კრების მოწოდების შესახებ, რომ  
ყველას თავისუფლად შეეძლოს თავისი ჭირ-ბოროტი გვაცნო-  
ბოსო. მეფე დარწმუნებულია, რომ ამგვარად შემდგარი კრება  
ყველთვის სრული სიმართლით აცნობებს მას მთელი სამეფოს  
მდგომარეობას და მით გაუადვილებს ერის გაჭირებას დროზედ  
და ჭრიარიტი დახმარება აღმოუჩინოს.

ამის შემდეგ განცხადებაში მოხსენებული იყო, რა რიგ  
უნდა მოხდეს თავად-აზნაურობის და სამღვდელოების წარმო-  
მადგენელთა ამორჩევა, რამდენი წარმომადგენელი უნდა ჰყა-  
დეთ ყოველგვარ მონასტრებს ორივე სქესისას და სხვ. და სხვ.  
ბოლოს ხალხის შესახებ ეწერა:

1) ყოველ ფრანგს, ანუ საფრანგეთში დასახელებულს და ჩვენს ქვეშევრდომად ჩაწერილს, 25 წლისას და სახელმწიფო ხალხის გამღებს, ნება აქვს წარმომადგენელთა ამრჩევე კრებას და ესტროს, აირჩიოს და არჩეულ იქმნას და მონაწილეობა მიიღოს ხალხის საჭიროებათა აღწერაში.

2) ამგვარად არჩეული წარმომადგენელნი, ას კომლზედ ერთი, ორის კომლზედ ორი და სამასზედ — სამი, შეიყრებიან სამაზრო ქალაქში და მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით შეადგენენ სამაზრო კრებას, რომელიც გამოიკვლევს და შეადგენს თავის ამომრჩეველთა საჭიროებათა აღწერილობას და ამოირჩევს თავისთა შორის წარმომადგენელთ სათემო კრებაზედ და სასწრებლად და მაზრის საჭიროებათა აღწერილობის წარსადგენად.

3) სათემო კრებაზედ ხალხის წარმომადგენელნი განიხილავენ ყოველი მაზრის საჭიროებათა აღწერას, რომელთაგან ერთს საზოგადო, სათემო საჭიროიბათა აღწერილობას შეადგენენ და თავისთა შორის ამოირჩევენ ოთხს წარმომადგენელს საერო კრებაზედ დასასწრებლად.

4) მეფის სურვილით, გაათავებენ თუ არა სათემო კრებები თავიანთ საჭიროებათა აღწერილობას, მაშინვე დაუყოვნებლივ დანიშნულ იქმნას დრო და მოწვეულ იქმნას საერო კრება.

ყველა დაინახავს ჩვენი ძველი დროის და აწინდელს წესდების განსხვავებას. ბევრიც რომა სთქან არაო, დღეს ჩვენ წარმომადგენელად ნაცნობ კაცს კი არ ვირჩევთ, რომელსაც ვიცნობთ და ვენდობთ, არამედ იმას ვირჩევთ, ვისაც პარიზიდან გამოევიგზავნიან, დიდი კაცია, დიდი კეუზია და ნიჭის პატრონიო! იქნება დიდზედ დიდიც იყოს, მაგრამ ჩვენ კი არ ვიცნობთ-და! უნდა მივენდვნეთ უცნობს და ვუთხრათ, შენთვის უცნობი მაზრის და უცნობი ხალხის წარმომადგენელი და ქომაგი უნდა ბრძანდებოდეთ. ჩვენს დროში სხვა რიგად ვსჯიდით და ჩვენ-შორისვე ვირჩევდით, ვისიც უფრო მეტი ნდობა გვქონდა. ესენი შეიყრებოდნენ, მოილაპარაკებდნენ და თავიანთში ამოირჩევდნენ უფრო ნიჭიერებს, უფრო გამბედავებს და მცდ-

ნე კაცებს! ისინი უნდა დასწრებოდნენ საერო კრებას, რომ დიდებულ მეფის და თავად-აზნაურთა და ეპისკოპოსთა კრებულში ჩვენი წარმომადგენელიც კაცად ჩაეგდოთ!... ჩვენ ის ვერ გვიღალატებდა, გარწმუნებო!

გაიხსენეთ, რა შესძინეს ხალხს ჩვენმა ძველი დროის წარმომადგენელებმა და რას შეკრებიან დღევანდელები? შეადარეთ და ადვილად დაინახავთ, რომელია უკეთესი: ჩვენ შორის ჩვენივე ტოლი გლეხებიც ავირჩიოთ, რომელსაც ვიცნობთ, თუ პარიზიდან გამოგზავნილი ნასწავლი კაცი, რომელსაც მაზრისა და თემის უმტროსები ან იმათი ცოლები სწყალობენ! ამით ამ ბატონების დამცირება არ მინდა; მაგრამ ორივეც რომ კარგნი იყვნენ, განა კარგებში კი უკეთეს არ უნდა ვირჩევდეთ? განა ცხადი არ არის, რომ ხალხის წარმომადგენელი მართლა წარმომადგენელი უნდა იყოს იმ ხალხისა, რომელმაც იგი ამოირჩია? თუ კი მართებლობის შემწეობით იქნება ამორჩეული, რასაკვირველია მართებლობის წინააღმდეგ ველარას იტყვის, თუნდა იმის ამომრჩეველნი კი არა, მთელი ქვეყანაც იჩაგრებოდეს, მართებლობის მოხელეთა და წეს-წყობილებისაგან. ამას რა დიდი ხაზი და ლარი უნდა! წარმოიდგინეთ, რომ ლუი XVI-ს საერო კრების წარმომადგენელთა ამორჩევა ხალხის ნება-ყოფლობაზედ კი არა, მაზრის და თემის უმტროსთათვის მიენდო: ხალხი უვიცია და თქვენ დაეხმარეთ, რომ ლირსეული წარმომადგენელნი ამოირჩიოსთ. იცით რა მოხდებოდა? ამგვარად მართებლობის შემწეობით ამორჩეულნი თავის დღეში ვერ გაბედავდნენ მეფის წინააღმდევობას, ძალა-უნებურად მოიწონებდნენ უკელაფერს, რასაც კი მართებლობა მოიწადინებდა, და ჩვენ დღესაც იმ გაჭირებაში ვიქნებოდით, რომელშიაც 1789 წლის დღეს ვიყავით.

მგონი საჭირო არ იყოს, მოგახსენოთ, რა სიხარულით მივეგებენით დიდი და პატარა ამ განცხადებას; ჩვენს ნეტარებას სამდლვარი აღარა ჰქონდა, რაკი დავრწმუნდით, რომ საერო კრება უფულდ მოხდებოდა. მით უფრო გვიხაროდა, რომ ხალხი მშვიდევით უყურებდა ამ ამბებს და ბევრნი ამობდნენ, მანამ



ჩვენის თვალით არა ვნახაეთ, არ დავიჯერებთ, რომ ჩვენ შეფე  
მაგისთანა წყალობას გვიზამსო. და მართალსაც ამბობდნენ: იმდენს  
გვატყუებდნენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ ახლა მართალიც  
აღარ გვჯეროდა.

იმავე დღეს ნაშუადლევის ხუთ საათზედ მე და ნათლია-ჩემი  
გაცხარებით ვმუშაობდით სამჭედლოში და ერთმანეთს შევცი-  
ნოდით გახარებული. გადმომხედავდა ნათლია-ჩემი და წამდა-  
უწუმ გადმოძახებდა:

— ხედავ, მიხო! ხედავ, რა კარგად მოვიდა საქშე! ერთი საე-  
რო კრებაცა ვნახოთ! თუ იქაც ალჩუს დაგვიჯდა კოჭი, მერე  
კი აღარა გვიჭირს-რა!

— რატომ არ უნდა დაგვიჯდეს, ნათლია-ჩემო?! ჩვენ ხელთ  
არ არის? საქმე ის არის, კოჭი კარგად ვაგდოთ! და ისევ ჩა-  
ქუჩებს ავაყოლებდით. გახარებული კაცი ხომ ერთი-ასად ლო-  
ნიერია მუშაობაში.

თოვლი დნებოდა. ისეთი ტალანი იყო ჩვენს ქუჩაში,  
ისეთი ჭყაპი იდგა, რომ მუხლამდე ლაფში ვიფლობოდით.  
თოვლი დნებოდა, ქუჩებში წყალი მიმდინარეობდა და სულ  
გავანადგურა, პატივი აღარავის შევგარჩინა, არიქათ, მიშვე-  
ლეთო, დაიკიფლებდა საღმე საწყალი დედა-კაცი და ნი-  
ჩაბით ან ცოცხით უნდოდა პატივის შემაგრება, მაგრამ წყალ-  
თან ვერასა ხდებოდა და გაჰკივიდა: მიშველეთ, ვინა ხართ ქრის-  
ტიანებიო! ბედისაგან დაჩაგრული კაცისთანა გაუბედავს და  
უსაზროს ხომ ვერას წარმოიდგენს ადამიანი: ეს ხარჯიო, ეს  
ბეგარაო, ეს ბატონიო, ეს მღვდელიო და აზრადაც არავის მოგ-  
ვდიოდა ქვით მოკირწყვლა ქუჩისა; ძნელი ხომ არაფერია, მაგ-  
რამ მოფიქრება არ უნდოდა? და დავტოპავდით ისე ტალახში,  
წელამდე ლაფში ამოზუნზლულები!

უცბად ხუთი თუ ექვსი კაცი მოგვადგა კარზედ. ექვსი-  
ვე ზემოდან, მაიდან მომავალნი; ექვსივე სახელ-განთქმუ-  
ლი და უველასაგან პატივცემული კაცები: იაკობ ლეტუ-  
მიე, ნიკოლოზ კოშარი, კლოდ ჰურე, გოტიე კურტუა, ერ-  
თის სიტყვით, ვინც კი გამოჩენილი და გავლენიანი კაცი მოი-

პოვებოდა ჩვენს სამამასახლისოში, სულ იქ იყვნენ, ჩვენს საშპედლოს კარებზედ. მოვიდნენ, ქუდი მოგვიხადეს, სალამი მოგვცის და ჯოხებზედ დაეყრდნენ, თითქო დიდი ხნის მასლაათს აპირობენ ამ შუა ქუჩაშიო.

— ოჲ, გამარჯვებათ თქვენი! — მიესალმა ნათლია-ჩემი. ლე-ტუმის გაუმარჯოს! რასა იქ, ჩემო ჰურე! გამარჯვებათ, გამარ-ჯვებათ! ვაი გამიშურა ლმერთი, ე ქუდები რაზედ მოგიშვლე-პიათ, კაცო??!

და სიცილი დაიწყო. ისინი კი იდგნენ და ისე დარბაის-ლურად და ჩაფიქრებულნი გამოიყურებოდნენ, რომ ნათლია-ჩემი გაკვირვებული დარჩა: რა მოსვლიათ ამ კაცებსაო? ბოლოს ერთი-ორად წელში მოიხარა ლეტუმიე და ნათლია-ჩემს უთხრა:

— ბატონო ლერუ! თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ცო-ტა საქმე გვაქვს შენთან.

— ჩემთან?

— დიალ, ბატონო, საერო კრების შესახებ.

— ჰო, ეგ სხვაა! ძილიან კარგი... მიბრძანდით!.. ე ტა-ლაბში რას გაჩერებულხართ?

რიგ-რიგით შემოვიდნენ სამჭედლოში ექვსიენი იმ პა-ტარა ალაგში ძლივს-და ვეტევოდით; იდგნენ თავიანთ ჯო-ხებზედ დაყრდობილნი და ზოგი საქოჩირეს იუხანდა, ზოგი კიდევ ლეტუმის შექმურებდა: თქვი რალა, შე კაი კაცო, რა-ლას გვალოდინებო!

— მიბრძანეთ, რისთვის გასჯილხართ? — უთხრა ნათლია-ჩემმა, როცა დარწმუნდა, რომ ისინი აგრე ადვილად ენას ვერ ამოიღეამდნენ.— მიბრძანეთ, ნუ დამერიდებით და, თუ შემიძლიან, გარწმუნებთ არაფერში დაგზარდებით.

— ი, შენი ჭირიმე,— დაიწყო ხურო კოშორმა. — ჰო-და ჩვენც იმიტომ მოგძებნეთ, რომ შენი იმედი გვქონდა. ორასი კომლი არა ვართ, ჩვენი სამამასახლისო, რომ ეთქვათ?

— დიალ, ორასი კომლი ვიქნებით?

— ჰო-და ორასმა კომლმა ორი წარმომადგენელი უნდა აირჩიოს, თუ არა? რომ ორი კაცი უნდა აირჩიოს?

— დიალ, მერე?

— ჰო-და მერე ისა, რომ ერთი შენ უნდა იყო, ბატონია ლერუ! დიალ, ერთი შენა და მორე? მეორე რომ არავინა გვყვავს?

— როგორ? თქვენ გინდათ ხალხის წარმომადგენელად მე ამირჩიოთ? — შეჰყვირა ნათლია-ჩემთა და სახეზედ სიამოვნე-ბამ გადაჭრა და თვალები გაუბრწყინდა.

— ჰო-და შენა! ერთი შენა, მაგრამ მეორე რომ არავინა გვყვავს?

— აი რა მოგახსენოთ, — უთხრა ნათლია-ჩემთა, — აქ ამ გა-ხურებულ ქურასთან დგომას, ის არა სჯობიან შინ ავიდეთ და იქ მოვილაპარაკოთ. თუ ჩემთა დედა-კაცმა ერთი ხელადა ღვინოც მოგვაწოდა, ხომ სულაც აღარა გვიჸირს-რა! ტვინი გაგვინათლდება და ისე ლამაზად მოვაგვარებთ საქმეს, რომ უკეთესი არ შეიძლებოდეს.

რასაკვირველია, დაეთანხმენ. მე სამჭედლოში დავრჩი და ის იყო ჩაქუჩი ავილე, რომ ნათლია-ჩემთა შემომყვირა შუა ქუ-ჩიდან:

— წამო, რაღა, მიხო? ეს ისეთი საქმეა, რომ საჭიროა, ყველანი შეეთანხმდეთ.

და ერთად შევედით დუქნის დიდ ოთახში. იქვე ფანჯა-რასთან სტოლს შემოვუსხედით გარშემო. ნათლია-ჩემთა ხელა-დით ღვინო ამოატანინა, ყველი და პური. დაისხეს, ერთმანე-თი ადლეგრძელეს. ნათლი-ჯალაბი კი განცეიფრებული იყუ-რებოდა, რა ვქნა, ამ კაცს ხომ არა დამართვია-რაო? ლეტუ-მიე ცდილობდა ნათლი-ჯალაბისათვის კრების მიზეზი აეხსნა, მაგრამ პირს გაალებდა და, თითქო ენა სასას მიეკვროო, იყო ისე პირგალებული. ბოლოს ისევ ნათლია-ჩემთა დაიწყო:

— ცოდო ალიარებული სჯობიანო, ნათქვამია, მეც ჩემს ცოდვას მოგახსენებთ: თქვენმა წინადადებამ ძალიან მასიამოვ-ნა. თქვენა გნებავთ თქვენს წარმომადგენელად ამომირჩიოთ? მე თანახმა გახლავართ, რადგან კაცი თავის ქვეყნის შვილია და, მაშასადამე, მისი ყურმოკრილი ყმა და მოსამსახურე უნდა

იყოს. მე თანახმა ვარ. ოლონდ ამას კი მოგახსენებთ, თუ ჩემთან შოველიც არ ამოგირჩევიათ, მე იძულებული ვიქნები, უარი მოგახსენოთ.

— შოველი?! კალვინისტი?! — შეჰყვირა ლეტუმიემ და ისე-თი განცვიფრებით შესკეროდა ნათლია-ჩემს, თითქო თავის-თავს ეყითხება — ხომ არ გაგიცდა, ეს რა წამოროხა ამ კაცმაო?

სხვებიც ისევე გაშტერებულნი შესკეროდნენ ნათლია-ჩემს და ყვიროდნენ:

— როგორ?! კალვინისტი და ჩვენი წარმომადგენელი?

— მომისმინეთ, — უთხრა წყნარად ნათლია-ჩემმა. — ჩვენ რომ კაცებს ამოვირჩევთ და სამაზრო კრებაში დასასწრებლად გავ-გზავნით, იმას კი არ მივანდობთ, საერო კრება საეკკლესიო კრებად გახადეთ, სარწმუნოებრივი საქმეები განიხილეთ და საღვთისმეტყველო კითხვები აღძარით შვიდ საიდუმლოებათა შესახებაო. ჩვენ ჩვენი საქმეების გასარიგებლად ვგზავნით იქ კაცებს, საქვეყნო, საერო საქმეებისთვის, და უპირველესად ყოვ-ლისა იმას დავაგალებთ ჩვენ ამორჩეულ კაცებს, რომ ბეგარა შეგვიმსუბუქონ, ხარჯი შეგვიმცირონ, მლვდლისა და ბატონის უღლიდან გამოვგიშვან, და, თუ საქმე გაჭირდა, არც ბატონს დაუვარდნენ, არც ბერს და არც მლვდელს! პო-და თქვენ რომ მე მომმართეთ და, მაშასადამე, თქვენთვის გამოსადეგ კაცად მიცანით, მე მგონი არც შემცდარი ხარო! რაც გლეხ-კაცს და იმის უვიცობას შეეფერება, ცოტათი მეც მიჭრის გონება, მაგ-რამ ეგ არა კმარა, თქვე კაი კაცებო: ჩვენ იმისთანა ბრძოლა მოგველის, რომ მარტო მაგითი ფონს ვერ გავალთ. რა ვიცი, წიგნიც კარგი ვიცი, ანგარიშიცა, ჩვენი ყოფა-ცხოვრებაცა!

ისიც კარგად ვიცი, რომ ქედზედ ულელი მადევს და პირში აღვირი მაქვს ამოდებული, მაგრამ საქმე რომ საქმეზედ მივიდეს, მე, უკაცრავად პასუხია, ყროყინის მეტს ვერას მოვახერხებ. მოვ-ჟვები და იქნება ჩემზედ უკეთ ჩვენს სოფელში სხვამ ვერც კი იყროყინოს! მაგრამ, აკი მოგახსენეთ, მაგითი ვერას გავხდებით-და! იცით იქ რა კაცებთან გვექნება საქმე? ისეთ მსწავლულ და გამოცდილ კაცებს გამოგზავნიან თავად-აზნაურნი და ბერე-



ბი, ისეთ გაეშმაკებულ, გაფლიდებულ, ქლესა კაცების მონაცემები მგონი სიტყვაც არ მათქმევინონ. მე რომ ერთი ვთქვა, ისინი ათასობით დამაყრინ და გამამტყუნებენ. იმიტომ რომ იმათ სწავლა აქვთ, კანონებიც კარგად იციან, ადათი და წესიც, და ყველაფერიც. იქნება სულ ტყუილს მეუბნებოლნენ, იქნება ცრუობლნენ და გულში მევე დამცინოლნენ—ჰაი, შე საწყალო, შენაო! მაგრამ მე კი ვერას გავუგებ და რა? კიდეც რომ მი- გრძნოს გულმა, არ დაუჯერო, ფლიდობსო, პასუხს კი ვერ მოეუხერხებ-და! პირში ბურთს კი ვერ ჩაეჩრი-და! ჰო-და მივალთ, ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ და იმის მაგირად, რომ ცოტა რამ თავისუფლება შევიძინოთ, ისინი უმეტესად დამონაცებულს გამოვისტუმრებენ შინა.

ლეტუმიე ისევ ისე პირ-ლია შესცქეროდა ნათლია-ჩემს.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ შოევლი?... კალვინისტი!... მერე რომ...—ლულლულებდა შეშინებული ლეტუმიე.

— მოითმინე, გავათავო,—განაგრძო ნათლია-ჩემმა.—მე თანახმა გახლავართ თქვენი მონდომილობა ვიკისრო და, თუ გამოვა ვინმე და ჩვენი მაზრისა და ჩვენი ხალხის სასარგებლოს იტყვის რამეს, გარწმუნებთ მეც მხარს მივცემ და გავამაგრებ. მაგრამ მე რომ ვერას ვიტყვი! მე რომ ვერავის რას ვუპასუხებ! რა ვწნა, მაგდენი სწავლა არა მაქვს და რა ვუყო! არც სწავ- ლა და არც ცოდნა! მერწმუნეთ, სულ ძირიანად რომ გადა- ვაბრუნოთ ჩვენი სამამისახლისო, სანთლებით რომ ვეძებოთ, შოველისთანას ვერავის ვიპოვით. შოველისთანად ჩვენს გაჭი- რებას ვერავინ იტყვის, შოველისთანად ჩვენს სიკეთეს, ჩვენც კი ვერ მოვინდომებთ, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენს ცხვირს იქით ვერასა ვხედავთ. აგრე კი ნუ უყურებთ! რა არის, რომ იმან არ იცოდეს? კანონებიო, წესებიო, მეფისა და პარლამენტების ბრძანება და განაჩენებიო, ვინ მოსთვლის?!

ისე ჩამოსთვლის ჩვენს მეფეებს და იმათ ამბებს, გეგონებათ დაბეჭდილსა კითხულობსო. იმას კი ნუ იტყვით, მეწვრილმანე არისო. ემაგ მეწვრილმანეს თავით ბოლომდე წაუკითხავს ყველა ის წიგნები, რომებიც ამ ოცი წლის განმავლობაში ზურგით უტარებია და ხალხში

გაუსაღებია. იქნება გეგონოთ გზაში რომ არის, აქეთ-იქით იყვენებული რებოდეს და ამწვანებული ტყით სტკებოდეს, ან აყვავებულ მინდვრით, და შორს დათოვლილ მთების ქედით? თქვენც არ მომიკვდეთ! ცხვირი წიგნში წაუყვია და მიღის ისე ნელ-ნელა! ან არა ჩვენი განთავისუფლების გზა-კვალსა და სალსარს ეძებს! საბუთებსა და საფუძველს ეძებს! რაღა ბევრი გავაგრძელო, თუ გნებავთ, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრება შეიცვალოს, თუ გნებავთ, რომ გლეხი-კაცი ბატონის ყურ-მოჭრილ ყმად კი არა, თავი-სუფალ ადამიანად იქცეს, პირველად შოველი ამოირჩიეთ და მერე მე. თუ შოველი იქა მყავს, იღარაორისა მეშინიან; თუ იქ არ არის და მე რის მაქნისი-ლა ვიქნები? უიმისოდ მეც ნუ ამომირჩევთ, რადგან ეხლავე უარს მოგახსენებთ.

ისეთი დაბეჯითებით, ესეთი ცხარი რწმუნებით ამბობდა ამას ნათლია-ჩემი, რომ ისინიც დაარწმუნა. მაგრამ არ უნდო-დათ აგრე ადვილად დასთანხმებოდნენ, ქერის იფხანდნენ და ერთმანეთს თვალით ეკითხებოდნენ.

— ძალიან კარგი, — სთქვა კოშარმა, — მაგრამ საქმე ის არის, მიიღებენ კი შოველს?

— რატომ არ უნდა მიიღონ! განცხადებაში წარმომაღვე-ნელთა სარწმუნოების შესახებ არაფერი სწერია. იქა სწერია, ყველას ნება აქვს აირჩიოს თავისი წარმომაღვენელი და თი-თონაც იქმნას არჩეული, ოღონდ ფრანგი იყოს, არა ნაკლებ 25 წლისა და ხარჯს იხდიდეს. შოველი ფრანგია და ხარჯ-საც, ჩვენზედ მგონი მეტს იხდის და არა ნაკლებს. ეგეც რომ არ იყოს, განა არ გახსოვთ, შარშან ჩვენმა კეთილმა მე-ფექტურა მოქალაქებრივი უფლებანი მიანიჭა კალვინისტებს, ლოტ-რანგებს და თვით ებრაელთაც. შარშან არ იყო, როგორ არ გეხსომებათ! ჩვენ შოველი ამოვირჩიოთ და დანარჩენზე ნუ-რას ვიწუხებთ. მერწმუნეთ, კალვინისტი შოველი უფრო მეტს სიკეთეს შეგვეძნს და მეტს პატივს დაგვდებს, ვიდრე სამას-სა-მოცდასამი ბერი. მერწმუნეთ, ის იმისთანა ცოდნით, კეუზით და გაბედვით დაეხმარება ჩვენ ხალხს, რომ თვით დიდებულთაც

შეშურდეთ. საქვეყნოდ სახელს გაუთქვამს ჩვენს სოფულს! ერთი ხელადა კიდევ, ეკატერინე!

ჩაფიქრდნენ ჩვენი სტუმრები, ეტყობოდათ დიდ გაჭირებაში იყვნენ: ვერც ჰო ეთქვათ, ვერც არა. ამ დროს ნათლია-ჩემმა ღვინო მიაწოდა და უთხრა:

— გადაჭრილს მოგახსენებთ, თუ შოველს არ ამოირჩევთ, არც მე მინდა. თუ შოველს ამოირჩევთ-და, დიდი მადლობით ვიკისრებ თქვენს ბრძანებას. ღმერთმა განაძლიეროს ჩვენი მეფე!

გული მოულბათ იმათაც და შესძხეს:

— ღმერთმა განაძლიეროს ჩვენაზეფეფე!

და როცა დალიეს, ლეტუშინი წამოდგა და სთქვა:

— ახლა მოდი შენა და ჩვენს ქალებს კალვინისტი გაუსენე!... ეჭ, რა გაეწყობა! ბატონო ლერუ, თუ კი უშოველობა არ შეიძლება, თი ჩემი ხელი.

— თი ჩემი ხელი! — დაიძახა მეორემ, მესამემ... და ყველამ ხელი ჩამოართვეს.

ის ხელადა გამოსცალეს და წამოდგნენ კიდეც შინისკენ წასასვლელად. სოფელში ამათხედ გავლენიანი კაცი აღარავან იყო და დარწმუნებული ვიყავით, რასაც ესენი მოინდომებდნენ, სოფელიც იმას იზამდა.

— მაშ აგრე, საქმე გათავებულია, — უძახდა ნათლია-ჩემი კარებიდან და პირს კმაყოფილების ღიმილი მოსდიოდა.

— გაჩარხულია, გაჩარხული! — უყვიროდნენ მიმავალნი და ცდილობდნენ ღრმა ლაფში არ ჩაეტონათ.

ჩემ ისევ სამჭედლოში შევედით. მაგრამ მუშაობას ვეღარ ვახერხებდით, რადგან სულ სხვა ფიქრებმა გაგვიტაცეს ორივე. შვიდ საათამდე ვიმუშავეთ და მერე კი შინ ავედით.

წარმოშადგენელთ ამორჩევა კვირას იყო დანიშნული. შოველი და მარგალიტა აგერ თრი კვირა იყო რაც სავაჭროდ იყვნენ წასულები და თავის დღეში არ გაეყიდნათ იმდენი წიგნები, რასაც იმ ხანებში ჰყიდნენ; ნათლია-ჩემი იძახდა, თუ კვირამდე არ გაჩნდნენ, კვირას არჩევნებზედ მაინც დაესწრებიანო.

იმ საღამოს ახალი აღარა მომხდარა-რა და მეც შინისკუნ  
გავეშურე.

## xxi

კვირა-დღეს მართლა სამაგალითო შშვენიერი დღე დაგვი-  
დგა. თითქო ხალხთან ბუნებაცა ხარობსო, იმ დილას სრუ-  
ლიად მოიწმინდა ცამ, მზემ გამოაშუქა და არემარე თავისი სხი-  
ვებით დაამშვენა. ჯერ შვიდი საათა არ შესრულებულიყო,  
რომ მე და მამა-ჩემი გრას გავუდექით. მივდიოდით და საცა  
კი ჩევნი მთიდან თვალი რავიწვდებოდა, ყველგან მიმავალ  
ხალხსა ვხედავდით. ყველანი მორთულ-მოკაზმულიყვნენ, და  
ისეთი სიძლერა და დაფუ-დაფუ მოისმოდა ყველა მხრიდან, თით-  
ქო ერობაზედ სადმე მიდიან და მიიმდერიანო. ცოტა ხანს  
უკან სულიწმინდის ეკკლესიის დიდი ზარის ხმაც შეერია ხალხის  
ურიამულს და თან მოჰყვა ყველა სოფლების ეკკლესიების ზარის  
წკარუნი. სულის წმიდის ეკკლესიაში რომ წირვა გამოვიდოდა,  
არჩევნები მაშინ დაიწყობაო, ამბობდნენ.

მივდიოდით ნელა-ნელა მე და მამაჩემი; იმის პატივის-  
ცემა რომ არა მქონოდა, უსუნთქლივ ჩავირბენდი ქალაქამ-  
დე; მაგრამ მამა-ჩემი უკვე მოხუცებული, სიღარიბისაგან გატე-  
ხილი, წელში მოხრილი კაცი იყო და ნელი ნაბიჯით მიდი-  
ოდა ჩაფიქრებული; ნელ-ნელა აბიჯებდა, სიფრთხილით, და  
სულ აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქო ეშინიან, უცბად არა  
მეცეს-რაო. საწყალი მამა-ჩემი! თავის სიცოცხლეში იმდენი  
ტანჯვა-წვალება ენახა, იმდენი ავი დღე დაელამებინა, რომ  
სუყველაფრისა ეშინოდა. ასჯერ მეტჯერ შემეხვევწა: მიხო,  
გაფთხილდი, ხიფათი არა იყოს-რაო! წამ და უწუმ გაჩერდე-  
ბოდა და თვალკრემლიანი მეტყოდა:

— შვილო, მიხო... შენ გაჩუმდი... ხმა არ ამოიღო... არა  
წამოგცდეს-რა... ხომ იცი, შვილო, სიფრთხილეს თავი არ ას-  
ტკივაო. იმ ნახავ, თუ უბედურება არ მოხდეს-რა... ჩემოდენ ა  
კაცია, შვილო, სიზმარიც დაეჯერება...

მე კი ძალიან იმედიანად ვიყავი. ნათლია-ჩემისა და შოთა ველისაგან იმდენი რამა მქონდა გაგონილი, იმდენი წიგნები მქონდა წაკითხული, გაზეთებიდან ისე კარგად ვიცოდი რა ამბები ხდებოდა რანში, მარსელში, პარიზში და სხვა ქალაქებში, რომ ჩემდა უნებურად ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი ის რწმენა, რომ ჩეენი დახსნა მარტოდ - მარტო საერთო კრებას შეეძლო. შიში და სიფრთხილე ფიქრადაც არ მომდიოდა. ან არა და განა თვრამეტი წლის ბიჭმა იცის კი შიში რა არის? ტყუილ-უბრალოდ კი არ ჩამიარა სამჭედლოში მუშაობაშ. პირალო კლიისაგან გამოქანდაკებულს მიგავდა მხარ-ბეჭი და ხელით ნალს ვამტვრევდი. ის იყო ულვაშიც ამიმწვანდა! კოხტა ტანისამოსი, კოხტა, გვერდზედ გადაგდებული ქუდი! ისეთი თავმომწონე ბიჭი ვიყავ, ისეთი თავმომწონე და არშიყი... ეკე, რა კარგი რამა ხარ სიყმაწვილევ! საცა კა გოგოს თვალს მოვკრავდი, დავაშტერდებოდი, სულ თვალით შევჭამდი ხოლმე! რის შიში, რის რიღი?! მამი-ჩემის ხვეწნა, შვილო, არა წიმოგცდეს რაო, მე სიცილიად არა მყოფნილა.

აგერ მოედანზედაც გავედით. ქვეყანა გარედ იყო. ჩვენი დუქნის ფანჯრები ღია იყო. დიდ ოთახში ნათლია-ჩემი და ვალენტინი ისხდნენ და პურსა სჭიმდნენ: ჩარექით ღვინო ედგათ და ისე იღმურძლებოდნენ, თითქო სამი კვირის სავალზედ მიღიანო. ორივ მორთულიყვნენ: ნათლია-ჩემს მჭედლის ტანისამოსი ეცვა, როგორც ოსტატს შეპფერის და ვალენტინს საქართველო ხალათი. დაგვინახეს და ერთი ცვირილი მორთეს:

— აგერა მოდიან! აგერა! აქეთ, აქეთ!  
შევედით, მივესალმენით.  
— ჩამომართვი, ბასტიენ! ეს ღმერთმა ადლეგრძელოს ჩვენი კეთილი მეფე!

მამა-ჩემმა ჩამოართვა წითელი ღვინით სავსე ფიალა და თვალთ ცრემლი მოერია.

— დიალაც, ბატონო ივანე, ღმერთმა ადლეგრძელოს ჩვენი კეთილი მეფე! გაუმარჯოს ჩეენს კეთილ მეფეს!

ეს, რას იზამთ? იმ დროს ისე გვევონა ყოველი კეთილი მეფისაგან აყრია ხალხსაო; მაშინ ჩვენთვის მეფე ადამიანიშვილი კი არა, ღვთაებრივი არსება იყო, რომელსაც ჩვენ შვილებივით ვუყვარდით და რომლის საზრუნავი ჩვენი კეთილდღეობის გარდა არა იყო-რა.

ის ჩარექა გამოვცალეთ და კიდეც მოვიღნენ სოფლის მოთავენი, ისევ ისინი, რომლებიც ამას წინად ნათლია-ჩემს სამჭედლოში ეწვივნენ. ოლონდ თან ლეტუმიეს მოხუცებული მამაც წამოეყანათ, საწყალი ბერი-კაცი! ისეთი მოხუცებული იყო, რომ ძლიეს-ლა ხედავდა, ყურთა-სმენა თითქმის აღარა ჰქონდა და სიარული ხომ სრულიადაც აღარ შეეძლო და ორი ბიჭი შეჯდომოდა მხრებში და ისე მოჰყავდათ, მაგრამ მაინც წამოსულიყო: არჩევანს მეც უნდა დავესწრო, ჩემი უფლებით მეც უნდა ვისარგებლოვო. და ჩანამ ნათლია-ჩემი ღვინოს ამოატანინებდა, იქ მყოფნი სიხარულით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და იძახდნენ:

— ძლივს არ მოვესწარით ამ დღეს! ახლა კი გათავდა ჩვენი წვალება! აბა, კაცებო, ერთხმივ! მტერს თვალები დაუუყენოთ!

და ერთმანეთს ეხვეოდნენ და იყინოდნენ, თოვლივით გათეთრებული მოხუცი თავისას ჩიოდა:

— თპ, ჩა გრძელი ყოფილა სიცოცხლე! ღმერთო, რამსიგრძე ყოფილა! მაგრამ დღევნდელი დღის დაშტრეს, წარსული ჭირი ლხინად მეჩვენება.

ამაზედ ნათლია-ჩემმა უპასუხა:

— მართალია ბრძანებთ, ბატონო ლეტუმიე, სოველში გაზაფხულის ყინვა ვიღას მოაგონდება? ემანდა მწიფე ყურძენი,— მისდექით და ჰქონდეთ! ძალიან ძვირად დაგვიჯდა ეს სოველი, ბევრი ვიტანჯეთ, ბევრი ვაი-ვაგლახი ვნახეთ, ჩვენი სისხლით მოვრწყეთ ყოველი ვაზის ძირი, მართალია, მაგრამ წარსულს ეიღა ჩივის? გავიხაროთ! მოვკრიბოთ, დავწუროთ და ქვევრები გავეავსოთ! თუ კარგად მოვიქეცით, ღვთის მაღლით ჩვენც გვეყოფა და ჩვენს შვილი-შვილებსაც! გაუმარჯოს ჩვენს მეფეს!

და ყველამ ერთხმივ დაიძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს მეფეს! გაუმარჯოს!

ერთი ხელადა კიდევ ამოვიტანეთ. კარგა ლამაზად შევ-  
ნაყრდით და გზას გავუდექით. მგონი რომ კარგ გუნებაზედ  
ვიქნებოდით, ჰა?

ჩვენებურები სულ ერთად იდგნენ მოედანზედ და ჩვენ-ლა  
გველოდნენ: ისინიც ჩვენ შემოვიტანებით და ისეთი სიმღე-  
რით და სტვირებით გაგვიძლვნენ წინა, თითქო საქორწილოდ  
მიღიანო. საცა კი გაიხედავდით, ყველგან სიმღერა ისმოდა და  
ყველგან, ყველა ეკკლესიაზედ ზარსა რეკლენ, სწორედ ისე,  
როგორც ალდგომა ლამეს იციან. განა-ლა მიედიოდით? მივ-  
დიოდით კი არა, მიეთამაშობდით, მიეხტოდით, ქუდებს ცაში  
ვისროდით და წამ-ლა-უწუმ ვყვიროდით:

— ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ხალხისთვი მზრუნ-  
ველ მეფეს!

საკვირველი გუგუნი გაპქონდათ ზარებს — მთაში და ბარ-  
ში, საცა კი სამრეკლო იყო, ყველგან ზარის რეკა ისმოდა და  
რაც მეტად ვუახლოვდებოდით ქალაქს, იმდენად მეტი იყო ეს  
ურიამული.

ქალაქი მორთულიყო, გალაშიზებულიყო. ყველგან ქალ-  
შები ფრიალებდნენ, თეთრი აბრეშუმის ოქრომკედით ის ფე-  
რად ნაკერი დროშები. არა, მე ჩემს დღეში ისე არა მომწო-  
ნებია-რა, როგორც მაშინ ჩვენი ქალაქი მომეწონა!

ბევრი რამ მინახაეს შემდეგში: რესპუბლიკის გამარჯვებანი,  
ჩვენი უძლეველი სიმაგრენი და იქიდან ზარბაზნის ქუხილი, სამ-  
შობლოსთვის თავგანწირვა აურიცხველი ხალხისა და ერთხმივი  
გრიალი „საფრანგეთს გაუმარჯოსო! რესპუბლიკას გაუმარჯო-  
სო“! მაგრამ ისე არაფერი ჩამრჩნია გულს, როგორც ეს დღე  
ჩამრჩნა. მაშინ სისხლის ლერას არავინ ფიქრობდა; ჩვენ გვინ-  
დოდა ძმურად გადავხვევოდით ერთმანეთს და ისე გაგვერიგე-  
ბინა ჩვენი საქმეები.

ის იყო ქალაქს მივუახლოვდით და მამა ქრისტეფორეც  
დაგვეწია. მოდიოდა და თან თავის სამწყსო მოსდევდა. რომ და-

ვინახეთ ერთმანეთი, გავჩერდით, ქუდები მოვიხადეთ და შევ-  
უვირეთ:

— ჩვენს კეთილ მეფეს გაუმარჯოს!

მამა ქრისტეფორე და ნათლია-ჩემი ერთმანეთს გადაეხვივ-  
ნენ და კოცნა დაუწყეს. მერე სიცილით, ხუმრობით, სიმღე-  
რითა და თამაშით მივადეჭით ქალაქის კარებს; ჩვენზედ წინ  
ბევრი სხვა სოფელი მისულიყო და შესავალში აუარებელი  
ხალხი შეგროვილიყო. კარებთან დარაჯი იდგა და იმან გვა-  
ნიშნა გაჩერდითო. ხიდზედ იმდენი ურმები შემდგარიყო, რომ  
ვეღარც წინ მიდიოდნენ, ვეღარც უკან: ყველას თურმე უნ-  
დოდა არჩევანს დასწრებოდა და ვისაც სიარული აღარ შეეძლო,  
ურმით წამოსულიყო; ერთი ჩავალთ ამ ბეჭნიერ დღესაცა ვნა-  
ხავთო, იძახდნენ ძალზედ მოხუცებულები, და მერე კი სიკვდი-  
ლისაც აღარ გვეშინიანო. ბევრი ტიროლენენ სიხარულისაგან.

ამის შემდეგა სთქვან, თუ არ შერცხვებათ, რომ უწინ-  
დელებს თავის საქმისაც კი არა ესმოდათ-რაო! შინ არავინ  
დარჩენილა, არაეინ, სუყველანი უკანასკნელ მოხუცამდე და  
კუტამდე იმას გაიძახოდნენ — უფლება გვაქვს და კიდეც გამო-  
ვიყენებთო.

კარგი ნახევარი საათი გვალოდინეს შესავალში, ვიდრე  
ხიდზედ შევდგებოდით. ბოლოს, როგორც იყო, ქალაქშიაც შე-  
ვდით.

ხალხით სავსე იყო იქაურობა, და მერე რა ხალხით! ისეთი  
ერიამული იდგა, თითქო მკედრები ყოფილან და გაცოცხლე-  
ბულანო. ქუჩის თავში დაიძახებდა ვინმე, ჩვენს მეფეს გაუმარ-  
ჯოსო! და გაპერნდა იმოდენა ხალხს გრიალი, ქუჩის ბოლომ-  
დე: გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

რაკი მოედანზედ გავედით, ისე გაგვეძეს ხალხში, რომ  
ვეღარც წინ წავიწიეთ, ვეღარც უკან. საცა კი თვალი მივა-  
წვდინეთ, კველვან ხალხი იყო, და გასავალი არსაითა ჩანდა.

სულიწმინდის ეკლესიაში წირვა იდგა, მაგრამ იქამდინ  
ვინ მიგვაღწევინებდა? ჯარის-კაცსაც კი უურადლებას აღარავინ  
აქცევდა, თუმცა წესიერების დასაცველად დაეყენებინათ; ბევრს

ყვიროდნენ, მიიწიეთ, აქეთ ნუ მოდიხართო, მაგრამ თითონ იმათ მიაწევინებდა ხოლმე ხალხი, და ისე მიამწყვდევდა სადმე კუნკულში, რომ ხმლის ამოღებასაც ვეორაზ ახერხებდნენ.

სწორედ იმ დროს მოაგონდა ნათლია-ჩემს, ჩემი მეგობარი იაკობ რენოდოს ლუდქანა ხომ აქეე არისო და გვანიშნა, მომყევითო, მე, მამა-ჩემს, ვალენტინს და მამა ქრისტეფორეს. ბევრი ვეწვალეთ, ბევრი მუჯლუკუნი წაგვკრეს, მაგრამ, როგორც იყო, ლუდქანასთან მივედით, მაგრამ იქ იმდენი ხალხი იყო, რომ ადამიანს აღარ შეესვლებოდა და უკანა კარიდან მოეუარეთ, სამზარეულოდან, და ისე შევედით.

დიასახლისმა მაშინადვე იცნო ნათლია-ჩემი და პირველ სართულში აგვიყვანა ცალკე ოთახში; ცოტა ლვინო ამოგვიტანა, ლუდი და ძეხვი; ჩვენც მეტი არა გვინდოდა-რა.

ჩვენებურები კი იდგნენ და გაშტერებულნი აქეთ-იქით იყურებოდნენ: ი კაცები ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამაო? ეს არის ეხლა აქ არ იყვნენო? მაგრამ რა გვექნა? იმოდენა ხალხის დაძახება შეუძლებელი იყო.

პირველ საათამდე იქ ვიყავით, და მაშინ კი როცა ვნახეთ, რომ თითქმის ნახევარ ხალხმა გაათავა თავისი და მოედანზედ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს, ქვეით ჩავედით ჩვენცა და ჩვენებურების ძებნა დავიწყეთ. ისინი თურმე კიდეც დაეძახათ: მოდით, ახლა თქვენი რიგიაო. გავიგეთ თუ არა, მაშინვე საავადმყოფოს ქუჩაზე მოეუარეთ და წინ დავხვდით; ჩვენებურებს კი ეგონათ—დიდი ხანია აქ გველიანო და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— აგერა, ვეჟო! აქ არა ყოფილან! ჩვენ კი ხალხში ვეძებდით!

სამაზრო სამზაროველოს ძველი შენობა გატენილი იყო ხალხით. კიბემდის კი მივალწიეთ, როგორც იყო, და იმის იქით კი ვეღარა გავაწყეთ-რა, რაღვან ჯერ ველშბურგელებს არ გაეთავებინათ და იმათ გამო ზედ კიბეზედ მოგვიხდა ლოდინი. და იმ ლოდინში, როდესაც გაჩუმებულნი ყველანი ერთი ფიქრით ვიყავით გატაცებულნი და ძალზედ აძაგდაგებულ გულს ვეღარ

ვიმაგრებდით, როდესაც ჩეენს გარშემო წმინდა და უწუმ საშემოქმედო ლი გრგვინეა გაჰქონდა ხალხის ძაღილს, ჩეენს მეფეს გაუმარჯოს! სწორედ იმ ლოდინში, იმოდენა ხალხის ურიამულში, ყური მოვკარ ნაცნობს, სალამურივით ტკბილ ხმას. ჩეენი მარგალიტა, ჩეენი პატარა მარგალიტა იყო იქვე სადღაც ხალხში და გაიძახოდა:

„რა არის ხადხი? რა არის ხადხი? მდგდედი სიესის თხულება. ბატონებთ, ახალი წიგნი არა გნებაგო? სიესის თხულება—რა არის ხადხი! იყიდეთ ბატონებთ! სათემო ქრება, თხულება თაგადი თრდეანედისა, გისა ნებაგს სათემო ქრებები?“

ნათლია-ჩემთან მივედი და ვკითხე:

— ჩეენი მარგალიტას ხმა არ გეყურება, ნათლია-ჩემთა?

— როგორ არა. რამდენი ხანია ყურს ვუგდებ. რა ყოჩა-ლები არიან მამაცა და შეილიც. აბა მაგათ უნდა სთქვან ი, ჩეენს ქვეყანას კეთილ სინდისიერად ვემსახურეთო! ძაან, ძაან დეაწლი დაგვდეს, ღვთის წინაშე. იქნება გაძვრე როგორმე და მარგალიტა ნახო, უთხარ შოველი გამოვზაგნოს. ისიც მანდვე იქნება, ხალხში. დეე, თავის თვალითა ნახოს, როგორ ამოვირჩევთ. როგორ იამება!

მეტი თქმა კი აღარ მინდოდა! ზოგს მხარი წავკარი, ზოგს იდაყვი და როგორც იყო ზევით ავედი და კიბის თავს მოვე-ქეცი. გადავიხედე, აგერ ჩეენი მარგალიტა! შუა მოედანზედ გაჩერებულა, თავისი კალათი იქვე სკამზედ დაუდვია და ხელში წიგნები უჭირავს. ხან გამვლელსა სწვდება კალთაში, და დააყენებს, ხან გამომვლელსა, ხან ერთ წიგნს შესთავაზებს, ხან მეორეს!.. ისეთი სისწრაფით ასაღებდა წიგნებს, ქალი კი არა, პატარა ალქაჯი გეგონებოდათ. მარდი, ცქვიტი, სიცოცხლით სავსე, ისე აშუქებდა თავის გიშერივით შავი თეალებით, რომ იმის დანახვაზედ არჩევანიც დამავიწყდა და მთელი ქვეყანაც, ვიდექი გაშტერებული და პატარა მარგალიტას მეტს ველარას ვხედავდი.

კარგა ხნის შემდეგ გონზედ რომ მოვედი, როგორც იყო, მარგალიტამდე მივალში და ის იყო უნდა დამეძახა, რომ თი-თონვე მტაცა ხელი და შემომლიმა:

— რა არას ხადხა? ბატონო, ახალი წიგნი! აა გასამჯერო  
მღვდელი სიესის თხზულება—ინებეთ, ბატონო!

— რა ვენა, ვეღარა მცნობ, მარგალიტა?

— მიხო, შენა? — და გულიანად გაიკასკასა.

იცინოდა და თან შუბლიდან ოფლს იწმენდდა და თმას  
ისწორებდა. თმა გაშლოდა და მხრებზედ მოჰუცენოდა. რა სი-  
ხარულით შევყურებდით ერთმანეთს!

— რამდენს შრომობ, მარგალიტა! რამდენს ეწვალები!

— ნეტავი შენა, მიხო! საქმე კეთდებოდეს, თორემ... არა  
უშავს-რა, მომავალი ჩვენია. ჩვენ ეს წიგნები გავავრცელოთ!

კაბის ქობა დამანახვა. ისე ჰქონდა ტალახში გასვრილი  
და დაფხრეწილი, თითქო სამი თვის სავალი გამოუვლიაო.

— წუხელი წამოვედით ლუნევილიდან, მოელი ღამე ვია-  
რეთ. ექვსასი წიგნი წამოვიდეთ — რა არას ხადხა? და დღეს  
იმდენი გაყიდეთ, იმდენი! რომ სულ ასიც აღარ გვექნება.

ისეთი კმაყოფილი იყო თავის თავისა, ისეთი ბედნიერი,  
რომ თითქო მეც გადმომედო იმის სიხარული, ხელი ჩამოვარ-  
თვი და... სულ სხვა მინდოდა მეთქვა, მაგრამ ენამ მიმტყუნა  
და ვყითხე:

— მამა-შენი სადღაა?

— არ ვიცი. ქალაქში უნდა იყოს. საცა კი ხალხია, ისიც  
იქ არის. დუქნებში, ლუდქანაში; გაუყიდავი ერთიც არ დავკრ-  
ჩება სიესის წიგნი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მამამ აქამდე  
თავისები კიდეც გაყიდა და ახლა ჩემს საძებრად მოდის.

და უტბად ხელი გამოვლიჯა და ხუმრობით შემომიტია:  
ახლა კი წადი! აგერ, ჩვენებურები შეიყენეს დარბაზში!

— მე რომ ჯერ ოც და ხუთის წლისა არა ვარ, მე ჯერ  
ხმა როდი მაქს.

— ეგ სულ ერთია! წადი, ნუ მაცდენ! ტყუილიდ დროს  
ნუ მაკარგვინებ!

და ისევ წიგნებს მივარდა და დაიწყო:

— ბატონებო, ახალი წიგნები, სიესის წიგნი, რა არას  
ხადხა?

განციფრებული წამოვედი. მე მარგალიტა ყოველ-  
თვის თავის შამასთან მენახა და ახლა, მარტო რომ ვნახე, სულ  
სხვანაირად მეჩვენა. იმის გამბედაობა მაკვირვებდა. მოვდიოდი  
და ვფიქრობდი:

— გაქირებას ი პატარა გოგო უფრო უკეთ დაახწერს თავსა, ვიდრე შენა, ჩემო მიხო.

აგერ კიბეზედ ავედი, ბალკონზედ გამოვედი, ხალხს გად-მოვხედე და ჯერ ისევ იმავე ფიქრით ვიყავ გატაცებული. ბო-ლოს ნათლია-ჩემმა გამომიყავანა ფიქრიდან:

— რაო, ბიჭი? ვერსად იპოვნე?

— როგორ არა, ნათლია-ჩემმა, ოლონდ მარგალიტა მარ-ტო გახლავთ მოედანზედ; შოველი ქალაქშია თავის წიგნებით.

ამ ლაპარაკით შევედით დიდ დარბაზში, რიგი ჩევნ სო-ფელზედ მომდგარიყო. არჩევანი ხმა - მაღლივ იყო და რიგ-რიგად უნდა გაევლო ყველას მაზრის უმფროსის წინ და დაქ-სახელებინა თავისი წარმომადგენელი. ჯერ ისევ გარედ ვიყა-ვით, რომ დარბაზიდან ხმა გამოდიოდა:

— ივანე ლერუ! მატურინ შოველი! მჭედელი ივანე ლე-რუ! მატურინ შოველი! მჭედელი ლერუ! შოველი!

ნათლია-ჩემი ისე გაწითლებულიყო, როგორც ჭარხალი.

— ნეტავი შოველი კი აქ იყოს-და! რა ბედნიერი იქნე-ბოდა! — მითხრა ნათლია-ჩემმა.

ჩემდა უნებურად უკან მივიხედვ და სახტად კი დავრჩი: შოველი იქვე იდგა ჩევნს უკან გაშტერებული: ეს რა მესმის, ყური ხომ არ მატყუებსო?

— ეს შენი საქმე იქნება, ივანე! — ჰკიოთხა ნათლია-ჩემს.

— დიალ, — უპასუხა ნათლია-ჩემმა სიხარულით.

— შენგან არც მიკვირს. — უთხრა შოველმა და ხელი ჩამოართვა — დილა ხანია გიცნობ! მაგრამ იცი რამ გამაკვირვა და მეტადრე ასე ძალიან რამ მასიამოვნა? როგორ წარმოეიდ-გნედი, რომ კეთილმორწმუნე კათოლიკები კალვინისტები აირჩევ-დნენ თავიანთ წარმომადგენელად? ხალხი ყურადღებას აღარ აქცევს თავის ძველ ცრუმორწმუნეობას და, მაშასადამე, გამარ-ჯვება ხალხისაა.

ნელ-ნელა მივდევდით ხალხს და ორ-ორი შევდიოდით დიდ დარბაზში. აგერ ტახტურევანივით ამაღლებულ ალაგას მაზ-რის უმფროსი ბატონი შენეიდერი ოქრომკედით ნაკერი შავი ხაერლდის წამოსასხმით. აგერ იმის ამაღლა სულ დიდებულნი, წარჩინებულნი პირნი. იქვე კედელზედ მშვენივრად ვამოჭრი-ლი ჯვარუმა.

ჩვენებურებმა როგორც დაიწყეს — ლერუ და შოველით, ისევე გაათავეს. სხვა ერთს არავრ დაუსახელებია. მარტო ერთმა



სთქვა: ნიკოლოზ ლეტუშიე და შოველიო! და მაზრის უმფრო ცალკე როსს ლიმილი მოუვიდა, ამას ივანე ლერუს გარდა ეინ იტყო—დაო! და ერთმა კიდევ—ლერუ და ლეტუშიეო! სთქვა და ეს ერთიც შოველი იყო. შოველს კი კარგად იცნობდა მაზრის უმფროსი და ლიმილი კი არა, უსიამოვნებაც დაეტყო სახეზედ, მაგრამ თავი შეიმაგრა. სწორედ იმ დროს მიუახლოვდა იმას ბატონი დევარდენი და რაღაცა წასჩურჩულა ყურში.

მე ხმა არა მქონდა და მარჯვნივ მხარეს გავედი. მერე ნათლია-ჩემს და შოველს გავევევი. ქუჩაში გავედით, მაგრამ ვაი იმ გასელის, სულ ოფლში გავიწურეთ, მანამ ხალხიდან გამოვიდოდით. უკან გავლა არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენს უკან მიტტელბრონელები იდგნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ. ავ-დექით და ძველ ბაზარში გავედით. იქ კი ცოტა თავისულად ამოვისუნთქეთ. შოველი გამოგვეთხოვა:

— საღმომდის! შინა გნახავთ და მოვილაპარაკოთ!

ცოტა რამ კიდევ ჰქონდა გასასყიდი წიგნები.

მე და ნათლია-ჩემი ერთად ავედით შინა. ხალხიც ნელ-ნელა მოდიოდა. დაღალვა ეტყობოდა ყველას, მაგრამ სიმზია-რულე კი არავის დაკლებოდა, მეტადრე იმას, ვინც ქალაქში შენაყრებულიყო და ღვინო ცოტა მეტი მოსვლოდა, ისეთი სიმღერითა და ყიჯინით მიდიოდნენ, თითქო მაყრიონი არისო. მამა-ჩემი და ვალენტინი ძალიან გვიან ამოვიდნენ. ჩვენ რომ ისინი გვეძებნა, იქნება ვახშმიამდისაც ქალაქში ვყოფილიყავით.

ვახშამი რომ ავალაგეთ, შოველი და მარგალიტა მოვიდნენ. შოველმა გაზეობი მოგვიტანა და სხვათა შორის სიტყვები და განაჩენები თავად-აზნაურთა და სამღვდელოების კრებებისა. მართლა საუცხოვთ სიტყვები ეთქვათ ამ კრებებზედ და გაკეირვებული დარჩა ნათლია-ჩემი:

— რავენა, როგორ დავიჯერო, რომ ეს სიტყვა კეთილ-შობილის ნათქვამი იყოს? თუ მაგრე ფიქრობენ, ისე უღმერ-თოდ რად გვეკიდებიან?

აი რა უთხრა პასუხად შოველმა:

— მომავალში სიტყვა და საქმე ერთმანეთს აღარ ულა-ლატებენ. დიდებულნი კარგად ხედავენ, რომ ძალა ხალხის ხელთ არის და ტკბილი სიტყვით უნდათ გული მოგვიგონ. მაგრამ ხალხმაც უნდა შეიგნოს თავის ძალ-ღონე და სამართლიანად მოახმაროს იგი. მაშინ აღარც დაჩაგრული იქნება საღმე და აღარც დამჩაგვრელი.

## ს ა მ უ ჩ ა უ ა ნ ღ

მ გ ზ ა ფ რ ი ს შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

III \*)

გარეგნობა სამურზაყანოს სოფლისა.—კარ-მიდამო სამურზაყანოელისა.—უბალაზობა და შინაური საქონელი აქაურთა.—უსკოლო სოფელი.—ეკკლესიები.—თავისებური სასაფლაოები.—გზები.

თავისებურია სამურზაყანოს სოფელი. ძირეული განსხვავებაა აქაურსა და ოღონისავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს როცა ქართლის, ერთმანერთზე მიყრილს და თხუნელის სორიების მსგავსს, სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ, სამურზაყანოში, მთელი ორი საათია საჭირო, მომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვევი კაცი, თუ აქ ჩავარდა, ვეღარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდევ ტყეა, ორივე მხარესაც იგრვე ტყე გარტყიათ.

აქა-იქ, ოაზისებსავით, ტყე გაკაფულია და სიმინდის ყანა-ში ყავრული სახურავი მოსჩანს სამურზაყანოელის სახლისა. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ღობე ჰყოფდეს. უმეტესობა შათვანი ვერსა და ვერს-ნახევარზე პშორავს ერთი-მეორესა. ცხრა მთას იქით, და რომელსამე სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდეს, სანამ მეზობელი მოეშველებოდეს, აქაური მოსახლე ძირიან-ბუდიანად გადიბუგება და ჭერი არ

\*) ი. „მოამბე“ 1896 წ. № XII



დარჩება, თავშესაფარებელი. ახლა წარმოიდგინეთ ოთხასწუხასს კომლი, ხუთ ოთხკუთხ ვერსის სივრცე ადგილზე დაბინავებული, და ეს იქნება აქაური სოფელი!....

თყითეულს მოსახლეს უფრო ხშირად თხმელის წკნელის ღობით და, თუ შეძლებული თავადიშვილია, მუხის მესერით შემოკავებული აქვს 3—6 დღიური მიწა. შუაში უდგას წაბლის, წიფლის ან თხმელის ფიცრისაგან გაკეთებული ორ-სამ თვეალიანი ოდა; იმას მოდგმული აქვს სამზარეულო ან „საგავე-შვილო“; ცოტა მომორქებით ფიცრული ხულაა; ხულას გვერდით სასიმინდე დგას, რომელსაც ქვეშ ფიცრის კედლები აქვს, საქონლის დასაბმელად მომართული.

ამ შენობებს ერთი დღიური მიწა, თუ არ მეტი, უჭირავს. სახლის წინ ეზო ჭის კარამდე თავისუფლად არის გაშვებული, ქორფა ბალახს ხშირად ზედ დაჰყურებს ასწლოვანი კაკლის ხე, და მისის განზე გასულის ტოტების ხშირს ჩრდილს თავს აუარებენ სიცხეში აქაური მამა სახლისა და მისი სტუმრები. ზოგან, კაკლის ხის გარდა, ნახავთ რომელსამე ხეხილს. სხვა ხეებში თხმელა სჭარბობს აქაურების ეზოში. ყველას სათითა-ოდ მირგული აქვს ვაზი. იქ, სადაც ხეები იშვიათია, ეზოში შუაგულ ალაგას ნახავთ ტოტებიან სარს, მიწაში ჩარჭობილს. ამ სარის დანიშნულება ის არის, რომ ზედ მიაბამენ ხალმე სტუმრის ცხენებსა. დანარჩენ ადგილზე სიმინდის ყანა ბიბინებს.

სასახლედ შემოლობილ ადგილს გარეშე, გარდა მდ. ოქუმ-წყალისა და ოხოჯის პირას მდებარე ნაყოფიერ ჭალებისა, ბევრია აქ შეუმუშავებლად გაშვებული მიწა. უმეტესობა ამ მიწებისა დაფარულია ან ნარ-ეკალათი და სხვა გამოუსალეგარ ბუჩქებითა, ან არა და გვიმრათი, რომელიც აქ, ნოყიერ ნიადაგის წყალობით, საოცარას სიმიღლისა იზრდება. ზოგან მხარ-ნახევარი სიმაღლე აქვს აქაურს გვიმრასა. შიგ თავისუფლად დამალვა შეუძლია როგორც ადამიანსა, ისე საქონელსა.

საბალიან ადგილები აქ ცოტაა. და სადაც კია, საქონელი ზამთარ-ზაფხულ ზედ ასევია. ბალახს ამობუსუსებასაც კი არ აცილის აქაური, შიმშილით გამშარებული, ოთხფეხი,— მაშინვე ძირია-

ნადა ჰგლეჯავს მიწიდანა. გარედ, თავისუფალ ადგილზე, ბალის რომ ვერა შოულობს საქონელი, ღობებისა სტებავს და ყანას ეტანება. ხოლო აქაური ღობე არც ისე მკვიდრია, რომ შიმშილისაგან გააღმასებული საქონელი დაიჭიროს და გლეხის ნაოფლარი არ მოაძოვინოს. კიდეც ამიტომ არის აქეთკენ ასე ხშირი სიმინდობის დროს გლეხებ-შორის დავა და ჩხუბი, რომელიც ხშირად სისხლის ღვრითაც თავდება ხოლმე. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აქაურნი საქონელს უდელს დაადგიმენ ხოლმე კისერზე. ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ უღლიანი ხარი, ძროხა, ღორი, და, წარმოიდგინეთ, ძალლიც კი! ძალლებიც კი აფუჭებენ სიმინდის ყანებსა. სასაცილო სანახავია ასეთი ძალლი, რომელსაც ერთის მხარის სიგრძე მხევილი ჯოხი მისთრებს და იმის სიმძიმისაგან კასერი საცოდავად მოღრეცია...

სამწუხაროა, სხეა არა იყოს-რა, რომ ასეთს მდიდარს ბუნებაში საქონელს საკვები აკლდეს! კიდეც ამიტომაა, რომ აქაური საქონელი ასეთის დაკინიებულის ჯიშისაა, რომ აქაური ძროხა ასე ცოტა რძეს იძლევა, რომ აქაურს ღანღალა-გადალეულ მუშა-საქონელს ძალა ვერ შესწევს ხანგრძლივი მუშაობა აიტანს, მძიმე ტვირთს მოერთოს სხვაგნებურ დარჩეულის ჯიშის და უკეთესად მოვლილ საქონელსავით.

სკოლას აქაურს სოფელში იშვიათად შეხვდებით. მოელს სამურჩაყანოში სულ ათგან თუ არის სამრევლო სკოლა, რომლებიც, უდღეურსავით, ძლიერ მიათრევენ თავისს გაჯახირებულს არსებობასა.

ეკკლესიები აქ უმეტესად ქვითკირისაა. თეთრად გასპერაკებული კედლები აქურის ეკკლესიებისა დიდს მანძილზე მოსჩანს. წინ ეკკლესიას უდგა ასწლოვანი ცაცხვები, რომლის ძირს ნაწირვებს სოფლელნი თავს იყრიან და თავისს ჭირ-ვარაშე ბჭობენ. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ ერთს გარემოებასა. ეკკლესიის გალავანში საფლავის ბეჭობები ძალიან ცოტაა. ჰკვირვობთ, ნუ თუ ასე ცოტანი იმარხებიან აქ მკვდრებიო! მაგრამ რომ გასცდებით ეკკლესიასა, გზის იქით-



აქეთ, გამოჩინებულს ადგილას ტყე გაკაფულია, ოთხ-კუთხზე რიკულია შემოვლებული რამდენსამე აღაგას და იქვე ლამაზად აღმოცენებულია ფართო ფოთლიანი ჭადრები ან სურნელოვან ყვავილიანი ცაცხვები.

ეს აქაურების მიცვალებულთა საუკუნოდ განსასვენებელი ადგილებია! ასეთი სასაფლაოები მთელის გზის გაყოლებაზედაა. ყოველს სასაფლაოზე ორი-სამი მიცვალებული ასაფლავია — თვითეულის თჯახის წევრები. აქაურები თვისის მიცვალებულების ეკკლესიაში დასაფლავებას იმდენად არ ეტანებიან. ურჩევნიათ, მათის მკედრების ძელები მათის სახლის ახლო ესვენენ, რომ ხშირად შეეძლოთ დახედვა და „ჭირისუფლობა“, რომ არ დაავიწყდეთ...

გზები აქაური? მარტო სამურზაყანოელის საიდუმლოს შეადგენს, თუ როგორ უნდა იაროს აქაურს, ევრედ წოდებულს, გზებზე, ადამიანმა და თავისავე მსგავს ადამიანთან კავშირი და მისვლა-მოსვლა იქონიოს. არცერთს გზას არც ერთს აღაგას არ ეტუყობა ადამიანის ხელი. ხამის კაცის ცნობისმოყვარეობას დიდძალს მასალას აძლევს ეს გზა. შენს თავს ეკითხები: ურმით სიარულს აქაური გლეხი როგორ ახერხებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცა პირს მოიხსნის და ქვეყნას, სადაც ეს გლეხი სცხოვრობს, ერთს გაუვალ ლაფად აქცევს ხოლმე? შენს თავს ვე ეკითხები: როგორ-და ახერხებს აქაური გლეხი ცხოვრებას იქ, სადაც მთელი ნახევარი წელიწადი აღაფებულ სოფულებში მისვლა მოსვლა შეწყვეტილია და სადაც სხვა უმაგისო შიმშილით მოჰკვდებოდა?! ამ კითხვის ახსნა სამურზაყანოელის იმ თვისებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მარტო იმისთვის არის ნიშანდობლივი და რომელიც მას მისს მსგავს ადამიანში ასე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არჩევს. ეს თვისება გახლავთ: შეფარდება თვისის ცხოვრების მოთხოვნილებისა ადგილობრივ პირობებთან და ამ მოთხოვნილების ჩამოყანა მინიმუმამდე...

ცხადია, აქაურს კაცს უგზოობა წელშია სწყვეტავს, მისს ეკონომიკურს ყოფას მიწასთან ასწორებს. იმას ნუ ბრძანებთ, აქაურს გლეხს არ ესმოდეს, რომ კარგი გზა ერთბაშად წა-

მთაცენებს ფეხზე მისს ნივთიერად დაერდომილებასა. მაგრამ მაგარი ის გახლავს, რომ, ჯერ ერთი, წელი არ მოსდევს იმი-სათვის იზრუნოს, მეორე, თაოსნობასაც მოკლებულია. სილა-რიბეც არაფერია, ოღონდ შეინძრნენ ისინი, ვისაც მათს სა-კეთილდღეოდ ზრუნვა იქვს მინდობილი,—მთელი სოფელი ჯა-რასავით დატრიალდება! ხოლო სანამ თავის პატრონისაგან აქაუ-რი მეურნე რასმე ხეირს ეღირსებოდეს, მისს ამ ყველაფერს ამტანს ზურგს კიდევ ცხრა-პირი ტყავი ასძრება....

## IV

სამურზაჟანოელი გლეხი „შინ“. —ჩემი მასპინძელი გუძა,— ხასიათი აქაურის გლეხის მოსახლეობისა.— წვრილფეხობა გუძა-სი. —ფატის მორთულობა: ვარდებული, ბუფეტი, სახლის ავე-ჯი. —საზრდო გუძასი. —„გუძას ავლა-დიდება კატას აეკიდება“. —როდის არის გუძა ბეჭნიერი? როდის იშორებს ლოდს გუ-ლიდნ?—სულიერი მოთხოვნილება გუძასი. —მისი დარდი, მი-სი ექანომიური იდეალი.—როდის შეცვლება სახე გუძას პირ-ველყოფილ ბრძოლასა ცროვრებასთან?—ერთი ღმე გუძასთან. — ძველი ჩვეულება.—გამოთხვება.—მოკეთე გავედი გუძასი.

საღამოეამდებოდა. მე და ჩემი მეგობარი ერთის ზემო-აღწერილის სოფლის ბოლოს გავედით. იძულებული ვიყავ მოგ-ზაურობა შემეწყვიტნა და აქაურის გლეხის სახლში შემეხედნა და პირისპირ შემხედროდა „სამურზაჟანოელი გლეხი შინ“.

საცალფეხო ბილიკი უფრო ვიწროვდებოდა და უვალი ხდებოდა. ცხენები მარქაფად მოგვდევდნენ უკან. გზის იქით-აქეთ ტყეა. ადამიანის ხმა არ ისმის. აქა-იქ მოსხლეტილ გო-რაკებზე სიმინდის ყანები მოწმობდა, რომ ადამიანი ახლოს უნ-და ყოფილიყო. გარშემო გამეფებულს მყუდროებას ჩვენის ცხე-ნების ნალები-და არღვევდა და შინისაკენ მომავალ საქონლის ბლავილი. მოულოდნელად წინ შემოგვეფეთა თორმეტ-ცამეტის წლის ბალდი, დალეული, ფეხშიშველა, სახე-გაცრეცილი. ად-გილობრივ მოქსოვილის შალისაგან შეკერილ ღართის ნაწი-ლები ბაირალსავით დაპფრიალებდა მისს გამხდარს სხეულსა. ჩვენს

დანახვაზე შეკრთა. უეჭველია, სერთუკოსნებს იქ არ მოელოდა. დაველაპარაკეთ, მაგრამ ის კიდევ გარინდებული იდგა; ვერ გამოიერკვა. ბოლოს, ძლივას მოვცეა პასუხი. ჩვენის მომავალის მასპინძლის შვილი გამოდგა. რომ გაიგო ჩვენი გამზრახვა, „ახლავე ბაბას (მამას) შევატყობინებო“, შერდულივით აიჭრა აღმართში და მალე თვალთაგან მოვცეფარა.

ერთი უკანასკნელად კიდევ დავატანეთ ძალა ჩვენს დაზიანტებულს და აღმართში სიარულს გადაჩვეულს ფეხებსა და საუცხოვო ბუსნოს მოვექეცით. წინ გადავვეშალა დასურათხატებული ვაკე სამურზაყანო—აფხაზეთისა, იმის იქით — ლაქვარდი ზღვა, რომელზედაც დიდ-ფრთხებიან ფრინველებსავით აფრა გაშლილი ნავები მისრიალებდნენ. სანამ კაკლის ძირას შევისვენებდით, ჩემის მეგობრის „მოკეთემაც“ მოატანა.

ჩვეულებრივის „გამარჯობა—გაგიმარჯოს“-ის შემდეგ ჩემმა მეგობარშა „რეკომენდაცია“ გამიწია თავის მოკეთე გუძასთან: მთაზე უნდა ავიდეს და შენ გზა უნდა უჩვენოვო.

გუძამ ერთი კი ეჭვის თვალით ამათვალიერა და უთხრა ჩემს მეგობარს:

— მთაზე რა უნდა ასეთს „ჩინონიკ“ კაცს? — მაგრამ თვითონვე დაატანა: — ალბად „ჰავისათვის“ (ჰაერის გამოსაცვლელად) მიღისო?

— სწორედ გამოიცანი!... — ვუპასუხე გუძას. — ამაღამ კი შენი სტუმარი ვიქნები-მეთქი.

მეგობარი ვამოვცეთხვა. ხოლო გუძამ წინდაწინ ბოლოში მოითხოვა, შენ რომ ვეკადრება, ისეთს პატივს ვერა გცემო. მაგრამ რაკი მობრძანდით, ჩემი სიღარიბეცა ნახეთო. და გუძა თავისს ფაცხისაკენ გამიძლვა.

წარმოიდგინეთ ოთხი დღიური სამოსახლო მიწა, შუაგულ ტყეში, სოფელს ორ ვერსზე დაშორებული. ადგილი მთა-გორიანია, გარშემო, როგორცა ვსთქვით, ულრანი ტყე აკრავს. თვით ეზოს შემოვლებული აქვს მეტად სუსტი ღობე, ერთის ალაბის სიმაღლე. ორი წილი მაინც ამ ღობისა ბუნებრივია, — ნარეკალა, მაყვალი, ყველა ერთად იფარავს გლეხის მიდამოს. ერთს

ალაგას ჭიის კარია, მეტად თავისებურის მოწყობილობისა. იქით-აქეთ, ერთმანერობე ორის მხარის დაშორებით ორი წყვილი ლატანია დარჭობილი, ერთის მხარის სიმაღლე. თვითეული წყვილი ლატნებისა უგრეხელათა გადაბმული ისე, რომ ყოველ ნახევარ ალაბზე შიგა-და-შიგ ცარიელი ალაგი რჩება. ამნაირადვე გადაბმული შეორე წყვილი. მერე ლატნების ცარიელ ადგილებში გაყრილია, ურდულების მსგავსად, თითქმის იმავე სიმსხოს ოთხი თუ ხუთი ლატანი. როცა ეზოში შესვლა გინ-დათ, ლატნები სათითაოდ უნდა გამოაძროთ სულ უკანასკნე-ლამდე.

ჭიის კარიდან, ან, როგორც აქ ეძახან, „ოლაგედან“ ფაც-ხამდე საცალფეხო ბილიკი მიუღის ასის მხარის მანძილზედ. ურემი ამ ეზოში ეკრ შეეა, რაღან ხრამებსა და ოლრო-ჩოლ-როს-ლა წარმოადვენს ჩვენის გუძას ეზო. არც საჭიროა გუძა-სათვის ურემი. გულითაც რომ უნდოდეს, ამ კლდე-ლრეში ურემი გამოუსადევარია. ცხადია, ხარების სამუშაოს გუძას მძლეთა-მძლე მხარი ასრულებს. ტყე იქავე, ცხეორ-წინა აქვს და შეშა ზურგით გამოაქვს. სიმინდიც იქ უთესია და, როცა ყანას იღებს, თავისისაეე ხელით თხილის ტკეცისაგან მოწნულ კალათით სიმინდე ეზოს შეა ალაგას ოთხ ბოძზე შეყენებულ წკნელის სასამინდეში შეჰვრის, რომელზედაც ტკვა (საცალ-ფეხო კიბე) აქვს მიღგმული ასავლელად. ჩალასაც ურემი არა სჭირია,—რომ მოსპრის, კონებად შეკვრავს და ეზოშივე ხეზე დაჰკიდებს ზამთრისათვის. ხე-ტყეს, როგორცა ვსთქვით, ტყიდან არ ეზიდება გუძა და სხვა მეტი არაფრისათვის უნდა ურემი. შიგ ჩაჯდომა და იმით სიაჩული, თავისს ქართლ-კახელ მოძ-მებსავით, გუძამ არ იყის. რომ გაუცხადოთ, რომ საქართვე-ლოში არის ისეთი კუჯხე, სადაც ურემში სხდებიანო, თქვენი ნათქვამი სიცილადაც არ ეყოფა. თუ გაუჭირდა და ცხენი ვერსად იშოგა, რამდენსაც გნებავსთ, იმდენს მანძილს ფეხით გაივლის და ურემში მაინც არ ჩაჯდება,—ქვეყნის სირცხვილს არა სჭამს და ისეთს საქმეს არ იზამს, რაც მისს მამა-პაპას არ ჩაუდენია.



ჩვენის გუდას ეზოში, ანუ, უკედ, ყანაში, ხეები ობლიგადად დგას. ამაოდ ეძებთ აქ კარგ საყვარელსავით ხეებზე გადახვეულ ვაზებს. ღვინო არ მოუდის გუდასა და ისიც სტრიკურად ითმენს ულვინობასა. წელიწადი ისე გაივლის, საზედაშე ღვინო არ გაჩნდება მის ფაცხაში. ღვინის ბადლად გუდას წყარო აქვს მთისა, ან კარა და ყინულსავით ცივი.

ქოხის გვერდით გამართულ ბოსტანში გუდას ცოლის-მიერ გულმოდგინედ გახელილს მწვანილს მშვენივრად ამოუყვით თავი თხის ნაჟელით გაპატივებულ ნიაღაგიდან. აქა ნახვთ: ცოტა პრასასა, ცოტა ობრახუშსა, რეპანსა, წიწაკასა, წითელ-მხალსა; ამათს გვერდით ორმოციდე ძირი თუთუნიცა სთესია, საკუთრად გუდას მოახოვნილების დასაქმაყოფილებლად.

ბოსტნის გვერდით ხუთიოდ სკა სდგას ფუტკრისა. ამ ძვირფას მწერთაგან გაკეთებული თაფლი წლითი-წლობამდე ჰყოფნის გუდას წვრილფეხობასა გამწარებულის პირის ჩასატკბა-რუნებლად. იმათის ნაშრომით სანთელს ჩამოჰქნის ხოლმე გუძა და დღესასწაულებში ღმერთს აღიდებს, შესჩივლებს თავისს ტვირთ-მძიმობას და შესთხოვს შველასა და გაჭირვების შემსუბუქებას. ხანდისხან, როცა სტუმარი მოუვა, ამავე სანთლით უკუმით მოცულ ფაცხას სინათლის მკრთალ სხივს მოჰვენს ხოლმე.... ისიც კარგია იმისათვის.

ფაცხა ორი აქვს გუდასა. ერთსა თვითონ შეპფარებია თვისის ცოლშვილით, მეორეში საქონელი უბია—ზამთარში. ორივე წკნელისაგან არის მოწნული. ზევიდან გვიმრა ჰელოებს. მთელს ფაცხას მარტო ერთგანა აქვს ლურსმანი: ამ ერთად-ერთის ლურსმნით გარედან კარის დასაკეტი ხის კოჭია დაჭვედილი კარის ჩარჩოზე. სიღიდე ფაცხისა 12 კუბიკურ მხარის უძრის, ესე იგი 3 მხარი სიგრძე აქვს, 2—განი და 2 მხარიც—სიმაღლე. კარიორი აქვს: ერთი წინიდან და ერთიც იმის პირდაპირ—უკანიდან. სარკმელს გუდას ფაცხა მოკლებულია. ხოლო როგორც ჰაერი, ისე სინათლე კედლებში უხვად დატოვებულ ჭუპრუტანებიდან შემოღის. მხოლოდ ზამთარში კედლები გარედან გვიმრით გაიბურება, რომ, ცოტათიც არის, სიცივეს წინააღმდევო-

გა გაუწიოს და შიგ არ ჩამოუშვას. ზამთარში ამ გვიმრით გჭლილები ბურულ ფაცხას ცეცხლი ძალიან ადვილად იმსხვერპლებს ხოლ-მე. კიდევ ამიტომ არის, რომ გლეხი რამდენჯერმე იკეთებს ასეთს ფაცხებსა. ისიც კია, რომ შერმა მისს აშენებას დიდი არ უნდა: ორი მარჯვე კაცი სამის დღის განმავლობაში მასა-ლასაც მოამზადებს ფაცხისათვის და ააშენებს კიდევა აქაურის გლეხის იაფ-ფასიან თავშესაფარსა.

ჩემს მისვლაზედ დიდი ფაცი-ფუცი შეუდგა ამ პატარა სა-მეფისა, სადაც თეოთმცყრობელი გუძა იყო. ჯერ გუძას ვაუქა შორიდანვე შეატყობინა გუძას ფანის (ოჯახს), სტუმარი მოგვ-ყავსო. ფაცხის კარებში გუძას თანამემცედრე მომეგება და მო-წიწებით თავი დამიკრა. ხელში ახლად ნამტირალევი ქართვა ბალლი ეჭირა, —პაწაწუნა განციფრებულ თვალებზე ცრემლი შეჰყინვოდა. გვერდთ უდგნენ დანარჩენნი წევრნი ფანისი: უფ-როსი ქალი, ტანჩალალი, გაცრეცილი, გამხდარი, თუმცა კი მარილი არ აკლდა მისს ლაზათიანს სახესა. ასე 10—11 წლი-სა თუ იქმნებოდა. იმას მოსდევდა, კრუხის წიწილებსავით სამი ნაგლეჯუა ბავშვები, სულ ერთმანერთის მომდევნო. გარევნო-ბით ძნელი გამოსაცნობი იყო, რა სქესს ეკუთკნოდა ან ერთი და ან მეორე — ყველას ერთნაირი პერანგი ეცვათ ამერიკისა, ნაფლეთებად ქცეული და ძალზე გაშავებული. ამ პერანგების სახელოებს აკლდა, განსაკუთრებით, სითეთრე: მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ პერანგს აქ ცხვირსახოცის მაგივრადაცა ხმა-რობს მისი პატრონი...

ფაცხის შუა ალაგას, კერას თავთით, ერთი დიდი ჯირკვი დექს, რომელსაც აქ „ბუკი“ ანუ დედა-შეშა ჰქვიან. ამ ბუკს მიწყობილი აქვს წვრილი ფიჩი, ანთებული. საკომლე ფაცხას არა აქვს. კვამლი ფაცხის ხან ერთს კუთხეს ეწყვეტება და ხან მეორეს და შიგ-მყოფთ უსულლმერთოდ სტანჯავს ხოლმე. დი-რები და სახურავის ქვედა ნაწილი მურისაგან გაშავებულია. კერას იქით-აქეთ კველები სდგას. ქვედა — საჯდომია ერთნაი-რი და მარტო აქეთკენ და სამეგრელოში შეხვდება კაცი. ეს თავისებური საჯდომი წარმოადგენს ძელს, რომელსაც სიგრძე



$\frac{1}{2}$ —2 ალაბამდე აქეს, განი— $\frac{1}{2}$ — $\frac{1}{4}$  ალაბი. აკეთებენ მათ ტენის  
რებს — ერთის კაცის საჯდომს, აკეთებენ დიდებსაც, რომელ-  
ზედაც მწყრივად რავდენიმე კაცი ეტევა ერთად. ეს ძელი ქვე-  
შილან გამოთლილია, იქით-აქეთ თავებში დატოვებული აქეს  
ბრტყელი ფეხები.  $\frac{1}{4}$  ალაბის ან კიდევ ნაკლების სიმაღლეზე-  
და დგას კველა. ძალიან მდგნეა, ადვილად არა ტყდება, ხან-  
დისხან, თუ მაგარის ხისაც არის, ორს-სამს მოდგმას მოიჭამს.  
ევ არის, მარტო ფერს იცვლის, — დროთა ეითარებისა გამო  
ძალზე შავდება. გარეუქვას თავის დღეში არ აღირსებენ, რაც  
უნდა ამაგდარი იყოს აქაურის გლეხის კველა.

კერას ორი მხარე აქეს: ერთი საგაფეაცო („საქომოლო“)  
და მეორე — საქადებო („საოსურო“). პირველ მხარეზე სხდე-  
ბიან მამათა სქესის წევრნი აქაურის გლეხის ფანიასი, მეორე-  
ზე — ქალები. სუფრასაც ცალ-ცალკე უსხდებიან ქალები და  
კაცები. ეს წესი სასტიკად არის დაცული სამურჩხაყანოელის  
გლეხის სახლში. კაცობრიობის იმ ეპოქას გვაგონებს ეს განა-  
წილება ოჯახისა, როდესაც ქალი უუმწერვალეს ზომაზედ ჰყავ-  
და დაშონავებული მამა-კაცა და როცა პირველი ვერა ჰბე-  
დავდა თავის „უფროსთან“ — ქმართან ერთს სუფრას მოსჯდო-  
მოდა. დასახელებულ „საქალებო“ მხარეზე დიასახლისი (ამ  
სიტყვას აქ მნიშვნელობა ეკარგება) ჩამოჯდა კველაზე და მას  
მიეჭუჭა წვრილფეხობა ფაქებისა. მათს პირდაპირ, მეორე მხა-  
რეზე სამფეხა და სამკუთხოებან, გუძას ხელით გაჩორენილ, დგამ-  
ზე მე მოვასენე სხეული. ბავშვები ამაოდ ცდილობდნენ დაე-  
ფარათ თავიანთი ცეცხლისაგან დამწვარ-დაბრაწული წვივები,  
რომელთაც უსირცხვილოდ თავი გამოეყოთ მათის მოკლე და  
დაგლეჯილ ჰერანგებიდან. დედაც, ბოდიშის მოსახლეობად,  
ტყუილად ეუბნებოდა დაიფარეთო. გაღადღადებულ ცეცხლის  
ალზე ოთხმა წვივილმა გახუხულის წვივებისამ პრიალი შეკემნა.  
პირველმა შთაბეჭდილებამ ყველას გადაუარა, დამშვიდდნენ, —  
„სტუმარი“ მთელი ლამე ჩვენთან იქმნება და შეგვეძლება კარ-  
გად ვუყორთოთ. თორმეტი თვალი ისარივით მე მომაშტერდა  
და თავით-ფეხებამდე მუშტრის თვალით სინჯვა დაუწყო ჩემს

ტანისამოსსა, ყველას ეს ერთი კითხვა ეხატებოდა თვალებზე: „ამ კაცს ჩენონან რა უნდოდათ?“ მხოლოდ კვამლი მიხსნიდა ხოლმე მათის ცნობის მოყვარე თვალებისაგან. ოჰ, ეს კვამლი!... იძულებული ვიყავ მენატრნა, ნეტავ ცეცხლი უკვამლოდ გაჩენილიყო-მეოქი. ქარი დაუბრკოლებლივ ატანდა ფაცხის ნახევრად ფარდალალა კედლებსა, ჰბორგავდა და გვაშფოთებდა შიგ-მდგომთა: კვამლს ხან ჩემკენ ელალებოდა და ხან ჩემს ახალ ნაცნობებს აფორიაქებდა. ჩემმა თვალებშია ველარ გაუძლო კვამლთან ბრძოლასა, და დამარცხებული და სასოწარკვეთილი რამდენჯერმე ლტოლვილ ვიქმენ ფაცხიდან, რათა გარედ მე-ძებნა ხსნა.

ფაცხის ორსავ მხრით თითო წყვილი გაჩორქნილი ფიცარია მიჯრით მიწყობილი. თუ გნებავო, ტახტი დავარქვათ იმ ფიცრებსა. აქ კი ტახტის დანიშნულება აქვს. მათს სიშიშვლეს არა ჰფარავს-რა,—ადგილობრივ მოწნული ჭილობი რა არის, იმასაც კი მოკლებულია გუდას განსასვენებელი. ერთს ალაგას მჩეარსავით რაღაც მოკუმშული ეგდო. უფროსი ქალი აღგა და გაასწორა. ეს გაბრტყელებული, სიტრიფანა, ჯვარიმამის ლავაშივით, მჭვარტლში ამოვლებული, დაფხრეწილი—ლეიბი იყო. არც ბამბა-გამოყრილი საბანი იყო უკეთესის ღირსებისა. ერთი ბალიშიც ეგდო, უფორმო. როგორც ეტყობოდა, ქათმის გაურჩეველ ბუმბულით უნდა ყოფილიყო სავსე. გაბრტყელებულ მუთაქსს სიმინდის ფურქიში გამოსცვენოდა...

აპა, მთელი ღოვინი, რომელზედაც გუდა და მისი ცოლ-შვილი, დღიურ ვარამთან სასოწარკვეთილ და გამძაფრებულ ბრძოლის შემდეგ, თავიანთს ცოდვილს ძვლებს ასვენებენ, რათა, ღონე-მოკრებილთ, მეორე დღეს განაგრძონ იგივე სასოწარკვეთილი ბრძოლა და სრბოლა ძალლ-უმადურის ცხოვრების via bolorəsa-ზე, სანამ არ დაიმკეიდრებენ განსასვენებელ მას საუკუნოსა.

გუდას ფაცხის ერთ კუთხეში ტახტზე ზანდუკიც იდგა, მჭვარტლის ფერისა. წინანდელი წითელი ფერი საღებავისა აქა-იქ კიდევ შერჩენოდა. ამ ზანდუკში ინახება გუდას ცოლის გან-



ძეულობა: ერთი სამშაურიანი თავიჩითი, ანუ „ცახოცი“, მაგრა ხუთ-შაურიანი ჩითისაგან შეკერილი „საგარეო“ კაბა, ერთი სამაბაზიანი ჩუსტები, ოქუმელ ხარაზის შეკერილი, შაურიანი სარკე, წითელ სამოგვე გადაკრული,—ის სარკე, აქაურს ქალებს საღმე დღეობაში ან ოქუმში წასვლის დროს ჯიბით რომ დააჭვით ხოლმე და რომლის შემწეობით, დანიშნულ ადგილიდე მიახლოებისას, საღმე ბუქჩან ან წყლისპირას თავისს ფიზიონომიას ისწორებენ ხოლმე. ამათს გარდა ამ გაცრეცილ ზანდუკის რომელსამე მიმალულ კუთხეში კიდევ უნდა დებულიყო თაფლის სანთლის ნაჭერზე მიკრული ორ შაურიანი თეთრი ფული, გუძას სახლის ერთ-ერთ წევრის ავადმყოფობის დროს ილორის წმ. გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული. უნდა დებულიყო აგრეცვე ორი ან სამი აბაზი, ათას ალაგას გამოკრულ-გმონასკვნილი,— „შავის დღისათვის“ გამოზოგვილი.

ჩემს მახსოვრებას ძალას ვატანდი, მინდოდა გამეოვალის-წინებინა ამნაირივე ზანდუკი ჩემის ძიძისა, ამნაირისავე სიდიდისა, ამნაირადვე დამჭვარტლული, ამნაირადვე, მუთაქის მაგივრად, კუთხეში მიდგმული, ის ზანდუკი, რომელიც, ჩემს პატარაობაში, არა ერთხელ გადამიქოთებია,—რა არის, ორიოდ ჩურჩხელა ამოვაცოცო და საღმე ხის ძირას შევექცე-მეთქი; ჰო, მინდოდა მომეგონებინა, კადევ, ზევით ჩამოთვლილის გარდა, რა უნდა დებულიყო ამ ნაცნობ ზანდუკში...

მაგრამ... პატარა შეფემ გუძას ფაცხისამ, ძუძუმწოვარა ბაე-შვმა, არა ერთხელ დაწყებული და შეწყვეტილი ტირილი კვლავ განაგრძო: მეძინებაო. დედამ ძუძუ ჩასჩარა პირში, ამ ძუძუს საპონი თავის დღეში არ მიჰკარებია. რძესთან ჩააყოლა ბავშვმა თავისი ცრემლები და, ბოლოს, ზედ ძუძუზე მიეძინა. დედამ აიყვანა, აკვანში ჩააწვინა და, უფროსის ქალის დახმარებით, არტახები შემოაკრა. კვლავ გაისმა გულის გამაწვრილებელი ხმა ბავშვისა. უფროსმა დამ რწევა დაუწყო აკვანსა, რამაც უფრო გამოათხიზლა ატირებული დაი მისი. აქაური აკვანი ძალზე ვიწროა, განი მტკაველ-ნახევარ თუ ექმნება, მაღალია და დანჯ-

ღრეული. ეტყობა ამ აკვანში გაზრდილი მამა სახლისა, ხუთი მისი შეიძლება და ახლა მეექვსე ჰერმობს შიგ ტანჯვასა. და, ვინ იცხს, მკითხველო, კიდევ რავდენი გაიზრდება ამ აკვანში! ბოლოს, ისიც შეიძლება, გაყოფის დროს, ერთ-ერთ შეიღს წილში ერგოს... საშინელი ჭრიალი გაუდის ამ ოღრო-ჩოლრო მიწურ იატაკზე. სამ-ოთხჯერ ძალუმად დაარწია ქალმა თავისი პატარა დაია, მაგრაც მიახლევინა თავი აკვნის კედლებზე; პატარამაც ტირილი შესწყვიტა. ერთს ხანს სიჩუმე ჩამოვარდა ფაცხაში... მომაგონდა, რომ მეც ერთს დროს ასეთს აკვანში ვიზრდებოდი... მეც ასეთს დღეში ვიქმნებოდი-მეთქი, და ერუან-ტელმა დამიარა ტანში.

ძუძუმწოვარამ დაიძინა. ცოტა იმაზე უფროსი ტახტზე ავოგდა და ისიც ძილმა გულზე მიიხურა. დიასახლისმა რაკი თავისუფლება იგრძნო, ეაშმის თავდარიგს შეუდგა. მიუჯდა ფქვილით სავსე ტომარას (საკი), წინ დაიდვა ბარქაში (სარლა) და ცრა დაიწყო ფქვილისა. ხოლო მისმა ტასიამ თუჯის ქვაბს დაავლო ხელი, საღილობისაგან ზედ შერჩენილი ღომის ქერქი დაჩლუნგებულის უტარო დანით მოაცალა და კუთხეში დაყუჩებულ წიწილებიან კრუხს დაუყარა. სამეფო ფრინველთა ერთს წამს შეფრთხა და წივილი დაიწყო. მერე გონს მოვიდა და კენკა დაუწყო წინ დაყრილს ღომის ქერქსა. დაწმენდილი და გარეუქილი ხელიანი ქვაბი პირთამდე წყლით მოპყარა გოგონამა და, დედის დახმარებით, რკინის ნაჭის მაგიერ ქერზე დაკიდებულ ხის კავს ჩამოჰკიდა. ცეცხლს შეშა შეუკეთეს. დაგუგუნებულმა ცეცხლმა ათს წუთში აადუღა წყალი. დიასახლისმა სიმინდის ფქვილით სავსე ბარქაში გვერდო დაიდგა. მერე ადუღებულ წყალში მუჭა-მუჭად ყრა დაუწყო ფქვილს და თან ჩოგნით ურვედა. კავზე დაკიდებული ქვაბი ამასობაში, რა თქმა უნდა, ინძრეოდა, და მისს შენძრევასთან ერთად პანტა-პურნტით ზევიდან ზოლ-ზოლად დაკიდებული მჭვარტლი წამოვიდა. მე თვალები ავარიდე ზრდილობის გულისათვის... რომ გასქელდა ღომი, დიასახლისმა ძირს ჩამოიღო ქვაბი, დადგა



იქვე, კერის პირას, ჩართხე \*) და სუთით \*\*) (კირზა) შეჯარც  
ზელა დაუწყო. ხუთი წუთი ჰქელდა. მერე ისევ კავშე დაპირდა  
ქვები.

მე ისევ განვაგრძე ჩემი ეკსკურსია თვალებით ფაცხის  
მიღამოში.

მიმოვავლე თვალი ბუფეტს. ერთი თხმელის ფიცარია გათ-  
ლილი, სიგრძე აქვს 2 ალაბი, განი— $\frac{1}{2}$  ალაბი. ეს ფიცარი  
დგას ოთხს ორ-ნახევარ ალაბიან ფეხებზედა, რომლებიც ქვეშ  
განზე არის გაშეული, რომ ტაბლა უფრო მაგრად იდგეს. ზედ  
ალაბია: ბლის ფილი (ქვიჯე) თავისის ქითა, ბუუნი (ერთ-  
ნაირი ხის ჭურჭელი) მაწვნის შესანახად, ხუთი ხის ჯამი, ად-  
გილობრივი გაკეთებული, ორი თეფში სინისა, 4 კავში ბზისა,  
ადგილობრივე გათლილი. ტაბლის ახლოვე კედელზე ეკიდა:  
ნივა (საწველელი), მწარე გოგრის ქერქისაგან გაკეთებული  
ჭურჭელი კვეთარისათვის და ოჩეჩე—ხის ჭურჭელი, რომელ-  
შიაც ახლად ამოლებულ ყველსა სდებენ, რომ შრატისაგან  
დაიწრიტოს. ბუფეტის ახლო იდგა ერთი თაემომტვრეული  
კოქა თიხისა და ერთიც ლოქი. მმ ორ ჭურჭლის დასადგმელ  
ალაგას გაუშრობელი ჭოჭი დგას. გუძას ფაცხაში აღუნუსხვე-  
ლი, გვერდია, არაფერი დაგვრჩება, თუ ყოველსავე ზემოდასა-  
ხელებულს მივუმატებთ „ტაბაკს“—გრძელს ოთხფეხიანს ფი-  
ცარს, რომელზედაც პირ-და-პირ ლომს დააგებენ და წინ და-  
იდგამენ ხოლმე სადილ-ვახ შმის დროს. განი ტაბაკს  $\frac{1}{2}$  ალაბი  
აქვს, მისი სიგრძე კი ფაცხის წევრებთა რიცხვებეა დამოკიდე-  
ბული. ფეხები ტაბაკისა ორის მტკავლის სიმაღლეა, ასე რომ  
როცა უსხედხართ, უნდა დაიხარით ხოლმე ლომის საძლებად.  
როცა ჭამის გაათავებენ, ტაბაკს აიღებენ. მისი შესანახი აღილი  
ფაცხის კედელია, ან შიგნით და ან, უფრო ხშირად, გარედ,  
საწვიმურს ქვეშ, და ან კიდევ ივანზე: კედელში ორი ჯოხია

\*) ჩართი—მრგვალიდ, ქვაბის ძირის სიფართხეზე, დაგრეხილი ვაზია ან უგ-  
რესელი. ქვაბის ძირი შიგ კალაპოტსავით დგას, არ იძრევა და ღომი მოხერხებუ-  
ლად იჩელება შიგ.

\*\*) უგარგატსაც“ ქაბიან. გათლილი ჯოხია, შელივის სიმსხო, ან ნაკლები,  
ერთის ალაბის სიგრძე.

გაყრილი, რომლებზედაც პირქვე დამხობენ ტაბაკს, და იქა ლუკი, სანამ ხელმეორედ არ დასკირდებათ.

აპა, მთელი ოვლადიდება გუძასი. ერთს დღეს გაყიდვა და ფულად ჭუევა რომ მოუნდომოს გუძამ მთელს მორთულობას მისის ფაცხისას, მთელს ტუალეტს ამ ფაცხის წევრებისას, სულ ბევრი, ხეთას მანებას პატრონი თუ გახდება. თუმცა გუძა თქმით კი იტყვის — „ლარიბადა ვარო“, მაგრამ ეს თქმა სიტყვის მასალაა, პირის დასამშვენელია, ამბობს იმიტომ, რომ სხვა უველა მისი მსგავსი გლეხები ამას ამბობენ; ხმარობს ამ სიტყვებს იმიტომ, რომ პატარაობითვე ნაკლებულების შეტი არა გამოუცდია-რა და ამ მცნების გამომხატველი სიტყვები სულ პირზე აკერია.

გუძა კმაყოფილიც იქნება ხალმე, თუ თავისს სასიმინდეში შემოდგომაზე 200—300 ქილა სიმინდი შეჰყარა; კმაყოფილია, თუ სადილ-ვაზმად ფქვილის ლომი, ნაჭერი უველი აქვს; უმეტეს კმაყოფილია გუძა, თუ უფროს ერთს თავისს დედიშობილად მორბენალ ბავშვებისას თითო ამერიკის პერანგი ჩააცვა „საალდგომოდ“. გუძას სხვა უველა საჭიროება, სხვა უველა მოთხოვნილება — ხორციელი თუ სულიერი — აეიწყდება, როცა მოაგონდება საბედისწერო „უოშტის“ (სახელმწიფო გადასახადი) და მამასახლის-მწერლის ფული. წელიწადი-თორმეტი-თვე ერთს აზრსა ჰყავს მისი ფიქრი-გონება მიჯაჭვულ ამირანსავით შეპყრობილი: დასახელებული გადასახადი, რომელიც წელიწადში, ხანდისხან, 9 მანეთამდე ავა, როგორ მოვიშორო თავიდანო? ამ გადასახადისათვის-ლა იდგამს გუძა წელებზე ფქვებს, დარწმუნებულია, გლეხი, ჩემსავით შავის დღის დაბადებული გლეხი, ამ გადასახადისათვის არის გაჩენილიო. არ არსებობს გუძასათვის ეკკლესია; არ დასდევს, მისმა ბავშვმა წიგნი იცას, თუ არა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა ცათაფერნია შეუდგება, როცა ამ გადასახადს შოიშორებს, რომელიც დამოკლესის სატევარსავით მისს გაშავებულს ქედს დასკერის საბედისწეროდ. თითქო მძიმე ლოდი გადუგორდა მაშინ გულიდანაო. მაშინ მომავალ წლამდე განცხრომაშია, ნეტარობს: არხეინადა სჭიმს

ფქვილის ღომს განძლომამდე, საღამოს, მზის ჩასელისას, მიმდებარებულის განძლომილი, მეორე დღეს მზეს ისიც აჰყვება, რათა იმავ ფქვილის ღომით განძლომისათვისვე იზრუნოს. წლითი-წლობამდე ჩაპირკიტებს დედა-მიწას. ჩაპირკიტებს მანამდის, სანამ იმავ მიწას არ შეუერთდება უბადრუკი სხეული მისი. მისს ალაგას მისი შვილი, ტაგუ, ჩადგება, ისიც გუძასავით შეებრძოლება შავს მიწასა... და ვინ იცის, სანამდე გაგრძელდება ეს პირუტყული, პირველყოფილი ბრძოლა; ვინ იცის, როდის შეეცვლება ხასიათი და ფერი ამ ძალა-უმაღურ ბრძოლასა?..

სანამ მე გუძას ივლა-დიდებისა და მისის ცხოვრების განხილვაში ვიყავ, „ვახშამიც“ დამზადდა. ტასიამ დოქი აიღო და ხელი დამაბანინა. ამ წინასიტყვაობის შემდევ წინ ტაბაკი დამიდგა. ხოლო დიასახლისმა ჩინგნით\*) ორი „დაგება“ ღომი აძოილო ქვაბიდან და ტაბაკზე დამიგო ერთი-მეორეზე. მერე შიგ სულგუნი ჩიმიჭრა და მითხრა: — „მიირთვით, ბატონოვო“. გუძაც, ბოდიშის მოხდით, შორი-ახლო მოუჯდა ჩემს ტაბაკსა. უნდა მოგახსენოთ ჩემი სუსტი მხარე: დიდი ტრუიალი ვარ ღომისა. მაგრამ იმღამინდელმა ღომმა მთლად შემაძულა ეს საკმელი. ერთი ლუკმა კი მივაწოდე ჩემს დამშეულს კუჭსა და მერე თითქო კრიჭა შემეკრაო. თაფლ-გარეულ მაწენით პირმოდგმული „ჩაყვა“, ჩემდა სასახელოდ, სინიდისიერად დავცალე. ლვინის მაგივრად სუფრას ანკარა ცივი წყალი გვიმშვენებდა. გუძამ, ლვთის წინაშე, ბოდიში კი მოიხადა ულვინობისათვის. რა ვქნათ, ბატონო ლარიბ კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათო!... ნავახშევს ტასიამ ისევ დაგვისხა წყალი და ხელი დაგვაბანინა.

ვახშამს აქ მაშინვე ძილი და განსვენება მოსდევს. იღბალი ჩემი, რომ ჩემს ხურჯინში საბანიცა მქონდა და საზამთრო გვაბანაკიცა\*\*). დიდი სამსახური გამიწია ერთმაცა და მეორემაც. ჩემს თავს „ბარაქალა“ ვუთხარი ასეთის წინდახედულო-

\*) ჩოგანი—ქვაბიდნ ღომის მისაღები იარაღია. ერთი ალაბი პატარი ფიცარი ნიჩაბსავით არის გაკეთებული, მშოლოდ ბოლოზე მომრგვალებულია.

\*\*) გვაბანაკი—პალტო.

გისათვის. როგორც შემეძლო, მოვაწყვე ჩემი საჩეცელი. ტა-  
სიამ, იქაურის ჩვეულებისამებრ, ფეხთ გამხადა, პატარა ჯირკვი  
მოიტანა, რათა ჭედ ფეხები შემეწყო, ძმამ ცივი წყალი დაუს-  
ხა და თვითონ კი ფეხები დამაბავინა. ვერ ვეურჩე ამ კარგს  
ჩვეულებასა, თუმცა კი ჩემის ფეხებისათვის ტასიას შეწუხება  
მეტი იყო.

ჩემთა სახელდახელო ლოგინმა აღტაცებაში მომიყვანა.  
თავთ მედო უნაგირის ბალიში, ქვეშ მეშალა საბანი და ზევი-  
ლან კიდევ ჩემი საზამთრო გვაბანაკი მეხურა. ფაცხის ერთს მხა-  
რეს ტახტი მე დავიჭირე, ხოლო მეორეს — გუძამა და მისმა ფა-  
ნიამა. დაწოლის დროს მარტო დამის სიბნელე იდგა ჩვენს შო-  
რის კედლად...

აი ეს გახლავთ უფერ-უმარილო პროზა გუძასი, ამ ჩვე-  
ნის ცხოვრების სვეუბნელურ გერის ყოფა-მდგომარეობისა!.. და  
აი ის „მეგრული“ ფაცხაც, რომელმაც ჩვენს ნიჭიერს მგოსანს  
გ. ჭალადიდელს თვისი მშვენიერი ლექსი დააწერინა...

განთავადისას ტყე იიგოთ ჩიტების სტვენითა და ჭიკჭიკ-გალო-  
ბითა. დაძინებულმა ბუნებამ გამოილებია. გუძას ჯერ ფრთოსან-  
თა და მერე ოთხფეხ საქონელმა ხმა მისცეს ჩიტების გალობა-  
სა. ნელ-ნელა ფაცხის მკვიდრნიც წამოიშალნენ. საჩქაროზე  
ხელპირი დავიბანევით და მე და გუძა მთაში წასასვლელად მზადე-  
ბას შევლდექით. გუძამ მშველის რქაზე დაკიდებული თოფი ჩამო-  
ილო, საბირისწამლე გაუსინჯა და ისევ ირმის ტყავისაგან შეკე-  
რილ ბუდეში ჩასდო. „უნდა თან წავილოთ, იქმნება, „უწმინ-  
დური“ (დათეი) შემოვგვედეს გზაშიო.“ გუძას ცოლმა ქასლა-  
ში \*), ჩამოილო, მაწენით გაავსო და გუძას დაჰკიდა, გზაში  
დაგჭირდებათო. იმ ღამეს ჩემი ცხენი გუძამ, ქურდების შიშით,  
ფაცხის აივანზე დააბა, და გუძას უფროსი ვაჟი უხვად უყრიდა  
ახლად გამოჭრილს სიმინდს. გუძამ შემიკაზმა ცხენი. ფაცხიდან  
გასვლის წინად შევეცადე სახსირდელი მიმეცა ჩემის მასპინძ-

\* ) ქასლაში—ჭურჭელია, თხის ტყავისაგან გაკეთებული. შიგნით და გარეთ  
გაფარგვილია. შეი ასამშენ ჩაწონს და შეზავრობის დროს დააჭვთ. მთაში ყველა  
შიმრობს ამ ჭურჭელს.



ლისათვის. პატივცემისათვის სამაგიეროდ ფულს ეერ შეაწლევთ აქაურს მასპინძელს: ორამცუ არ გამოგართმევთ, შეურაცხ-ყოფადაც მიიღებს თქვენს ქცევას. მეც, რაკი სხვა გზა არა მქონდა, პატარა ტასიას „სახსოვრად“ ერთი ცხვირსახოცი ვუ-ფეშეაშე, რამაც ცასა სწია გოგონა. დანარჩენ ბავშვებს ორ-ორი ორცხობილა დავურიგე და ზედნადებად გაზეთის თრიოდ ნომერიც დავუტოვე. ქაღალდი რომ დაინახეს, ერთმანერთს მიჰვარდნენ და თვითეული მათგანი შეეცადა დაპატრონებო-და ამ „ტატას“. მათს ბრძოლაში დედა ჩერია და ყველა გა-ათანასწორა: გამოჰველიჯა გაზეთის ფურცლები და ზანდუკში შეინახა სასოებასავით.

თოთქოს დიღის ხნის მოკეთე და ნაცნობი ვყოფილვიყავ, გულწრფელად გამომეთხოვნენ. სინანული გამოაცხადეს, რომ ასე „უცბად დავშორდი“. მათს ლოცვას საზღვარი არა ჰქონ-და. „აქეთობას უცველად მნახეთ, როგორც კარგმა მოყვარე-ბაო“, მომაძახა დიასახლისმა ღობესთან მისულს.

#### ▼

**მთისკენ.**—ხელუხლებელი სამეფო წიფლისა.—მისის გადარ-ჩენის მიზეზი.—ისიც გაკაფება.—უღმერთო ბილიკი ანარის მთისა.—საჭიროება მისის შეკეთებისა.—გზის დამაშვენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები, ნისლი.—მეორე გაზაფხული.— წყავის ბუჩქები.—წაბლა-მუხა—*querqus castanifolia*.—დას-რული მთის გზისა.

შეცუდექით მე და ჩემი ჩიჩერონე-გუდა მთის კალთასა. სულ საცალ-ფეხო გზაზე მივდივართ *cum pedibus apostolorum*, ცხენი კი სალტად მიგვყავს. გზასა ჰფარავს ტყე თხილისა, წიფლისა, წაბლისა, მთის ნაკერჩხალისა (*acer montana*). ორის საათის სია-რულის შემდეგ მარტო წიფლის სამეფოში შევყავით თავი. მე-ტად მსხვილი და მაღალია აქაური ლაღად გაზღილი წიფელა. სისქე მისი ორი ალაბი არის, ზევით კიდევ თვალს ეერ უწვდენს აღამიანი. აღამიანს ჯერ აქ ცული არ შემოუტანია იმ განზრა-ხვით, რომ ხე მოვსჭრა და იმით ვისარგებლოვო. ასეთი უტე-



ხი, ან როგორც მეგრელები ეძახიან, „უჭმელი“ ტყე წიფლის სივრცეში სა პუკება თვით ანარის მთამდე, 30 ოთხ-კუთხის ეკრის სივრცეშე. მესამედი ამ ტყისა უქუმის საზოგადოებას ეკუთვნის, დანარჩენი სახაზინოა.

როგორცა ვსოდეთ, ეს ტყე ხელუხლებელია იმიტომ კი არა, რომ აქეაკენ რაიმე წესი იყოს დამყარებული ამ ტყის რიგიანად და გამოზოგვით ხმარებისა. ჯერ ამ ნაირის წესის შემოღება, რომელიც ასე საჭიროა სამურზაყანოს ტყებისათვის, მხოლოდ ოცნების საგანს შეადგენს. თუ ეს ტყე ბარბაროსულიად გაჩანაგებას გადაურჩა, ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ის გახლავსთ, რომ ადგილ-მდებარეობა აქვს მიუვალი. აშ არსებულის გზით ვერ მიუდგება ვერც ურმი და ვეღარც ჩალვადარი. მაგრამ მალე, სულ მალე, 20—30 წლის შიგნით, როცა ბარი სულ გაიკაფება, აქაური გლეხი ძალა-უნდებურად აატანს ამ მთასა და ას-წლოვანის წიფლების ჭრა აახმიანებს აქაურობასა.

ბარიდან ანარის მთისაკენ ორი საცალფეხო ბილიკი მიღის: ერთა იწყება სოფ. ჩხორთოლიდან, მეორე—ოქუმიდან. ჩხორთოლიდან მიმავალ ბილიკს აფხაზების გზას ეძახიან, რადგან აფხაზების მწყემსებს ამ გზით დაუდით საქონელი სამურზაყანოს მთებზე. ოქუმიდან მიმავალ გზით კი მხოლოდ სამურზაყანოელი მწყემსები დადიან. ჩხორთოლის გზა მოკლეა. აქეთობას ამ გზით მომიხდა ჩამოსვლა მთიდან და სულ იმას ვიძებდი, ნეტავ, პრასა მეჭამა და ამ გზით არ წამოვსულიყავ-მეთქი. გზა ქვიანია და მოსხლეტილი. თითქმის ერთის ვერსის მანძილზე იძულებული ვიყავ, ცხენისათვის უნაგირი მომეხსნა და ზურგით მეზიდნა, ცხენი კი თავის ნებაზე მივუშვი. მაგრამ ვაი ისეთს გაშვებას! ვამბობდი, აი ახლა დაიმტვრევა, აი ახლა და საზღვევი გამიხდება-მეთქი. დღესაც ვერ წარმომიდგენია, როგორ დაუდით ამ გზით საქონელი!..

შეა გზაზე ორივ ეს ბილიკი ერთდება და ამის იქით, შედარებით, უკეთესი სავლელია. შედარებით, იმიტომ რომ ადგილ-ადგილ საცალფეხო ბილიკი მოსხლეტილ კლდეებს გადაჰ-



ყურებს. საკმაოა, ერთი ბეჭო გადაუცდეს ფეხი ამ შილტვებს მიმავალ ადამიანსა თუ საქონელსა, რომ ძირამდე სული არ ჩაპუეს და ოვალ-უწვდენელ ხევში სადმე სვავ-ყორნების საკორტნი გახდეს. ხოლო ასეთი უბედურება აქ ხშირიცაა, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა იალაღზე საქონლის ჯოგს მიერეკებიან მწყემსები, და ენკანისთვეში, როცა იგივე საქონელი იალაღიდან უკან მოუდიოთ ხოლმე.

ანარისა და იმის იქით მდებარე მთების იალაღებზე, სვანეთის საზღრამდე, მიუდიოთ საქონელი თითქმის მთელის სამურჩაყანოს და აბეუას\*) მწყემსებისა. ყოველ გაზაფხულზე ზემორე დასახელებულ ბილიკით სულ უკანასკნელი 60,000 სული საქონელი მიუდიოთ, სხვილფეხი, თუ წვრილფეხი. ხოლო უგზოობით, წელიწადი ისე არ გაივლის, მწყემსებს ორასის თუმნის ზარალი არ მოუვიდეთ იქითობას, თუ აქეთობას. ერთხანად სამასი თუმანი რომ დაიხარჯოს, მეტი არც კი მოუნდება იმ ადგილების შესწორებას, სადაც მეტად საშიშოა გავლა. თვით მწყემსების გარდა ამ საქმეში, უეჭველია, სახელმწიფო ქონებათა უწყებაც მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ რომ მთელი საზაფხულო საძოვარი ადგილები აქეთკენ ამ უწყების ხელშია. ამ საძოვრებიდან წლიური შესამოსავალი, ჯერ ახლა, როცა ასე საშიშოა აქეთკენ სიარული, ორას თუმანს აღემატება, რაკი გზა შესწორდება, მაშინ საძოვრების მუშტარიც იჩატებს და, მაშასადამე, შემოსავალიცა.

ამ აღმართ-აღმართ მიმავალ გზას ამშვენებს და მისს სიძნელეს ავიწყებს მგზავრს ანკარა და ყინულსავით ციეი წყაროები. უცნობ მწყემს ღარი გაუკეთებია ხის ქერქისაგან, რათა დაღლილი მგზავრი მოხერხებით დაეწაფოს წყალს და ღარის გამკეთებელს ლოცვა-კურთხევა გაუგზავნოს. ერთს ასეთს წყაროსთან მე და ჩემმა გუძამ სიამოვნებით მოვასვენეთ ძალზე დაღლილი მუხლები და შუბლი გავიგრილეთ. გუძამ მოხსნა ქასლაშ თავი, ადლებილი და კარაქმოდებული მაწონი ჩაყ-

\*) აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი.



ვაზე\*) დასხა და შემომთავაზა. ჩემი ორცხობილებიც წყალ-მდგრადი დავალბეთ და ორმავე აღტყინებული შიმშილი დავაყუჩეთ. ძნელად დავიწყდება კაცს ასეთს აღაგას მოსვენება და დანაყრება, თუნდაც მწირის სურსათით...

მოელი 6 საათი მივდივართ. შუა-დღეა. მზეს, მიუხედავად იმისა, რომ შუაგული მკათავეეა, სითბო აკლდება: ბარი და მისი პაპანაქება სიცხე შორს დაგრჩია. ბამბის ქულა ნისლები ბოლქვა-ბოლქვად დაჰგოვავენ ხევებში. ხან ჩენენამდეც ატანს, შიგ ვეხვევით და ტანისამოსი მსუბუქად გვისველდება. გრილა. ვგრძნობთ მთის სიახლოვეს. ჰაერი თან-და-თან მსუბუქი ხდება და ჩენი ფილტვები ხარბად ისუნთქავს. მაჯის ცემა ხშირია. იქით-აქეთ ხევებში კლდიდან-კლდეზე ცელქად მხტომარე მთის ნაკადულების საამო და ნირშეუცვლელის შუილით სმენა გვევ-სება. ტკბილი ხმა ამ შუილისა შორსა ჰკოცნის მწვანე ხავერ-დით დატვირთულ მთასა და მისს ნაპრალებსა...

წიფლის ხშირი და თაღსავით ჩამობურვილი ტყე თან-და-თან თხელდება, სიბნელე თავისს ალაგს სინათლეს უთმობს. იწყება წყავის (*Prunus laurocerasus*) ბუჩქნარი. კვლავ გვიგაზაფ-ხულდება: ახლა, მკათავეში, ჰყვავის. თეთრი ყვავილები მისი დამბნედის სურნელებით აესებს მიღამოსა. ამ ბუჩქს აქ ყვავილი ყვავილადვე ჰრჩება. სიცივე არ აცლის ნაყოფად გამოისხას, დაავწიფოს და თავისი გემო აჩვენოს აქაურს ზაფხულის სტუმართ, ბარს დაშორებულთ და ხილს დანატრულებულ მწყემსებთა. არც თუ ტყუილად იკარგება ეს ყვავილი: ეს შეადგენს თავ-და-თავ სარჩას ფუტკრისას, რომელსაც სამურჩა-ყანოელის მეურნეობაში საპატიო აღილი უჭირავს. ბარად კი, სადაც მწიფდება, წყავის, ყურძნის მტევნების მსგავსს, ნა-ყოფს მკვიდრნი ჰკრევენ, სწურავენ და ეგრედ-წოდებულს „წყავის ღვინოს“ აკეთებენ, რომელსაც ზაფხულში ღვინის მაგივრად შეექცევიან ხოლმე. მე ჯერ არა მქონია შემთხვევა ამ თავისებურის „ღვინის“ დალევისა; ხოლო ვისაც კი დაულევინია, ამბობენ — „არა უშავს-რაო.“

\*) მიწვინის სახერეტი ხის ჭურჭელით, ტოლჩის მსგავსი.

წყავს კორომ-კორომად მისდევს ერთი თაგისებული ზე, რომელიც ბარად არ იჩრდება და მარტო აქ, მთაზე, შეხვდება კაცი. ეს ხე გახლავსთ წაბლა-მუხა. ამ ხეს, ანუ, უკუდ, ბუჩქს, —რადგან თვისის სიღიღით ბუჩქს უფრო წააგავს, ვიდრე ხეს, —ფოთოლი წაბლისა აქვს, რკი მუხისა, ტანი კი —წაბლისა და მუხის ერთად. აქედან დაერქვა, ალბად, „წაბლის ფურცლოვანი მუხა“ —*querqus castanifolia*. აფხაზები აჯასას — პატარა მუხას — ეძახიან, რადგან ჩვეულებრივის მუხის ოდენა არ იჩრდება. სიმალლე ორი მხარი აქვს, სიმსხო — ერთი გოჯი. ამაზე მაღალსა და მხხევილს წაბლა-მუხასა ჩვენ მაინც არ შევხვედრივართ.

იმის შემდეგ იწყება აქაურ მთის მცენარე *rhododendron*, ჯერ მაღალი და თხლად. ნაირნაირია ეს მცენარე აქ: ვარდის ფერი, ისფერი, ყვითელი, თეთრი. თან-და-თან პატარავდება და ში-შველზე, სადაც მწყემსები შეშადა ხმარობენ, ნაევარ ალაბზე მეტად ვერ ასკილდება ნიადაგსა.

შორიდან წარმოგიდგებათ მუქ-წიწვიანი ნაძვი, განმარტოებით მდგომარე. ნაკადულების შუილი ხშირდება. ცივი ნიავი ძლიერდება. აპა თოვლის ჯიშთებიც გამოჩნდა, ხევებში ჩარჩენილი და მზისაგან აულებელი. კიდევ ცოტა — ტყე უკან დავსტოვეთ. ახლა კი ფეხი დაგსდგით ალპიურის ყვავილებით ათასფერად დასურათხატებულ, ხავერდის მსგავს რბილ ნიადაგზე: ჩვენ მთაზედა, შიშველზედა ვართ.

თ. სახთვება



## რ ს პ რ ი ს ო მ ი ? \*)

ბევრი რამ ცუდი და შესაზარი დაგვატოვა ჩვენმა სისისლით ცხებულმა და სისხლში მონათლულმა წარსულმა. ამ მხრივ პირველობა ამ-დაშქრობას უნდა დაკუთმოთ. მნელად იპოვნით დედა-მიწის ზურგზე იძისათხა ადგილის, საცა ჭაცის ერთოვროს და ჭაცის სისხლი არ დაღვრილიყოვს, საცა ომი არა ერთვალიუფას. ერთხი აქებადიდებდნენ ომს, ხოტბა-შესხმას უძღნიდნენ და მეორები წევვლა-გრულვას უგზავნიდნენ. მაგრამ იგი უკედას ერთხაირად, შეუბრა-დებდა და მერევოდა: ავლებდა საუკეთესო ახალგაზღვობას; და ძარს კი რჩებოდა გლეხა და ბახაუეა ხადხი, რომლისიგანაც უნდა წარმოშობილეთ ახალი თაობა; არა ნაკლებ აფერხებდა ომი საღხოთა კულ-ტურას, განაოლებას.

ომი გაჯგონებს ჩვენ გრძნდირებულ წინაპარების; ომში გარჩევა აღარ არის განათლებულისა და კერძულ ხალხთა შორის; კქინება ღმის დროს მნიშვნელობა განვლილი ხნისა. გისაც არ გინასხვთ ასლო ღმი, ნუ წარმოგიდგენიათ მეომარი რაინდად. ომში მეომრის ბუნება

\*) მოგეხსენებათ, რომ დღეს ევროპის სახელმწიფოები აღარასა პზოგავენ ჯარის გამრავლებისა და უეთოფ-იარღებაზე, ყოველ წლივ ამ სიქმეს თარჯებინ 5½ მილიონიდ ურანის და იმავე დროს, თითქო პბლიშობენო ამ არა უესაწყნარებელ სიქიოლზე, აცადებენ: ბირტუ სურვილი მშვიდობიანობის დაცვისა და დამყარებისა გვაიძულებს ამდენი ხარჯის გაწევისათ. მაგრამ დაზე კიდევ განგება! წელიწადი, თვე ისე არ გავა, რომ ახალი ომი, ახალი ლაუქრობა არ დაიწყოს, ხან იქ. ამისთანა დროს საგულისხმოდ მიგვაჩნია ჩვენის მკითხველებისათვის! შ. ლეტურნის წიგნი: „La querre dans les diverses races humaines“, სადაც უესანიშნავი მეტნირი ისტორიულად იყვლევს ომს, ამ სიზიზდარ ზნეს და ჩვეულებას, რომელიც გვიანდებას ჩვენ ველურად წინაპრებმა. შინაარსი ამ თხზულების ნამშობია ჟ. P. M. და ჩვენც ამ წერილით ვსარგებლობთ, რათა მოკლედ განვუშიაროთ მკითხველებს ლეტურნის აზრები ომის უსახებ.



განადირებულია, გამსცემბულია; ბეჭრი თუ ჰკორმინის სკინებულის  
ქენჯნას, ბევრი სამოვნებით ატრიალებს სხნადის კაცის გულში.  
ომი გვიმტკიცებს, რომ ამოდენა დარს ტრიალში ჩეენ არ შეგვცე-  
ლია საზიზდარი ზნები, ისევა მიღრეკილებანი კაცთა სოცეა-ულეტი-  
სა. ნურავინ იყიძებს, კათამ დღევანდებდა ომი სხვა იყენს, ომი  
განათლებულ ერთა შორის არა ჰგვიდეს არაფრით გელურ სალხთა  
შეხლა-შეტავებს. ამ კითომ-და გარჩევას გარგად დაინიხეთ ამ ამ-  
ბებიდან, რომელითაც საკეთა წიგნი დატურნოს. იცვლება გარე-  
გნია ფერი, ფორმები ამისა სალხის სასიათის მახვილი, მაგრამ  
აზრი კი, შესაზარი შინაარსი ამისა ისევ ისაა, რაც იყო ამ თარ-  
ათასი წლის წინად. «ელიტე და ულიტე—ა ჩეენი დანიშნულება»,  
ამითს დღეს ერთი წარიხინბული სამსეფრო პირი. ჩემ გვიზარდეს  
დღეს გაცის-მწამლობა ძევლ მექსიკანელთა, მაგრამ იმავე დროს ეპ-  
რობის განათლებულინი ხელხნი არასა ზოგაცნ, რომ შეიძინონ გა-  
ცის საელიტის იარაღი. ბოროტება ის კი არ არის, რომ კაცის  
სკამენ სიკედიდის შემდეგ, არამედ ის არას, რომ სიცოცხლეს უს-  
რობ. ეს საზიზდარი ამხავი კი—გელა გაცისა—არ არის ბუნებრივი  
მიღრებილება კაცობრაობასა, არამედ ცუდი ზნეა, რომელიც შეგვა-  
მენია დარ-უამთა კითხვების გამო.

სუდ ძევლად, როცა ადგილ-მამული ბეჭრი იყო და ცხოვე-  
ბის კითარებინა უბრალო, ომი, მეზობელის სიკედილი საკირო არ  
იყო გაცისთვის. მაშინ თუ იყო ომი, ამ ომის იურიდიული ხასია-  
თი ჰქონდა. როცა კი ცხოვება გამოიცვალა, ახადმე პირობებმა გა-  
მოიწეოს გაცი საბრძოლებელი და არა სხვა გარემობებმა. გაცის ბუ-  
მება არ ითხოვს, შენი მმის სისხლი დაღვარეთ. უკედა ამათ ნათ-  
ლად დაკისახვოთ იმ მაგალითებიდან და ამხადის, რომელიც მრავ-  
ლად მოჰყავს დატურნოს გელურ სალხთა ცხოვებიდან და განათ-  
ლებულ ერთა ისტორიიდან. სხვათა შორის აკტორი ეხება ისეთ  
კითხებსაც, რომელთაც ასეთი თუ ისეთი მიაშნებობა აქვთ დღე-  
განდების ჩემს ცხოვებაში. ამ ის კითხები: საკიროა, თუ არა  
ომი არსებობასათვის ბრძოლაში? რასაც გამდებს ომი, სიმაგრ-  
ეროს გამდებს, თუ არა? უოკედთვის ჟმენეს გამარჯვებს სოლმე  
ბუნებრივ შეწევის მისებით, თუ არა? საჭირო იყო, თუ არა გა-

სადგურება ზოგ სახელმწიფოთა, რათა წარმოშობილი სხვა აქციური  
და უფრო ძლიერი? შეკლიან ღმს დაგვისხნას იმ გარემოებიდან,  
რომ არავერმა შეგვიღასხოს ჩემ-მეურ შემწიდნა ასაღი ზორობასი  
ცხოველებისა? დეტურნო გვისახელებს სხვა-და-სხვა საღსოა და ერთა  
შორის შესა-შებროლებას და სხვა-და-სხვა ღმს, მათს მაზეზებს  
და შედეს და ჩექ უნდა კითოვთ აქე პასუხი ზემო აღნიშვნელ  
კათსებზე.

კულტურული მაგალითები სათლად ასეზონურებენ აკტორის აზის, მაგრამ ჩვენ უდიდესობის გამო მოვიდეანთ მსოფლოდ ზოგიერთებს.

ქალების ტაცება და მტრობითი მოვკლა სხვა საზოგადოების  
რომელიმე წევრისა არიან დღეს საკმარი მიზეზება ღმის ასატესად  
აკატერადიას და მის ახლო მუთ კუნძულებზე მცხოვრებთა შო-  
რის. კელურ კაცს კერ წარმოუდგენია, თუ შეიძლება იყვეს ბუნებ-  
რივი სიკვდილი კაცისა, არა, ას იმის აწერს სხვას კუდიანობას და  
თატრატიას და იმატომ ქების სისხლს. გადასდა სიმაგრეობას არის  
მათის აზრით საღმრთო მოვალეობა. მაგრამ დამასმავთი არა  
კმარითიღდებოდნენ, არამედ დაქსხმოდნენ სოფებ თავს მოედს იმ  
საზოგადოებას, რომელსაც დამნაშავე კუთხოდა და მუსოს ადე-  
ნინ. აგსტალივები ისე უცრებიან იმს, როგორც იმის საღიაროს,  
რომ კანონიერი სიმაგრეო მაუძღვნოს მტერს: კბალი კბილის წილ  
და თვალი თვალის წილ. მარტო აქ აქვს თათქმის იმს იყრა-  
დიული ფორმა. საღიანი აქ თარხსად, თვალისუფლად მოსასტეობს და  
უქნების და ცხოვრისის პირობანი არ აიმუშებონ სამორჩად.

მეტრიულ სისტემას ანგარიშისას, სხვათა შორის, ერთი კარგი თვისება აქვს, მისი წყალობით ხალხთა განათლების საქმე მიღის უფრო ნაყოფიერად და ჩქარაც. მაგალითად, აკადემიკოს იაკობის ანგარიშათ ერთი მესამედით და ინგლისის პროფესორის მორგანის ანგარიშით ნახევრად შემცირდება არიომეტიკის მოელი კურსისათვის საჭირო დრო ეხლანდელზე. ეს ადვილი გასაგებია. არც ერთი სიძნელე, რომელიც აუცილებელია სახელწოდებიან რიცხვების ხმარების დროს, მეტრიულ სისტემაში არ მოიპოვა. რასაც ეხლა თოხი მოქმედების საშუალებით ვაკეთება და დროს ვკარგავთ, ის მეტრიულ სისტემით ანგარიშის სწავლებაში მძიმეს გადატანით კეთდება. თუ ინგლისელები, სადაც სწავლის დროც მეტია, ვიდრე რუსეთში და ჩენები, თხოულობენ სკოლებში მეტრიული წესების სავალდებულო სწავლებას, მით უმეტეს რუსეთშია საჭირო ამის განხორციელება, სადაც სწავლისათვის ასე მცირე დროა სკოლებში; თუმცა-ლა მისი სავალდებულოდ ცხოვრებაში სახმარებლად შემოლება რუსეთისათვის ჯერ ადრე უნდა იყოს. მარტო სიადვილე ანგარიშისა არ შეადგენს მეტრიული სისტემის საჭიროებას, არამედ აუცილებელი მონაწილეობა ერთა შორისი საქვეყნო სამრეწველო სავაჭრო საქმეებში. ინგლისი მწარე გამოცდილებით დარწმუნდა ამაში, როდესაც სამხრეთ მეტრიკის სახელმწიფოებიდან ვაჭრობა გადავიდა ფრანგებთან და ნემცებთან. ამიტომ მეტრიული სისტემის შემოლება ეხლანდელს დროში საზოგადოდ შეადგენს არა მარტო თეორიულს საკითხს განკუნებულ მეცნიერებაში, არამედ არსებით პრაქტიკულ საკითხს პოლიტიკური ეკონომიკისას.

## IV

ხელ-საქმეში ნამუშევარი პირველ-დასაწყისი სკოლის მოწაფეებისა.—ღიღდაქტიურო კანონები საჭირო ხელ-საქმის სწავლების დროს.—ხელ-საქმის პროგრამმა ერთ-კლასიან სკოლებში.—ლექ-ციები ხელსაქმის შესახებ პოსპელოვასი და კასატკინისა.—სამი-ნისტრო სკოლის სამაგალითო შენობა.—ეკკლესია-სკოლა.—ჩვე-ნებური სკოლები გამოფენაზე.

პედაგოგიური განყოფილების მნახველის ყურადღებას იპყ-რობდა, სხვათა შორის, ურიცხვი სახელსაქმო საგნები, დამზა-დებული პირველ - დასაწყის სკოლების მოსწავლე ქალებისა ხელსაქმეში, და ვაჟებისა დურგლობიდან. ყველაზე უფრო ბევრი ადგილი მოწაფეების მიერ დამზადებულს ნივთებს ეჭირათ. სა-ზოგადოდ ყველა იმ შთაბეჭდილებას გამოიტანდა უეჭველად, რომ ხელსაქმის და ამავ ხელობის სწავლებას სკოლებში ხერიო-ზული ყურადღება აქვს მიქცეული. ამ მხრით საეკკლესიო სკო-ლებს თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ, ისინი არა თუ ჩამორჩე-ბოდა სამინისტროს სკოლებს—ბევრში სჭარბიბდა კიდეც. მაგა-ლითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ავილოთ თუ გინდ ტფილისის წმინდა დავითის სამრევლო სკოლის მე-IV განყოფი-ლების მოწაფის გაკეთებული თეჯირი (შირმა), რომელსაც სა-ზატიო ადგილი ეჭირა და როგორც ხელოვნურად საუცხოვოდ ნაკეთებს საზოგადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული; ან ახალ-ციხის საქველმოქმედო საზოგადოების საქალებო სკოლის-მიერ გამოფენილი მოქარებული ბალიშები და ქოშები ცხადი დამა-მტკიცებელი იყო იმისი, რომ სკოლაში ხელსაქმის სწავლების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკულს მხარეს, აკერინებენ, აქარგვინებენ ისეთს რასმე, რასაც გასავა-ლი და ადგილი აქვს ცხოვრებაში. ყველაზე უფრო ბევრი მო-წაფეების ნამუშევრები ხელსაქმეში, პროგრამები, ანგარიშები, განმარტებითი წერილები ხელსაქმის სწავლების შესახებ რუ-სეთში წარმოადგინა ოლონეცკის გუბერნიამ, სადაც იშვიათად



იპოვით იმისთანა სკოლას, რომელშიაც საზოგადო საგნების გარდა არ ასწავლიდნენ ხელსაჭმესაც ქალებს და ხელით შრომას ვაჟებს.—იქვე მნახველი იპოვიდა სხვა-და-სხვა დარიგებას, რჩევას იმის შესახებ, თუ რა დიდაქტიურს წესებს უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ხელსაჭმის მასწავლებელმა, რომელი წესები უნდა შეიგნოს, შეისწავლოს საფუძვლიანად და გაიხადოს თავისთვის სავალდებულოდ გაკვეთილებზე პრაქტიკულად შესასრულებლად. რადგანაც ჩექნებურს სკოლებშიაც, სადაც მასწავლებლად ქალები არიან, ასწავლიან ხელ-საჭმეს, რომელიც მალე აუცილებელ სავალდებულო საგნაზაც შეიქმნება, ამიტომ ჩექნც მოვიყვანთ აქვე რამდენიმე სწავლა-დარიგებას, რომელიც ხელსაჭმის სწავლებას შეეხება და რომელიც ბევრით არ განსხვავდება აგრძევე სხვა საგნების სწავლების წესებისაგან. პირველი სავალდებულო კანონი ხელსაჭმის სწავლებისათვის არის ის, რომ სწავლება უნდა წარმოებდეს მოყლის ქდასისათვის და არა სათითაოდ, ამის მიხედვით, როდესაც მასწავლებელს უნდა ხელსაჭმის სწავლებისათვის რომელიმე ახალი წესი შემოიღოს, ან საგანი რამე—ეს საგანი მასწავლებელმა შესაფერისი სიღიდის თვალსაჩინო საგნების საშუალებით უნდა აუხსნას, განუმარტოს მთელს კლასს. თუ რომელიმე განსამარტებელი საგანი შესანიშნავად რთულია, ამ შემთხვევაში მოწაფეებს უნდა აეხსნას ნაწილ-ნაწილად, ერთი ნაწილის განმარტებისა და შეთვისების შემდეგ უნდა განემარტოს მეორე, შემდეგ მესამე და ასე, როცა მოწაფეებს არ გაუძნელდებათ ნაწილების გაკეთება, მაშინ მთელს საგანსაც გაუჭირებლად ვაკეთებენ. საზოგადო მუშაობის დროს ხელსაჭმის მასწავლებელს შეუძლიან სათითაოდ ჩამოუაროს მოწავეებს და უჩენოს რომელიმე შენიშნული ნაკლულევანება, მაგრამ თუ მასწავლებელმა შენიშნა, რომ რამდენსამე მოწავეს ერთი და იგივე შეცდომები აქვთ, იმ შემთხვევაში ცალკე განმარტების მაგიერ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო. იქნება მიეცეს ხელახალი განმარტება ისევ მთელს კლასს თვალსაჩინო საშუალებითვე. როდესაც მასწავლებელს უნდა დარწმუნდეს



იმაში, შეითვისეს მოწაფეებმა განმარტებული საგანი ფუნქციები, კითხვა უნდა მისცეს მთელს კლასს და შემდეგ გამოუძახოს რომელსამე მოწაფეს, როდესაც პასუხის სურვილს განაცხადებენ, საპასუხოდ. ამ წესის საშუალებით უფრო შემაგრებული და დაცული იქნება მთელი კლასის ყურადღება, რომელიც ჰუცელის საგნის კარგად შეგნებას. მოწაფეების პასუხი ყოველ შემთხვევაში სრული უნდა იყოს, მაგალითად, მოწაფემ მიცემულს კითხვაზე ასე არ უნდა მიუგოს; „ვკერავ“, „ვქსოვ“, არამედ ისეთი პასუხი უნდა მოითხოვებოდეს, რომლიდანც ყველასათვის გასაგები იყო თუ რომელი საგნის რომელ ნაწილს ჰქონდას, ან ჰქსოვს მოწაფე. ახალი საგნის სწავლების შემოღების დროს ხელ-საქმეში უნდა იხელმძღვანელონ სამუშაოში წინად შეძენილი მკვიდრი სწავლით, რომელზედაც უნდა დაამყარონ ახალი სასწავლო საგანი; ყოველს შემთხვევაში მარტივი და ადგილი სამუშაო წინ უნდა უსწრებდეს რთულსა და ძნელს. პატარა მოწაფე ქალები უნკრონი განკოფილებისა არ უნდა ამუშაონ დიდ ხანს ერთგვარი სამუშაოთა, თორებ ამას თან მოჰყვება მუშაობის შეზიშლება, ზოგჯერ გაფუჭებაც გაკეთების მაგიერ, მოწაფის გეშმაკება და ბინძურაბის დაჩვევა. ამ შემთხვევაში ყვირილითა და მუქარით მასწავლებელი ვერას გაპირობება, ბავშვებში ყურადღებისა და მუშაობაში ერთგულობის გამოსაჩენად ეს საშუალება უღონოა, პირიქით, უფრო მავნებელია მით, რომ ყვირილი და მუქარა ჰქლავს ბავშვებში პიროვნებით ნებას და მასწავლებელთან კეთილ დამაკიდებულობას. ბავშვის ნება და ყურადღება, განსაკუთრებით პატარების, ჯერ კიდევ ისეთი სუსტი და ჩრდილია, რომ არ შეუძლიან დიდ ხანს დაემორჩილოს სხვის ნებას, ისიც ბრძანების კილოთი წარმოთქმულს. იმნაირი გავლენით ბავშვმა თუ 5—10 წუთი დაჲყო შეუმჩნევლად, დიდი საქმეა, ამის შემდეგ უთურდ დალლილობას იგრძნობს; უფრო თავაზიანად და ხელოვნურად ზემოქმედებით ბავშვს შეუძლიან იმუშავოს სამჯელ, ოთხჯელ დიდ ხანს და. მაშასადამე, უკეთესს წარმატესასაც მიაღწევს. ამის მიხედვით მასწავლებელმა საზოგადოდ ყველა საშუალება უნდა

იხმაროს, რომ მოწაფეებთან დამოკიდებულება დაფუძნებრლი იყოს ერთმანეთის გულწრფელს გრძნობებზე. ეს გრძნობა მასწავლებლის მოსიყვარულე გულს ბევრს სხვა-და-სხვა ზომებს და საშუალებებს მისცემს ბავშვების სმუშაოზედ ალერსიანად წასაქეზებლად, კეთილი მოშურნეობის გასაღვიძებლად და რომელიმე მოსაწყენი სამუშაოს გასაგრძელებლად; იგივე გრძნობა უჩვენებს მასწავლებელს მოწაფეთა ძლიერის ერთგულობით სამუშაოში დაწაფების დროს, რომლის შემდეგ კარგი იქნება ან გამოცვლა სამუშაოსი და ან შეწყვეტა მუშაობისა რამდენ-სამე ხანს. რამდენადაც რომელიმე სამუშაო მიზნის შესაფერი-სია, იმდენად უფრო ნაყოფიერიც არის. ამიტომ მასწავლებლებმა, არა თუ კარგად უნდა შეაგნებინონ მოწაფეებს რისთვის რას აკეთებენ, არამედ მისცენ ისეთი სამუშაოებიც, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულს, ცხოვრებაში გამოსაყენებელ ნივთს. ამასთანავე თუ ყურადღებას მივაკეცვთ იმ გარემოებას, რომ ხელ-საქმის სწავლების სკოლებში მიზნად აქვს არა მარტო მე-ხანიკურად დახელოვნება ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვის შეწავ-ლაში, არამედ სასწავლო საგნისაღმი ინტერესის აღზრდა, მა-შინ უფრო ცხადი იქნება ზემოდ მოყვანილ რჩევათა აუკი-ლებლად ასრულება, რომლის დროსაც ბავშვები ეწვევიან სი-სუფთავეს, მოთმინებას და სიმშვენიერების გრძნობის განვითა-რებას.

რომ უკედ წარმოეიდგინოთ ხელ-საქმის სწავლების საქმე სკოლებში, აქ მოვიყვანთ ერთს სამწლიანი სკოლის პროგრა-მას შედგენილს მასწავლებლის დერჯავინის-მიერ. ეს პროგრამმა, როგორც პედაგოგიურად შედგენილი, ბევრმა მოიწონა, თითო განყოფილებას თავის პროგრამმის შესასრულებლად წელიწა-დის განმავლობაში ყოველ კვირას ექვსი საათი დრო უნდა, ესე იგი თითო საათი დღეში.

შიდგელ წელიწადს თავდაპირველად მოწაფეებმა უნდა დაიწ-ყონ ქსოვა ორს ჩხირზე, შემდეგ ქსოვა ოთხს ჩხირზე; ბავშვე-ბის წინდების ქსოვა უბრალო ქუსლით ერთის წლის განმავ-



ლობაში, კერვა ადვილი საკერავებისა, კერვა და ქარგფაკანუ ვაზე კილოკავად.

მეორე წელიწადს წინდების ქსოვა ათის წლის ბავშვისათვის ორნაირი ქუსლით; კერვა ყველა საკერავების ნიმუშების მიხედვით უფრო სრულად, ნიმუშებში კანვაზე ქსოვისა და კერვისა კილოკავად უფრო პატარა სურათებით; ბავშვების საცვლების კერვა, ქსოვა არშიებისა და ხელსახოცისა კილოკავად, ქარგვა ბავშვების საცვლებისა კანვაზე კილოკავად (თამბურომ). საკინძეების ან საკილოვების ამოყვანა ნიმუშების მიხედვით, ნიშანის დასმა ბავშვების საცვლებზე ჯვარადინად, ბავშვების საბნების და იუბკების დალიანდაგება.

მესამე წელიწადს ტანისამოსის ჭრა-კერვა, კაცებისა და ქალების საცვლების კერვა, პალტოსი და კოფტის დალიანდაგება (ჩოხა, ახალოხის ჭრა-კერვა). კანვაზე მოქარევა ყველა სურათებისა კილოკავად. წინდების ქსოვა უფრო წვრილი მასალისაგან, წინდების ქუსლების ქსოვა, გამოკერვა, გაახლება წინდებისა და საცვლებისა, საცვლებზე ნიშნების დასმა ჯვარადინად და გვირისტად, ოქრომკედით ქსოვა სარტყლებისა და შალის ყელსახვევებისა და სხვ. რასაკეირველია, ეს პროგრამმა ისეთი სრული არ არის, რომ ყველა სკოლებისათვის გამოსაღებარი იყოს დაუმატებლად ან შეუმოკლებლად, აյ უფრო საგნების სწავლების თან-და-თანობას უნდა მიექცეს ყურადღება და სხეაფრივ იხელმძღვანელონ მხოლოდ იმ საგნების სწავლებით, რაც ჩვენი ხალხისათვის იქნება სასაჩვენებლო. როგორც საზოგადოდ სხეა პროგრამებიდან და ანგარიშებიდანაც სჩანს, უმთავრესს და უსაჭიროესს სამუშაოს ხელთ საქმეში შეაღენს კაცებისა და ქალების ტანისამოსის ჭრა-კერვა. საბნების კერვა, კანვაზე ქარგვა კილოკავად, ხელსახოცის, წინდების და არშიების ქსოვა, ერთის სიტყვით განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქმნეს მიქ-ცეული ყველა იმაზე, რაც შეაღენს ამ საქმეში გლეხი-კაცის არსებით საჭიროებას. ამის მიხედვით ხელსაქმის სწავლების მნიშვნელობისა გამო სკოლებში გამოფენაზე წაკითხულ იქმნა რამდენიმე ლექცია ჭრა-კერვის შესახებ სკოლებში ქ. პოსპე-

ლოვას-მიერ, რომელმაც უჩვენა დამსწრე საზოგადოებას, რომელსაც შეაღენდნენ რამდენიმე მასწავლებელი ქალიც, მოსწავლე ქალების ნამუშევრის ნიმუშები, რომელიც გამოფენილი იყო ექსპონატებად. ამის შემდეგ ჭ-ბ. პოსპელოვამ გააცნო საზოგადოებას ხელსაქმის მდგომარეობა ამერიკის, გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის სკოლებში, სადაც ამ საგნის სწავლების მნიშვნელობა ქალებისათვის დიდი ხანია შეიგნეს და სადაც ხელ-საქმეს ერთნაირი ადგილი უჭირავს სხვა სასწავლო საგნებთან ერთად; ხელსაქმეში ცუდად სწავლისათვის მოწაფე არ გადაჰყავთ შემდეგს განყოფილებაში; პრუსიაში მოწაფის მშობლებს ჯარიმას ახდევინებენ, თუ მოწაფე ხელსაქმის გაკვეთილი გაუშვა. ამის შემდეგ ჭ-ბ. პოსპელოვამ განმარტა შემდეგი ტეზისები: იქ, სადაც არის მასწავლებლად ქალი და მოწაფებად ქალები, ხელ-საქმის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს; მოცულობა, ანუ სივრცე ხელ-საქმის სწავლებისა შეიძლება განისაზღვროს უბრალო ჭრა-კერვის სწავლებით; ამასთანავე ჭ-ბ. პოსპელოვა უპირატესობას აძლევდა ერთს ხერხს ხელ-საქმის სწავლებისას, რომელსაც დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი ამერიკის სკოლებში. ეს ხერხი მდგომარეობს ხელ-საქმის გაკვეთილებისა და დაკვირვებითი სწავლების ერთმანეთთან დამოკიდებულობაში, იმ საგნის შესწავლაში დაკვირვებითი სწავლების გაკვეთილებზე, რომელიც შეაღენს ხელ-საქმის კუთვნილებას, როგორც, მაგალითად, მოთხრობა მაკრატლის მოგონებაზე, ბამბისა და სელის მოყვანაზე და სხვა. ლექციამ საზოგადოდ გამოიწვია აზრთა შეცვლა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ლატიშევი, ლუბენცი და სხვ. შემდეგი ლექცია იქნა წაკითხული ცირულის-მიერ, რომელსაც მხოლოდ 50 მასწავლებელი დაესწრო. ცირულის ლექცია ეხებოდა სავარს სკოლებში ხელით შრომის (რუქიი ტრუდ) სწავლებას. ლექტორმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ამ საგნის სწავლების მდგომარეობა საზღვარ გარედ და რუსეთის სკოლებში. ამავე საგნის შესახებ წაიკითხა ლექცია კასატკინმა შემდეგის სათაურით: „ხელით შრომის მნიშვნელობა საზოგადო განათ-

ლების სკოლებში“. ლექტორმა განმარტა შემდევი ტესტების დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიხედვით ხელთა შრომის სწავლების შესახებ პირველ-დასაწყისს სკოლებში შესაძლებელია ვიქიპიკოთ თეორიული სასურველი სწავლების შემოღებისა. ავტორის აზრით, არც ეკონომიკური მდგომარეობა სოფლის სკოლებისა, არც მოწაფეთა წლოვანება ნებას არ იძლევა ამ სავნის გავრცელებას ყველა სკოლებში. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ დასავლეთ ევროპის და ზოგიერთ ჩვენებურს სკოლების ნაყოფს, გამოცდილებას და წარმატებას ამ მხრით, შევვიძლიან ვიფიქროთ, რომ სწავლა-განათლების წარმომადგენელნი უნდა დახმარებით ეგებებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვალს, თუ ეს უკანასკნელნი მისცემენ საშუალებას ხელთა შრომის სწავლების შემოღებისათვის სკოლებში და თუ თვითონ მასწავლებელი იკისრებს ამ საქმის ხელ-მძღვანელობას. ეხლანდელს დროში, ლექტორის სიტყვით, ხელთა შრომის სწავლების შემოღება შესაძლებელია ექსკლავიან საქალაქო სკოლებში და ზოგჯერ ორკლასიანშიაც, განსაკუთრებით აღმზრდებულიათ განათლების მიზნებთ და არა სავაჭრო ან სახელოსნო განათლების მიღებისათვის. ამ აზრს ადგა უმეტესი ნაწილი მასწავლებელთა, რომელთაც განაცხადეს, რომ სკოლა უნდა დარჩეს სკოლად, ესე იგი სკოლა უნდა მიისწრაფვიდეს, მისცეს მოწაფეებს საზოგადო განათლება და არ იქმნეს გატაცებული გარეშე ამიცანებით. — გამოფენის პედაგოგიური განყოფილების ზოგიერთი ნაწილები, როგორც წინადაც მოვიხსენიეთ, გამოფენილი იყო სამინისტროს სამაგალითო სკოლის და ეკლესია-სკოლის შენობებში. სამინისტროს სამაგალითო სკოლის შენობასთან გამართული იყო ბოსტანი და ბალი ხეხილებით, სადაც მოსულ მასწავლებლებს შეეძლოთ გაცნობა სხვა-და-სხვა წესებისა პრაქტიკულად სკოლასთან ბოსტანისა და ბალის მოშენების შესახებ. სკოლის შენობა ნისა არის და შეიცავს სულ ცხრა ოთახს. აი იმათი ზომაც: 1. წინა კარებიდან შეხვალთ ერთს პატარა ოთახში, რომელიც დანიშნულია მოწაფეების ტანისამოსის შესანახ ითახად, რომელსაც სიგრძით

აქვს 7 არშინი, სიგანით 5 არშინი და 8 ვერშ- იატაკის ზედა-  
 პირი 38 ოთხ-კუთხი არშინია; აქედან პირდაპირ შეხვალთ მო-  
 სამსახურის ოთახში, მარცხნით საკლასო ოთახში; მოსამსახურის  
 ოთახი არის სიგრძით 7 არშინი, სიგანით 3 არშინი, სიმაღლე 4  
 არშინი და 2 ვერშოკი; იატაკის ზედაპირი 21 ოთხ-კუთხი არშინი;  
 მოცულობა  $86\frac{1}{2}$  კუბიკური არშინი. იქვე პატარა ოთახში მო-  
 თავსებულია ფეხის ადგილი. საკლასო ოთახს აქვს სიგრძით 14 არ-  
 შინი, სიგანით 10 არშინი, სიმაღლე  $5\frac{1}{2}$  არშინი, იატაკის ზედა-  
 პირი 140 ოთხ-კუთხი არშინი 62 მოწაფისათვის, თითოზე  $2\frac{1}{2}$   
 ოთხკუთხი არშინი; მოცულობა 770 კუბიკიური არშინი 57  
 მოწაფისა, თითოს  $13\frac{1}{2}$  კუბიკიური არშინი; საკლასო ოთახი-  
 დან მარჯვნით შეხვალთ ორს ოთახში, რომელიც დანიშნულია  
 ერთი წიგნთ-საცავისათვის და მეორე საწოლ ითახად შორი-  
 დან მოსული ბაგშვებისათვის, საკლასო ოთახიდანვე პირდაპირ  
 შეხვალთ მასწავლებლის ორს პატარა ოთახში, რომელსაც მარ-  
 ჯვნით აქვს სამზარეულო ოთახი და უკანიდან შემოსასვლელ  
 კარებთან ტანისამოსის შესანახი პატარა ოთახი. წიგნთ-საცა-  
 ვისათვის დანიშნულს ოთახს აქვს სიგრძით 10 არშინი, სიგა-  
 ნით 5 არშინი, სიმაღლე  $5\frac{1}{2}$ , არშინი; იატაკის ზედაპირი 50  
 ოთხ-კუთხი არშ. მოცულობა 275 კუბ. არშ.; ღმის გასათვე  
 ოთახი არის სიგრძით 10 არშ. სიგანით  $8\frac{1}{2}$ , არშ. სიმაღლით  
 $5\frac{1}{2}$ ; იატაკის ზედაპირი 85 ოთხ-კუთხი არშინი, 21 მოწაფისათ-  
 ვის, თითოს ოთხ-ოთხი ოთხკუთხი არშინი; მოცულობა  $467\frac{1}{2}$   
 კუბ. არშინი 17 მოწაფისათვის, თითოზე 27 კუბიკიური არშინი.  
 ეს ოთახი ისეა მოწყობილი, რომ დღისით კრავატი, რომელიც  
 შესდგება წვრილი გრძელი ფიცრისა და ტილოსაგან, შეიძლე-  
 ბა კედელზე აეკრას და ოთახი სამუშაო ოთახად გადაიქცეს;  
 მასწავლებლის ორ პატარა ოთახს სიგრძით ორივეს აქვს 8 არ-  
 შინი, თითოს ოთხ-ოთხი არშინი, მაშასადამე, მოსამსახურის  
 ოთახის სიგრძეზე 3 არშინით ნაკლები, სიგანით ორივეს 7 არ-  
 შინი, სიმაღლე 4 არშინი და 2 ვერშოკი. იატაკის ზედაპირი  
 56 ოთხკუთხი საუნი, მოცულობა 455 კუბ. არშინი; სამზა-  
 რეულო ოთახი სიგრძით და სიგანით ხუთ-ხუთი არშინი, სიმაღ-

ლე ოთხი არშინი და 2 ვერშოკი, იატაკის ზედაპირი 25 ოთხ-კუთხი არშინი, მოცულობა 103 კუბიკ. არშინი; მასწავლებლის ოთხში ცალკე შესავლელი სამზარეულოს მხრით ტანი-სამოსის გასახდელი ოთახი—სიგრძით და სიგანით სამ-სამი არშინი, სიმაღლე 4 არშინი და ორი ვერშოკი, იატაკის ზედაპირი 9 ოთხ-კუთხი არშ. მოცულობა 37 კუბიკური არშინი. თუმცა-და ეს შენობა სამაგალითოდ არის გამოფენილი, მაგრამ, ჩვენის აზრით, არ არის სრულიად უნაკლულო, უფრო ჰიგიენის მხრით; ერთი რომ, რაც უნდა იყოს, ფეხის ადგილის გამართვა ოვით საკლასო შენობაში ყოველის მხრით ბელს დაუშლის ჰიგიენური წესების დაცვას სკოლებში, მეორედ, საკლასო ოთახი, სამზარეულო და მასწავლებლის ოთახები ძალიან დაახლოებულნი არიან ერთმანეთთან, ყველაზე უფრო ვნების ამ შემთხვევაში მასწავლებელი იგრძნობს მით, რომ არც საკლასო ოთახიდან გაფუჭებული ჰაერი და არც სამზარეულოდან გამოსული სუნი მისს ოთახს არ აცილდება და ეს, რასაკირველია, ცუდად იმოქმედებს მასწავლებლის ჯანმრთელობაზე, ეს ნაკლულევანება საზოგადოდ ყველა სკოლებისა საზღვარ-გარედ დიდი ხანია შენიშნულია, ამიტომ იქ ცდილობენ ყოველს შემთხვევაში მასწავლებლის ბინა, სადგომი სულ მოაშორონ სასწავლებელს.

ძალიან ლამაზს და ორგინალურ შენობას წირმოადგენდა ეკულესია-სკოლა, რომელიც ორ-სართულიანია. ქვემო სართულში მოთავსებულია მოწაფეების საწოლი ოთახი, სასაღილო ოთახი და მასწავლებლის ბინა. ზემო სართულშია ეკულესია, ოთხი საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა. ამ შენობაში გამოფენილი იყო საზოგადოდ ისეთი საგნები, რომლებიც შეეხება სკოლის ცხოვრებას, მისს მორთულობას და საზოგადოდ თვალსაჩინოდ უჩვენებდა ყველას სამრევლო სკოლების მდგომარეობის საქმეს რუსეთში. აქ უნდა შევნიშნოთ ერთი სასარგებლო მოვლენა რუსეთში სამრევლო სკოლების გასაერცელებლად; საზოგადო მიზეზად სკოლების გაუერცელებლობისა სხვა-თა შორის აღიარებულია სამრევლოთა სიღარიბე, რის გამო

არ შეუძლიანთ საკუთარი შენობა ააგონ სამრევლო სკოლი-სათვის. ეს მიზეზი რესერტში ბევრგან დაძლევულია — შემდეგი საშუალებით: ბავშვების სწავლება წარმოებს თვითონ ეკლესიაში, მეცაცინეობის დროს კანკელი ჩამოფარებულია; ეკკლესიის შეუნაწილები დგას საკლასო სკამები, დაფა, კედელზე ჰქილა ხელმწიფის სურათი, ამ ნაირად სწავლება წარმოებს მთელ კვირას. შაბათს ეკკლესიის მოსამსახურე ჩამოხსნის ხელმწიფის სურათს, გაიტანს გარედ საკლასო კუთვნილებას, დაპ-გვის, დასწმენდს ეკკლესიის და შემდეგ შეუდგებიან ღვთის მსახურებას; ორშაბათიდან ეკკლესიაში ისევ განახლდება მეცაცინეობა ძველს წესზედ და სხვ.

რესერის სამრევლო და საერო სკოლების ხელთ-საქარისა და ნაწერების გადათვალიერების შემდეგ დიდის კმაყოფილებით გადავსინჯე ჩვენებური სამრევლო და სამინისტრო სკოლების მოწაფეთა ნაწერებიც. სამრევლო სკოლებიდან გამოფენაზე გამოეგზავნათ რვეულები და მოწაფების მიერ დამზადებული საგნები შემდეგს სკოლებს: წმ. მამა დავითის სამრევლო სკოლას ტფილისში, ყვირილის სამრევლო სკოლას, რომელიც განირჩეოდა ბევრს სკოლებისაგან, როგორც სწავლების საქმეში წარმატებით, აგრედვე კარგი რუსულ-ქართული წერით, ჭოკარის, შრომის, წევის, როხის, ქვაშვეთის, ბოდბის, ტფილისის ვერაზე, საჩხერისა და ახალი ათონის სკოლას, ამ სკოლების საქმების გადასინჯვიდან მნახველი გამოიტანდა იმ საზოგადო შთაბეჭდილებას, რომ სამრევლო სკოლების საქმე სწავლების მხრით სამინისტროს სკოლებთან შედარებით ცუდად არ ყოფილა დაყენებული, პირიქით, რომ შევადაროვ უცხო ან სხვა ერის სამინისტრო სკოლები და იმავე ერის სამრევლო სკოლები, დავინახავთ, რომ უფრო ბევრს სხვა ერის სამრევლო სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე უფრო კარგს პედაგოგიურს ნიადაგზედ არის დაყენებული, მით რომ ხსენებულს სკოლებში სასულიერო მთავრობა შესაფერისს აღილს აძლევს ერის დედა-ენას სწავლა-აღზრდის საქმეში და, რასაკვირველია, კარგ საფუძვლზე აგებულს საქმეს, როგორც დედა-ენაა, კარგი შედეგი მოჰყვება.

ჩვენებურ სამინისტროს სკოლებთაგან შემდეგს სკოლებს გაეგზავნათ მოწაფეთა ნაწერები გამოფენაზე: 1) ვაქირო-ანაპის სკოლა. სახელმძღვანელო წიგნად რუსულში არის უშინასკის «Родное Слово» მეორე ნაწილი, მაგრამ ამ წიგნიდან მასწავლებელი გადის ისეთს სტატიებსა და ლექსებს, რომლებიც ჩვენებურ სკოლებისათვის გამოტოვებულია მთავრობისაგან, როგორც, მაგალითად, რუსის გლეხის ქონის აწერილობა, რომელიც ჩვენებური ბავშვებისათვის უცხოა. საზოგიდოდ მოწაფის ნიკოლოზ ნიდაშვილის ნაწერს წარმატება ეტყობა, მხოლოდ ზოგიერთი შეცდომები უყურადღებოდ არის დატოვებული. 2) ეკის სასოფლო სკოლას საზოგადო წარმატება ეტყობა, მხოლოდ ვერ გაგვიგია თუ რად აწერინებს მასწავლებელი მოწაფეს აპოლონ კუჭავას შემდეგს: არჩ, რჩე, რიც, ცერ, იშუ, ინსაცა, იშუ. და სხვ. რომელნიც არაფერს არ ნიშნავენ და არც რამე წარმოდგენილება ექმნებათ მოწაფეებს მათ შესახებ; ამავე სკოლის მოწაფეების რვეულებში შევნიშნეთ, რომ მოწაფეები რვეულებში ერთს გვერდს რომ ჩამოსწერენ, მისს მოპირდაპირე გვერდს რვეულებში თავისუფლად სტოვებენ იმისთვის, რომ იმ თავისუფალ სუფაზა გვერდზე მოწაფემ შეცდომები ამოიწეროს. ამის წინააღმდეგ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთი მიზანი მასწავლებლის მხრით ის არის, მოწაფეებმა, რაც კი შეიძლება, გაფრთხილებით თუ სხვაფრივ, ცოტა შეცდომები დაუშვან ან სულ არა, ისე რომ ეს შეცდომები გასწორდებოდეს ან ნაწერის პირდაპირ დატოვებულს ნაპირზე და ან ნაწერის ქვევით რვეულშივე. დატოვება რვეულში მთელის გვერდისა მოითხოვს მოწაფისაგან ხშირად რვეულების ყიდვას და ეს გარემოებაც კარგად ვერ იმოქმედებს გლეხი-კაცის გაფხეკილ ჯიბეზე. 3) გურჯაანის ერთ-კლასიანი სკოლა სახელმძღვანელოდ რუსულის შესასწავლებლიდ ხმარობს ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს. როგორც რუსულში, ისე ქართულ წერაშიაც, წარმატება ეტყობა. 4) კულაშის სასოფლო სკოლა. კალლიგრაფიის მხრით რუსული წერა კარგია, ქართული არ გვინახავს, არც უნდა ასწავლიდნენ, რადგანაც ამ სკოლის მასწავლებელი ტატარინცევი

ტომით რუსი უნდა იყოს, რომელმაც ქართულისა არა იცის-  
რა. რუსული ენიდან წერის მასალის შეადგენს სხვა-და სხვა  
ნაწყვეტები ზნეობით სწავლიდან ჰომიროსზე, ალექსანდრე მა-  
კედონელზე და სხვ. ამავე სკოლის რვეულებში შევნიშნეთ  
ერთი საზოგადო ჩვეულება გამოუცდელი მასწავლებლებისა,—  
მოწაფეების რვეულებში გრძელი დარიგებების წერა მასწავ-  
ლებლის-მიერ, რომელსაც მოწაფეები არაოდეს არ კითხულო-  
ბენ და მასთან დარიგებაც, რომელზედაც უბრალოდ დრო  
დაპკარგა მასწავლებელმა, რჩება „ხმად მდაღადებლისა უდაბ-  
ნოსა შინა“.—5) ბორჯომის სკოლა. წარმოდგენილი იყო მო-  
წაფის გაბრიელ ქურქიშვილის ნაწერი 24 აპრილიდან 1 ივნი-  
სამდის, ნაწერი იყო სუფთა, მთელს რვეულში არ მოიპოვე-  
ბოდა არც ერთი შეცდომა, არც არსად მასწავლებლის მხრით  
აღნიშნაა წაკითხულის შესახებ. 6) ლანჩხუთის ნორმალური  
სასწავლებელი—ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენ და: ორის  
მოწაფის შდაგრან შორდნაბას, და მახაად ჩხაიძეს რვეულები  
ყოველის მხრით რიგიანი იყო, მასწავლებელ გ. წალესანის  
მხრითაც დიდი ყურადღება ეტყობოდა რვეულებში შეცდომა-  
თა გასწორებას.

ნივთიერი მდგომარეობა, როგორც სამრეცლო, ისე სამი-  
ნისტრო სკოლებისა, ბევრს სანუგეშოს ეერ წარმოადგენს.  
მოვიყვანთ აქ ცნობებს თუ ამ ათის წლის წინად რამდენი  
ხარჯი ჰქონია სამინისტროს პირველ-დასაწყისი სამინისტრო  
სკოლებისათვის მთელს სახელმწიფოში: 1885 წელს სახელ-  
მწიფოს დაუხარჯავს 4.900.000 მან. 1886 წ. 5 მილიონი,  
ამდენივე 1887 და 1888 წლებში თითოდ, 1889 და 1890  
წელს ყოველ წელიწადს 5.100.000 მან. 1891 წ. 5.100.060  
მან. 1892 წ.—93—94 წელ. ყოველს წელიწადს 5.100.000  
მან., ხოლო 1895 წელს 5.400.000 მან. მასწავლებელთა ჯამი-  
გირი რუსეთის პირველ-დასაწყისს სკოლებში ირყევა 410—  
170 მანეთამდის.

სპეციალურს სახელოსნო ს. კ. აკიმოვისას, რომელიც  
ამზადებს ბუნდოვანი სურათებისათვის ფარნებს და სურათებს



მინაზე დახატულს, გამოცენილი ჰქონდა გაუკეთესებული ფურანი ბუნდოვანი სურათებისათვის; განსხვავება ამ ფარნისა სხვა ამგვარ ფარნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფარნით შეიძლება გამოხატულება მიიღოს კაცმა არა მარტო მინაზე, ან უელატინის ფიცარზე დახატული სურათისაგან, არამედ უბრალო ქალალზე დახატული ნახატისაგანაც. ამიტომ ამისთანა ფარანი, მინაზე დახატული სურათების სიძვირისა გამო, დიდი შემწეობას მისცემს სახალხო აუდიტორიებს, სასოფლო სკოლებს, სადაც ასე ხშირია ამ უკანასკნელ დროში ბუნდოვანი სურათების ჩეკვება და ახსნა ხალხისათვის, რომელზედაც კარგს შთაბეჭდილებას ახდენს.

ერთს თვალსაჩინო ექსპონატს შეადგენდა აგრედვე დაკვირვებითი სწავლისათვის შედგენილი რუკა ევროპის რუსეთისა სოფლის მასწავლებლის ტომასიკის-მიერ, რომელიც თავისს შრომას უძღვნის ყაზანის სამისწავლო ოლქის მზრუნველს ვ. ი. პოპოვს. ავტორს დაუხატავს თვალსაჩინოდ დიდს რუკაზე ევროპის რუსეთის ცველა კუთხე, მხატვრობითვე აღნიშვნით თუ სად რა ხალხი ცხოვრობს და რა შეადგენს უმთავრესს წყაროს ცხოვრებისას, სად რა ხელობას მისდევენ უფრო; ცველა ეს გამოხატულია ერთს დიდს რუკაზე; ავტორს თუმცადა კარგი აზრი მოსვლია თავში, მაგრამ ეს საზოგადო აზრი ცველგან ერთ ნაირად ვერ გაუხორციელებია, ზოგიერთი კუთხების, როგორიც კავკასია არის მაგალითად. კავკასიაში, სხვა ერთა შორის, ავტორს დახატული ჰყავს ქართველიც, მაგრამ ის ქართველი კი არა, რომლის საშუალოს თავიდანვე მიწის მუშაობის სახელი აქვს, როგორც უმთავრესი წყაროსი ერთს ცხოვრებაში, არამედ ქართველი ჩინგურით ხელში და იქვე ჩიქილოსანი ქართველი ქალი, რომლის სახეზე იხატება სრული კმაყოფილება. ეს სურათი ვერაფერს თვალსაჩინო წარმოდგენილებას ვერ აძლევს მნახველს იმის გამო თუ რა შეადგენს ქართველი ერის ცხოვრების უმთავრესს წყაროს.

დ. ბორგაძე

(შემდეგი იქნება)

## პრეზიდენტის რეზიუმე ესტონების

(ნაწყვეტი ერთის თხზულებიღან)

ახლა მინდა ჩვენთა პოლიტიკური დაკინულობის დაპარაგი, მაგრამ—საჭმე ის არის—რომ კიდევ შეძლოს იმათი ღირსების დაფასება, ენა კი მომცემს წესას ჩემი აზრი გამოისატო თავის-უფლად? შეუძლია დღეს ქართველ მწერალს—თუნდ აკავი ერქვებას იმას, თუნდ იღია, თუნდ თვით გრიგოლ არბელანი—იღაპარავოს თავისუფლად პოზიციაზე და მისს ათას გვარის სსკა-და-სსკაობაზე ისე, რომ ასვერ არ გადასმისარის ხელში გაღამი და ფრთხია არ შეაჭრას თვითს ივერადს აზრებს, რომელთაც ჩენ, აღტრდის შინობათა გამო, რესუულს ენაზე კადგენთ ჩენს გონიერში? არა, არ შეუძლია ასვერ არ გადასმისარის ხელში გაღამი და ფრთხია არ შეაჭრას თვითს ივერადს აზრებს, რომ ჩენ არ ვაცოდეთ ქართველი ენა, არ შეუძლია იმიტომ, რომ ქართველი ენა კურ-დროებით არ არის საქმიალ მუხლ-მაღალი და გამოქნილი, რომ იმაზე შეიძლებოდეს თავისუფლად დაპარაგი და წერა ისეთ საგნებზე, როგორიც არის გაცის სულის სივერა და სხვა მაღალი აბსტრაქტული საგნები, რომელიც შეიქმნას შინობად პოზიციის შინაგანს. მეოგნიერება საგნებები აშეარად დაგანახას რამდენად მართალია ეს აზრი. უამისობაც არ იქნებოდა. საზოგადოდ რომ ენა მდიდარი იყოს, რომ ამ ენას დადი მწერლობა ქილოდეს და დადი მწერლები ჰქავდეს, პირველი და უბნასკნელი პირობა ის არის, რომ ამ ენას რამდენიმე მიღლიობი გაცი მაინც დაპარაგობდეს \*). ჩენი ტომი კი არასოდეს არ გადა-

\* ) ჩენის აზრით, ქართული ენა არც ისე დარიბი არის, როგორც პატიკული ეტრორი გვიჩატავს და თუ ეს ენა შეთორიშეტე საუკუნედან დღემდე განუ-წყვეტილ წარმატებაში არ ყოფილა, იმისი მასში ბევრი სსკა-და-სხვა ისტორიუ-ლი გარემოება და არა ქართული ერის სიტყოფ.

სცილებია ერთს მიღლიონს, მიღლიონს ჩახევარს. გვეტყვია: ცო-  
 ტანი დაპარაკობდნენ ქართულს ენას, მაგრამ მაგიერი დად-ხანს დაპარა-  
 კობდნენ. ეს კი მართალია, ბევრის სხის შრაქტივის უნდა მართ-  
 და გამოესუიდა სიმწირისაგან მასხდარი ნაკლულევანება ენას, მა-  
 გრამ, სამწევაროდ, ჩვენში სულ სხვას კხედვთ. ცუდის ისტორიუ-  
 ლი პირობების წეალიბათ მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე სა-  
 უკუნეში უტეოესად ლაპარაკობდნენ და სწერდნენ, გადრე მეტედმეტე,  
 მეთორამეტე და მეცხრამეტე საჟუნეში. თხეომეტი ჟეჭმლი საჟუნე  
 მაინც არის მას აქეთ, რაც ჩვენში მწერლობა არის და ჩვენ დღე-  
 მდის გრ გადაგაწევერია, როგორი ბოლო უნდა წერნდეს ჩვენს  
 სიტყვებს «ერთ» თუ «ებური», «ცია» თუ «ციანი». თხეომეტი სა-  
 უკუნე! ესე იგი ისეთი დიდი ისტორიული პერიოდი, რომდის  
 წინად არ იყო ქავენაზე არც ერთი ესლანდელი ეპორული ენა:  
 არც რესული, არც ინგლისური, არც ფრანგული, არც ნემეცური...  
 მას აქეთ ახალი სალხინი დაიბადნენ, ახალი ენები გამოჩნდა, ახალ-  
 ი მწერლობანი დაფუძნდნენ, რომელთაც ახალი დაიწეს და შესპირ-გაორტემდის ავიდნენ და ეს ჩვენი ენა კი ისევ იმ ერთ  
 აღაგაზე არის და სდგას, საცა ათასის წლის წინად «მამაო ჩვე-  
 ნოს» სთარგმნიდა პირველი ქართველი ქარისტეანე. და დღეს ქარ-  
 თველ მწერალმა, რომელიც რაზე? — ქართველ ლექსებზე აპარატს  
 ლაპარაკს, არ იცის რა ჰქნას, როგორ გააგებინოს მეითხველებს  
 მნიშვნელობა ისეთის სატყვიას, რომელიც ურკველის ესტეტიკის  
 კრიტიკისისთვის შეადგენს ასახას. კადეკ ქარგი, თუ ისეთი სი-  
 ტყები მოჰქმდა კალამის, რომელიც საზოგადო სმარებაში არის  
 მოედს ეკრანში, როგორც მაგალი. ქარმანია, სიმმეტრია, ცაზუ-  
 რა, იდილია, ღრამა, კამედია... ამ სიტყვებს, ბევრიც რომ იჭაგ-  
 რონ შერისტებმა, ჩვენ ქართველად ვიხმართ, მაგრამ როგორ უნდა  
 გამოხატოს ქართველმა მწერალმა თუნდ ეს სიტყვი, რომელიც  
 პირველავე ფურცელზე შეგიხვდება ურკველის ესტეტიკურ თხზულე-  
 ბაში: творчество, вдохновение, восприятие, ощущение, отвлече-  
 ние, душевное настроение, миросозерцание, обояние, оттенки,  
 штрихи, размбрь და სხვანი ამგვარნი? იმან ჭერ ბევრ უნდა  
 ეძებოს, იმდენი ეძებოს, სანამ არ დავიწევდება თვით ის აზრი, რომ-



დას გამოთქმაც უწდოდა და მერე, რომ კერ იპოვნის, გამოხატოს როგორიცაა  
თვისია აზრი როგორმე... დასხლოებით... მრავალის სიტყვებით,  
სშირად ისეთის სიტყვებით, რომელთაც სულ სხვა მნიშვნელობა  
აქვთ. მაგრამ ამ ძებნამ და რჩებამ ხომ შეაშა გაჯერ ჩემნი ნაწერის  
ძაღლა, ხომ აზრი ამ შემთხვევაში იმ სასმისს დაემსგავსა, რომელ-  
საც თუ სანი დააუთხდა სტაქანში, ერთმევა უოგელი თვისი სუსხი  
და ძლიერება? ხომ წაერთვა იმას სინამდვალე, რომელიც შეადგენს  
მიუკიდებელს თვისებას გარეის ნაწერისას? ხომ მოგვეღო ჩენ შე-  
ძლება თითონ შეკიდეთ მოძრაობაში, აკატქაროთ ენა და ფეხი, აკი-  
ყოლით მკითხველი და წარკტებენთ იგი, გაკიტაცოთ და სა-  
ბოლოოდ რამე ძლიერი შთაბეჭდილება დაკუტეოთ იმას ჩენის ნა-  
წერნალაპრაგებითა?

ეს ერთი დაბრკოლება ბენავის ქართველის ქრისტიანისა.

მეორე უფრო ნაკლე, მაგრამ მაინც საგრძნობელი და თავ-სა-  
ტეხი დაბრკოლება ის არის, რომ ჩენს ხალხი ძლიერი ცოტა  
ცნობებია გავრცელებული ხელოვნებაზე. კერძორი არც ერთი  
თხზულება არა გააქვს ამ საგანზე. ქართველმა მკითხველმა დღემ-  
დის არ იცის რა და რა საგნები შეადგენს ხელოვნებას, რომელ  
ხელოვნებას კინ ჰქანად უმთავრესი წარმომადგენელი, როდის დაიწურ,  
როგორ აღორმინდა და რა მდგრადირებაში არის ესლა თვითუელი  
ამ ხელოვნებათაგანი. ჩენს ულიცერატურა და უმუზეობის ქე-  
დასში ამას არც წაუკითხავს და არც უნახავს ამ ხელოვნებათა უწარ-  
ხინებულების ქმნილებანი. ხელოვნების ქრისტიანებისა მით უმეტეს  
არა გაეცებათ-რა. პლატონი, არისტოტელი, გორაცი, ბეაზო, დეს-  
სინგი, სენ-ბიორე, ტენი, ბელინსკი იმათვის უცნობნი სახელია  
არან. ან თუ პირველი ორის სახელი გაუკონიათ, გაუკონიათ რო-  
გორც ფილოსოფოსებისა და არა ხელოვნების უფალთა. ამგვარ  
შირობაში ხელოვნებაზე დაპარაკი მეტის-მეტად მნელია. ჩენში ჯერ  
გრიტიკა კი არა ანბანადან დაწეული სახელმძღვანელო უწდა დაი-  
წეროს ხელოვნებისა მოკლე მოთხრობით, როგორ დაიწურ და ფე-  
ხი ადგა თვითუელის ხელოვნებამ, კინ იუნენ და რით არიან შე-  
სანიშნავი ხელოვნების უფალნი: ჭრილოს, გარგილი, დანტე,  
ჟემშერი, გოტე, გიგიტრ-ჰეგო, პუშკინი; ჭიდია, მიქლ-ან ფე-



ლი, გუდონი; რათა ელი, ტირიანი, მურილლიო, გაღასკერი; შეტკოვენი, მოცარტი, ბელლინი, გუნო, გერდი და მსოფლი შემდგა მოსერხება თავისუფლად დაპარაკად სელოვნებაზე.

შირველი დაბრუთლება სტიქიონური დაბრუთლება არის, რომელსაც ჩემდა თავად გერას გზით კერა კსძლევ. სასწაულთ-მოქმედება უნდა თავს-გიდვა — უნდღ დაპარაკად დავიწერ და შთაბეჭდოლების მოხდენა ზრახვად გიქონია. მეორე დაბრუთლების შესამსუბუქებლად კა ნებას კითხოვ რამდენიმე გაერდი ამა წიგნისა მოვასმართ საზოგადოდ სელოვნებაზე და პოეზიაზე დაპარაკას.

შაირობა — ის სელოვნება, რომელზედაც რესოუელი აშშობს, სიბრძნისა არს ერთი დარგით — ერთი იმ ხეთთა დიდთა სელოვნებათვაზნ არის, რომელთ შემწეობით კაცი სახავს მშენიერებას, — არა მარტო თვალთა-წინ გაშლილს ბუნების დაუსრულებელს მშენიერებას — ამ შემთხვევაში შაირობა უბრალო სელობა იქნებოდა ფოტოგრაფიას, არამედ უფრო და უმეტესად სატაგს და სახავს ისეთს მშენიერებას, რომელიც თვათ სელოვნანის გრძებაში დაბადა და მისმა მდიდარმა ფანტაზიამ შეაძირ. ეს არის კლასიური, ბერძენ-რომაული განიაზღვრება შაირობისა, რომელიც დღემდის შესავალი არა აქვს. სელოვნება, რა გვარადაც უნდა გამსარტოს ის, მოუცილებლად უნდა იყოს მშენიერი, თვალ-უკრისათვის საამო, გრძნობა-გრძების დამატებობელი. იმას სახელადაც იმიტომ ჰქონა მშენიერი სელოვნება, прекрасное искусство, beaux-arts.

მშენიერებას სხვა-და-სხვა გვარად დასატავს სელოვნანი: ან კარგის შენობით, ან კარგის სტატუათ, ან კარგის სურათით, ან კარგის ხმით, ან კარგის წერა-ლაპარაკით. მშენიერება, რომელსაც აქვს საგნად მშენიერების გამოსახვა, ამ ხეთ გვარს წერ-მოადგენს, რომლის საშედებითაც კაცის ნიჭიერებას შეუძლია ღვთაებრივი მოქმედებითი ძალა გამოიჩინოს — მშენიერი საგანა დაბადოს ქვეწად. ამ წეროებისა და გვარად თვით სელოვნება მშენიერებისა იყოფა ხეთ სხვა-და-სხვა სახეობად, რომელიცაც არიან: არქიტექტურა, სკულპტურა, მხატვრობა, მუზიკა და პოეზია.

ესენი საგნით არ განიტევიან ერთი მეორისგან,—უკედა ამაგ დანიშნულება ის არის, რომ მშენიერი საგანი დასახონ ქვეყნა-და. განსხვავდებიან იგინი მარტო საშადებით: სეუდპტურა და არქიტექტურა დაფუძნებულია ფორმებზე, მხატვრობა—ფერდობაზე, მუზიკა—ხმაზე, შოეზია—სიტექაზე.

შირებელი ადგილი ამათში უჭირავს შოეზიას. იმას ისეთი მასალა აქვს აღსაგებად თავის მშენიერის ქმნილებისა, რომ შეუძლია გამოსახოს არქიტექტორის ტაძარ-სასახლეც, სეუდპტორის სტატუაც, მსატერის სურათიც, მუზიკანტის მედოდიაც და თან მოული ეს გონიერა-მაუვალი მსოფლიო, მოული ეს ხილული და უხილავი ქვეყნას, უკედაგერი, რასაც კი გაცის ფიქრი მისწვდება და რას არ მისწვდება ეს ფაქტი—წესრო და შემოქმედი სიტექაირების მშენიერებისა? ამასთან სხვა უძირატესობაცა. თვალთათვის საამო შლასტიკურის ხელოვნებას—არქიტექტურას, სეუდპტურას და მხატვრობას—მარტო ერთის რომელისმე მომენტის წარმოდგენა შეუძლია ცხოვრებიდან, როგორც მაგ. კარანტოვის სტატუა წარმოადგენს დადებულს კავკასიის მთავარ-მართებელს ფეხზე დაგრძნელებდ, ქუდ-მოსდიდება და დაფუძნებულად შორს გამსხდად, ან ბეთანიის თამარ მეფის სურათი წარმოადგენს თამარ მეფეს განზე მამართულის ხელებით; შოეზიას კი შეუძლია გამოსატოს როგორც ერთი მომენტი, ისე სხვა მომენტიც—წარსულიც, აწმეოც და მეობადიც კერძო შირისა, თუ საზოგადოებისა (დუარსაბ თათქმიობე, თორნიერე ერისთავი, ელგუჯა). ამ მიზეზთა გამო შოეზია უკედა სხვა ხელოვნებაზე უფრო გავრცელებულია კაცობრიობაში.

განხსაზღვროთ ესდა დაწვდილებით ეს ხელოვნება. რა არის შოეზია და რომ განიტევა ის მეორე განარის მწერლობასაგან, რომელიაც ეტეკიან შროვის.

სხვა-და სხვა განსაზღვრებიდან, რომელიც ოდესმე მსმენია ან წამიკათხავს შოეზიაზე თუ არ უკედაზე ნამდვილი, უკედაზე მარჯვე და მარტივი განსაზღვრება არის შოპენისუერისა. ამ ფილოსოფიის სტრეტივა ამბობს: «შოეზია ისეთი ხელოვნება არის, რომელიც სიტეკის საშეალებით ფანტაზიას მოძრაობაში მოიყვანსთავი». ამგა-რადგე საზღვრავს შოეზიას სენ-ბიოვი. «შოეზია—იმის სიტეკით—



ის კი არ არის, გაცის სუდ უკედაფერი უთხრათ, ის არის, მომატებულის იმას სუდ უკედაფერზე ოცნება აუმაღლოთა\*).

ეს ფანტაზიას აშლა და მუშაობაში გაბმბ შეადგენს მოუცილებელს შირობას შირობას. საცა ფანტაზია არ მუშაობას, საცა აცნება არ არის, საცა ჩვენ არა თუ არა გართ მოხაწილენი შოეტის ფანტაზიას მომატობისა, არმედ არ გადევნებით და არ უწინაურდებით იმას, არ ვაგნებთ შოეტის განზრხებას, არ ვადიდებთ და არ გამცირებთ ჩვენებურად მას აზრს, რომელიც სშირად სიმის წერტილით არის გამოთმეული, ერთი სიტყვით, საცა, გიორგი ერისთავის თქმისა ან იყოს, არ დაკვირვდობთ ღრუბლებში და თცნებაში, იქ შოეზიან არ არის. იქ ფილოსოფიაა, იქ ისისთოლოგია, იქ დრამაა, იქ ერკელისფერია, გარდა შოეზაისა. შოეზა, ფანტაზიას მოკლებული, რაც უნდა შეხამებული იყოს ის, გაცის გუდს ვერ მოიგებს.

როგორც გთქვით, ფანტაზია — ლრგანო შოეზიას — უნდა იყოს გამოხსატებლი მშენიერებისა. მაგრამ საქმე ის არის, რა არის თვით მშენიერება? ჩვენ რომ გთქვათ: მშენიერება ისეთი რამ არის, რასაც სრული სიმძეტია აქვს ნაწილებისა, რაც სრული ჭარმონიას მექონა, ან კიდევ: რაც უტესარი სახეა განკუჯღობისა, რასაც სინათლე ახლავს და სიმართლე, რაც ახდამანტივით იზიდავს ჩვენს თანაგრძნობას და სხვა ამგვარება, ჩვენ მაინც ვერ გავსაზღვრავთ მშენიერებას, რადგანაც ამისი გრძნობა უფრო ადგილია, კიდრე განსაზღვრა. ის არის რადაც ზეციური, დგთაბრივი ძალა, რომელიც გადმოაიგენს ჩვენზე თვისს სსიკებს, და ადმრაკე გულში სისარულს, უნდღიერ მარტაცებს იმას და პატიმარ-ჭეოვს. როგორც სიუკარულს, ოვასს წინამდებარეს და განუურეს ამხსნევს, იმასაც შეუძლია უთხრას კაცის შოეტის ცნობილი

ძალასა შენსა ვინ არს რომელ არ მონებდეს.

იმის მოხა კაცი გულითაც, გონებითაც. გულით, ამიტომ რომ ის განსათლებულია მშენიერებისა და სიკეთის სსიკეთ; გონებით, ამიტომ რომ იგი სედავს ამ მშენიერებაში ჭეშმარიტების. ამ ადგილ-

\* ) La poésie ne consiste pas à tout dire mais à tout faire rêver.



ზე ბოეზია უერთდება ფილოსოფიას და ეტიკეს. მშენიერების გამოლიტიკა  
მომხატვებამ უაკებად უნდა დაუსხლოვის ჩვენი სული გეთილისა,  
ჭე მმარიტების და მშენიერების იღებებს; უნდა აღგამაღლოს ჩვენ  
და შეგძევარის სულ უკვლავერი, რაც არის გარგი, მშენიერი, მა-  
ღალი, დიდი. უნდა მიმართოს კეთილად ჩვენი ზნეობაც, უნდა  
«გააზნაუროს», როგორც ამბობდა ბატონიშვილი დავით, ჩვენი ბუ-  
ნება, დაბადოს ჩვენში სიყვარული იღებისა, დაუსრულებელისა,  
ერთა სიტუაცით იქნიოს ჩვენზე არა მარტო ესტეტიკური ზედ-  
მოქმედება, არმედ მორალურიც. ამიტომაცა ამბობენ, ხელოვნების  
კაცის კელურის ბუნების მოტეხსაში დიდი ადგილი უჭირავს.

მწერლობის ისტორია როგორც უმთავრესს განმარტებას წარ-  
მოადგენს მშენიერებისას. ერთი ეკუთვნის პლატონის, მეორე — არის-  
ტოტემის.

პლატონის აზრით, ბოეზიამ და საზოგადოდ ხელოვნებამ უნ-  
და გამოსახოს მშენიერება დათაგებრივი. იდეა მშენებელისა, რო-  
გორც საზოგადოდ უკვლა სხვა იდეა, არსებობს შექმნილად დასა-  
ბამიდან სოფლისა. პოეტმა უნდა იხილოს ეს იდეა და გამოსახოს  
იგი. ამგვარად ბოეზია ამრდილია ოდენ იდეალურის დათაბრივის  
მშენიერებისა.

არისტოტელი ითხოვს ხელოვნებისაგან ბუნების მიბაძებას.  
პოეტმა ის უნდა გამოსახოს თავის ქმნილებაში, რაც არის ქვეუად,  
რაც იმას უნისავს, რაც გაუგონა. მხოლოდ სასელდობრ ეს და ეს  
საკვანი, ეს და ეს კაცი, ეს და ეს ფაქტი კი არა — ეს რომ ასე  
იყოს მაშინ ქმნილებაც არ იქმნება — უნდა ბევრის ნახულის საგნე-  
ბისაგან, ბევრის გაცემისაგან, ბევრის ფაქტებისაგან ერთი რამ გა-  
მოსატოს, რომელშეაც უკვლა ქრომ საგნების თვისება იყოს შეე-  
თხული, რომელიც ამგვარად იქმნება ის, რასაც ჩვეულებრივად  
უწოდებენ ტიპი, ან იდეალად, პ. ი. გვარის წარმომადგენელად.

ამ ღრთა ფილოსოფიასო განმარტება მშენიერებისა დაედგა  
საფუძვლად ასადი დროების შეხედულების ბოეზიაზე. ზოგთა სრუ-  
ლებით უარ-ჰქებს ბუნების მიბაძება, მიატეხს ჩხირი ამ ქვეუას,  
შეიტეს გონების გარები და ფრთხი აუსხეს გამოსატულებას გა-  
მოსახავად თუ არ პლატონის იდეასი, საკუთარის იდეალებისა



მაინც. ზოგთა ბუნების მიბაძეა დაუდგეს კანონის და შოგზის და მისად დაუმორჩილეს შოეტის გამოხატულება ამ ქვეყანას და ქაუნის საქმებს, რომ მოითხოვეს პოლიტიკას ცხოვრების თქმის ხელის მედგენა საცვლად აქტიურის შემოქმედების თავის-ხენისა. გამოხნდნენ ამგვარად ერთის მხრით «ხელოვნებისთვის მოხელენი», მერაუს მხრით მოხელენი - ფოტოგრაფები, მოხელენი - პროტოკოლისტები, რომელთაც დაარქებეს დაცინვით სასედი ცეკვების მოხელეთა».

ჩეკენ შოთა წაგვიუნას დაპარაკე იმაზე თუ რომელს მიმართ უფლებას ეკუთვნის ამ ორში უბირატესობა. მაგრამ ერთი კი მაინც არ შეიძლება არა კოქით. პოლიტურმა ქმნილებამ უთუოდ უნდა გვასიამოვნოს, უთუოდ უნდა მოგვასენოს ქვეყნის გვერდისგან, დაგვაკიწეოს ამ წეთის-სოფლის მწერება, სასიცოდეებით დაღიანდა, გამოგვიყვანოს, იმედი მოგვცეს, სასოფტა, ე. ი. შეიმნეს ჩეკნთვის იმ ანგელოზთა გადობად, რომელმაც ფაუსტის მოაშორა შირიადან შესმით საგაე ფარდა. „Для успокоения и примирения всѣхъ нисходитъ въ міръ высокое созданіе искусства“, როგორც ამბობს მშენიანდ გოგოლი.

შოგზის შეტყებები შეტყლიანია არას პროზა. თრიავე იგინა ჭეშმარიტების მემიებელი არაა, მაგრამ პროზა საბუთების მოუკანით და ანალიზით იგნებს ჭეშმარიტებას, პოეზია კი უბრალო სურათებით და საგნის კარგად დანახვებით. პროზა უბრალო მუსიკის მსგაბადა და დამშვიდებით, დაწვდილებით, თითო-თითოდ გამოიკვევს ჭეშმარიტებას; პოეზია ერთდება წვრილმანებას, სჯის სურათებით, ნათლად, ცოცხლად — à grand trait — და უფრო ძლიერად მოქმედებს კაცის სულტე, კიდევ პროზა. როცა კითხულობ ექიმთლის ცხოვრებაშია საჭართველოს ათხრების აღწერას, გამოუღებელის სისხლის ნიაღვარს, რომელსაც ჩეკნი ქვეყნის მტერდ ღვრიდა საჭართველოში, თქვენ კითხულობთ პროზას; როცა ამავე აზრის სურათებით გამოხატავს თორხიბე ერისთავის დამწერი და იტევის:

„აღდგომის კვერცხს დაემსგავსა წამებული საქართველო“

თქვენ გაჭვთ თქვენ წინაშე პოლიტური სურათი. იგივე აზრი საჭართველოს ათხრებისა, იგივე მამული, სისხლით მორწყელი, წარ-

მოყიდვებათ უფრო ცოცხლად, უფრო ძლიერად. როგორც შოეზიას, ისე შოეზის საფუძველად ჭეშმარიტება აქვთ და ამიტომ შოეზია, რომელიც ჭეშმარიტებას არის მოკლებული, რაც უნდა მშენიერი იყოს მისი ფორმა, დღე-ნაკლებია. მხოდოდ მეორეს მხრით შოეზია, რომელშიც მარტო გარები აზრია გამოხატული, მაგრამ ეს აზრი არ არის ჩსმებული გარეს ხელოვნების ფორმაში, კიდევ უარესია. ამ თუ ჭირში ისეჯ შირებელი სკომის, რადგანაც თავი და შირებელი შოეზისა ის არის, რომ შოეტერ ქმნილების გარები ფორმა ქითხვდეს. მშენებელმა ქმნილებამ უფროდ უნდა შეაკვრთოს თავი კაცი; თავის სიმშენებით, უფროდ უნდა გაიტანოს იგი ისე, როგორც მშენებელმა ქადაგია. რა აზრი არის ამ ქმნილებაში, რამდენად სისარგებლოა ის,—ეს მეორე კითხვაა, ისე, როგორც მეორე კითხვაა ჭეპანია თუ არა ის ქადა, რომელმაც თქვენ გაგიტაცათ თვისისას სიდამაზით. თავი და შირებელი ის არის— მშენებელი ხელოვნების ქმნილება მშენებელი იყოს და გულს აამქებდეს.

სამგებარი გზა აქვს შოეტს თავის ქმნილების გამოხატატებულად. იმას ან უნდა გვამიშოს, ობიექტიურად, მომსდარი გარემოება, ან უნდა გადმოგაშალოს თვისია საკუთარი სუბიექტიური გრძნობა, რომელიც ამ გარემოებამ გამოიწვია, ან უნდა ეს გარემოება ათემუკინოს ჩენ-წის სხესთა, რომელთაც მუქლობაში მოტევდ შირებად უწოდებენ. ამისდა შესაფერად შოეტიური თხზულებანი განიყოფებანი სამგებარად: ეპიურად, დარიულად და დრამატიულად.

ამათში დართული შოეზია, რომელსაც ეკუთვნის მთელი ქართული შოეზია—ცოტას გარდა—გამოხატავს ძლიერს სულიერს მოძრაობას, ან ქნებას: სიეგარულს, სიძუღვილს, მრისხანებას, განცვლურებას, სისარულს, აღტაცებას, მწერარებას, სასოწარკეგეთოლებას, იმედს, ჭმენებას... ამათ გამოსტევს შოეტი მხოდოდ თარგიმაზიანა თავის სულიერის მდგრამარებისა. როგორც ქნარის სიმი, რომელის სახელიც დაერქვა ამ რაგს შოეზიისას (ლირა ქნარია ბერნულად), უღერს მხოდოდ იმ დროს და იმდენად, რა დროს და რამდენადაც შეეხება იმას თათი, ისე დართული შოეტი უნდა აფეშებდეს თავის ქნარს, კ. ა. თავის გულს მხოდოდ მაშინ, როდესაც ის გული მოძრაობაში. შოეტის დირსება ის არის,



რომ ეს გულის უდერა წმინდად და განსაკუთრებული უმეტესებულება  
ბოლ გადმოგვცეს თავის ქმნილებაში. ნამდვილი დაირეული პოეტი  
არ იღებს კალამს, სანამ არ მოგა ძღვირს სულიერს მოძრაობაში,  
არც ურკეს თავის ქმნილებაში ისეთს აზრს და ფიქრს, რომელიც  
შირდაშირ აღმრულის სულის მდგრმარეობიდნ არ გამოდის. ფსია-  
ხოლოგიურის ენით რომ კილაპარაკოთ, ჰეშმარიტი ლირიული  
თხზულება ის არის, რომელიც არის ოქტოპესი გარედან მიღებუ-  
ლის შთაბეჭდილებისა.

საუკეთესო ფრანგის ლარეულის თხრულებისა და საზოგადოდ  
პოეზიისა არის დექსი. ეს ემოციიდება წინდწინ განსაზღვრავს  
სიტყვათა ზომას, რომელსაც ბერმზულად უწოდებენ რითმას. ეს  
რითმის, შემციბილი ცეზურითა და რითმით, უფრო დიდს შეს  
აძლევს პოეზიას, კიდევ თავაშეებული და დისციპლინის ურჩი  
პროცესა. ცეზურა დაჯეოთეს თვითეულს ტაქტს თუ ნაწილად, თუ  
ნასეკვარ დექსიად და რითმა აძლევს დექსითა ბოლო სიტყვებს ერთ-  
ხმოვანებას. ღრმის ესები განზომილ სიტყვას შეაქმნ უფრო მუ-  
ზიკალურად, უფრო სასიმოვნოდ.

## თ-დი ინკოლოზ რარიელის-ძა დაღიანი

(ნეკროლოგი)

თქმილბრის გასულს გაზეთებმა მოგიირანეს სამწუხარო ამბავი  
 თ. ნ. ტ. დადასნის გარდაცვალებისა. გაზეთ «კვალის» № 46-ში იქ  
 განსესხულზე პატარა ნეკროლოგი, № 48-ში კიდევ პატარა მო-  
 გონება «უმნიშვნელო მეგობრისა» და გათავდა; მეტი აღარა თქმუ-  
 ლა-რა კერ. თუ სხვიმის თითქმის გადაკეცარებდათ სოდემ, დღეს  
 ერთობ მცირედით დაკვირვეოდიდით. მაგრამ, შეიძლება, ბეკრ ქარ-  
 თველს დღემდის არც კი გაუგონია ამ კაცის სახელი. ასე რომ  
 ბეკრს, იქნება, კიდეც გაუკვირდა, როცა წაიგოთხა ცეკვაშია, რომ  
 მიცემულ იყო ეწარჩინებული მცოდნე ქართული ენისა და მწიგ-  
 ნობარი», რომ მან «მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქართული  
 ენის, ქართული ისტორიის და მწიგნობრობის შესწავლას» და სხვ.  
 ორგარ? იყოთხავდა მკათხველი: თუ ნიკო დადაბნეს წარჩინებულად  
 აცილა ქართული ენა, თუ მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ქარ-  
 თული ენას, ისტორიის და მწიგნობრობის შესწავლას, რატომ თავდა-  
 სხინდ არ ხდიდა თავის ცოდნას, რატომ არაფერს სწერდა ამათ  
 შესახებ? მართლაც, თუ კი ჩენმი, ვინც მეონია და არა მეონია,  
 კერძა ქართულის ენის, ისტორიის და მწიგნობრობის ცოდნას ჩე-  
 მობს და წიგნი-წიგნი ისტომება, რატომ ეწარჩინებულმა მცოდ-  
 ნებმა ამ საგნებისამ თმთო საჟურნალო წერილი მაინც არ დასტუმბა  
 მათ შესახებ? რა იყო მაზეზა, რომ თავად ნიკო დადაბნეს, გარდა  
 რამდენიმე ლექსისა და საპოლემიკა წერილისა, თითქმის არაფერი  
 დაუსტამბავს თავის სიცოცხლეში? მაგრამ სახან შასუსს კი ტურდეთ,  
 საჭიროდ მიგვაჩნია გაუზიაროთ მეითხველ საზოგადოებას ზო-



გიერთი ცნობა განსკუნებულის ცხრილების შესახებ. თავადაც მაგრა ერთად-ერთი შეიძლო იყო თავის მშობლებისა. მამა ადრე მოუპყდა და თავისი სიყმაწვილე გაატარა დედის (თავად აბაშიძის ასულის) და ბებიის (დედის დედის) გავლენის ქვეშ. ალბათ ეს ქალების ზედ-მოქმედება ახალგაზღდა ნივთზე იყო მიზეზი, რომ უკანასკნელს ერთობ ნაზი სასათო ჰქონდა და სამაგალითოდ მშვიდი, წენარი, გულ-ჩივილი და მგრძნობიარი იყო. მეორე კარგი შედეგი დედის და ბებიის, ღრმად განათლებულ შირების თავის დროის შესაძლოა, ზედმოქმედებისა ნივთზე ის იყო, რომ მან საკოლაშივე შეიძინება მშვინირდ ქართული ენა და ძველი ქართული მწერლიბა, როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო, თუმცა ამ მხრით მამის ქართული მწიგნობრობის მოუკარგებაც (ნიკოს მამა, ტარიელ დადიანი, სამეგრელოს მთავრის დროს საუკეთესო მაზრის გამგებლად ითვლებოდა და ცნობილი იყო, როგორც ნასწევლი და განკითარებული შირი) სედს უწევოდა. ამნაირად ნიკოს მამის მხრითაც და დედის მხრითაც ქართული ენის და მწიგნობრობის სიუკარული ჰქონდა მემკვიდრეობათ გადმოცემული და ბერი შესანიშნავი ქართული ხელნაწერებიც მოიპოვებოდა მის ბიბლიოთეკაში, რომელიც შესდგებოდა ორ საგრაფეულო ბიბლიოთეკებიდან (ნიკოს დედის ერთად ერთი მას უმეტესობრივ მოუკეთება: და მისი მემკვიდრეობა მას დარჩა). ნიკოც ადრე შეუდგა ამ წიგნების კათხვას და შეიძინებას და ადრე განკითარდა. აა, რათ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომელიც «კადის» ნეკროლებაშია მოხსენები: «ნიკო დადიანის საკვარებელი ნიკის სიმკარტბლუ გამოიხარისხა ქუთაისის გიმნაზიაში: მეოთხე კლასის შეგრძლივ მეშვიდე კლასისათვებს ებასებოდა ხოლო სამეცნიერო საგნებშია-ო. დაად, ნიკო სასწავლებელში შესკვლამდისკე იყო განკითარებული ქართულ წიგნების შემწერით და, თუმცა გიმნაზიის მსოდნობ მეოთხე კლასის მამიდის მიერად, მაგრამ ფაქტიურად მაშინდელ გიმნაზიის კურსი გაიარა და, თუ არ კციდები, მოწმობაც მეშვიდე კლასის მიიღო. არ კიცით, რა იყო მიზეზი, რომ ასეთმა ნიკის შატრონმა და სწავლის მოვალეობამ ახალგაზღდამ, როგორც ნიკო იყო, სწავლა აღარ განაგრძო, იქნება, რამე ოფასური მიზეზების ბრალია ეს გარემოება, ან, იქნება, ზოგიერთ დასაკლეთ კერძობის მეცნაურების არ იყოს,

თვითონ აღარ ისურვა სასწავლებელში ყოფნა და შინ სწავლა არჩება  
ასე თუ ისე, ნიკოს ოფიციალურად სწავლა აღარ განუგრძელდა და  
სოფელში დაბრუნდა ქუთაისის გიმნაზიიდან; დაბრუნდა და შეუდგა  
თვით - განკითარებას ქართულ და ოუსულ წიგნების შემწეობით  
(შემდეგ ფრანგული ენაც საჭარბელ შეისწავლა). საღსს აოცებდა ის  
გარემოება, რომ ასალგაზნდა თავიდაშედილი მის მაგიერ, რომ ცხენზე  
შემჯდარიყო, აარადი შემოერტყა და დრო ეტარებინა, სულ წიგ-  
ნებით ხელში დადიოდა, დღე-დღე ძველ ნანგრევებზე დათოთხავდა  
და ღამ-ღამე გიღებ გარსტევლას მისხებოდა. მაგრამ მარტო გან-  
უქმდებულ მეცნიერებათ შესწავლით არ დაგმუშავილებულა ახალგაზ-  
და ნიკო. კერ ახდაც, როცა თითქმის ურკელ მაზრაში მოიძენება  
თითო-თორთლა ქართველი ქამი, სული აქვს შეწებული სოფელ-  
ში შემთხვევით მისულ ინტელიგენტს, როცა ქსედავს რამდენი ად-  
მანი უცოდინარობისა და რიგიანად მოუკლელობის გამო სულ  
უბრალო აკადემიურობით ესალმება წუთი სოფელს, თვარა მაშინ,  
როცა ქალაქებშიაც ძვირი იყო ექიმი და ქართველი ექიმი ხომ სულაც  
არ იყო, რასაკვარეველია, დაიტანებულოდა თავიდი ნიკო, რომლის  
მკრძნობიარე გულზე ღრმა შთაბეჭდილებას იქონიებდა ხალხის უექი-  
მობით ტანკება-წიგნებას და ისაც შეუდგა საქამო მეცნიერების შეს-  
წავლას, რომ მცირედ არის მაინც სარგებლობა მოუტანა გაჭირ-  
ვებულთათვის. ამ მხრითაც ქართველი დახმარებას გაუშევდნენ მას გამო-  
ცდილი და ძველი ქართული ქარაბადინების მცოდნე დედა და  
თვით ეს კარაბადინები და ნიკომაც შევნიერად შეიგნო და შეა-  
თვის, როგორ ძველი ქართული ექიმობა, ისე ასაღი საქმიო მეც-  
ნიერება და შეუდგა პრაქტიკულად მის გამოექნებას. ბეკრისაც მოუ-  
ტანა მნ სარგებლობა თავის ცოდნით და დახმარებით; ბეკრი კა-  
დარჩინა სიკვდილს, ბეკრს მოსწმიანდა ტანჯგის ცრემლი. დღესაც  
ბეკრია მისგან სიკვდილს გადატენილი იმერეთში და სამეცნიელო-  
ში. თვითონ ამ სტრიქონების დამწერი არა ერთხელ ყო-  
ფილა მოწამე, რომ თითქმის დილიდას სადამომდის მოსკენება არა  
ჭრისა თავად ნიკოს და მთელი დღე აკადემიურების სინჯგაში და  
დარიგების ძღვებში გაუტარება, რასაკვარეველია, სრულიად უსას-  
ყიდლოდ; სშირად წამლის ფულაც თვითონ მიუკია აკადემიურობისთვის

მოელი დღე მეტელე აქ არის. ადგილს არ იცვლის. რომელ პეტელზეაც \*) დავდა პირველად, იმაზე უნდა იყვდეს მოელი დღე უკენსავით. თუ ადგა, სხვა კერავის დავდება მისს ნაკლომზე. თუ ეს წესი არ დაიცება ფლომისა, ცუდია, — კრუნი ერთგულად არ დააკადება გამოსახტებ პეტელსათ და ფათვისათ დაიწებსო. სხვა ქათმებიაც დაეცილებან ბუდესათ. გარედ კერ გავა მეტელე. თუ გავიდა, ეზოს მაინც კერ გასცდება. თუ გასცდა — საქონელი და ქათმები იქითაქეთ სეტიალს მოჰკებიან ამ წელიწადსათ. როცა კერასთან ზის, იმასა და ცეცხლს ჟეს კერავის გაიღდის, — წინასმაწარა იქმნებათ. ამიტომ, თუ კინმე გაიარა, იმავ გზით უგანვე გააბრუნებენ. მეტელეს ნაპირალ ჭიქით იმ დღეს სხვანი კერავებს დაღევენ.

სადილად მეტელეს ქათმის უკლავენ. დაკლულ ქათმის სისხლს ჩხერზე ასხამენ. მერე ამ სისხლ-დასხმულ ჩხერს წიწილებს უკრანის საკენგად. ასეთი ჩხერნაკენგი წიწილები, რომ გაიზრდებიან, უკრძენს არ მიეკრძიანო.

\*) კველა ერთგვარი დასაჯდომია, პისა. გრძელია და ორ ფეხიანი.

«კუნძული» დღეს უკეთადი თავისთვის სახლებში სხედდნ, გარჩევთილი. მეზობლები შე მისკლა-მოსკლა შესწევეტილია. იმ დღეს არც თხოვებენ, რა არც სხვა გადაჭიმებათ. არავერს მოგრძელება: ქართ, ტურა, ქურდი უკეთადის მოგრძელებენ. იმ დღეს უცეცლოდ რომ დარჩეთ, შიმშილით დაისრუცით მეზობლის იმედით,— ცეცხლს არაფრის გულისათვის არ მოგაწყდიან.

გარეშე კაცის შემოსკლა სწეინთ, იქმნება, «ცუდი ფეხი» შემოიტანისათ, მაგრამ თუ მაინცა და მაინც ვინმე შემოკიდა, ნედლი ტოტი უკრეცლად უნდა მოჰქონდეს. ნაბადმოსისმული გერ შეკა სახლში: ქათმები ფრთხებამოურილა იქმნებათ.

სტუმარის სახლიდან «გაცუდებულს» (უკრეცლად) არ გაუკეტენ. რაც უნდა მაძღარი იყენო და რაც უნდა არ გინდოდესთ ჭამა, რასმე უნდა დაადგათ გამოღია pro forma. მასთან, რასაც დაგიდგინებ წინ, გველავერი უნდა აადაგოთ, სუფრაზე საჭმლის დატოვება არ შეიძლება: კრუნი გვერცებს გაალეუბს (დოფაზუნის) და გამოუწევავს დასტოკებსთ. წსვლის დროს სტუმარი უკრეცლად—იმ კარგიდან უნდა გაგიდეს, საიდანაც შემოვიდა სახლში, თორემ კრუნი გვერცებზე არ დაჭდებათ.

ზოგან, სახლის უფროსებს რომელისამე აკადმეულოფობისა ან რამე გაკირკვების დროს ღმერთთან ადოქმა აქვთ დადებული: თუ ამ აკადმეულობას გადამარჩენ, «კუნძული» დღეს, შენმა მაღდმა, რეინგულობას სხლი არ გახდოვთ. ამის შემდეგ ეს ადოქმა «კადად აძევსთა ზოგიერთ და კუნძულის პირნათლად უნდა შეასრულოს. ამ დღეს, გისაც ასეთი კადა ადგესთა (გემუნა) იარაღს და, საზოგადოდ, უკავლებავა რგინულობას არ გაარგიბან. თუნდ მტერთანა ჭრონდეს საქმე და იარაღი საჭირო იყოს, ადოქმას წმინდად ასრულებს მეგრელი.

კუნძულის დასხვებისა სიმინდის ფერების ცომისა კუნძულავს, რომელიც მომავლის შესატება საშუალებად იხმარება ამ დღეს მეგრელის თვასში. მოზელილს თხელის ცომის ჭერს მათტებულებს. თუ ძაღუნი თხელია ცომი, რა იქმა უნდა, ჭერილის გასხვლება და გადელისაც შეენთხევა და დაჭრინებულება. ამ წინწერებით შეიძლება ფრთხოსანია მომავალი ბეჭ-იღბალი შეიტყოს კაცი, მეგრელის აზ-

რთ. თუ წინწელები ბლობად ასხედს კადეზე, დისტანციულ გვერდის წელიწადს ასხებად უნდა იყენეს — დღე ურაელი ქვეყნის სტუმრები რომ ეწეოთ, უკავას გაუმასპინძლება ჭათმის ხორცითა; სადღე-ლებათაც, ბეკრი გადასწება, კვერცხები აუსარებელი ექმნება. კერძოდ, დადი წინწელები ზრდა-გათაცებულ უკარელას ჭიდავას, პატარები — წინწელების. თუ ცოდი ზედ ჭირზედევ ერთს ადაგს მიაკვთა — ამ წელიწადს გლეხი თავისის სახლს ასლო მდგრად ადგილებზე დაიღებს ენის; ხოლო ცოდი თუ განზე წაგიდა, გლეხს შორეულ ადგილის მეტეშეგება მოვლის.

ამ ჭირზე მინატელებებს ცოდის წამლადაც სმართებენ სამეცნიეროში. როცა მიასმება, ჩამოვარებები და შეინახვენ. ქორფა გოჭებს ერთნაირი სატენიარი უწნდებათ (dysenteria), — მუცელში თეთრად გაჭირვას, წელსავით. სამეცნიეროში ამ სატენიარს ჩე (თეთრი) ჰქონან. როცა ჩე დაემართებათ, ზემორე აღნაშნულ ჩამონაივებეს წელში გაღესავენ და აგაძმულოვ გოჭებს ცირში ჩასხმენ; ამბობენ, ჸრეგესო.

ტექნიკა საგარმოსავე სამეცნიეროში ასაღვაზდები ლიმისა სქესისა კმდევიან ერთნაირს მხიარულებას, რომელიც განსაკუთრებულის კოლოიდის ასლებს საკალანდო დღესასწაულებს. რომ დაღამდება, რომელსამე თვასში (უპირატესობა აქვთ ისეთსა, სადაც ასაღვაზდა ჭალები არიან) თავს იყრის რამოდენიმე ჭალ-ვაჟი. კულტურის სიმინდის ფეხის ფეხითა და მერე ერთმანეთს დაერევიან და პირისახეს ამ ცომით უთხებნავენ. აქედან მიდიან მეორე თვასში და ასლა იქაურების ჰკლეის ცომითა. დადა ბრძოლა იმართება, მაგრამ კამარჯება მოსულება რჩებათ და დამარცხებული «ტეკად» მიჰევათ. თუ შინაურების მოგერებითი ბრძოლა სატეს, ზედიმისევით ბრძოლად იქცა, მაშინ როგორი იცვლება და მოსულება სდების შინაურების ტეკად. იქიდან სხვა თვასში მიდიან და აწილებენ უკავას. ამნაირად შემოულდან მთელს სოფელს. უკავა თვასიდან თითო ან თრი კაცი ემატება შროცესიასა. ბრძოლს, ერთის სოფლის ჭალ-ვაჟი სხვა სოფელში გადადიან და იქაურებს აივრააქებენ.

ამ საგარმოს ემაწვალებს შემთხვევა ემლევათ თავისს თავს მეტი ნება მისცენ ჭალებთან ქცევაში და, ხშირად, როგორც შედეგი ისეთის ერთმანეთთან დახლოებისა, საქმე ურომანდაც არა თავდე-



სა. ბეკრი ქადაგი სარგებლობს იმ ღამეს თავის უფლობითა, როცა დამის სიბნეულე ჭიგარაგას ცნობის-მოეურე თვალთაგან, და იქ უცხა-დებენ ერთმანეთს თავისს წმინდა გრძნობას; ბეკრის ბედ-იღბაღი სწერება იმ ღამეს.

ცომს, რომელსაც ზემო - აღწერილ შემთხვევაში სმარობენ, «ტეატრი» ჭიგან, სოლო თვათ ღამეს — «ტეატრია».

ამით თავდება «ეკლესილობას» მეორე ნახევარი.

ასადწევის მოსაგონებლად სახლში რჩება «ჩიხილაგა», მაგრამ ისიც დიდს ხასს არა. წყალეურთხევის წინა დღეს სადამოზე ჩა-მოაციან ზედ აგებულს სილს, აბრე-შემის შედოს და თვითონ ჩი-ხილაგს გარედ ცეცხლს წაუკიდებენ. წილამურები რომ გაიწვის, დარ-ჩენილ გარუეულ ჭახს ზოგი, თუ წყალი ახლოსაა, იქ გადუძსებეს, ზოგი კი ჩუმად სხვის ეზოში ჩააგდებს და თანაც ამბობს: «ვის ეზოში ჩავარდები, იმის ბარაქს და ხეავი მეო». ზოგი კიდევ ამას ამბობს: «უკუკი ჭირი და ფათურაგი შენთვის (გამწერ ჩიხი-ლაგისათვის) მოძიხევიათ». ამბობენ, ამ გამწერ ჩიხილაგს თან მოაქეს შემშილით და კის თვახმიაც ჩავარდება, იმ წელიწადს იქ შემშილობა აუცილებელია.

ცხადია, რომ ამ გარუეულ ნახილაგარ ჭახის ნახევა არავის-თვის არ არის სასაიმოქო. ამიტომ, იმ სადამოს კედელა უკრძა-სვილადაა, რა არის, ნახილაგარი ჭახი არ შემოიგდონო. თუ მაინც შემოაპარეს როგორმე, და მეორე დღეს თავისს ეზოში ნახა, სახლის პატირონი იწყებება: «მეორე ასადწევიაზადი აა გაუთქოს დეკრიმა-მის შემოგდებასთ. რაც მე მისურა, უკლავერი თვითონ მოუკი-დესთ». მერე აიღის და სხვაგან გადასტურცხის. ზოგჯერ უწესუ-რადაც აა გათავდება საჭმე.

წეალ-კურთხევის შემდეგ მეგრელის ცხოვრება ჩვეულებრივად იწყებს დენას.

აქა, საზოგადო სურათი გადანდისა სამეცნიეროში. მაგრამ ისიც კია, რომ უმეტესობა აქ აწერილ ჩეულებათა, ქრისტიანობისა და განათლე-ბის გავლენით, თან-და-თანა ჭირება. უფროსერთ სოფელში მარტო ჩიხილაგია დარჩენილი გადანდობის. მიერდნილ სოფელში-იდა თუა დაცული, ცოტათიც არის, სელესლებლად და ზედმიწენით მამა-პა-პათა ჩეულება.

## ქუთაისის სათავე-აზნაურო განცი

და

მისი მოგვედება

IV \*)

ძირის თანხა და სათადარიგო თანხა, რომელთა შესახებაცა ვლაპარაკობდით ზემორე და რომელნიც ერთად შეადგენს 242 ათას მანეთს, მატულობს და იზრდება მით, რომ ნაწილი ბანკის წმინდა მოგებისა, როგორც ეიცით, გადაიდება ხოლმე ყოველ წლივ მათ სასარგებლოდა.

რა არის წმინდა მოგება ბანკისა? ბანკის წმინდა მოგება არის ნაშთი, რომელიც ძირისა ჩეხება, როცა საერთო მოგებიდან გამოვლენ ყოველ იმ ხარჯს, რაც ბანკს მოსვლია.

მთლად საერთო მოგება ჰქონია ქუთაისის ბანკს თავის არსებობის განმავლობაში 1877 წლიდან დაწყებული 1895 წლმდე, ანუ ამ 19 წელს,—1.672,196 მან. 45 კაპ. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ჩვენმა ბანკმა, იმ 437 ათასის მანათის შემწეობით, რომელიც ბანკის დასაარსებლად გამოიღო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, მოახერხა და მოაგროვა, როგორც, უმთავრესად, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთაგან, ისე თვისი სხვა მოვალეთაგან ამ 19 წლის განმავლობაში მილიონ-ნახევარ მანათზედ მეტი ფული და თანაც ხელ-უხებლივ შეინახა თვისი ძირის თანხაცა.

ამ საერთო მოგებაში არ არის, რასაკვირველია, ჩათვლილი არც სარგებელი, რომელსაც უხდიან შესხებელნი ბანკისა

\*) «მოაშბე», 1896 წ., № XII.

გირავნობის ფურცელთათვის ნახეს ფულის პატრონთა, არც ის სარგებელი, რომელიც შეაქვთ ბანკში მსესხებელთ აღებულის ვალის გადასხდელადა და გასაბათილებლად. საერთო მოგება ბანკისა ჩნდება განსაკუარებით იმ შესატანიდან, რომელიც ბანკის სასარგებლოდ მიღის. მაშასადამე, სულ სხვაა ის ფული, რომელიც ბანკს შესდის მსესხებელთაგან აღებულის ვალისათვის საერთოდ და სულ სხვაა კიდევ ის ფული, რომელსაც პირდაპირ ბანკის სასარგებლოდ იხდიან: ეს უკანასკნელი ფული მხოლოდ ნაწილია, და ნაწილი მცირე იმ ფულისა, რომელიც შეაქვთ ბანკში მსესხებელთა. უმეტესი ნაწილი ამ ფულისა მიღის სასარგებლოდ გირავნობის ფურცლების პატრონთა, რომელიც გაბნეული არიან სრულიად რუსეთის სხვადა-სხვა ადგილისა. ისე რომ ბანკს შეუძლიან სთქვას: სახელი ჩემია და სახრავი კი სხვისაო.

ამიტომ ვსთხოვ ჯერ მკითხველს ყურადღება თვისი დაამყაროს იმ ნაწილს მსესხებელთაგან ბანკში შესულის ფულისას, რომელიც ბანკის სასარგებლოდ მიღის და ბანკსა რჩება საკუთრად თავისათვის. ეს ნაწილი ბანკში შესულის ფულისა არის, როგორც ვსთქვით, საერთო მოგება ბანკისა და რაოდენობით უდრის 1.672, 196 მან. 45 კაპეიკა.

რა და რა ნაწილისაგან შესდგება ეს საერთო მოგება?

1) პირველ ყოვლისა, იმ შესატანისაგან, რომელიც შეაქვთ მსესხებელთ ბანკში ბანკის სასარგებლოდ და რომელიც 1% მათ მიერ სესხად აღებულის ფულისა, ანუ ასისთავი, ნაასალი. ბანკი ახდევინებს მსესხებელს ამდენსა თუ იმდენს ნაასალს თავის გასამრჯელოდ და იმ თავის ხარჯის გასაძლოლად, რომელიცა აქვს საქმის წარმოებისათვის. სხვა-და-სხვა საადგილ-მამულო ბანკში ერთნაირი რაოდენობა არ არის დაწესებული ამ ნაასალისა: ზოგან ბევრს იღებენ, ზოგან ნაკლებსა. ქუთაისის ბანკი 1880 წლამდე იღებდა თავის სასარგებლოდ  $1\frac{1}{2}$  %-ს, ხოლო მას შემდეგ შემცირა ეს რაოდენობა და იღებს მხოლოდ 1%-სა. ამვეარი შემოსავალი ბანკისა 19 წლის განმავლობაში შედგა 642.739 მან. 50 კაპ. 1877 წელს, ესე იგი

გაშინ, როცა ბანკია დაიწყო მოქმედება, ამგვარი შესავალი იყო 3.535 მან. მეტი არა, ხოლო 1895 წელს იყო უკვე 37.555 მან., ესე იგი ათჯერ მეტი.

2) მეორე არის კიდევ ესრედ-წოდებული ერთგზობისი შესატანი ბანკის სასარგებლოდ და ისიც  $1\frac{1}{4}$ -ს უდრის იმ ფულისას, რა ფულსაც თხოულობს სესხად მსესხებელი. ეს შესატანი სულ ერთხელ შეაქვს მსესხებელს ბაშინ, როცა გადაუწყვეტენ, რომ გაიტანოს სესხად ფული; ბანკი ახდევინებს ამ ფულს მსესხებელს დაფასების ხარჯის გასასტუმრებლად. თუ პირველი (ზემოხსენებული) შესატანი შეაქვს მსესხებელს ბანკში ყოველ-წლივ იმ დრომდე, ვიდრე სრულად არ იქმნება გადახდილი ვალად ძლიერ ფული, ეს მეორე შესატანი შეაქვს ერთხანად და ამიტომ ამგვარი ფული შესდის ბანკს ყოველ-წლივ არა ქველ მსესხებელთაგან, არამედ იმ წლის მსესხებელთაგან, როცა შეტანილ იქმნა იგი შესატანი. ეს არის მიზეზი, რომ ეს შესავალი ბანკისა ძალიან მცირეა. სულ, რაც ხანი ბანკი არსებობს, ამგვარი შემოსავალი შესვლია ბანკს 41.896 მან. 16 კაპ.; ამასთანავე არა ყოფილა წელიწადი, რომ ბანკს შესვლოდეს ამგვარი ფული 3.943 მან. მეტი (1891 წელს), ხოლო ყოფილა ისეთი წელიწადიცა, როცა 54 მანდთზედ მეტი არ შესვლია (1889 წ.).

3) საქმაოდ დიდს ფულს შეაღგენს შემდეგ სარგებელი მოკლე-ვალიან სესხთა; ეს სარგებელი ბანკს ეკუთვნის სრულიად და შიგ არავის წილი არა აქვს. ხანგრძლივის სესხის გასაცემად, როგორც ხოფლის ადგილ-მამულისა, ისე ქალაქის სახლისა და შენობის დაგრიავებით, ბანკი ჰქეყდავს გირაენობის ფურცლებსა, ესე იგი, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, თვითონვე სესხულობს ფულს გირაენობის ფურცლების მყიდველთაგან, აძლევს იმათ წელიწადში 5—6%-ს სარგებელსა და ახდევინებს ამდენსავე თავის მსესხებელთაცა. ცხადია, რომ ხანგრძლივის ვადით გაცემულ სესხის საქმეში ბანკი მხოლოდ შუა-კაცია, ერთისაგან ფულის ამლები და მეორის მიმცემი და, რაღაც ისეთს კომისიონერობასა სწერს, იღებს ამისათვის თავის სასარგებლოდ

1%-ს, როგორც ზემოადგი იყო ნათქვამი. რაიცა შეეხება მოკლევადიან სესხთა, ამ სესხს ბანკი საკუთრად თვითონ გასცემს ხოლმე, აძლევს შესხებელს იმ ფულს, რომელიც თვითონ ბანკს ეკუთვნის და იმ ხანად ხელში აქვს; ამიტომ მთლად ის სარგებელი, რომელიც შემოსდის ბანკს ამ სესხების გაცემის გამო, ბანკსვე რჩება და არა ეძლევა-რა გირავნობის ფურცლების პატ-რონთა. სულ 19 წლის განმავლობაში შემოსული სარგებელი მოკლევადით გაცემულ სესხთათვის 204,784 მან. 10 კაპ. ჩვენის ბანკის ეხლანდელ გამგეობის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ მოკლევადით სესხის გაცემის საქმე შესამჩნევად წინ წასულა მის დროსა, რაიცა სჩანს იქიდანა, რომ ბანკის შესავალს უმატნია ამ ბოლოს წლებში ამ მხრივა. 1890 წლამდე ბანკს შესდიოდა სარგებელი მოკლევადიან სესხთათვის წელიწიდში 7-დან 12-მდე ათასი მანეთი; 1890 წლიდან კი ეგ შესავალი მატულობს ყოველ-წლობით და, თუ 1890 წელს იყო 10 ათასი მანეთი, 1895 წელს ადის 17,468 მანათამდე.

4) რაც კი სხვა-და-სხვა თანხა აქვს ბანკსა, ნაწილი მისი ინახება სარგებლიან ქაღადებად, ნაწილი სახელდახელო ანგარიშად ამა თუ იმ საკრედიტო დაწესებულებაში. ეს სხვა-და-სხვა თანხა ამა თუ იმ შემოსავალს აძლევს ბანკსა სარგებლის სახითა. ეს შემოსავალიც ერთ-ერთი ნაწილია ბანკის საერთო მოგებისა და ყველაზედ დიდი შემოსავალიც არის შემდეგ იმ შესატანისა, რომელიც ყოველ-წლივ შეაქვთ მსესხებელთ 1%-ის სახითა. სხვა-და-სხვა თანხამ მისაც ბანკს სარგებელი 19-ის წლის განმავლობაში 503,376 მან. ყოფილა ისეთი წელიწიდი, როცა ბანკს სულ მცირე 16 ათასი მანათი სარგებელი აუღია; ყოფილა ისეთიცა, როცა სულ ბევრიც აუღია — 35 ათასი. ეს ბევრი აუღია 1877 წელს, როცა ბანკმა დაიწყო მოქმედება. ეს შესავალი ისე მოსდის ბანკს, რომ თვითონ თავს არაში იწუხებს, ეს შესავალი არის შესავალი ფულის პატრონისა, რომელიც სჭრის მხოლოდ შეკრატლით კუპონებს ბანკის ბილეთსა და მიაქვს ვადაზედ ბანკშივე სარგებლის მისაღებად, ეგ შესავალი შესავალია მუქთად-მყოფისა, მუქთა-მჭამელისა. ეს შემო

სავალი ისე მოგის, რომ მის გასაჩენად არაეითარს მონაწილეობას არ იღებს არა თუ ბანკი, არამედ არც მსესხებელი. ამ სარგებელს იხდიან იმ კერძო საკომიტეტით ბანკების შესხებელნი, საცა ინახავს თანხებს ჩვენი ბანკი, ან იხდის სახელმწიფო, რომლის სარგებლიანი ქაღალდებიც შეუძენია ჩვენს ბანკს.

5) გათავდება კიდეც ეს ჩამოთვლა საერთო მოგების შემადგენელ ნაწილთა, თუ მოვიხსენიერთ კიდევ ერთს ფრიად თავისებურს დარგს შემოსავლისასა, რომელსაც ეწოდება „ჯარიმა“. ვინც თავის დროზე არ შეიტანს ბანკში კუთვნილს შესატანს, იმას ბანკი ახდევინებს ჯარიმად თვეში ერთს ნაასალს (1%) იმ ფულისასა, რაც უნდა შეეტანა. ეს ჯარიმის ფული ცალკე დარგია ბანკის შემოსავლისა და გაუზიადებლივ შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელს დროს ჩვენი ბანკი თითქმის ამ ჯარიმის ფულითა სკოლელობს და თავის სასარგებლოდ იყენებს იმერეთის თავად-აზნაურობის უპირულობასა და დაუდევრობასა. ჩვენს ბანკში ფულის შემტანელნი რომ პირიანი ხალხი იყოს და თავიანთი შესატანი თავ-თავის დროზედ შექმნდეთ, ბანკი უნდა გამოსთხოვებოდა ერთს დიდს დარგს თავის შემოსავლისასა, მაგრამ ბანკის საბეჭნიეროდ და ჩვენის საზოგადოების საუბედუროდ პირიანობა და თავის დროზედ შესრულება ნატვირთის მოვალეობისა, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ დიდ ხანს არ გადიქცევა ჩვენს ზნედა და ჩვეულებად. დიალაცი, რომ უპირულობა და დროზედ შეუტანლობა შესატანისა, უპირველეს ყოვლისა, არის შედეგი ჩვენის სიღარიბისა, რომელიც ბევრს სხვა საქმეშიც ხელს გვიშლის და გვიცარავს, გარნა ეჭვი არ არის, რომ ეგ უპირულობი ძალიან ხშირად აიხსნება შით, რომ ხასიათი გვაქვს უზრუნველისა და დაუდევარის ადამიანისა, ზნედა გვჭირს ის უზრუნველობა, რომელიც საზოგადო თვისებაა ყოველის ქვეყნისა და ყოველის დროუგამის თავად-აზნაურობისა, უზრუნველობა, დაუდევრობა საქმეში, მეტადრე ფულისა და ანგარიშის საქმეში. იშვიათი არ არის ასეთი ამბავი, მაგალითად, რომ თავადი თუ აზნაური ჩამოდის სოფლიდან ქაღაქში და ჩამოაქვს ფული ბანკში შესატანად,

მაგრამ გაიტაცებს რამ ცოლნება ქალაქის ცხოვრებისა, დაწნებდება, ანუ აჰყება სისხლისა და ხორციში გამჯდარს ჩვეულებას და ან სულ მთლად, ან დიღს წილს ამ ფულისას ჰულანგავს უაზროდ და უთავბოლოდ, ხოლო ბანკში მიღის არა იმიტომ, რომ შეიტანოს, რაც შესატანი ერგება იმისაგან ბანქსა, არა-მედ იმიტომ, რომ დაუწყოს იქ ხევწნა, დამძირეთ შემოტანა, მიღის, რომ თავი დაიმკროს, იტყუოს, მოაღოროს, ვითომ და ბანკი, ნამდვილად კი უფრო თავისი თავი, იმიტომ რომ ბოლოს მაინც იმან უნდა შეიტანოს არამც თუ ის, რაც შესატანი აქვს აღებულ ვალისათვის, არამედ იმის მუდამ ცარიელ ჯიბისათვის საკმაოდ დიდი და საგრძნობელი ჯარიმაცა. მიღის მერე ამისთანა ჩათუქესანი ვაჟაპეტი სახლში და თავი მოსწონს, კმაყოფილია, პირს ღიმილი მოსდის, კარგად გავაცურე შენი დირექტორები ბანკისაო! ის კი არა თუ ამისთანა „ყოჩა-ლობა და ჩათუქესნობა“ დაუდევარის მსესხებლებისა დიდად ხელ-საყრელია არა თუ ბანკისათვის, როგორც დაწესებულებისათვის, არამედ თვით ბანკის მწარმოებელთა და მოჭახ-რაკეთათვისაც კი, რომელნიც ასეთის დაცლითა და უპირულ კლიენტების „ამებითა“ ოგებენენ გულს უპირულის მოვალეებისას, რათა მერე სამაგიტოდ ისინი დატრიიალდნენ და გაისარჯნენ, როცა მოაწევს დრო მათის არჩევნებისა.

რამდენად დიდია ის შემწეობა, რომელსაც აძლევენ ამისთანა ვაჟაბატონები ჩვენს ბანკს და რამდენად სასარგებლოდ იყენებს ჩვენი ბანკი იდამიანთა სისულელესა და დაუდევრობას, ესა სჩანს იქიდანა, რომ რაოდენობა ყოველ-წლივ შესულის ჯარიმისა თითქმის უდრის იმ ფულს, რომელიც გადაიდება ხოლმე ბანკის-მიერ წმინდა მოგებიდან საზოგადო საჭიროებათა და-საკმაყოფილებლად. ამისთანა სულელები რომ არ ყოფილიყვნენ, ღონისძიება არ გვექმნებოდა, რომ გავძლოლოდით ჩვენს ყოვლად არსებითს საზოგადო საჭიროებას—ესეც თქვენი ერთად-ერთი მაგალითი, ვგონებ, როცა სისულელეს სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის!..

აეიღოთ თუნდა ჩვენის აზრის დასასურათებლად უკანას-კნელი ხუთი წელიწადი და ენახოთ, რამდენი შემოდიოდა წე-

ლიწადში ჯარიმის ფული და რამდენს გადასდებდა ხოლმე ბანკურობის კი წმინდა მოგებიდან საზოგადო საჭიროებათათვის.

შემოვიდა ჯარიმა:				გადაიღო საჩ. საჭიროებისათვის:			
1891 წელს — 19,520 მან.	46 კ.	23,450	მან.	45 კ.			
1892 — — 21.612	" 97	19.148	"	56	"		
1893 — — 20.164	" 97	14.191	"	28	"		
1894 — — 19.469	" 28	20.944	"	81	"		
1895 — — 27.943	" 41	20.970	"	42	"		
<b>სულ</b>	<b>98.711 მან. 12 კ.</b>	<b>სულ</b>	<b>98.705 მ. 52 კ.</b>				

როგორცა პხედავთ, ამ უკანასკნელს ხუთს წელს ჯარიმის ფული ცოტათი უფრო მეტიც შემოსული იმ ფულზედ, რომელიც გადაიდებოდა ხოლმე საზოგადო საჭიროებისათვის. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ერთს მშევნიერს დღეს ქუთაისის ბანკის მსესხებლებმა ისწავლეს ჭყავა, დაუტევეს უზრუნველობა თვისი და აღარც არა შეიტანეს-რა ჯარიმად ამ უზრუნველობისათვის; მაშინ ხომ ასეთი ჩვენის საზოგადოებისათვის უზვეულო სათხოება დაპირისპირ ჩვენს ბანკს და გაპქრებოდა თითქმის ის ფულიც, რომელიც მიღის საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ღმერთმა კი დაგვიხსნას და ჩვენ რომ გასისწვრივებულის მსჯელობის უნარი გვექონდა, უნდა გვეთქვა, რომ ბიწიერებანი საზოგადოებისა ხან-და-ხან ხელ-საყრელია და კეთილდღეობის მომნიჭებელი მისთვისაო..

ხუთის წლის განმავლობაში, როგორცა ვნახეთ, ქუთაისის საზოგადოებამ მოგვცა 98 ათასი მანეთი, რომელიც, ექვი არ არის, მოქმედია სასარგებლოსა და საჭირო საქმეებსა. როგორა გვთნიათ ახლა, ჩვენ რომ ხელის-მოწერა გაგვემართა ჭ ნება-ყოფლობაზედ მიგვეგდო ფულის შეკრების საქმე, მოვბოჭავდით, მთლად ამ ფულს არ ვიტყვი, თუნდა მეოთხედს მაინც ამ 98 ათასის მანათისას, რაც უნდა დიდებულის აზრით გაგვემართა იგი ხელის-მოწერა, რაც უნდა დიდი გაჭირვებული საქმე გვექონდა გასაცეობელი ამ ფულითა? ძალიან ვეჭვობ!... ვინ იცის, რამდენს ვიწუწუნებით, ღარიბნი ვართო, ვინ მოგვცა ფულიო, რამდენს რამდენს

გაცვეთილსა და ოავ-მომაბეჭრებელს სიტყვას დავხარჯავდით, რამდენს წყევა-კრულვასა და ლანძღვა-გინებას შევუთვლიდით ხელის-მოწერის გამართვის თაოსნებსა და ბოლოსა და ბოლოს მოვბოჭვადით მხოლოდ ორიოდე საცოდავს ყროში! რა სჯობიან ბანკის ჯარიმის: ბანკის წესდება ულმობელია, როგორც ნემეზიდა, ვერავითარი მიზეზების მოდება და წუწუნი, ღარიბი ვარო, აქ კაცს ვერ უშველის და მანქანა ფულის მობოჭვისა ჰმოქმედობს ისეთის საცოტნებელის მოხერხებითა და გამარჯვებითა, რომ რაღაც ხუთს წელიწადში კინალამ 100,000 მან. იქმნა მოგროვილი!...

ქუთაისის ბანკის სანუგეშოდ ეს შეგვიძლიან ვსთქვათ მხოლოდ, რომ სრულიად რუსეთის იმპერიაში არ არის არც ერთი საიდგილ-მამულო ბანკი, რომელიც ცოტად თუ ბევრად შესამჩნევს შემოსავალს არ იღებდეს თავის კლიენტების უპირულობისა და დაუდევრობის წყალობითა. და თუ საკუთრად ჩვენის საზოგადოების ბედოვლათობისა და უპირულობის შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, არა იმიტომ სრულიად, რომ ეს გარემოება და თვისება განსაკუთრებით ჩვენის, კრედიტის ვითარების მისახვედროდ ჯერ ისევ მცირედ მიმზადებულის საზოგადოების გარემოებადა და თვისებად მიგვაჩნდეს. გარნა ტანი და ზომა ამ დაუდევრობისა და უპირულობისა, და მაშასადამე, ძალა და ქარი ბანკის რეპრესიისა და წინააღმდევობისა ასეთ უპირულობის მოსასპობლად, ყველგან ერთნაირი არ არის. რათა დავრწმუნდეთ, რამდენად გადააჭარბეს ქუთაისის ბანკის მსესხებლებმა ამ შემთხვევაში ყველა სხვა საადგილ-მამულო ბანკის მსესხებლებსა და რათა დავინახოთ ისიცა, რომ რაოდენობა ჯარიმის ფულისა, რომელიც ბანკს შესდის, წმინდა მოგებასთან შედარებით, ჩვენში ბევრის-ბევრად უფრო მეტია, ვიდრე გრძელ-ვადიან კრედიტის სხვა დაწესებულებაში, საკმაოა წარმოვადგინოთ აქ რამდენიმე დამხარდამხარებული კნობა; მაშინ მკითხველი თეალ-და-ოვალ დაინახავს ჩვენს გამარჯვებულს წინსვლას ამ ასპარეზზედა.



რუსეთის საქართველო საადგილ-მამულო ბანკებშიაც ერთნაირი შეფარდება არ არსებობს ჯარიმასა და წმინდა მოგებას შორის, რასაკვირველია; ზოგს მეტი შესდის ჯარიმის ფული, ზოგს — ნაკლები. ხოლო ჩვენის აზრისათვის საჭირო არ არის, რომ თვითეულს ბანკს გამოვეკიდოთ ცალკ-ცალკე და ამიტომ ვიქმირებთ ზოგადს ციფრებსა.

რუსეთის 10 საქართველო ბანკში წმინდა მოგება იყო \*):

1893 წელს — — — 7.228,973 მან.

1894 " — — — 7.580,688 "

1895 " — — — 8.264,452 "

ამავე ხნის განმავლობაში ყველა თას ბანკს შეუვიდა უპირულ მსესხებელთაგან ჯარიმა:

1893 წელს — — — 1.307,560 მან.

1894 " — — — 1.432,993 "

1895 " — — — 1.767,577 "

როგორც ჰქედავთ, ჯარიმის ფული კარგა დიდ-ძალი ფულია. გარნა თუ მოვინდომებთ შეტყობის, რამდენს პროცენტს ანუ ნაასალს შეადგენს ჯარიმა წმინდა მოგებისას, აღმოჩნდება, რომ ეგ პროცენტი იყო:

1893 წელს — — — 18%	} 19,7%
1894 " — — — 19,8%	
1895 " — — — 21,3%	

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, რაც ჯარიმის ფული აულიათ ბანკებსა, არ აღემატება  $\frac{1}{5}$  ნაწილს ამ ბანკების წმინდა მოგებისას.

ქუთაისის ბანკში წმინდა მოგება იყო იმავე ხნის განმავლობაში.

1893 წელს — — — 23.652 მან.

1894 " — — — 34.908 "

1895 " — — — 34.950 "

\*) „Статистика долгосрочного кредита въ России 1896 г.“, Вып. I, стр. 12—13.



### ხოლო ჯარიმა შეუვიდა ბანკს

1893	წელს	—	—	—	20.164	მან.
1894	"	—	—	—	19.469	"
1895	"	—	—	—	17.943	"

ამ სახით, რაოდენობა ჯარიმის ფულისა მის წმინდა მოგებასთან შეფარდება-შედარებით იყო

1893	წელს	—	—	87,6%	65,7%
1894	"	—	—	57%	
1895	"	—	—	52,7%	

მაშინ როდესაც რუსეთის სააქციონერო ბანკებში ჯარიმა ორთა-შუა რიცხვებით სამ-წლოვანს ხანსა 1893—1895 წლ. შეადგენდა 19,7%-ს წმინდა მოგებისასა, ქუთაისის ბანკში იმავე ხანს ჯარიმა იყო 65,7%-ი წმინდა მოგებისა, ესე იგი სამჯერ მეტზედ უმდგრადი. ვიდრე სააქციონერო ბანკებში.

სხვა სიტყვებით რომ ესთქვათ, ქუთაისის მსესხებელთა შორის სამჯერ მეტი იყო უპირული მხდელი ვალისა, ვიდრე რუსეთის სააქციონერო ბანკების მსესხებელთა შორის ანუ პირველთ სამჯერ მეტი ჯარიმა გადიხადეს, ვიდრე მეორეთა: ყველამ იცის, რომ ზომა სასჯელისა ეშესაბამება დანაშაულის ძალასა და ხსიათსა.

მეოთხეველთათვის საინტერესო უნდა იყოს, ვგონებ, შედარება ქუთაისისა და ტფილისის მსესხებელთა იმ მხრივ, თუ რომელი უფრო პირიანები და ბეჭითად ამსრულებელნი არიან თავიანთ ვალდებულებათა: შესაძლოა, რომ ქუთათერებმა ამ შემთხვევაში უფრო სანუგეშო რამ დაინახონ, ვადრე რუსეთის სააქციონერო ბანკების პრაქტიკაში ნახეს.

ტფილისის ბანკიც ხამი არ არას, რასაკვირველია, ამ საქმის, და საგანი ჯარიმისა იმანაც უწყის; ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ ამ ბანკის ანგარიშებში ჯარიმის ზოლს საკმად საპატიო ადგილი უჭირავს, თუმცა არა ისეთი საპატიო კი მაინც, როგორც ქუთაისის ბანკის ანგარიშებში და, ასე გასინჯეთ, არც იმისთვის საპატიო ადგილიც კი, როგო-

რიც უჭირავს იმ ზოლს რუსეთის სააქციონერო ბანკებში ბანკების რამაც უფრო მეტად უნდა გააკვირვოს, თქმა არ უნდა, მკი-თხველი.

წმინდა მოგება ტფილისის ბანკისა იყო:

1893	შელს	—	—	177.920	მან.
1894	"	—	—	211.109	"
1895	"	—	—	225.551	"

ჯარიმა იყო იმავე ბანკში

1893	შელს	—	—	25.437	მან.
1894	"	—	—	28.061	"
1895	"	—	—	32.689	"

თავის-თავად ამ ჯარიმათა რაოდენობა ნაკლები აღარ არის, რასაკვირველია, ქუთაისის ბანკის ჯარიმათა რაოდენობაზედ, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ტფილისის ბანკის წმინდა მოგების რაოდენობას, აღმოჩნდება, რომ წმინდა მოგებასთან შეფარდებით ტფილისის ბანკში ჯარიმა იყო.

1893	შელს	—	—	14,3%	14%
1894	"	—	—	13,8%	
1895	"	—	—	14,5%	

ამ სახით, ქუთაისისა, რუსეთის სააქციონერო საადგილ-მამულო ბანკებისა და ტფილისის ბანკის შედარებითა სჩანს, რომ თვისის უპირულობით პირველი ადგილი უჭირავთ ქუთაი-სის ბანკის კლიენტებსა, მერე რუსეთის სააქციონერო ბანკე-ბის კლიენტები არიან და სულ უკანასკნელი ადგილი უნდა დაეთმოთ ტფილისის ბანკის მსესხებელთა, ზომა და რაოდე-ნობა ჯარიმისა წმინდა მოგებასთან შედარებით სამის წლის განმავლობაში (1893—1895 წწ.) იყო

ქუთაისის ბანკში — — — 65,7%

რუსეთის სააქც. ბანკებში — — 19,7%

ტფილისისაში — — — 14%

ქუთაისის ბანკის ჯარიმის რაოდენობა რომ ასად მიეიჩიოთ, რუსეთის სააქციონერო ბანკების ჯარიმა შეადგენს



29,2%-ს ქუთაისის ბანკის ჯარიმისას, ხოლო ჯარიმა ტფილისას ბანკისა მხოლოდ 21,5%-ს ანუ მეხუთედს ნაწილს ქუთაისის ბანკის ჯარიმისას. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ ესე-ვე, გამოვა, რომ ქუთაისის ბანკი ხუთჯერ მეტს სამკალსა ჰქონდა უპირულ მოვალეთა შორის, ვიდრე ტფილისისა. ან ასეც შეიძლება ითქვას, რომ მაშინ როდესაც ტფილისის ბანკში 100 კაცზედ 1 უპირული მსესხებელი მოდის, ქუთაისისისაში ამისთანა უპირული 5 კაცია.

თქვენ როგორც გნებავდეთ და, ჩვენის ფიქრით კი, ეს ისეთი ხელ-საყრელი პრაპორცია არის ქუთაისის საზოგადოებისათვის, რომ ჭეშმარიტად შეუძლიან თავი მოიწონოს და სთქვას, ეს ძალიან გაუკაცობა გამომიჩნიათ! ქუთაისის გუბერნიის, იმ სავალდებულო შესატანს გარდა, რაც უნდა შეიტანოს ბანკში, შეაქვს კიდევ ყოველ-წლივ 20 ათას მანეთამდე ჯარიმა. ეს წყალში გადაყრაა ფულისა მსესხებელთა-მიერ და სხვა არა-რა. ქუთაისის მსესხებელთა დაუდევრობა და უპირულობა რომ არ აღემატებოდეს ტფილისელ მსესხებლის დაუდევრობა-უპირულობას, ხუთჯერ ნაკლების ფულის მოვალე იქმნებოდა. მაშასადამე, ქუთათურნი მსესხებელნი მოვალენი იქმნებოდნენ ხუთჯერ ნაკლები ეხადნათ, ესე იგი 20 ათასის მანათის მაგიერ მხოლოდ 4 ათასი მან. ცხადია, მაშ, რომ ქუთათურნი მსესხებელნი მარტო ჯარიმის ფულს იხდიან ტფილისელებზედ მეტს 16 ათას მანეთსა.

ამ სახით, უკვე ჩამოვთვალეთ თვითეული ნაწილი საერთო მოგებისა, რომელსაც იღებს ქუთაისის ბანკი. აღმოჩნდა, რომ ხუთი დარგი აქვს მაგ მოგების შემოსავლისა:

- 1) ყოველ-წლიური 1%-იანი შესატანი — 642,739 გ. 50 კ.
  - 2) ერთგზობისი 1%-იანი შესატანი — 41,896 გ. 16 კ.
  - 3) სარგებელი მოკლე-ვად. გაც. სესხთა — 204,784 გ. 10 კ.
  - 4) სხვა-და-სხვა სარგებელი, რომელსაც თავ-ნობს ბანკის სხვა-და-სხვა თანხა — 503,376 გ. 58 კ.
  - 5) ჯარიმა — — — — 279,400 გ. 11 კ.
- |     |                    |
|-----|--------------------|
| სულ | 1,672,196 გ. 45 კ. |
|-----|--------------------|



საერთო მოგება რომ ასაც დავსახოთ, მისი შემაღენელი ნი ნაწილნი ნაასალობრივის გამოანგარიშებით ასე გამოიხატება:

1) ყოველ-წლიური 1%-იანი შესატანი —	38,4%
2) სხვა-და-სხვა სარგებელი ბანკის სათავნო თანხისა — — — —	30,1%
3) ჯარიმა — — — —	16,7%
4) სარგებელი მოკლე-ვადიან სესხთა —	12,3%
5) ერთგზობისი 1%-იანი შესატანი —	2,5%

ყველაზედ დიდი ნაწილი საერთო მოგებისა არის ყოველ-წლიური შესატანი მსესხებელთა ბანკის სასარგებლოდ ერთის პროცენტის რაოდენობისა, მერე სარგებელია, რომელსაც იღებს ბანკი თავის სათავნო თანხებისასა და რომელიც ინახება ან სარგებლიან ქაღალდებადა, ან სახელდახელო ანგარიშად სხვა-და-სხვა ბანკებში; შემდეგ შუა-ვული უჭირავს ჯარიმას, რომელსაც თბილი იდგილი ამოურჩევია—ბანკის შემოსავლის სხვა დარგთა შუა; სარგებელი, რომელსაც იღებს ბანკი მოკლე-ვა-დით გასესხებულ ფულზე მოსდევს ჯარიმას და შეაღენს მე-სამედს ნაწილს იმ შესავლისას, რომელიცა აქვს ბანკს ყოველ-წლიურ ერთ-პროცენტიან შესატანისაგან მსესხებელთა-მიერ ბანკის სასარგებლოდა, და დასასრულ, უკანასკნელი იდგილი უჭირავს იმ ერთ-პროცენტიანს შესატანს მსესხებლებისას, რომელიც ერთხანად შესდის ბანკს და უძლვება მამულების დაფა-სების ხარჯსა.

#### ▼

ასეთია საერთო შემოსავალი ჩვენის ბანკისა მთლიან იმ ხნის განმავლობაში, რაც ხანი ბანკი არსებობს.

უკეთუ გამოვალთ აქედან ხარჯს, რომელიც გაუშევია ბანკს იმავე ხნის განმავლობაში, ძირს დაგვრჩება წმინდა მოგება ბანკისა.

ბ-ნი რევიზორი იმ ცხრილითა, რომელიც ჩართულია ან-გარიშში, ოთხ დარგადა ჰყოფს ბანკის ხარჯსა: 1) ხარჯი ჯამა-



გირებისა და გამგებლობისა; 2) სხვა-და-სხვა ხარჯი; 3) გენერალური ტაქსი თილება ბანკის ზარალისა და 4) ორა-ჩვეულებრივი ანუ ექსტრა-ორდინარი ხარჯი.

პირველ დარგს ხარჯისას განმარტება არ უნდა: ეგ ხარჯია ჯამაგირები გამგეობის წევრთა და ბანკის მოხელეთა, ქირა სახლისა, ფოსტა და ტელეგრაფი და სხვა ამგვარები.

რაიცა შეეხება მეორე დარგს, რომელსაც ეწოდება სხვა-და-სხვა ხარჯი, აქ იგულისხმება: შესყიდვა გირავნობის ფურცელთა და კუპონებისა, გადასახადი მოგებისათვის მთავრობის სასარგებლოდ, საგერბო გადასახადი და სხვ.

მესამე დარგი ხარჯისა შეეხება ბანკის ზარალს, რომელიც მოსდევს მმულების დარჩენას ბანკზე, რომლის გაბათილება დაიწყო მთოლოდ 1883 წლიდან.

დასასრულ, მეოთხე დარგი ხარჯისა, რომელიც სახელდებულია „ექსტრა-ორდინარ ხარჯად“ შემოღებულია 1887 წლიდან და არის წინდა-წინ დახარჯვა ფულისა საზოგადო საჭიროებათათვის. როცა წმინდა მოგების ნაწილი, გადაღებული საზოგადო საჭიროების დასაქმაყოფილებლად, საკმაო არ აღმოჩნდებოდა ხოლმე ამ საგნისათვის, მეტი ლონგ არ იყო ხოლმე, ბანკს უნდა წინ-და-წინ გაედო ფული მიმდინარე წლის მოგებათა იმედით. ესეთი გაღება ფულისა თითქმის სესხად აღებაა მისი საზოგადო საჭიროების თანხის-მიერ ბანკის საერთო მოგებიდან, მაგრამ თან ისეთი სესხად აღებაა, რომელზედაც შეიძლება ითქვას, ავიღე და აღარ მოგეციო, ვისესხე და აღარ ჩაგასესხეო, რადგან ასე აღებული სესხი აღარ უბრუნდებოდა ბანკის საზოგადო შემოსავალს; ამიტომ ბანკის ბუზგალტერი ბანკის ხარჯში ჩარისხავს ხოლმე ასე ფულის გაღებას და რაც ამ სახით იხარჯება ექსტრა-ორდინარად ანუ აეანსად გაცემით საზოგადო საჭიროებათათვის, იმას მოჰსლის ხოლმე ბანკის საერთო მოგებაში. აი ამიტომ წმინდა მოგება ბანკისა ნაჩვენებია ხოლმე ბანკის ანგარიშში იმდენად ნაკლებად, რამდენიც აეანსით არის წაღებული, რაიცა, როგორც ვსთქვით, ბანკის ხარჯშია ხოლმე ჩათვლილი.

ბუხვალტერიის მხრით, ასეთი წესი სრულიად კანონიერია, გარნა არსებოთად ექსტრაორდინარი ხარჯი უნდა ჩაითვალოს არა ბანკის ხარჯად, არამედ წმინდა მოგების ხარჯში, ანუ, უფრო უკეთ რომ ესთქვათ, წმინდა მოგების იმ ნაწილის დანახარჯად, რომელიც გადაიდება ხოლმე საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ასევე უცქერის ამ საქმეს ბ-ნი რევიზორიცა, თუმცა ბუხვალტერიის მოთხოვნილების დასაცველად, თვის საზოგადო ცხრილში, საცა თავი-თავს აქვს მოყრილი ერთად სხვა-და-სხვა ხარჯს, ექსტრაორდინარ ხარჯს ათავსებს ბანკის საზოგადო ხარჯის ზოლში და, მაშინადამე, გამოიდის ამ ხარჯს წმინდა მოგებიდან იმდენად, რამდენადაც იგი წმინდა მოგება არსებობს ნამდვილად.

1) ხარჯის ზემოხეენებულ დარგთა შორის უფრო შესამჩნევს ნაწილს წარმოადგენს ხარჯი ჯამაგირებისა და ბანკის გამგებლობისა. იმ ხნის განმავლიბაში, რაც ბანკი არსებობს, 1877 წლიდან 1895 წლამდე, ეს ხარჯი კარგა დიდია და შეადგენს 502,629 მან. 99 კაპ. თითქმის ერთი მესამედია, სახელდობრ 30,1%, ხაერთო მოგებისა.

თქმა არ უნდა, რომ ამოდენა ხარჯი, 30% ჯამაგირებადა და ბანკის გამგებლობისათვის, მეტის-მეტად დიდია. ბ-ნი რევიზორი ამბობს: „პროცენტი ყოველ-წლიურის ხარჯისა ჯამაგირებისა და ბანკის „გამგებლობისათვის რაოდენადმე დიდია თავის-თავადაცა და სხვა ბანკების ხარჯთან შედარებითაცა; მაგალითად, ხარჯი ჯამაგირებისა ს.-პეტერბურგ-ტულის ბანკში იყო 1893 წელს 25% საზოგადო მოგებისა, მოსკოვისაში—მხოლოდ 12%, დასასრულ, მიხეილის ბანკთან იხლო მყოფ ტფილისისაში—19%“ \*).

ეს საყვედური, ცოტა არ იყოს, სამართლიანი არა მეონია. საპროცენტო შეფარდების მხრით იქნება დიდია და ძალიან დიდიც ხარჯი ჯამაგირებისა და ბანკის გამგებლობისათ-

\* ) ინგირიში, გვ. 28.

ვის, მაგრამ უეჭველია ისიცა, რომ არც ერთს საადგილ-მამულო ბანკში დირექტორები და მოხელენი არ იღებენ ისეთს მცირე ჯამაგირებსა, როგორც ჩვენს ბანკში.

ბ-ნი რევიზორი იმაწმებს ს.-პეტერბურგ-ტულის და მოსკოვის ბანკებს, მაგრამ მათი დამაწმება ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, ვერ არის კანონიერი საქმე, იმიტომ რომ ბ-ნს რევიზორს არ მიუღია მხედველობაში წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც გადაიდება ხოლმი იმ ბანკებში გამგეობის წევრთა და ბანკის მოხელეთა სასარგებლოდ.

გარნა თუ ჯამაგირებისა და გამგებლობის ხარჯს მივათვლით დირექტორებისა და მოხელეთა დასაჯილდოვებლად წმინდა მოგებიდან გადადებულს ფულს, აღმოჩნდება, რომ, მაგალითად, იმავე ს.-პეტერბურგ-ტულის ბანკში, რომელსაც საერთო მოგება ჰქონდა 1893 წელს 933,098 მან., ხარჯი ჯამაგირებისა და ბანკის გამგებლობისათვის და მოხელეთა საპროცენტო დასაჯილდოვებელი ფული შესდგა 323,397 მან.\*.) ხოლო ეს შეადგენს არა 25%-ს საზოგადო მოგებისას, როგორც ამბობს რევიზორი, არამედ 34,5%-ს, რაიცა შესამჩნევად მეტია ჩვენის ბანკის ყოველ-წლიურის ხარჯის პროცენტზედ; იმისას ნულარას ეიტყვით, რომ ჩვენს დირექტორებსა და მოხელეთა სიზმარშიაც არ მოეზმანებათ ისეთი ჯამაგირები, რა ჯამაგირებსაც რუსეთის ბანკებში იღებენ.

იგივე შედევი აღმოჩნდება, უკეთუ შევუდარებთ ხარჯს ჯამაგირებისა და გამგებლობისასა საპროცენტო დაჯილდოვების ზედ-დართვით საზოგადო საერთო მოგებას რუსეთის ყველა სააკციონერო ბანკებში.

ხარჯი ჯამაგირებისა საპროცენტო დაჯილდოვების ფულის ზედ-დართვით იყო ამ ბანკებში:

1893	წელს	—	—	2.916,999	მან.
1894	წ.	—	—	3.073,617	—
1895	წ.	—	—	3.235,671	—

\*.) „Статистика долгосрочного кредита въ Россіи“ за 1896 г.“ стр. 12—13.

იმავე დროს საერთო მოგება ყველა ზემოხსენებულს ბანკში იყო:

1893	წელს	—	—	9.866,779	მან.
1894	წ.	—	—	10.525,677	—
1895	წ.	—	—	11.301,267	—*)

ამ სახით, ხარჯი ჯამაგირებისა და გამგებლობისა საერთო მოგებასთან შეფარდებით იყო:

1893	წელს	—	—	—	29,6%
1894	წ.	—	—	—	29,3%
1895	წ.	—	—	—	28,7%

ესე იგი ოთქმის იმდენივე, რამდენიც ჩვენს ბანკში, იმ დიდის განსხვავებითა მხოლოდ, რომ დიდი გარჩევაა იმაში, რაც ამ პროცენტებს ქვეშ იგულისხმება ნამდვილად ჩვენის და რუსეთის ბანკების შესახებ; იმდენად დიდი გარჩევაა, რომ არც ერთი დირექტორი ანუ მოხელე რუსეთის ბანკისა არ მოინდომებდა, სხვაფრივ რომ არავითარი დაბრკოლება არა ყოფილიყო-რა, ჩვენს ბანკში სამსახურსა. წინდაწინვე უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ ეს ასე იქმნებოდა.

წინააღმდეგ ბ-ნ რევიზორის ანგარიშისა, ტუილისის სათავად-აზნაურო ბანკიც არაოდეს ნაკლებს არა პხარჯავს ჯამაგირებისა და გამგებლობისათვის ქუთაისის ბანკზედ: ბ-ნი რევიზორი შეუცლენია იმ გარემოებასა, რომ ბუხალტერის ეტანება და ეტრფის ნამეტნობით, ხოლო ბუხალტერის თანხმად ხარჯი ჯამაგირებისა უნდა გამოირიცხოს საერთო მოგებილანა, საპროცენტო დაჯილდოვების ფული კი — წმინდა მოგებილანა, თუმცა არსებითად ეგ ერთი და იგივე ხარჯია ბანკისათვის, საიდანაც უნდა იქმნას გამორიცხულ-გამოკლებული.

უკანასკნელი ორი წელიწადი რომ ივილოთ, 1894 და 1895 წელი, როცა უფრო დიდი საერთო მოგება იყო, მაშინაც კი აღმოჩნდება, რომ ტფილისის ბანკს, რომელსაც ჰქონდა

\*\*) იქვე.

1894 წელს — 266,384 მან. საერთო მეცნიერება, ხოლო  
1895 წელს — 280,384 „

დაუხარჯნია ჯამაგირებისა და გამგებლობისათვის, საპრა-  
ცენტო დაჯილდოვების ზედ-დართვით

1894 წელს — 78.985 მან.  
ხოლო 1895 წელს — 87.592 „

რაიცა, პროცენტებად რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს

1894 წლისათვის — 29,5%-ს  
ხოლო 1895 — — 31,2%-ს

სხვა სიტყვებით რომ ვსოდათ, გამოვა, რომ ტფილისის  
ბანკი ჰარჯავს ამ საგანზე ისეთსავე პროცენტს თავის საზო-  
გადო შემოსავლისას, როგორც ქუთაისის ბანკი, და არა მხო-  
ლოდ 19%-ს, როგორც ამბობს ბ-ნი რევიზორი.

მე იმის თქმა არ მინდა ამითა, რომ ვითომ ხარჯი ჯამა-  
გირებისა და ბანკის გამგებლობისათვის—დიდი არ იყოს: ეგ  
ხარჯი დიდია, მაგრამ დიდია ყველა ბანკში ერთნაირად. ვინ  
იტყვის, რომ ხარჯვა ბანკის შემოსავლის მოელის მესამედისა  
მის გამგებლობისათვის ანორმალური და უწესო ამბავი არ  
იყოს, მაგრამ რას იზამთ, რომ ასეთია ლოლიკა საქმეთა ვითა-  
რებისა, რომლის საწინააღმდევოდ ჩვენ უბედურნი ეართ, მით  
უმეტეს, რომ ქუთაისის ბანკმა ყოველივე იტვირთა დაზოგვისა  
და იოლიანდის მხრით, რაც კი შეიძლებოდა: გააუქმა საპრა-  
ცენტო დაჯილდოვება, დაუკლო ჯამაგირები მოხელეთა და  
საზოგადოდ ძუნწობს მეტი-მეტად, მაგრამ მაინც ვერა მოუ-  
ხერხებია-რა, არა იმიტომ რომ თვით ხარჯია დიდი, არამედ  
იმიტომ რომ მცირეა საზოგადო შემოსავალი ბანკისა. მოუმა-  
ტეთ ბანკის შემოსავალს ერთი-ორად და ისვე ხარჯი სწილ  
გამგებლობისათვის და მაშინ პროცენტი ყოველ-წლიურის ხარ-  
ჯისა გამგებლობისათვის 30%-დან ჩამოხდება 15%-მედ და ხელ-  
ში დაგვრჩება იდეალური ბიუჯეტი...

2) მეორე დარგი ხარჯისა სახელდებულია „სხვა-და-სხვა  
ხარჯადა“. რა და რისაგან შესდგება ეს ხარჯი, ეს უკვე მოვი-

ხსენიე ზემორე. ამ დარგის ხარჯია სულ ბანკის არსებობის ხანში 63.830 მან. 92 კაპ.

3) შემდეგ არის ის დარგი ხარჯისა, რომლის დანიშნულებაა გააუქმოს და მოსპოს ზარალი ბანკისა. ზარალი ჩვენის ბანკისა დიდია, დიალ ძალიან დიდია. მოსპობა და გადახდა ზარალისა საერთო შემოსავლის ფულით დაიწყო 1883 წლიდან და, 1890 წლის გარდა, ყოველ წლივ სწარმოობდა იგი. მაშა-სადამე, 19 საანგარიშო წელში—7 წლის განმავლობაში ბანკს სრულიად არ უხდია ზარალი, ხოლო დანარჩენ 12 წელს ზა-რალს იხდიდა ბანკის საერთო შემოსავლის ფულითა.

ამ 12 წლის განმავლობაში გადახდალია ამ სახით 312.097 მან. 97 კაპ. უკეთუ ავიღებთ საერთო მოგებას ამ 12 წლის განმავლობაში და შევუდარებთ ზარალს, აღმოჩნდება, რომ ზემოხსენებულ 12 წელში ბანკს ჰქონდა საერთო მოგება— 1.185.170 მან. 15 კაპ., ხოლო ზარალი გადუხდია იმავე წნის განმავლობაში 312.097 მან. 97 კაპ. ეს შეადგენს 26,3%-ს სა-ერთო მოგებისას. ანუ, სხვა სიტყვებით, საერთო მოგების ერთს მეოთხედზედ მეტი დახარჯულია იმ ზარალის გადასახდელად, რომელიც ბანკს მოსელია დაგირავებულ მამულებზედ, ესე იგი იმ მამულებზედ, რომელიც ბანკს დარჩნია.

სამწუხაოოდ, ხელთ არა მაქვს ტფილისის ბანკის ყველა წლის ანგარიშები, რომ შევადგინო ნუსხა იმ ზარალისა, რო-მელიც მოსვლია ტფილისის ბანკს თავის არსებობის განმავ-ლობაში. ბ-ნს რევიზორსაც ტფილისის ბანკისასა არ მოჰყავს თავის ანგარიშში დაწერილებული ცნობანი ამ საგნის შესახებ, ისე რომ შესაღარებლად უნდა დააცემოდეთ იმ ნაწყვეტ-ნაწ-ყვეტ ცნობათა, რომელიც ბ-ნ დობეცის ანგარიშშია ჩართული.

ტფილისის ბანკის რევიზორის გარაუდით, მთლიად ამ ხან-ში, რაც ბანკი არსებობს, დარჩენია ამ ბანკს 117 მამული და ზარალი უნახავს ამ საქმეში 545,911 მან., აქედან სოფლის მამულებზედ უზარალნია სულ 65.672 მან. უმეტესი ნაწილი ამ ზარალისა, რევიზორის აზრით, ნება-ყოფლობითია, ესე იგი ბანკს ეგ ზარალი განზრახ უტვირთნია, საზოგადო ხასიათის

მოსაზრებათა ძალითა. დიდი წილი ზარალისა მოსვლია ბანკს ესრედ-წოდებულ არწრუნისეულს ქარვასლაზედ, რომელიც პირელად თვითონ დაიტოვა ბანკშა, ხოლო შემდეგ გადასცა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას და სოფლის მამულ სკრაზედ (შალიკაშვილისეული), რომელიც მიჰყიდა ბანკმა სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოებას. ამ ორს მამულზედ ბანკმა იზარალა 220.148 მან.—ეს, რეეიზორის სიტყვით, ნება-ყოფლობითი ზარალია, იმიტომ რომ ბანკს ყოველთვის შეეძლო ეგ ზარალი თავიდან აეცილებინა, უკეთუ არ მოეწოდომებინა საფინანსო მოსაზრებანი გაეწირნა საზოგადო ხასიათის მოსაზრებათათვის. ხოლო რაღაც ამ ზარალს განსაკუთრებული თვისება აქვს, ამიტომ, თუ გამოვალთ ამ ფულს ტფილისის ბანკის ზარალის საერთო რაოდენობიდან, აღმოჩნდება, რომ მთლად თვისის არსებობის განმავლობაში ბანკს უზარალნია მხოლოდ 327.763 მან., ესე იგი თითქმის იმდენივე, რაც ქუთაისის ბანკს. ამ სახით, მართალია თავის-თავად რაოდენობა ზარალისა ერთნაირია ორსავე ბანკში, გარნა შედარებით რომ ავილოთ, ორივეს ზარალი ერთნაირი და თანაბარი არ აღმოჩნდება. ტანი და ზომა სესხის გაცემის ოპერაციისა ორსავე ბანკში მეტად განსხვავდება და იმიტომ არ შეიძლება ცხადად არ დავინახოთ, თუ რამდენად ღიღია და უზომლო დიდი ზარალი ქუთაისის ბანკისა.

1896 წლის 1 იანვრისათვის ტფილისის ბანკს ჰქონდა გაცემული სესხი 15.501,249 მან., ხოლო ქუთაისისას—მარტი 2.791,379 მან.

ეს იმასა ჰითნავს, რომ უკეთუ ტფილისის ბანკის-მიერ გაცემულ სესხს ასად დავსახავთ, ქუთაისის ბანკის მიერ გაცემული სესხი შეადგენს იმის 18%-ს ანუ უფრო ნაკლებს, ვიდრე 1%, ნაწილი ტფილისის ბანკის სესხისა.

ხოლო უკეთუ ქუთაისის ბანკის სესხს დავსახავთ ასად, ტფილისის ბანკის სესხი შეადგენს 555%-ს, ანუ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ერთი ხუთად.

ამ შეფარდებით, ქუთაისისა და ტფილისის ბანკის გირავნობათა ზარალიანობა რომ ერთნაირი ყოფილიყო, ქუთაი-

სის ბანკს ხუთჯერ ნაკლები ზარალი უნდა მოსვლოდა, ვიდრე ტფილისისას, ისე რომ ქუთაისის ბანკის ზარალი უდრის, ვსო-ქვათ, 300,000 მანათს, ტფილისის ბანკის ზარალი უნდა იყოს 1.500,000 მანათზედ მეტი.

ხოლო რადგან ორისავე ბანკის ზარალი, ოფორტუ ზემოდ იყო ნათევამი, თითქმის ერთნაირის რაოდენობისაა თავის-თავად, აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ ქუთაისის ბანკის უზარალნია დარჩენილ მამულებზედ ხუთჯერ მეტი, ვიდრე ტფილისისას.

გარნა ზარალი ქუთაისის ბანკისა კიდევ უფრო მეტია, ვიდრე მოხსენებულია ზემორე. 1894 წლის 28 დეკემბრისათვის ბანკს ჰქონდა დარჩენილი, ოფეიზორის ანგარიშით, 48 მამული; მათ შორის 41 სოფლისა და 7 ქალაქისა. ამ მამულებზედ, ბ-ნ ოფეიზორის აზრით, ბანკი მოელის ზარალი არა ნაკლებ 80 ათას მანათისა.

მეტად საინტერესოა პატარა ნუსხა, რომელიც მოჰყავს რევიზორს და რომელიც გვაუწყებს, რა შემოსავალს იღებს ბანკი დარჩენილ მამულებიდან.

„იმ ცნობათაგან, რომელიც მაცნობა ბანკის მამულების გამგებელმა და სხვა ცნობათაგანაცაო,—ამბობს ოფეიზორი, — ადვილია საკმაო სიცხადით წარმოიდგინოს კაცმა, რა შემოსავალი აქვს ბანკს იმ მამულებიდან, რომელიც მას დარჩენია, ხოლო აქედან შეუძლიან დაასკვნას ისიცა, თუ რამდენად უხერხულოდ და გლახად განაგებს ბანკი თავის მამულების საქმეს და თუ რამდენად საზარალოა მისთვის მამულების პატრონად ყოფნა. საზოგადო ციფირები ბანკის მამულების შემოსავლისა და ზედე დახარჯულისა სამის წლის გინმავლობაში (1892—1884 წ.) ასეთია:

დახარჯულ იქმნა	საპროცენტო
სულ შემოვადა (შეკეთება, დაზღვევა, გადა- სახადები, გამგებლობა და დამტკიცება)	კილდო მამულების გამგებელს
1892 წ. 11.134 გ. 27 კ. 5.794 გ. 26 კ. 1.387 გ. 97 კ.	
1893 წ. 9.966 „ 97 „ 4.539 „ 25 „ 1.116 „ 19 „	
1894 წ. 9.116 „ 46 „ 11.574 „ 78 „ 1.248 „ 57 „	
<b>სულ 3 წ. 30.217 გ. 70 კ. 21.907 გ. 99 კ.</b>	<b>3.752 გ. 73 „</b>

შესამჩნევად დიდი ხარჯი, გაწეული 1894 წელს, იმითი აიხსნება, რომ იმ წელს დაუხარჯავთ 7 ათასი მანათი იმ 15 მამულის დასამტკიცებლად ბანკის სახელზედ, რომელიც მანამ-დე დამტკიცებული არა ყოფილიყო, თუმცა ბანკს დარჩენოდა ეს მამულები 1889 წლიდანვე დაწყებული (ის მამულები, რო-მელიც ბანკს დარჩა 1894 წელს, ჯერ ისევ დაუმტკიცებელია ბანკის სახელობაზედ).

„შემოსავალი საერთო რაოდენობიდან რომ გამოვიდეთ (30.217 მ. 70 კ.) ხარჯია და მოურავ-გამგებლის ჯილდოს (21.907 მ. 92 კ.+3.752 მ. 73 კაპ.), დარჩება წმინდა შემოსა-ვალი სამის წლისა სულ 4.556 მ. 98 კ., ორთა შუა-რიცხვით, წელიწადში 1.500 მ. აი ეს მცირებულ-მცირე შემოსავალი ჰქონდა ბანკს უკანასკნელ სამს წელს იმ მამულებიდან, რო-მელიც ხელში შერჩა. დახლოვებულის ვარაუდით, სარგებლი-სა და თავნის ხდის ხარჯი ამ მამულებზედ გაცემულის სესხი-სა შეაღებს 20 ათას მანეთს წელიწადში. ბანკს აკლდება, მა-შასადამე, ყოველ წლივ 18 ათას მანეთამდე შესასრულებლად თვისთა ვალდებულებათა იმ მამულების შესახებ, რომელიც ხელ-ში შერჩენია. ბანკი ჰქარჯავს ამ ფულს ყოველ-წლივ და პიშ-ნავს, რომ ეს ხარჯი დასაბრუნებელი ხარჯიაო. ამ ხარჯისა მხოლოდ მცირე ნაწილს იხდის ბანკი ყოველ-წლიურ წმინდა მოგებიდან, უმეტესი ნაწილი კი მისი, რომელიც წლითი-წლო-ბით უფრო მატულობს და მატულობს, იხარჯება ბანკის-მიერ ძირის თანხიდან“ (ანგარიში, გვ. 79—80).

საზოგადოდ, ბ-ნ რევიზორის აზრით, „ყოვლად და ყოვ-ლად სუსტობს ბანკი იმ მამულების მოვლის საქმეში, რომე-ლიც თვითონა რჩება“ (გვ. 75). „პირდაპირ შეიძლება სთქვას კაცმა,—ამბობს შემდეგ ბ-ნი რევიზორი,—რომ იმ მამულები-სათვის, რომელიც ბანკსა რჩება, არ არსებობს არავითარი ან-გარიში. არც ბალანსებში, არც წლიურ ანგარიშებში არავი-თარი ისეთი ცნობანი არ არის ჩართული, რომ კაცი მიხედვეს, როგორ უვლის მამულებს ბანკი და როგორ ჰყიდის. ბანკის წევრნი ცდილობენ და ვეზ ვაუგიათ კი ანგარიშიდინ, ვისი მა-



მულები და რამდენი დარჩა ბანკსა, მატულობს თუ კლებულობს მათი რიცხვი, რამდენს იძლევიან შემოსავალს და რამდენსა ზარალობს ბანკი, როცა ჰყიდის. ხოლო ის ციფრიები ბალანსისა და ანგარიშისა, რომელიც ასე თუ ისე შეეხება ბანკის მამულებს, როგორც მაგალითად: ანგარიში დასაბრუნებელ ხარჯისა, ბანკის მოგებილან გადადებული ფული გასასტუმრებლად ზარალისა, რომელიც მოუვიდა ბანკს მამულების გაყიდების გამო,—დიალ, ეს ციფრიები იმდენად ყრუდ არის მოხსენებული და ისეთის ზოგადობის ხასიათი აქვს, რომ თუ კარგა არ გაურკვიეს აღამიანს, ისე ვერ გაიგებს თვითელი წევრი ბანკისა. გამგეობა თავის მოხსენებაში, რომელსაც წარუდგენს ხოლო საზოგადო კრებას, სჯერდება მხოლოდ იმას, რომ აუწყებს, საანგარიშო წელს ამდენ-ამდენი მამული დარჩა ბანკისათ და იმასაც კი არ აცნობებს, ვისი და ვისი მამული დარჩაო. ასეთი სისტემად გადაქცეული მაღადა უოგელ-გგარ ცნობათა, რომელიც კა შეეხება ბანკში დარჩენილს მამულებს, შესაძლოა საბაბად დასახლოს გინმე და აფიქროს, რომ ბანკის საქმები უარეს უფლაშათ, ვიდრე ნამდვილად არის; ამიტომ ადგილი ასახსნელია, რომ ამდენი უკმაყოფილობა და სამდგრავი ისმის ბანკზე სახელდღირ ამ საქმის ასე გლობად წარმოებისათვის.“ (გვ. 75).

სულ პირველად მამულები დარჩა ბანკს 1882 წელს. მასუკან 1894 წლამდე ბანკს დარჩა 127 მამული, რომლებზედაც იყო გაცემული სესხად 1.221,861 მან., მათ შორის 65 სოფლის მამული იყო—349,727 მანათისა და 62 ქალაქის მამული—872,134 მანათისა.

1894 წლის 28 დეკემბრისათვის საბოლოოდ იქმნა გაყიდული და ნასყიდობის წერილით გაცემული 24 სოფლის მამული და 55 ქალაქისა, ხოლო ბანკს-და დარჩა ხელში ამ დროს \*)

\*) შემდეგის წლების ცნობანი შე არა შექვენ, იმიტომ რომ ბანკის ანგარიშებში 1894 და 1895 წლისა ეგ ცნობანი არ მომპოვება; არ მომპოვება იმ შიზების გამო, რომელიც მოიხსენია ბ-ნთა რევიზორშით თავის ანგარიშის შემორე ამოწერილს ადგილის.

41 სოფლის მამული 213,573 მანათისა და 7 ქალაქისა—  
21.784 მანათისა.

ცხრილი, შედგენილი ბ-ნ რევიზორის-მიერ და მაუწყებელი იმ მამულების რაოდენობისა, რომელიც ჩემის გაველ-წლივ, იმდენად საინტერესოა საზოგადოებრივის მხრითა, რომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს სრულიად და სავსებით წარმოვუდგინო აქ მკითხველს; წინ-და-წინვე ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, რომ ცხრილში ბევრია ციფირები, რომელიც ასე არ ეპრიანება შუათანა მკითხველს, ხოლო რომელსაც დიდი სამჭევრმეტყველო მნიშვნელობა აქვს იმისთანა მკითხველისათვის, რომელსაც შეუძლიან ჩაუფიქრდეს წაკითხულს და ჩვეულებად აქვს გადაქცეული გულ-დასმით მოეკიდოს დიდ-მნიშვნელოვანსა და საყურადღებო ამბებს თავის მშობელ ქვეყნის ცხოვრებისას.

აი ეს ცხრილი:

წელი.	სოფლის მამულები		ქალაქის მამულები	
	რიცხვი.	რაოდენობა ვალისა.	რიცხვი.	რაოდენობა ვალისა.
1882	2	26.628—83	1	16.087—98
1883	5	7.375—72	9	158.802—46
1884	4	36.898—95	11	138.907—01
1885	1	3.800—75	11	438.783—53
1886	"	"	7	35.213—28
1887	1	2.025—92	2	12.413—03
1888	1	607—96	3	21.308—93
1889	9	69.877—10	4	10.467—08
1890	"	"	2	10.160—01
1891	8	41.382—	4	7.078—35
1892	13	74.227—49	4	14.959—94
1893	3	4.572—47	2	2.136—51
1894	18	86.330—59	2	4.815—90
	65	349.727—78	62	872.134—01

თუ მკითხველი კარგად ჩააკვირდება ამ პატარა ცხრილს, საკმაოდ საინტერესო რამეს დაინახავს. პირველ ყოვლისა შეამჩნევს, რომ მეოთხმოცე წელთა დამდეგს ჩვენს ბანქს დიდი

ზარალი მოსდიოდა ქალაქის მამულებზედ, ხოლო მეოთხმოცავის მიზანით გამოიყენებოდა ათე წელთა დამდეგს, ათის წლის შემდეგ, პირ-იქით, ზარალი მოსდიოდა სოფლის მამულებზედ. იმ დროს, როცა ჩვენს ბანკში ნამდვილის ციებ-ცხელებით აძლევდნენ სესხს ქალაქის მამულებში და როცა ქუთაისი ექიშვებოდა ამ მხრივ ტფილისსა და ცდილობდა წინაც გაესწრო მისთვის, სწორედ ამ დროს ჰლალატობდნენ ჩვენს ბანკს ქალაქის მამულები და ყოვლად დიდს ზარალს უმზადებდნენ. 271 ათას მანათს ზარალში, რომელიც მოუვიდა ჩვენს ბანკს 1894 წლამდე, 191 ათასი მანათის ზარალი მოუვიდა 12 დიდს მამულზედ, რომელიც ტფილისში მდებარეობდა.

დაპხედეთ 1883, 1884 და 1885 წელს ცხრილზედა. ამ სამს წელს დარჩა ბანკს 31 მამული, ესე იგი ნახევარი მთლად იმ ქალაქის მამულებისა, რომელიც დარჩა ბანკს 13 წლის განმავლობაში 1882 წლიდან 1894 წლამდე. რაოდენობა ვალისა, რომელიც ედო ამ მამულებს, იყო 736.493 მან., ხოლო მთლად ვალი ყველა სხვა ქალაქის მამულებისა, რომელიც კი ბანკს დარჩა 1894 წლამდე, იყო 872 134 მან.

ამ სახით, თუ რიცხვი ბანკზედ დარჩენილ მამულებისა ზემორე აღნიშნულ სამს წელს შეადგენდა 50%-ს კველა სხვა ქალაქის მამულების რიცხვისას, რაც კი დარჩა ბანკს 1894 წლამდე, სამაგიეროდ ვალი ედო ზედ იმ ნახევარს მამულებისას იმდენი, რომ შეადგენდა 84,5%-ს მთლად იმ ვალისას, რომლითაც დატვირთულნი იყვნენ ბანკზედ დარჩენილი ქალაქის მამულები.

რაც ბანკმა ქალაქის მამულებზედ იზარალა, ის ზარალი რომ ცოტად თუ ბევრად თანაბრად განაწილებულიყო თვითეულ წელს შორის, მაშინ ერთს წელს უნდა შეხვედროდა დაახლოვებით თითქმის ხუთი მამული ესე 67.000 მანათის ვალითა, ასეთია შუათანა წლიური ზარალი \*) ჩვენის ბანკისა,

\*) ეს საკუთრად ზარალი კი არ არის, ეს იმათა პნიშნვას, რომ მიღენი ვალი ედო იმ მამულებს, რომელიც ბანკს დარჩა; სხვა სიტყვებით რომ ვსთვეთ, ეს ნამდვილი ზარალი კი არ არის, არამედ შესაძლებელი ზარალი.



უკეთუ მის ზარალის საერთო რაოდენობას, რომელიც შემდგა  
ქის მამულებზედ მოსვლია (872 ათასი მანათი), გაფუოფთ  
ზარალის წელთა რიცხვზედა (ესე იგი 13-ზედ).

ამ შუათანა ვარაუდით ჩვენს ბანკს უნდა ეზარალნა ქალა-  
ქის მამულებზე სამის წლის განმავლობაში  $201 \text{ ათასი } \text{ მანე-} \text{ თამდე } (67.000 \times 3 = 201.000)$ , ხოლო, რიცხვი ბანკზედ დარ-  
ჩენილის მამულებისა უნდა ყოფილიყო  $15 \text{ (5} \times 3 = 15)$ .

ის კი არა თუ ნამდვილად სულ სხვა მოპხდა და სამის  
წლის განმავლობაში (1883—1885 წ.), როცა ზემოხსენებული  
ციებ-ცხელება არსებობდა ქალაქის მამულებზედ სესხის გაცე-  
მისა, ბანკს დარჩა 31 მამული, ესე იგი ორჯელ მეტი, ვიღრე  
ვარაუდით უნდა ყოფილიყო და 736 ათასის მანეთის ვალითა,  
როდესაც ეს ვალიც ვარაუდით 201 ათასი უნდა ყოფილიყო,  
მაშასადამე, 500 ათასის მანათით მეტითა.

თუ ახლა მივმართავთ სოფლის მამულებს, რომელიც დარ-  
ჩა ბანკს, იქ სულ სხვა სურათი გადაგვეშლება თვალ-წინა. აქ  
უმწვერვალესი დრო ზარალიანობისა 80-ეულ წელთა დამდეგს  
კი არ მოდის, ეს იყო ქალაქის მამულების შესახებ, არამედ  
90-ეულ წელთა დამდეგსა.

80-ეულ წელთა დამდეგი ქალაქის ხანაა, 90-ეულ წელ-  
თა დამდეგი—სოფლის ხანაა. პირველ ხანის დამახასიათებელი  
თეისებაა კოტრობა კალაქის მამულებისა, მეორესი—სოფლის  
მამულებისა. 80-ეულ წელთა დამდეგს ჩვენი ბანკი დასაჯეს  
ქალაქებმა, 90-ეულ წელთა დამდეგს, პირ-იქით, სოფლებმა.

ამ როლების ცვალებადობას და გადალოცვას ქალაქისა-  
გან სოფლისადმი ძალიან ადვილად გაარკვევს ციფირებით ყვე-  
ლა, ეისაც კი მოსაწყენ საქმედ არ მიაჩნია მათი კირკიტი.  
